რ. ასათიანი, ს. ასათიანი

ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია

„ტექნიკური უნივერსიტეტი"

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რ. ასათიანი, ს. ასათიანი

ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია

დამტკიცებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

სახელმძღვანელოში განხილულია ბიზნესის გლობალური გარემოსა და ეროვნული კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა მოსაზრებანი; გაანალიზებულია ბიზნესის გლობალიზაციის თავისებურებანი და კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორები; შესწავლილია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მიმდინარეობის თავისებურებანი მაკრო და მიკრო დონეებზე; განხილულია გლობალურ სტრატეგიულ კავშირებში და პარტნიორობაში შესვლის მთავარი მიზეზები; მოცემულია ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ანალიზი; განხილულია ეროვნული კონკურენტუნარიანობის კონცეფცია და სტრატეგიის შემადგენელი ელემენტები მოკლე და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის პირობებში; დასაბუთებულია საშინაო ეკონომიკისა და მის ინტერნაციონალიზაციას შორის ბალანსირების აუცილებლობა; შემოთავაზებულია ეროვნული მთავრობების მართვის ფუნქციებისა და როლის სრულყოფის გზები გლობალური ინტეგრაციის პირობებში.

რედაქტორი ევ. ბარათაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი ო. ქეშელაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009

ISBN 978-9941-14-758-6

http://www.gtu.ge/publishinghouse/

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შესავალი 5
1. ბიზნესის გლობალური გარემო და კონკურენცია 6
1.1 კონკურენტუნარიანობა და ბიზნეს-მენეჯმენტი 6
1.2 კონკურენციის ეროვნული პოლიტიკის ზოგადი არსი 8
1.3 ბიზნესის გლობალიზაცია 10
1.4 ვაჭრობისა და ინვესტიციების როლი ბიზნესში 12
1.5 სტრატეგიული კავშირებისა და ცოდნის ქსელების მართვა 15
1.6 ტექნოლოგიებისა და ცოდნის ზეგავლენა ბიზნესზე 16
1.7 წარმოების მობილური ფაქტორები და ბიზნესის დინამიკური პრაქტიკა 17
კითხვები დისკუსიისთვის 22
დანართები (დასკვნები და წინადადებები) 23
2. კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორები 28
2.1 ფაქტორების ზოგადი მიმოხილვა 28
2.2 ფაქტორი 1 – შიგა ეკონომიკა 30
2.3 ფაქტორი 2 – ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია 31
2.4 ფაქტორი 3 – მთავრობის როლი 34
2.5 ფაქტორი 4 – ფინანსური მენეჯმენტი 36
2.6 ფაქტორი 5 – სოციალური და საქმიანი ინფრასტრუქტურა 37
2.7 ფაქტორი 6 – მენეჯმენტის ხარისხი 38
2.8 ფაქტორი 7 – პოტენციალი კვლევებსა და დამუშავებებში 39
2.9 ფაქტორი 8 – ადამიანური რესურსების მენეჯმენტი 40
კითხვები დისკუსიისთვის 42
დანართები (თვალსაჩინო მასალები) 43
3. კონკურენტუნარიანობის მხარდამჭერი ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგია 50
3.1 ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმა და ინსტიტუციური განვითარება 50
3.2 მაკროეკონომიკური პოლიტიკები 55
3.3 საგარეო ვაჭრობის მხარდამჭერი პოლიტიკა 58
3.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა 60
3.5 ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიის განვითარების პოლიტიკა 63
3.6 მთავრობის პოლიტიკა ადამიანური კაპიტალის ხარისხის ამაღლებაში 64
3.7 მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა 65
3.8 საბაზრო ტრანსაქციების მხარდაჭერის ძირითადი ინსტიტუციები 66
3.9 აზიური კრიზისის გაკვეთილები 69
კითხვები დისკუსიისთვის 75
დანართები (თვალსაჩინო მასალები) 76
4. პრივატიზაცია, როგორც დეცენტრალიზაციის ინსტრუმენტი 81
4.1 საზოგადოებრივი მომსახურების პრივატიზაციის არსი და მიზნები 81
4.1.1 ფინანსური მომსახურების პრივატიზაცია ცენტრალურ ევროპაში 84
4.1.2 პრივატიზაციის მისაღები ფორმებისა და მეთოდების შერჩევა 86
4.2 სტრუქტურული რეფორმები და ინსტიტუციური განვითარება 87
კითხვები დისკუსიისთვის 89
დანართები (თვალსაჩინო მასალები) 90

5. ცვლილებები მთავრობის როლსა და ადმინისტრაციულ რეფორმებში 93
5.1 პოლიტიკური და სამთავრობო რეფორმები 93
5.2 მთავრობისა და მისი პოლიტიკის დეცენტრალიზაცია და დემოკრატიზაცია 95
5.2.1 ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის სამი ძირითადი ფორმა 95
5.3 იაპონიის გაკვეთილები 98
5.4 სინგაპურის გაკვეთილები 102
5.4.1 ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 103
5.4.2 საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა 104
5.4.3 ადამიანური კაპიტალის განვითარება 106
კითხვები დისკუსიისთვის 108
დანართები (თვალსაჩინო მასალები) 109
6. საზოგადოებრივი მომსახურების და სახელმწიფო ადმინისტრაციის ეფექტიანობის ამაღლება 115
6.1 საზოგადოებრივი მომსახურების აუცილებლობის ზრდა 115
6.2 მწარმოებლურობის ძირითადი ბარიერები მომსახურებასა და სახელმწიფო ადმინისტრაციაში 116
6.3 მწარმოებლურობის გაზომვა საზოგადოებრივ მომსახურებაში 120
6.3.1 მწარმოებლურობის გაზომვის კონცეფციები 120
6.3.2 მწარმოებლურობის გაზომვის პრინციპები 122
6.3.3 მწარმოებლურობის შეფასების ევოლუცია და შედეგების ანალიზი 124
6.4 მწარმოებლურობის ამაღლების ძირითადი სტრატეგიები 125
6.4.1 პოლიტიკური ასპექტები 126
6.4.2 სტრუქტურული ასპექტები 127
6.4.3 ტექნოლოგიური და მმართველობითი ასპექტები 130
კითხვები დისკუსიისთვის 133
დანართები (თვალსაჩინო მასალები) 134
უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი 141
ლიტერატურა 150

შესავალი

XXI საუკუნე ხასითდება მნიშვნელოვანი და სულ უფრო დაჩქარებული ცვლილებებით ქვეყნებისა და ადამიანების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ამ ცვლილებებს შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე ადამიანთა საერთო კეთილდღეობა, განათლებისა და კულტურის დონის და ცხოვრების ხარისხის ამაღლება. ეს ყველაფერი ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების (განსაკუთრებით ინფორმაციულის და ცხოვრების შესახებ მეცნიერების) განვითარების, ორგანიზაციისა და მართვის მეთოდების გაუმჯობესების, შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და გლობალიზაციის ზრდის, წარმოების ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორების (შრომა, კაპიტალი, ტექნოლოგია და ცოდნა) მობილირობის ამაღლების გზით. ეს ფაქტორები, ეროვნული საზღვრების გარეშე, დღეისათვის მოქმედებენ ბევრად უფრო თავისუფლად ვიდრე წარსულში.

ამასთან, ასეთ განვითარებას თავისი უარყოფითი ფაქტორებიც გააჩნია. კერძოდ, შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ზრდა, გარემოს დაბინძურების გამო ჩვენ პლანეტაზე ეკოლოგიური დაძაბულობის მატება, ტერორისტული აქტებისა და ძალადობის სხვა სახეების გავრცელება, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები, კორუფციის ინტერნაციონალიზაციის მატება და სხვა. გლობალიზაცია ასევე იწვევს საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციის ამაღლებას, რაც ასევე აღწევს ეროვნულ ბაზრებზეც. დღეისათვის არამარტო კომპანიები კონკურირებენ ერთმანეთთან, არამედ ამ კონკურენციაში სულ უფრო და უფრო ერთვებიან ქვეყნები თვიანთი ეროვნული მთავრობებითა და ადმინისტრაციებით. საზოგადოება სულ უფრო განათლებული და რთული ხდება, ამასთან მომთხოვნიც თავიანთი მთავრობების მიმართ.

სახელმწიფო მართვის პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციის ზრდის, აგრეთვე მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფაში ბაზრის როლის ამაღლების მიუხედავად, სახელმწიფოს როლიც განუხრელად იზრდება. ამასთან, იგი სულ უფრო იკლებს რა უშუალოდ წარმოების მართვაში, განუხრელად იზრდება ასევე სოციალური, პოლიტიკური და საქმიანი გარემოს მართვის სფეროში.

სახელმძღვანელო ეძღვნება საქმიან გარემოში მიმდინარე ცვლილებების მიმოხილვას, კონკურენციის, როგორც გლობალური მოვლენის მნიშვნელობის ამაღლებას, გლობალიზაციის ძირითად მოვლენებს და ეროვნული მთავრობების სტრატეგიისა და პოლიტიკის განვითარების საკითხებს. დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორებს. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის, ფინანსური მენეჯმენტის, სოციალური და საქმიანი ინფრასტრუქტურის, შრომითი რესურსების მართვის, ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის და სხვა ფაქტორებს.

სახელმძღვანელოში მოცემულია ბევრი მაგალითი და სტატისტიკური მონაცემები, პრაქტიკული ხასითის მასალა, რაც დაეხმარება მკითხველს შეაფასოს ამა თუ იმ დასკვნისა და იდეის მნიშვნელობა. თითოეული თავის ბოლოს მოცემულია კითხვები დისკუსიისთვის, აგრეთვე სემინარულ მეცადინეობებზე გამოყენებისათვის საჭირო საკმაო რაოდენობისა და ხასიათის მასალა.

მოცემული სახელმძღვანელო შეიძლება საინტერესო იყოს არამარტო ბიზნეს-მენეჯმენტში მოღვაწე პრაქტიკოსებისთვის, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ მუშაკთათვისაც, აგრეთვე იმ მკვლევარებისთვის, ვინც

დაინტერესებულია ბიზნეს-მენეჯმენტის, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებით, აგრეთვე მთავრობის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებით.

1. ბიზნესის გლობალური გარემო და კონკურენცია

XXI საუკუნის დასაწყისისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ხდება სწრაფად ცვალებადი საქმიანი გარემო. გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის მაღალმა ტემპებმა ფუნდამენტურად შეცვალეს ბაზრისა და კონკურენტული სტრატეგიების პირობები, ასევე შეიცვალა საერთაშორისო და შიგა ბაზრების სტრუქტურები, ბიზნესისა და წარმოების სისტემები. დღეისათვის ბიზნესის პოტენციალი დამოკიდებულია პროდუქციის ხარისხზე, მიწოდების სისწრაფეზე, ტექნიკურ უპირატესობასა და განსაკუთრებით მომხმარებელზე ორიენტაციაზე.

ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ და დერეგულირებამ შიგა და საგარეო ბაზრების კიდევ უფრო მჭიდრო ინტეგრაციამდე მიგვიყვანა. ამის შედეგად კომპანიები შეეჯახნენ სულ უფრო მზარდ კონკურენციას არამარტო საერთაშორისო, არამედ ეროვნულ ბაზრებზეც, რადგან იმპორტული პროდუქცია და მომსახურება აქტიურად შეიჭრა შიგა ბაზარზე.

ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და კომუნიკაციებში პროგრესმა ასევე თავისი სერიოზული წვლილი შეიტანა შიგა, რეგიონალური და გლობალური ბაზრების სწრაფ ინტეგრაციაში.

1.1 კონკურენტუნარიანობა და ბიზნეს-მენეჯმენტი

დღეისათვის მთელ მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი კონკურენტუნარიანობა ხდება, რადგან იგი არის ქვეყნების ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების მიღწევის სასიცოცხლო გზა. კონკურენტუნარიანობა გლობალურ ეკონომიკაში გულისხმობს ქვეყნის უნარს მუდმივად შეინარჩუნოს მომგებიანი პოზიცია, ან აამაღლოს ნიშა სწრაფად ცვალებად საბაზრო გარემოში. ასეთი მიდგომა სულ უფრო და უფრო ასოცირდება წარმოებული პროდუქციის მაღალ ხარისხთან და ტექნოლოგიურ უპირატესობებთან, პროდუქტთა სწრაფად მიწოდებასა და დიფერენციაციასთან, ვიდრე დანაკარგებთან.

ეროვნული კონკურენტუნარიანობა ეს არის ქვეყნის უნარი თავისუფალი და სამართლიანი ბაზრის პირობებში წარმოებული იქნეს საქონელი და პროდუქტები, რომლებიც გამოცდას გადიან საერთაშორისო ბაზრებზე და ამავდროულად მხარს უჭერენ და აფართოებენ მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. უფრო ფართო გაგებით, კონკურენტუნარიანობის დონე გამოიხატება მაკროეკონომიკური შედეგების შედარებით მოსახლეობის საერთო ცხოვრების დონესთან, ფოკუსირებულს მწარმოებლურობის ტენდენციებზე. უფრო ვიწრო გაგებით, კონკურენტუნარიანობის კონცეფცია მოიცავს ქვეყნის უნარს გაყიდოს თავისი საქონელი საერთაშორისო ბაზრებზე.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის განსაზღვრათა უმეტესობაში მოხსენიებულია ქვეყნის უნარი მიაღწიოს მდგრად განვითარებას, ან მწარმოებლურობას და მაღალ სასიცოცხლო სტანდარტებს. ეკონომისტთა უმრავლესობა ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განიხილავს ვალუტის გაცვლითი კურსების რეალური ცვლილებების თვალსაზრისით, ან ცვლილებებით რეალურ შრომის ანაზღაურებაში კონკურენტებთან მიმართებაში. კონკურენტუნარიანობა

მაღლდება, როდესაც მწარმოებლურობა იზრდება დანაკარგებთან მიმართებაში. ამასთან, თუკი კონკურენტუნარიანობა მიიღწევა მხოლოდ დანაკარგების შემცირებით, იგი არ შეიძლება იყოს მდგრადად მიღწევადი დროის ხანგრძლივ პერიოდში. კომპანიები და ქვეყნები, რომლებიც ეყრდნობიან მხოლოდ დაბალ-ღირებულებიან რესურსებს, მათ შორის შრომის ღირებულებასაც, ადრე თუ გვიან აღმოაჩენენ კონკურენტის გამოწვევას, რომელმაც შეიძლება კიდევ უფრო შეამციროს დანაკარგები და დანერგოს ახალი ტექნოლოგია.

ქვეყნებმა შეიძლება გააგრძელონ იაფი შრომის შეთავაზება მხოლოდ ცხოვრების დაბალი დონის სტანდარტების შენარჩუნებით, მაგრამ მწარმოებლურობის ამაღლება საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს კონკურენტუნარიანი ფასები და ამაღლდეს ცხოვრების სტანდარტები. ***ამდენად, მწარმოებლურობა მიღწეული მაღალი კვალიფიკაციითა და მოწინავე ტექნოლოგიით კონკურენტუნარიანობის მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს.***

ეროვნული კონკურენტუნარიანობა შეიძლება შეფასდეს ექსპორტის ეფექტურობის კონკურირებად ეკონომიკებთან შედარების მაჩვენებლითაც. შედარებით კონკურენტუნარიანი ეკონომიკები ხასიათდებიან დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციისა და ცოდნის ექსპორტის სწრაფი ტემპებით, ასევე მდგრადი ტექნოლოგიური პროგრესითა და დივერსიფიკაციით. კონკურენტუნარიანობის ასეთი შეფასება აქცენტირდება ზრდის პარამეტრებსა და სტრუქტურულ ცვლილებებზეც. იგი ასევე ეფექტურობის ისეთ პარამეტრებს მოიცავს, როგორიცაა ქვეყნის უნარი გაიაროს ტესტი საერთაშორისო ბაზრებზე და შეთავაზოს ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა მიდგომები. მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის (შვეიცარია, ქ.ლოზანა) მონაცემებით, ქვეყნები რეაგირებენ გლობალიზაციაზე, ცდილობენ რა გახდნენ მიმზიდველები და/ან აგრესიულები (მეწარმეობის თვალსაზრისით). ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად ირლანდია, სინგაპური, მალაიზია ფოკუსირდება ბიზნესისათვის შიგა მიმზიდველი გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს უწყობს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. სხვა ქვეყნები აქცენტირდებიან ბიზნესის აგრესიულობაზე (აშშ), ცდილობენ რა გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე თავიანთი პირდაპირი ინვესტიციებით საზღვარგარეთ, ან გამოიყენონ ექსპორტი (იაპონია).

საშინაო ეკონომიკასა და მის ინტერნაციონალიზაციას შორის ბალანსირებაზე ყურადღება დღეისათვის, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისათვის, ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ზრუნვის საგანი ხდება. საზოგადოებისა და მისი ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი, არამარტო განვითარებად ქვეყნებში, არამედ აშშ-სა და ევროპაშიც თვლის, რომ გლობალური ეკონომიკა ანგრევს ეროვნულ დასაქმებას, ვერ უზრუნველყოფს შემოსავლებს და არაპროგნოზირებადია.

ქვეყნების კონკურენტუნარიანობა ასევე გულისხმობს, როგორც მისი მოსახლეობის მიერ შექმნილ, ასევე წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებულ აქტივებს – ჯანმრთელი და შრომისუნარიანი მოსახლეობა, ბუნებრივი რესურსები, განათლებისა და ჯანმრთელობის სოლიდური სისტემა, ეროვნული დამატებული ღირებულების შექმნის კარგად მართვადი პროცესები. შესაბამისად, ქვეყნის არსებული თაობის სიმდიდრე ასახავს წარსული გენერაციების კონკურენტუნარიანობასაც. ქვეყნები მომავალში კიდევ უფრო გამდიდრდებიან თუკი ისინი ინვესტირებას თავიანთ აქტივებსა და პროცესებში, განსაკუთრებით კი თავიანთ შრომით რესურსებში განახორციელებენ.

ამდენად, მაღალი კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს ეროვნულ პოლიტიკათა და ინსტიტუციათა ხარისხის შედეგს, რაც ასევე იმას ნიშნავს, რომ კონკურირებენ არამარტო კომპანიები, არამედ ერებიც.

ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნებოდა განგვეხილა ეროვნული ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ინსტიტუციონალური ჩარჩოები სისტემური კონკურენტუნარიანობის კონცეფციის ბაზაზე. ინდუსტრიული

კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს ფაქტორებს შორის კომპლექსური და დინამიკური ინტერაქციის შედეგს ოთხ სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე:

ა) მეტადონე; ბ) მაკროდონე; გ) მეზოდონე; დ) მიკროდონე;

მეტადონეზე მოქმედებენ სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც არსებითია კონკურენტუნარიანობისათვის. ეს ისეთი კულტურული ფასეულობანია, როგორიცაა მიღწევების სოციალური აღიარება, პოზიტიური შრომითი ეთიკა, მიდრეკილება დაგროვებისა და გრძელვადიანი ინვესტიციებისადმი განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, პოლიტიკური ლიდერებისა და მათი ჯგუფების უნარი ჩამოაყალიბონ ხედვა და სტრატეგია. ამ დონეზე კონკურენტუნარიან ქვეყნებს აქვთ იურიდიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციების განვითარებული ინფრასტრუქტურა, ინტეგრაციის სოციალური უნარი, აგრეთვე ყველაზე უფრო ავტორიტეტული ლიდერების სურვილი მონაწილეობდნენ სოციალურ და სხვა სახის დიალოგებში, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ პოლიტიკისა და სტრატეგიის ფორმულირებაში.

მაკროდონეზე მნიშვნელოვანია სტაბილური და პროგნოზირებადი ისეთი სტრუქტურებისა და ჩარჩოების არსებობა, რომლებიც ქმნიან საქონლისა და კაპიტალის ბაზრებს, რაც არსებითია რესურსების ეფექტური გაადგილებისათვის. ეს მოიცავს გაცვლითი სავალუტო კურსების რეალისტურ პოლიტიკას, ადგილობრივი მრეწველობის მასტიმულირებელი საგარეო ვაჭრობის პოლიტიკას, კონკურენციის პოლიტიკას, ზრდასა და სტაბილურობაზე ორიენტირებულ ბიუჯეტურ და ფისკალურ პოლიტიკას.

მეზოდონეზე უნდა არსებობდეს სპეციალური პოლიტიკა და ინსტიტუციები, რომლებიც ხელს უწყობენ მრეწველობას და ქმნიან კონკურენტულ უპირატესობებს. ასეთი ინსტიტუციები შეიძლება მოიცავდნენ კონკურენტუნარიანობისა და მწარმოებლურობის ეროვნულ საბჭოებს, მენეჯმენტის განვითარების ეროვნულ ინსტიტუტს, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ორგანიზაციებს, მეწარმეთა ორგანიზაციებს და სხვა. ასევე უნდა არსებობდნენ ინსტიტუციები, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ფინანსებისა და ეკონომიკური რეგულირების პოლიტიკის დიზაინირებითა და რეალიზაციით. ასეთი მეზოდონის ინსტიტუციები, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო, უნდა თავაზობდნენ სხვადასხვა ფირმებს მომსახურებას და მხარდაჭერას, ეხმარებოდნენ ადამიანური კაპიტალისა და ტექნოლოგიური ინფორმაციის განვითარებაში. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ეფექტური საკომუნიკაციო არხებისა და მედიის არსებობა, რომლებიც ხელს უწყობენ პოზიტიური ცვლილებების განხორციელებით დაინტერესებულ მთავარ მოთამაშეებს შორის იდეებისა და ინფორმაციის გაცვლას ამა თუ იმ სისტემაში, ან ორგანიზაციაში. ასეთებად შეიძლება მოიაზრებოდნენ აქციონერები, მენეჯერები, მომხმარებლები, მიმწოდებლები, მშრომელები, ინვესტორები, მოსახლეობა და სხვა.

მიკროდონეზე კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ თავად წარმოების ორგანიზაცია, პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება, ღირებულებითი ჯაჭვისა და პროცესების მართვა, კოოპერატივთა ქსელი და კავშირები, ნოვაციისა და პერსონალის მართვა, ნიჭიერი თაობის გამოვლენა, აღზრდა და მათი ინტელექტუალური კაპიტალის შენარჩუნება, მათ შორის მეწარმე-ლიდერებისა და სხვა.

კონკურენტუნარიანობის ასეთი სისტემური გაგება უკეთეს შესაძლებლობებს ქმნის სახელმწიფოსა და მეწარმეთათვის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ეროვნული ეკონომიკის მიღწევებში.

1.2 კონკურენციის ეროვნული პოლიტიკის ზოგადი არსი

ქვეყნისა და კომპანიის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვან წილად სამთავრობო პოლიტიკისა და საბაზრო ძალების შედეგს წარმოადგენს. მისი აუცილებელი ბაზაა – მაკროეკონომიკის, პოლიტიკის და ინფრასტრუქტურის ცვლადების კრებული, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას.

ნებისმიერი ქვეყნისათვის ყველაზე უფრო კრიტიკული საკითხია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, დაგვანახეს, რომ კონკურენტუნარიანობა შეიძლება მიღწეულ იქნეს შეზღუდული რეგულირების გზით, სტიმულებით ინვესტიციებისათვის, ვაჭრობის განვითარებით, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებით, საგანმანათლებლო ვალდებულებების აღებისა და ადამიანური რესურსების განვითარებით. სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოლიტიკის გატარებამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ეკონომიკის ზრდაზე. კონკურენტუნარიანი ეკონომიკა მოითხოვს სტაბილურ და სოლიდურ მაკროეკონომიკურ პირობებს. მაგალითად, ზომაზე მეტ სახელმწიფო ხარჯებს ისტორიულად მივყავდით საბიუჯეტო დეფიციტამდე, რაც თავის მხრივ იწვევდა ინფლაციას, ქვეყნიდან კერძო ინვესტიციების განდევნას, რაც შედეგად იწვევდა ძირითადი კაპიტალის ფორმირების შეზღუდვას.

კონკურენტუნარიანობა ასევე დამოკიდებულია ეკონომიკის გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციის ხარისხზე. საექსპორტო სექტორის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობები განიხილება, როგორც ეკონომიკის გახსნილობის, ასევე მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ორი მნიშვნელოვანი ინდიკატორი.

სამთავრობო პოლიტიკის მრავალი დეტერმინანტი არსებობს. ***მოკლევადიანი კონკურენტუნარიანობა*** შეიძლება მიღწეულ იქნეს წარმოების დანაკარგებში, სავალუტო კურსსა და ექსპორტის აგრესიულ მხარდაჭერაში შედარებითი უპირატესობის მიღწევის ხარჯზე. მაგრამ მარტო ასეთი პოლიტიკის გატარება – ფარდობითი დანაკარგები და მარტო ფასები – ვერ უზრუნველყოფს ***გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას***. ის ქვეყნები, რომლებიც მოიპოვებენ ბაზრის გარკვეულ წილს, როგორც წესი, ასევე ხასიათდებიან მწარმოებლურობის სწრაფი ზრდითა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების სწრაფი ამაღლებით. კონკურენტული პოლიტიკა ასევე შეიძლება განხილულ იქნეს, ისეთ ჯამურ ინსტრუმენტთა პოლიტიკად, როგორიცაა ტარიფები, სუბსიდიები, ქვოტები და სხვა. ისინი აქცენტირდებიან თავისუფალ ვაჭრობასა და ჩაურევლობაზე, რომლებიც არ არის აუცილებელი გამოყენებულ იქნეს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში, ძირითადად გახსნილი ეკონომიკით, კონკურენტული პოლიტიკა ორიენტირდება განათლების გაუმჯობესებაზე, კვლევებსა და შემუშავებებზე, ინფრასტრუქტურაზე, დარგების ფინანსირებასა და ბაზრების დერეგულირებაზე. კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნებისათვის გარდამავალი ეკონომიკითა და განვითარებადი ქვეყნებისათვის. ბაზრების რეგულირების ჩავარდნა ამ ქვეყნებში შეიძლება გამოწვეული იყოს თავად ბაზრების არარსებობით, ან არსებული ბაზრების არასრულყოფილებით. ასეთ განუვითარებელ ბაზრებში, მცირერიცხოვანი მონაწილეებით, ტექნოლოგიური შემეცნება შეიძლება ძალიან სარისკო და ძვირად ღირებული იყოს ცალკეული ფირმებისათვის, ამიტომ იგი არ გამოიყენება. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ე.წ. რთული დარგებისათვის, კერძოდ, საინჟინრო და ელექტრონული დარგებისათვის.

ამდენად, კონკურენტული სტრატეგიებისა და პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტების წასახალისებლად, ასეთი ქვეყნების მთავრობებმა მხარი უნდა დაუჭირონ საწარმოებს ტექნოლოგიურ შემეცნებებში სისტემატიური აქციებით, რათა მოახდინონ არასრულყოფილების ეფექტის ნიველირება და შექმნან ახალი ინსტიტუციები.

გლობალური საქმიანი და პოლიტიკური გარემო ფუნდამენტურად შეიცვალა ამ ბოლო პერიოდის მანძილზე. მოკლედ განვიხილოთ ეს ცვლილებები:

გახსნილობა. ბოლო პერიოდის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ლიბერალიზაციამ გარკვეულწილად გამოიწვია საბაზრო ეკონომიკების შექმნა და გაძლიერება, გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია, ხოლო ზოგიერთ რეგიონში პოლიტიკური გაერთიანებაც კი. ეს საშუალებას იძლევა დომინოს ეფექტის ცნობილი პრინციპი უფრო სწრაფად და სიღრმისეულად გამოყენებულ იქნეს. მოვლენების ასეთმა განვითარებამ პოზიტიური ეფექტი გამოიწვია უმეტეს ქვეყნებში, თუმცა ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ამან მოკლევადიანი პრობლემები გამოიწვია.

გამჭვირვალობა. სახელმწიფო ადმინისტრაციის ხარისხის ამაღლება, ანგარიშგების გაფართოება და კომუნიკაციის განვითარება ართულებს სამთავრობო და კორპორატიული გადაწყვეტილებების "დამალვის" შესაძლებლობას მათი კრიტიკული ანალიზის სურვილის მქონე ფართო საზოგადოებისათვის. ასეთი მიდგომა დადებითად მოქმედებს გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ეფექტიანობაზე, აუმჯობესებს კოოპერაციას სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის და სოციალური დიალოგის როლს ამაღლებს.

მგრძნობიარობა და სწრაფი რეაქცია. მომხმარებელი და საზოგადოება სულ უფრო მეტად ელოდება, რომ საქონელი და მომსახურეობა შესაბამისობაში იყოს მათ ხარისხსა და რაოდენობასთან, რომ ისინი სწრაფად მიწოდებულ იქნენ მოთხოვნილ ადგილზე და საჭირო დროს. ინტერნეტისა და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ საზოგადოებაში შესაბამისად სწრაფად ურთიერთობის აუცილებლობის სურვილი გააჩინა, რაც უკვე ძალიან ღრმად "ჩაჯდა" საქმიანი მომხმარებლისა და საზოგადოდ მთელი საზოგადოების ცნობიერებაში.

წყვეტილობა. საიმედო ეკონომიკური, საქმიანი და პოლიტიკური პროგნოზების გაკეთება სულ უფრო და უფრო ძნელდება მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პერიოდებისთვისაც კი, რადგან ცვლილებები სულ უფრო სწრაფი, რთული და ნაკლებად პროგნოზირებადი ხდება.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ფინანსური კრიზისი აზიაში (1998წ), "ახალი ეკონომიკის" მოულოდნელი ჩავარდნა ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში (2001წ), საკმაოდ მაღალი იმიჯის მქონე აშშ-ის მთელი რიგი კორპორაციებისა და მათი უმაღლესი მენეჯმენტის ფინანსურ მაქინაციებსა და კორუფციაში მონაწილეობის სერიულად მხილება, საერთაშორისო ტერორიზმის შეტევა აშშ-ზე (2001წ), სამხედრო ოპერაციები ავღანეთში (2001წ), ბალკანეთში (2000-2001წწ), ერაყში (2003წ), საქართველოში (2008წ), მსოფლიო ფინანსური კრიზისი (2008წ) და სხვა, რამაც გეოპოლიტიკური გარემო-მდგომარეობის ცვლილება გამოიწვია. თავის მხრივ, ამ პროცესებმა ზეგავლენა მოახდინეს კაპიტალის ბაზრებზეც და ნეგატიური როლი ითამაშეს მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკათა უკვე არსებულ რეცესიაში. ამ მოვლენების განჭვრეტა თუნდაც ნახევარი წლით ადრე შეუძლებელი იყო, რაც ბიზნესის სტრატეგიული დაგეგმვისათვის უაღრესად მცირე დროა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთა მთავრობებმა და მსხვილმა კორპორაციებმა დაიწყეს სხვადასხვა ალბათობით სხვადასხვა შესაძლო განვითარების სცენარების მომზადება და ადრეული გამაფრთხილებელი სისტემების შემუშავება, რათა სწრაფად მოახდინონ რეაგირება მსგავს გაუთვალისწინებელ მოვლენებზე. ამდაგვარად შემუშავებული ინტეგრირებული მოქნილი სისტემები შეიძლება გახდნენ პასუხი ამ ახალ საქმიან და პოლიტიკურ გამოწვევებზე.

1.3 ბიზნესის გლობალიზაცია

გლობალიზაციამ, როგორც 1990 წლებში დომინირებულმა ძალამ, ქვეყნების ეკონომიკებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობებში ახალი ერა ჩამოაყალიბა. ეროვნული საზღვრების მიუხედავად მან გაზარდა საქმიანი კონტაქტები კულტურასა და მართვაში. მართალია გლობალიზაცია ყოველთვის ჩვენთან იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა დღევანდელობას ძალიან მნიშვნელოვანი თავისებურებანი გააჩნია წარსულთან შედარებით, კერძოდ:

- შემჭიდროვებული მანძილები და დრო;
- ქრობადი საზღვრები;
- გლობალური კონკურენციის ინტენსიფიკაცია და წარმოების ახალი ცენტრების გამოჩენა;
- გამორჩეულად ინოვაციური ტექნოლოგიური გარემო;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) აყვავება და რესტრუქტურირება დივერსიფიცირებული გლობალური ფინანსური ინსტიტუტებით;
- ქვეყნის ფუნქციებისა და როლის ცვლილება ეკონომიკაში.

ცხრილი 1

ზოგიერთი საერთაშორისო კორპორაციის და ქვეყნის ეკონომიკური ძალაუფლება (გაყიდვები, მლრდ აშშ დოლარი)

"ჯენერალ მოტორსი"	164
ტაილანდი	154
ნორვეგია	153
"ფორდ მოტორსი"	147
საუდის არაბეთი	140
პოლონეთი	136
"შელი"	128
საბერძნეთი	123
"ტოიოტა"	109
მალაიზია	98
კოლუმბია	96

ეს ცვლილებები კიდევ უფრო მჭიდროს, ინტენსიურსა და სწრაფს ხდის ადამიანთა ცხოვრებას, ვიდრე ეს ოდესმე იყო. საერთაშორისო ვალუტისა და კაპიტალის ბაზრები დღეისათვის 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ ინტერნეტის, მობილური ტელეფონებისა და მასმედიის კომუნიკაციური ქსელის საშუალებით. საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში მსოფლიო ფულად ბაზრებს ყოველდღიურად 1.5 ტრილიონი აშშ დოლარზე მეტი და ყოველწლიურად წარმოებული საქონლისა და მომსახურების თითქმის 20% მიეწოდება. ამასთან, ცალკეულ საერთაშორისო კორპორაციას უფრო მეტი ეკონომიკური ძალაუფლება გააჩნიათ, ვიდრე ბევრ ზოგიერთ ქვეყანას (ცხრილი 1).

გლობალიზაცია გულისხმობს მრავალრიცხოვან კავშირებს ქვეყნებს შორის და პროცესს, რომლის მიხედვითაც მოვლენები, გადაწყვეტილებები და ქმედებები ერთ ქვეყანაში მნიშვნელოვან ზეგავლენას სხვა ქვეყნებზე ახდენენ. იგი ასევე გულისხმობს გაფართოებულ და გაღრმავებულ საერთაშორისო ვაჭრობას, პირდაპირი საერთაშორისო ინვესტიციების ნაკადებს და ხასიათდება მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის საერთაშორისო ინტეგრაციის მნიშვნელოვანი შედეგებით.

გლობალიზაციის კიდევ ერთი ასპექტია – ცალკეული ქვეყნების რეგულირებადი შესაძლებლობების ინტერნაციონალიზაცია გლობალურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში და ეროვნული მთავრობების როლის შემცირება, რადგან ***გლობალური ბაზარი ძირითადად ინდეფერენტულია ეროვნული***

საზღვრებისა და მთავრობათა გავლენისაგან. ამიტომ არის, რომ ვაჭრობის, მომსახურეობისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში გაფორმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში განსაზღვრული წესები, გაძლიერებული ზედამხედველობის მექანიზმებით, მნიშვნელოვნად ზღუდავენ ეროვნული პოლიტიკის დიაპაზონს.

გლობალიზაციის წამყვანმა ძალებმა შეცვალეს ქვეყნებს შორის გეოგრაფიული სპეციალიზაციის მოდელი. იმის გათვალისწინებით მიემართება თუ არა ეკონომიკის განვითარება მომსახურეობისაკენ, დინამიკური ინდუსტრიალიზაცია განმასხვავებელი ნიშანი ხდება ეკონომიკურად პერიფერიული ქვეყნებისათვის. მრეწველობამ, როგორც ეკონომიკური ზრდის წყარომ გაასწრო სოფლის მეურნეობას ყველა განვითარებად რეგიონში. დამმუშავებელი მრეწველობა ქვაკუთხედი გახდა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის, ასევე ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის.

გლობალიზაციის წამყვან ძალებს, რომლებიც გამოკვლევებში ყველაზე ხშირად სპეციალისტების მიერ მოიხსენიება, მიეკუთვნება:

- ეკონომიკური და პოლიტიკური ლიბერალიზაცია და გამჭვირვალობა, ბევრ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და კაპიტალის უფრო თავისუფალი ნაკადები; ბოლო 20 წლის მანძილზე ქვეყნების უმრავლესობა საერთო მოსახლეობით 2.5 მილიარდი ადამიანით, გავიდა მსოფლიო ბაზარზე და დღეისათვის უკვე კონკურირებენ საერთაშორისო ინვესტიციებისათვის;
- რევოლუციამ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, კომუნიკაციებსა და სატრანსპორტო სისტემებში მნიშვნელოვან გაუმჯობესებებთან ერთად, იმაზეც მიანიშნა, რომ დრო და მანძილი სულ უფრო ნაკლებად რელევანტური ხდება;
- პირველად ისტორიაში ეკონომიკური ძალაუფლების სამმა ცენტრმა: ევროპამ, აღმოსავლეთ აზიამ და ჩრდილოეთ ამერიკამ ეკონომიკურ პარიტეტს მიაღწია. დღეისათვის არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია განაცხადოს თავისი გამორჩეულობის შესახებ.

ასეთი ცვლილებები იმაზე მიანიშნებენ, რომ ქვეყნებს მეტად აღარ შეუძლიათ განვითარდნენ მხოლოდ შიგა ბაზრებზე პროდუქტების წარმოებისა და მომსახურეობის ხარჯზე.

XXI საუკუნეში ერთა ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა ასევე დამოკიდებულია პოლიტიკურ, სამოქალაქო და ბიზნეს–ლიდერების, აგრეთვე ეროვნული ინსტიტუციების გლობალიზაციისადმი მუდმივად და სწრაფად ადაპტირების უნარზე.

1.4 ვაჭრობისა და ინვესტიციების როლი ბიზნესში

მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ინტეგრაციულ ძალებს, რომლებიც მიკრო და მაკრო დონეზე მოქმედენ, ვაჭრობა და ინვესტიციები წარმოადგენენ:

- მიკროეკონომიკურ დონეზე მოქმედი ძალების შეფასება ხდება იმის მიხედვით, თუ როგორ აფართოებენ კომპანიები თავიანთ ზეგავლენას ეროვნული საზღვრების გარეშე, აქციებში ინვესტიციებით, ან ისეთი არაინვესტიციური სტრატეგიული კავშირებით, რომლებიც დამოუკიდებელი ფირმების საქმიანობათა ინტეგრირებას ანხორციელებენ;
- მაკროეკონომიკურ დონეზე მოქმედი ძალების შეფასება იმის მიხედვით ხდება, თუ როგორ ხორციელდება საერთაშორისო ინტეგრაცია სავაჭრო ბარიერების შესუსტების შედეგად.

ქვემოთ მოცემულია გლობალიზაციის ინდიკატორები ვაჭრობისა და ინვესტიციების ნაკადთა მიხედვით (ცხრილი 2). მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ მსოფლიო ექსპორტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპები

მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე ჯამური მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპები, რაც ეკონომიკის მზარდ გლობალიზაციაზე მიუთითებს, განსაკუთრებით კი 1990-ან წლებში. ეს ტემპები ისტორიულად ყველაზე უფრო მაღალი იყო გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში.

ცხრილი 2

მსოფლიო ვაჭრობისა და ინვესტიციების მაჩვენებლები (1985-1997წწ, %-ში)

პერიოდი	მსოფლიო ექსპორტი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიოში	მსოფლიო რეალური მშპ
1985-1994	6.7	14.3	3.2
1994-1997	8.7	20.9	3.9

ევროკავშირის კომისიის მონაცემების მიხედვით 1950-ანი წლებიდან დაწყებული, ყოველწლიურად, სამომხმარებლო საქონლით საგარეო ვაჭრობის ზრდა (საშუალოდ 6.3%) აღემატებოდა წარმოების ზრდას (4%). 1985 და 1997 წლებს შორის პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) წევრ ქვეყნებში 50 მილიარდ აშშ დოლარიდან გაიზარდა 382 მილიარდ აშშ დოლარამდე. 45000-მდე ტრანსნაციონალური კომპანია (ტნკ) 1998 წელს აწარმოებდა გლობალურად წარმოებული პროდუქტების თითქმის 33%, ისევე როგორც მათ შიგა ვაჭრობაზე მოდიოდა მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 33%.

ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, 1960-ანი წლებიდან დაწყებული, მსოფლიო ვაჭრობა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, მაგრამ 1980-ანი წლებისათვის იგი უკვე ეკონომიკური ზრდის წამყვანი მამოძრავებელი ძალა გახდა განვითარებადი ქვეყნებისთვისაც კონკურენტული საბაზრო სისტემებით.

ასეთი ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული განვითარების შიგა პროტექციონისტული სტრატეგიიდან საგარეო და ლიბერალურ ექსპორტზე ორიენტირებულ სავაჭრო სტრატეგიით შეცვლაზე.

ქვეყნები, რომლებმაც დივერსიფიკაცია გაუკეთეს ექსპორტს და გაუხსნეს კარები იმპორტსა და უცხოურ ინვესტიციებს, უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც აგრძელებდნენ მხოლოდ ბაზური საქონლისა და ნედლეულის ექსპორტირებას, ან მხარს უჭერდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას. ისეთ განვითარებად ქვეყნებს, როგორიცაა ბრაზილია, კვიპროსი, მალაიზია და ტაილანდი, რომლებმაც რეორიენტაცია გააკეთეს ნედლეულის ექსპორტიდან (საწვავის გარდა) დამმუშავებელი მრეწველობის საქონლის ექსპორტზე, 1960 და 1990 წლებს შორის, ჰქონდათ ყველაზე უფრო მაღალი მყარად ზრდადი მშპ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლის მიხედვით აზერბაიჯანი ლიდერობს, სადაც მშპ–ის ზრდა 13.2%-ია, ბელორუსიაში–10.6%, სომხეთში–10.3%, უზბეკეთში–9.3%, რუსეთსა და ყირგიზეთში–7.4%. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკის სწრაფი ტემპებით ზრდა რამდენიმე წელია გრძელდება. რეკორდულ მაჩვენებელს კი 2006 წელს მიაღწია, როდესაც მშპ-ს ზრდამ 34.5%-ს მიაღწია, ხოლო 2007 წელს 25%-ს. ამასთან, აზერბაიჯანის სამრეწველო ზრდამ 2006 წელს 37% შეადგინა, 2007 წელს–24%, 2008 წლის პირველ ნახევარში კი, მხოლოდ–9.6%

ეკონომიკურად კონკურენტულ ქვეყნებს საშუალება ჰქონდათ აემაღლებინათ ზრდა ვაჭრობის ხარჯზე, რადგან ექსპორტი ჩვეულებრივ გენერირებს მეტ დასაქმებასა და მწარმოებლურობის ამაღლებასთან. მაშინ როდესაც კომპანიები და ქვეყნები ცდილობენ კონკურენტულნი იყვნენ მსოფლიო ბაზრებზე, ამ შემთხვევაში მათი უფრო მაღალი მწარმოებლურობა მიიღწევა რესურსების გაადგილებით ნაკლებად მწარმოებლურიდან უფრო მაღალი მწარმოებლური სექტორებისაკენ.

ეროვნული დარგობრივი სტრუქტურის სიმწიფისა და განვითარებლობის შეფასება შესაძლებელია ქვეყნის მიერ ექსპორტირებული პროდუქტისა და მომსახურეობის სირთულით. ის ფაქტი, რომ ტექსტილისა და ტანსაცმლის ექსპორტი ახალი ინდუსტრიული ქვეყნებიდან (აიქ) მნიშვნელოვნად შემცირდა მათ საერთო ექსპორტში იმას ამტკიცებს, რომ სამხრეთ–აზიურ რეგიონში წარმატებით ფუნქციონირებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია და ვითარდება მრეწველობა.

ასე, რომ გლობალური ინტეგრაცია ამცირებს ეროვნული მთავრობების როლს საერთაშორისო ტრანსაქციებში და ზრდის ეროვნებათშორისო და რეგიონალური ვაჭრობისა და ინვესტიციების მნიშვნელობას.

არსებული რეგიონალური სავაჭრო ხელშეკრულებები ჩვეულებრივ ამცირებენ, ან საერთოდაც აუქმებენ ტარიფებს, უზრუნველყოფენ ვაჭრობისა და ინვესტიციებისათვის პრეფერენციულ პირობებს და საშუალებას იძლევიან ასეთი რეგიონალური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებს შორის კაპიტალის, საქონლის, მომსახურეობისა და ადამიანთა თავისუფალი ნაკადისათვის. რეგიონალური ინტეგრაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოების გაადგილებისათვის რეგიონალური ბაზრების სიახლოვეს. იგი ასევე გამართლებულია გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე არამყარი სავალუტო კურსებისა და საბოლოო პროდუქტების (მაგალითად, ავტომობილების) ტრანსპორტირებისას ლოჯისტიკაში სირთულეების დროს. ასე მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ავტომობილების იაპონელმა მწარმოებლებმა მთელ მსოფლიოში განათავსეს დამხმარე ნაწილების საწყობების ქსელი თავიანთი საამწყობო ქარხნებისათვის. ამან ხელი შეუწყო მათ ესარგებლათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ასოციაციის სხვადასხვა ხელშეკრულებების უპირატესობებით, რომლებიც ამცირებენ ტარიფებს რეგიონალური ვაჭრობისათვის. დღეისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ მსოფლიო სავაჭრო კავშირები დაფუძნებული "ზედაპირულ ინტეგრაციაზე" მიემართება "ღრმა ინტეგრაციისაკენ", რომელიც ფორმულირდება წარმოებაზე დაფუძნებული ტნკ-ის გლობალური კავშირებით.

ეკონომიკურ ეფექტსა და კონკურენტუნარიანობაზე უკეთესად დინამიკური ეფექტი მაშინ მიიღწევა, როდესაც თავისუფალი ვაჭრობა ერთიანდება კაპიტალისა და ტექნოლოგიის მნიშვნელოვან იმპორტთან.

სავაჭრო ბარიერებმა (ტარიფები, ქვოტები, სანქციები და სხვა), აგრეთვე სხვადასხვა სახის გადასახადებმა და სუბსიდიებმა შეიძლება ტნკ-ის პროვოცირება გამოიწვიონ და განალაგონ თავიანთი წარმოება საზღვარგარეთ კონკრეტულ ქვეყანაში, ვიდრე ექსპორტირება გაუკეთონ იქ თავიანთ პროდუქციას. ამიტომ, არცთუ შემთხვევითია, რომ დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში მშპ კაპიტალის ნაკადი ბოლო ორ ათწლეულში 5 დან 10% გაიზარდა.

კაპიტალი დიდი მზადყოფნით მიემართება წარმატებული ქვეყნებისაკენ და პირიქით, გაედინება ისეთი ქვეყნებიდან, სადაც უკუგების მიღების რისკი და პირობები ნაკლებად ხელსაყრელია.

განვითარებადი ქვეყნები, როგორც კი დაადგნენ თავიანთი ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციის გზას, დაიწყეს კაპიტალზე და ვალუტის გაცვლის კურსებზე კონტროლის აღმოფხვრა, განავითარეს კაპიტალის თავიანთი შიგა ბაზრები, შესაბამისად განხორციელდა კერძო ფინანსური ნაკადების სწრაფი ზრდაც. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის საერთო ნაკადი 1990 წლიდან 1997 წლის ჩათვლით 100 მილიარდი აშშ დოლარიდან გაიზარდა 300

მილიარდ აშშ დოლარამდე. ამასთან, ოფიციალური ფინანსური დახმარება დარჩა სტაბილური–50 მილირდი აშშ დოლარი, ხოლო კერძო კაპიტალის წილი კი მის საერთო ნაკადებში იმავე წლებში გაიზარდა 50 დან 83%-მდე. კერძო კაპიტალის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაკადები იყო პირდაპირი საგარეო ინვესტიციები–ყველა კერძო ინვესტიციის დაახლოებით 50%.

ეს მონაცემები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ***ქვეყნების პოლიტიკოსებმა პირველ რიგში ფოკუსირება უნდა გააკეთონ ყველა კერძო ინვესტიციისასთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე.*** პირდაპირმა საგარეო ინვესტიციებმა სხვა ტიპის ფინანსურ ნაკადებს გაასწრო და განვითარებად ქვეყნებში 1990-ან წლებში, როგორც ინვესტიციების დომინირებულმა ფორმამ მთელი მსოფლიო კაპიტალის ნაკადების 33%-ზე მეტი შეადგინა.

ამ ბოლო 20 წლის მანძილზე პირდაპირი კერძო ინვესტიციების სფეროში მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს ***ბევრი ქვეყნის მიერ საინვესტიციო კანონმდებლობის რეფორმირება, უცხოელი ინვესტორებისათვის ეკონომიკის გახსნა, ეკონომიკური მაჩვენებლებისა და პროპორციებისადმი კონტროლისა და მოთხოვნების პროცედურების აღმოფხვრა.***

ამასთან, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისადმი ქვეყნებს შორის კონკურენციამ ასევე შეიძლება ისეთი სახის პრობლემებიც შექმნას, როგორიცაა მაგალითად ინვესტიციებზე მოთხოვნის ბაზარზე მიწოდების სიჭარბე, აგრეთვე შეზღუდული ინსტიტუციონალური შესაძლებლობების მქონე ქვეყნების შედარება თავიანთი პროდუქტიული აბსორბციის მიხედვით. ასე, 1995 წელს ჩინეთის, სამხრეთ კორეის, ინდოეთისა და ტაივანის ავტომობილების მრეწველობაში არსებული უცხოური ინვესტიციების გამოყენების საშუალო მოცულობა იყო მხოლოდ 78%. 2000 წელს საწარმოო სიმძლავრეების საერთო მოცულობა ამ ქვეყნებში ორჯერ აღემატებოდა გაყიდვების მოცულობას. საინვესტიციო სტიმულების ზედმეტად გამოყენებამ აზიურ ქვეყნებს შორის მხოლოდ მდგომარეობა გააუარესა და კონკურენცია გამოიწვია უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის. 1998 წელს ამ რეგიონში არსებულმა კრიზისმა გვიჩვენა, რომ მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ხელოვნურად შიგა ბაზრების მხარდასაჭერად გატარდა, განსაკუთრებით ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებით, წონასწორობა დაარღვია ინვესტიციებსა და წარმოების ბალანს შორის.

1.5 სტრატეგიული კავშირებისა და ცოდნის ქსელების მართვა

ძალები, რომლებიც წარმართავენ გლობალიზაციის პროცესს, განსაკუთრებით კი ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ახალი სატრანსპორტო სისტემები და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, წარმოებისა და ბაზრების ახალ სტრუქტურებს ქმნიან. ისინი ხელს უწყობენ რეგიონალური და გლობალური კავშირების, ერთობლივი ბიზნესის საწარმოებისა და ქსელების ზრდას, რომლებიც პროდუქტების წარმოებისა და ღირებულებების გლობალური ჯაჭვებით ხასიათდებიან. გარდა ამისა, ისინი ასევე ფართოდ გავრცელებულ ქვეკონტრაქტორებად ხდებიან დამხმარე ნაწილების, კომპონენტების, მომსახურეობისა და რემონტის, განაწილების, კვლევებისა და ტრანსპორტირების სფეროებში. ამ ფენომენს დიდი წვლილი შეაქვს გლობალური მწარმოებლური სისტემების შექმნაში, რადგან ***პროდუქტი შეიძლება დაპროექტდეს და შემუშავდეს ერთ ქვეყანაში, მისთვის საჭირო კომპონენტები – მეორეში, ხოლო აიწყოს გასაღების ბაზრების მახლობელ მესამე ქვეყნებში, საბოლოო პროდუქტი კი განაწილდეს და გაიყიდოს მეოთხე ქვეყანაში.***

ავტომობილების აზიელ მწარმოებლებსა და წამყვან ამწყობ კომპანიებს შორის კავშირების სულ უფრო მზარდი რაოდენობა არსებობს, ჩვეულებრივ კორპორატიული შეთანხმებებისა და ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბების

სახით. კოოპერაცია კონკურენტ ფირმებს შორის მოტივირებულია ნარჩენების შემცირების სურვილით და /ან ერთმანეთს შორის კომპონენტების წარმოების გადანაწილებით, რათა გამოიყენონ საქონლის მასიურად და ერთობლივად წარმოების უპირატესობანი, განსაკუთრებით მწირ და ფრაგმენტულ ბაზრებზე (მაგალითად, "ისუზუ მოტორსი" და "სუზუკი მოტორსი", "მაზდა" და "ფორდი", "ისუზუ" და "მიცუბიში"). ასეთი კავშირები თავიდან იცილებენ ინვესტიციების დუბლირებას, ამასთან საშუალებას აძლევენ სხვადასხვა საამწყობო ხაზებს დაადგინონ ბაზრის თავიანთი ნიშები. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა მოდელის ავტომობილებისათვის ნაწილების სტანდარტიზაციის მცდელობები (მაგალითად, "ისუზუ" და "მიცუბიში") ხელს უწყობენ დამხმარე ნაწილების მწარმოებელი სექტორის რაციონალიზაციასაც.

ამდენად, გლობალურ სტრატეგიულ კავშირში, ან პარტნიორობაში შესვლის მთავარი მიზეზები მოიცავენ შემდეგი სახის სურვილებს:

- უცხოური ბაზრების, ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქტების შესახებ ცოდნის მიღება;
- პარტნიორობის სპეციალიზაციის უპირატესობების გაცნობა და გამოყენება განაწილებასა და მომარაგებაში, საკუთარ ქვეყნებში არარსებული რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მოპოვებაში;
- რესურსების კონტროლირება, თავიანთი ოპერაციების ინტეგრაცია იმ პარტნიორებთან, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ არასაკმარისი ელემენტები წარმოებასა და განაწილებაში;
- შექმნან კავშირები და უფრო მჭიდრო ურთიერთობები მომწოდებლებთან და კლიენტებთან;
- დაძლიონ შეზღუდვები, რათა მიაღწიონ რადიკალურად ახალ შესაძლებლობებს უცხოურ ბაზრებზე;
- დაბლოკონ კონკურენცია უცხოურ ბაზრებზე მოღვაწე უძლიერეს ფირმებთან პარტნიორობის გზით.

გლობალურად კონკურენტული ფირმების სურვილი შეუერთდნენ ბიზნესის სტრატეგიულ კავშირებს და საერთაშორისო ქსელებს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულმა მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ უფრო გართულებული მომსახურეობა და ინფრასტრუქტურა, ისევე როგორც შესაბამისი ინსტიტუციონალური მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ვაჭრობასა და ინვესტიციებს, ისევე როგორც საქმიან გლობალურ ინტერაქციებს.

1.6 ტექნოლოგიებისა და ცოდნის ზეგავლენა ბიზნესზე

ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე თანამედროვე ტექნოლოგია გლობალური ბაზრების შექმნის წამყვანი მამოძრავებელი ძალა გახდა, რომელიც მომავალში კიდევ უფრო თვალში საცემი გახდება. იგი ასევე ძირეულ კომპონენტს წარმოადგენს კონკურენტული ბიზნესის განვითარების ეროვნული სტრატეგიისათვის. ახალ ტექნოლოგიას შეუძლია წაგვიყვანოს ინოვაციებისაკენ, მას შეუძლია შეამციროს დანაკარგები და გაზარდოს მწარმოებლურობა, აამაღლოს ექსპორტის ეფექტურობა და დააჩქაროს მომხმარებელთა მოთხოვნებზე რეაქციის დრო. ახალი ტექნოლოგიები ამაღლებენ მობილურობას და ხელს უწყობენ პროდუქტებისა და მომსახურების დიდი მრავალფეროვნების შექმნას. ახალი ტექნოლოგიური ცვლილებები აგრძელებენ სპეციალიზაციის ამაღლებას, რასაც შესაბამისად მივყავართ ძლიერ ეკონომიკურ კავშირებსა და შემდგომ საერთაშორისო ინტეგრაციისაკენ.

ახალი ტექნოლოგიები საშუალებას აძლევენ კომპანიებს გამოიყენონ ისეთი საწარმოო და ორგანიზაციული კავშირები, რომლებიც აუმჯობესებენ საწარმოო სიმძლავრეების გამოყენებას და დანაკარგებს ამცირებენ, პროდუქციის ხარისხს და

მისი მიწოდების სიჩქარეს ამაღლებენ. ელექტრონიკის, ბიოტექნოლოგიის და მასალათა შესახებ მეცნიერების სწრაფი განვითარება ახალ პროდუქტებსა და მომსახურეობაშიც აისახება. ახალმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა შეამცირეს კომპიუტერული ტექნიკისა და მისი მომსახურების, საქონლის ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციების ღირებულება, რამაც შესაბამისი ასახვა პოვა ვაჭრობისა და ინვესტიციებისათვის ბარიერების შემცირებაში.

ინტერნეტის გამოყენებამ მიგვიყვანა ფუნდამენტურად ახალ კომუნიკაციურ სტრუქტურამდე, საშუალება მოგვცა რა მთელ მსოფლიოში გადავცეთ ინფორმაცია სიტყვიერად, ციფრულად, გამოსახულებით, ან ხმოვანად. კომუნიკაციებმა კიდევ უფრო დაახლოვეს მსოფლიოს ქვეყნები დროის რეალურ რეჟიმში, ხელმისაწვდომი გახადეს ინტერაქციები უდიდეს მანძილებზე და მომსახურეობა გააიაფეს. ასე, მაგალითად სამწუთიანი სატელეფონო საუბრის ღირებულება დღეისათვის ნიუ-იორკიდან ლონდონამდე 1960 წელს 50 აშშ დოლარიდან (1990 წლის ფასებში) 25 ცენტამდე დაეცა.

შემდეგი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს გლობალური ეკონომიკის ფირმებზე არის ისეთი დარგების გამოჩენა, რომლებიც ცოდნას აწარმოებენ, ან ცოდნაზე დაფუძნებულია. ეს ფაქტორი ქვეყნების უმეტესობას საშუალებას მისცემს შეცვალონ კონკურენციის საფუძველი მძიმე მრეწველობის დარგებიდან (ძირითადად დაბალი შრომის ანაზღაურებისა და გარემოს დაბინძურების გამო) მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მომსახურებისა და ცოდნის დარგებით. ქვეყნებმა თავიანთი დარგებისა და კომპანიების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, უნდა გააძლიერონ თავიანთი საერთაშორისო ინფორმაციული სისტემები და ნაკადები, განათლება და მომსახურეობა. ტურიზმმა, ინტერნეტმა და მედიამ სტიმული უნდა მისცენ იდეების, ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლის ზრდას. ცოდნა ძირითადი ინგრედიენტი ხდება იმისა, თუ როგორ ვსაქმიანობთ, რას ვაწარმოებთ, ვყიდულობთ და ვყიდით.

ამდენად, ***ცოდნის მართვა – მისი მოძიება და ინტელექტუალური კაპიტალის განვითარება, მისი შენახვა, გაყიდვა და გავრცელება ორგანიზაციის პერსონალს შორის – ხდება ინდივიდების, საწარმოებისა და ქვეყნების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანა.***

XXI საუკუნეში განუხრელად იზრდება ინფორმაცის როლი, მასზე მოდის თითქმის ყველა სფეროში კვლავ შექმნილი ღირებულების 75%. ამდენად ის დარგები, რომლებიც დღეისათვის ინფორმაციის "ტრანსპორტირებას" ახორციელებენ უფრო სწრაფად განვითარდებიან, ვიდრე ის დარგები, რომლებიც დღეისათვის საქონლის ტრანსპორტირებას ეწევიან, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის ბიზნესის გლობალურ გარემოს და კიდევ უფრო საგრძნობს გახდის საერთაშორისო კონკურენციას.

1.7 წარმოების მობილური ფაქტორები და ბიზნესის დინამიკური პრაქტიკა

პროდუქციის საწარმოო და მოხმარების ფაქტორთა მზარდ მობილურობაში ეკონომიკის გლობალიზაცია ერთი მხრივ შედეგს, ხოლო მეორე მხრივ თანამონაწილეს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის საკვები პროდუქციის მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა ეროვნული წარმოების გაზრდა, ფერმერთა წამახალისებელი მაღალი ფასების შენარჩუნება საკვებ პროდუქტებზე, მოსავლის დანაკარგების მინიმიზაცია და მათი დაზღვევის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან.

ა) პროდუქციის საწარმოო ფაქტორები

მიწა. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული საზღვრების მიუხედავათ ხდება მიწის შესყიდვა და გაყიდვა, რითაც უცხოურ კომპანიებს ეძლევათ

საშუალება მნიშვნელოვანი ეკონომიკური როლი შეასრულონ ადგილობრივი დასახლებული პუნქტების განვითარებაში.

კლიმატური პირობები. რეგიონალური ბუნებრივ-კლიმატური განსხვავებები თავისთავად პროდუქციის წარმოების მრავალფეროვნებას განსაზღვრავს. ამასთან, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი გახდა გარემოს დაბინძურება. ბევრი ფირმის არსებობა საფრთხის წინაშეა დამდგარი, რადგან ისინი ჯერ გარემოს დაბინძურებას აგრძელებენ, ხოლო შემდეგ კი ცდილობენ გაატარონ მისი დასუფთავების ღონისძიებები. ასეთი მიდგომა ზრდის დანაკარგებს და ფირმებს ნაკლებ კონკურენტუნარიანებს ხდის. ბევრი კომპანია იმის გამო იღუპება, რომ ისინი არ არიან ჩართულნი სოციალურ დიალოგში გარშემო მყოფ მოსახლეობასთან მოგებასა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის მისაღები ბალანსის დასადგენად.

მართვა. დინამიკური და მოქნილი კომპანიები მართვის დეცენტრალიზებულ სტრუქტურებს იყენებენ, ძალაუფლების მეტ დელეგირებას უკეთებენ გუნდებსა და ქვეგანყოფილებებს გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ შესრულებაში, მუდმივად რეაგირებენ თავიანთი საქმიანი გარემოსა და კლიენტების მოთხოვნილებათა ცვლილებებზე. ისინი ეფექტურად მართავენ საკუთარ საერთაშორისო ოპერაციებს, კოორდინაციას უწევენ თავიანთი მიმწოდებლებისა და დისტრიბიუტორების მთელ ღირებულებით ჯაჭვს. გლობალურ ტრანსაქციებში ჩართული კომპანიები მუდმივად დივერსიფიკაციისკენ ისწრაფიან, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ ეკონომიკის მასშტაბების უპირატესობანი.

ამდენად, დღეისათვის და მომავალშიც კონკურენციისათვის, კომპანიები უნდა იყვნენ დინამიკურნი და მოქნილნი, მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ იყვნენ დიდები.

ინვესტიციები. ქვეყნების ეკონომიკურ სექტორებში, მათ შორის აგრარულ სექტორშიც განხორციელებული ინვესტიციები, სხვა მობილურ ფაქტორებთან ერთად (დიაგრამა 1), კვლავინდებურად ფუნდამენტურ როლს თამაშობენ.



დიაგრამა 1. სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელი და მოქმედი ფაქტორები

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ინვესტიციები ისე უნდა იყოს მიმართული, რომ მათ უპირველეს ყოვლისა უზრუნველყონ ღარიბი ფენების ინტერესები, ისევე როგორც გააუმჯობესონ ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. 1960-იანი წლებიდან კაპიტალის ნაკადები დაჩქარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, საშუალო და გრძელვადიანი კერძო უცხოური სესხების, შიგა ინვესტიციების, გრანტების, ოფიციალური ორმხრივი და მრავალმხრივი უცხოური დახმარებების გზით.

ტექნოლოგიური პროგრესი. უახლესი ტექნოლოგიები და მათი სწორი მართვა აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროდუქციის წარმოებისა და განვითარებისათვის. ტექნოლოგიური პროგრესი პოზიტიურ პოტენციურ ეფექტს ახდენს არამარტო ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე, არამედ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზეც. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში მათი ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება შეიმჩნევა, ხოლო ზოგიერთში კი საკმაო ჩამორჩნენ ამ ბოლო ათწლეულებში. აღმოსავლეთ აზიისა და ნაკლებად ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკებმა აამაღლეს თავიანთი კონკურენტული პოზიციები ძირითადად თავიანთი დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის, ტექნოლოგიური პროგრესისა და სახელმწიფო ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე.

სამუშაო ძალა. დღეისათვის ადამიანები საზღვრებზე უფრო თავისუფლად გადაადგილდებიან, ფირმების მიერ მათი ადგილმონაცვლეობა ხდება სხვადასხვა ქვეყნებში განსახორციელებელ მსხვილ პროექტებზე სამუშაოდ. დასაქმება

ტრანსნაციონალურ კომპანიებში (ტნკ) 1975 წელს 40 მლნ ადამიანიდან 75 მლნ-მდე გაიზარდა 1990-იანი წლებისათვის. ტნკ-ები კონტრაქტების საფუძველზე ზოგჯერ მათ მომსახურეობას ქირაობენ. აგრარულ სექტორში ტექნოლოგიური პროგრესის უქონლობა და სამუშაო ძალის შემცირება დიდ გავლენას ახდენს პროდუქციის წარმოებაზე.

პოლიტიკური მდგომარეობა. ეჭვგარეშეა, რომ პოლიტიკური სტაბილურობა დიდად ახდენს გავლენას პროდუქციის წარმოებაზე ქვეყნის შიგნით. ზემოთ ნაჩვენებმა შემთხვევებმა აჩვენა, რომ საომარი ვითარებები და სხვადასხვა სახის კატაკლიზმები უარყოფითად მოქმედებენ პროდუქციის წარმოებაზე.

ბ) პროდუქციის მოხმარების ფაქტორები

მოსახლეობის ზრდა. მოთხოვნის მთავარი დეტერმინანტია "მოსახლეობა". სწორედ მოსახლეობის გაზრდა განსაზღვრავს მოხმარებლის შესაბამის დონეს. ამის გარდა, შესაძლებელია მოთხოვნის შემცირებაც, რაც ძირითადად ინფლაციური პროცესებისა და ქვეყნის არასტაბილური მდგომარეობით არის განპირობებული.

შემოსავლები. ეკონომიკური გარემოსა და შემოსავლის სტრუქტურის ცვლილება შესაბამის ცვლილებებს იწვევს პროდუქციის მოხმარებაში. თუკი შემოსავლების გადანაწილება იცვლება, შესაბამისად საკვები პროდუქტების მოხმარების დონეც იცვლება. თუმცა, ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დამატებითი შემოსავლების არსებობა სურსათზე მოთხოვნის ზრდის გარანტია არ არის, რადგანაც ამ შემთხვევაში მომხმარებელმა სურსათს შესაძლებელია სხვა ალტერნატივა ამჯობინოს.

გარემო პირობები. გარემო პირობების სხვადასხვაობა ასევე განსაზღვრავს საკვები პროდუქტების მოხმარების მრავალსახეობას, რაც განპირობებულია მრავალფეროვანი გარემოსა და კლიმატური პირობების არსებობით.

ფასები და გადასახადები. ნებისმიერ საზოგადოებასა და ქვეყანაში აშკარაა ფასების ზეგავლენა სურსათის მოხმარებაზე. ფასების ზრდასთან ერთად შესაბამისად სურსათზე მოთხოვნა მცირდება. იმდენად, რამდენადაც კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებამ გაანთავისუფლა ფინანსური ბიზნესის უმეტესობა რომელიმე კონკრეტული ადგილისაგან, კომპანიებმა ლტოლვა დაიწყეს უფრო მეტად ხელსაყრელი გადასახადებისა და რეგულირების მქონე ოფშორული ზონებისაკენ. ამიტომ ეროვნული მთავრობებისათვის სულ უფრო რთულდება ფინანსური ტრანსაქციების რეგულირება, ან საერთოდაც მათთვის თვალის მიდევნება.

მიწოდება. სურსათის მიწოდება სასურსათო პოლიტიკის ფუნდამენტური ნაწილია. იგი გულისხმობს არა მარტო ადგილობრივ პროდუქციას, არამედ იმ პროდუქციასაც, რომელსაც კერძო საწარმოები აწარმოებენ, ან იპორტირებულია. ამიტომაც, ქვეყნის სასურსათო მდგომარეობა მარტო საკმარისი რაოდენობის სურსათის მიწოდებას არ გულისხმობს, არამედ გულისხმობს მის თანაბარ და სამართლიან გადანაწილებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის.

სხვა გარე ფაქტორები. XX საუკუნის ბოლოსათვის შემოსავლების, რესურსებისა და სიმდიდრის გაძლიერებული კონცენტრაცია მოხდა გარკვეული ჯგუფის ადამიანებს, კორპორაციებსა და ქვეყნებს შორის. მსოფლიო 200 ყველაზე უფრო მდიდარი ადამიანის მიერ განხორციელდა თვიანთი ქონების ღირებულების გაორმაგება და მიაღწია ერთ ტრილიონ აშშ დოლარს. მათ შორის სამი ყველაზე უფრო მდიდარი მილიარდერის აქტივები უფრო მეტია, ვიდრე ჯამური ეროვნული მთლიანი პროდუქტი ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა, სადაც 600 მილიონ მოსახლემდე ცხოვრობს. მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავება მნიშვნელოვნად იზრდება. მათ შორის თანაფარდობა 1950 წელს იყო 35:1; 1973 წელს 72:1; ხოლო 1997 წელს კი უკვე 727:1. მსოფლიოს 200 უმდიდრესი ადამიანის წლიური ინვესტიციის ერთ პროცენტს შეეძლო უზრუნველყო მთელი მსოფლიოს

ბავშვების დაწყებითი განათლების დაფინანსება. დღეისათვის, დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების საერთო დავალიანებამ 2.3 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია, 1990 წლიდან გაიზარდა რა 1.5 ტრილიონი აშშ დოლარით.

სურსათის წარმოებასა და მოხმარებაზე დიდ გავლენას ახდენს ასევე ვაჭრობა, რომლის გარეშე დღეს ვერც ერთი ქვეყანა ვერ იარსებებს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქვეყანა სურსათის ექსპორტიორია, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტზე არის დამოკიდებული. საზოგადოდ, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ექსპორტი და იმპორტი, ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც უარყოფითი სავაჭრო ბალანსი უმუშევრობის მთავარია მიზეზია თითქმის ყველა ქვეყანაში. როდესაც ქვეყანა პროდუქციის ექსპორტს ახორციელებს, ეს სამუშაო ადგილების შექმნას უწყობს ხელს, ხოლო როდესაც ქვეყანა იმპორტიორია მაშინ სამუშაო ადგილები არ იქმნება. უაღრესად მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალური საფუძვლის შექმნა მთავარ ეროვნულ და საერთაშორისო აქციონერებსა და სოციალურ პარტნიორებს შორის.

უმრავლესობა გლობალიზაციას ჯერ კიდევ განიხილავს, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის ძირგამომთხრელ პროცესს, რომელიც ასუსტებს და იყენებს ეროვნულ ეკონომიკებს, იწვევს შემოსავლებს შორის დიდ განსხვავებებს არამარტო ქვეყნებს შორის, არამედ ქვეყნის შიგნითაც, ზრდის რა უმუშევრობასა და ასუსტებს სოციალურ ფასეულობებს.

თუმცა, ასეთი ტენდენციები არ წარმოადგენენ გლობალიზაციის აუცილებელ შედეგებს და ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდება გლობალიზაციისაგან მიღებული სარგებლიანობის სამართლიანი განაწილების რეგულირება, რადგან ასეთი ეფექტური რეგულირების გარეშე გლობალიზაცია შეიძლება გახდეს საფრთხის მატარებელი სოციალური სამართლიანობისათვის. გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ისეთი ინსტიტუციონალური სტრუქტურა, რომელიც შეინარჩუნებდა გლობალური ბაზრებისა და კონკურენციის უპირატესობებს მოსახლეობის ფართო მასებისათვის სარგებლიანობისა და სოციალური მდგომარეობის კომპრომენტაციის გარეშე. სამოქალაქო ინსტიტუციონალური პოტენციალის განვითარების აუცილებლობის ნათელი მაგალითია არამარტო განვითარებადი ქვეყნები (ჩილე, სინგაპური, პოლონეთი), არამედ ინდუსტრიალურად განვითარებული ქვეყნებიც, რომლებმაც თავიანთ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს უკანასკნელი 70-80 წლის მანძილზე მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს დადგენით მიაღწიეს. მათ ასევე განავითარეს სოციალური დიალოგისათვის საჭირო ინსტიტუციათა მთელი ქსელი.

ქვეყნებისა და კერძო სექტორის უნარი ეფექტურად მონაწილეობდნენ ეკონომიკურ ინტეგრაციაში, დამოკიდებული იქნება მათ სურვილზე შექმნან პირობები და ინსტიტუციები კერძო საწარმოებისათვის, რათა ჩართონ ისინი საერთაშორისო კონკურენციასა და კოოპერაციაში.

ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკით, არასამთავრობო ორგანიზაციები – სამოქალაქო ჯგუფები, მეწარმეთა და მშრომელთა ორგანიზაციები, პროფესიონალური ორგანიზაციები და ბიზნეს ასოციაციები, ბიზნესი და ფონდები – უნდა აღდგენილ იქნან, ან გაძლიერდნენ, როგორც ეფექტური სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

კითხვები დისკუსიისთვის

1. რა არის გლობალური საქმიანი გარემოს მნიშვნელოვანი ელემენტები?
2. რაში გამოიხატება ბიზნესის გლობალურ გარემოში მიმდინარე თანამედროვე ცვლილებების ძირითადი თავისებურებები?
3. რატომ არის საგარეო ვაჭრობის ზრდა ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი? მოვიყვანოთ მაგალითები საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკის შესახებ
4. არის თუ არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმღები მხარისათვის საგარეო ვაჭრობაზე უფრო მნიშვნელოვანი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის? მოიყვანეთ მაგალითები საქართველოს შესახებ
5. რითი განსხვავდება სტრატეგიული კავშირებისა და კომპანიების ქხელების განვითარება პირდაპირი ინვესტიციებისაგან? მოიყვანეთ მაგალითები საქართველოს შესახებ
6. როგორ ზემოქმედებენ ახალი ტექნოლოგიები და ცოდნა გლობალიზაციასა და კონკურენციის განვითარებაზე?
7. რაში გამოიხატება წარმოების ფაქტორების მობილურობა და ბიზნესის პრაქტიკა, როგორც გლობალიზაციის შედეგი?
8. რა არის კონკურენტუნარიანობა?
9. როგორია ეროვნული კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის შემადგენელი ელემენტები და რაში სჭირდება იგი სახელმწიფოს?

დანართები (დასკვნები და წინადადებები)

ა) სწრაფად ცვალებადი გლობალური გარემოსა და მზარდი კონკურენციის უმნიშვნელოვანესი თავისებურებანია:

- გლობალიზაციის სწრაფი ტემპები (ყოველდღიურად იწარმოება და იყიდება მთელი პროდუქტებისა და მომსახურების თითქმის 25%, მსოფლიო ბაზრებზე იცვლება 1.5 ტრილიონი აშშ დოლარის საქონელი და ვალუტა; კაპიტალის ახალი ბაზრები დღე-ღამეში მუშაობენ 24 საათის განმავლობაში ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების საშუალებით და სხვა);
- ტექნოლოგიური პროგრესი;
- წარმოების, ბიზნესის, საგარეო და საშინაო ბაზრების სისტემის სტრუქტურული ცვლილებები;
- კონკურენტუნარიანობის პოტენციალი სულ უფრო მეტად ეფუძნება პროდუქციისა და მომსახურების მრავალფეროვნებაზე, ხარისხზე, სიჩქარეზე, ტექნიკურ უპირატესობაზე, აგრეთვე მომხმარებელზე ორიენტაციაზე;
- მზარდი საგარეო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედეგად კიდევ უფრო მჭიდრო ინტეგრაცია ხორციელდება შიგა და გლობალურ ბაზრებს შორის, კომპანიები კონკურენციას აწყდებიან შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე;

- ეკონომიკური ძალაუფლების სამმა უმნიშვნელოვანესმა ცენტრმა – ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და აღმოსავლეთ აზია – პირველად ისტორიაში მიაღწია სტრატეგიულ პარიტეტს;
- ერის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებული იქნება მისი საქმიანი და პოლიტიკური ინსტიტუციების უნარზე სწრაფად და მუდმივად მოერგონ გლობალიზაციას.

ბ) წარმოების ფაქტორების მობილურობა და ბიზნესის მოქნილი პრაქტიკა:

- XXI საუკუნეში კაპიტალი, შრომა, საკუთრება და ტექნოლოგია ეროვნული საზღვრების მიუხედავად უფრო იოლად და სწრაფად შეერწყა ერთმანეთს;
- ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გაათავისუფლეს ბიზნესი ერთ ადგილზე მოქმედების აუცილებლობისაგან, რითაც მას ხელი შეუწყვეს გავრცელდეს უფრო ხელსაყრელი გადასახადებისა და რეგულირების მქონე ადგილებში;
- საწარმოო სტრუქტურა მსოფლიოში სულ უფრო მსგავსი ხდება, ამდენად ფირმებს შეუძლიათ აწარმოონ ერთნაირი ნაკეთობანი სხვადასხვა ქვეყნებში, რაც გარკვეულწილად ზღუდავს კონკურენტულ უპირატესობებს. მომავალში შემოსავლებში განსხვავებანი დაფუძნებული იქნება ფირმების ქსელზე, "ვირტუალურ ორგანიზაციებზე", "მართვის ეფექტიანობასა და შრომის ნაყოფიერებაზე;
- კონკურენტუნარიანობა სულ უფრო დამოკიდებული ხდება მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნესის დინამიზმსა და მოქნილობაზე, მაღალსისწრაფიან ტრანსპორტსა და კომუნიკაციაზე, ფირმების უნარზე აწარმოონ ხარისხიანი ნაწარმი, მიაწოდონ ისინი და მოემსახურონ სწრაფად და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე;

გ) მზარდი გლობალიზაცია ვაჭრობასა და ინვესტიციებში:

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია მიმდინარეობს ორ დონეზე:

- მიკროეკონომიკურ დონეზე – როდესაც კომპანიები ფართოვდებიან ეროვნული საზღვრების მიუხედავად, ან აქციებში ივესტიციების გზით (შერწყმა ან შეძენა, ახალი ინვესტიციები), ან სტრატეგიული კავშირების საშუალებით (აქციების შესყიდვის გარეშე);
- მაკროეკონომიკურ დონეზე – საერთაშორისო ინტეგრაცია წარმოადგენს სავაჭრო ბარიერების შესუსტებისა და საქონლის, მომსახურებისა და საწარმოო რესურსების უფრო თავისუფალი ნაკადების შედეგს;

დ) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური მნიშვნელობა:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მართვის კომპეტენციის, ახალი ცოდნისა და ადამიანური კაპიტალის გადაცემის საუკეთესო ინსტრუმენტს წარმოადგენს;
- ეკონომიკურ ზრდას, პირდაპირ ინვესტიციებსა და ადამიანური კაპიტალის ხარისხს შორის მჭიდრო კორელაცია არსებობს. ამიტომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს დიდი წვლილი მიუძღვით ეკონომიკურ ზრდაში, ვიდრე შიგა ინვესტიციებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანას ადამიანური კაპიტალის

აუცილებელი მინიმუმი გააჩნია. ამან კი უნდა აიძულოს ქვეყნები მეტი ინვესტიცია ჩადონ ადამიანების განვითარებაში;

- ძირითად არხს, რომლის საშუალებითაც პირდაპირი ინვესტიციები ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე, მეტ წილად უფრო ეფექტური ახალი ტექნოლოგიები წარმოადგენს, ვიდრე კაპიტალის მარტივი დაგროვება;
- პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს თავიანთი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში მხოლოდ მაშინ შეაქვთ, როდესაც ინვესტიციების მიმღებ ქვეყანას გააჩნია საჭირო ადამიანური კაპიტალი, საქმიანი და სოციალური ინსტიტუციების მაღალი ხარისხი, აგრეთვე მოწინავე ტექნოლოგიების ათვისების, დანერგვისა და გავრცელების მაღალი უნარი;

ე) მიმღებ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტერმინანტების სამი ძირითადი ჯგუფი:

- უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი ეროვნული პოლიტიკის არსებობა, მათ შორის ლიბერალიზაციის პოლიტიკის, როგორც გლობალიზაციის ძირითადი ფაქტორის არსებობა;
- ეკონომიკური დეტერმინანტები;
- ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებები;

ვ) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლის ერთდროულად შესასრულებელი სამი საერთო პირობა (პირველი და მესამე პირობა დამოკიდებულია კომპანიის კომპეტენციასა და გადაწყვეტილებაზე, ხოლო მეორე კი ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაზე):

- საკუთრება – სპეციფიკური უპირატესობა (მაგალითად საკუთარი ტექნოლოგია), რომელიც საშუალებას იძლევა კომპესირებულ იქნას საზღვარგარეთ საწარმოო სიმძლავრეების შესაქმნელად გაწეული დამატებითი დანახარჯები
- ინვესტიციების მიმღები ქვეყნის უპირატესობანი (დიდი ბაზრები, მნიშვნელოვნად იაფი რესურსები და მუშახელი, ხელსაყრელი ეკონომიკური პოლიტიკა, შედარებით მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურა და სხვა);
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორივე უპირატესობის გამოყენებით მიღებული უფრო მეტი სარგებელი, ვიდრე ვაჭრობით მიღებული სარგებელი;

ზ) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო დეტერმინანტები:

- მიმღები ქვეყნის ეკონომიკური ლიბერალიზაციის ხარისხი, რეგულირების მოქნილობა და ნათელი კანონმდებლობა, გახსნილი ბაზრები;
- სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა, დაბალი დამნაშავეობა და კორუფცია სახელმწიფო ადმინისტრირებაში;
- მთავრობის ნება ინვესტიციების მხარდასაჭერად გადასახადების, კრედიტების, ადგილობრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გზით და სხვა;
- ეროვნული და საექსპორტო ბაზრების სიდიდეები და სტრუქტურა, მათი მოსალოდნელი ზრდა, ხელმისაწვდომობა გლობალურ ბაზრებზე, მიმღები ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლებისა და პრეფერენციის სტრუქტურა;
- ინვესტიციების მიმღები ქვეყნიდან მოგებისა და კაპიტალის რეპატრიაციის შესაძლებლობა და სიმარტივე;

- ქვეყნის ადგილი რეგიონალურ ინტეგრაციაში, რეგიონალური კორპორატიული ქსელების შექმნის ხელშემწყობი საერთაშორისო ხელშეკრულებების არსებობა;
- მიმღები ქვეყნის სამუშაო ძალის ეთიკა და ღირებულებათა სისტემა, მწარმოებლურობა, შემოქმედებითობისა და ინოვაციებისადმი მიდრეკილება და კულტურა;
- კვალიფიკაცია, ცოდნა, მუშაკთა განათლების დონე, განათლების ადგილობრივი სისტემების ხარისხი;
- მოქნილი შრომითი კანონმდებლობა, მინიმალური შრომის ანაზღაურება, სოციალური დაზღვევა, საშემოსავლო გადასახადი;

შენიშვნა – შრომის ანაზღაურება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ თვალსაზრისით კომპანიები უფრო მიმზიდველ რეგიონებს ირჩევენ. მაგალითად, აშშ – ში საათობრივი შრომის ანაზღაურება 17.7 აშშ დოლარია; გერმანიასა და დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში 25; სამხრეთ აზიაში 3-5; აღმოსავლეთ ევროპაში საშუალოდ 0.25-3 აშშ დოლარი შესაბამისად.

თ) უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი კლიმატი ჟენევის (შვეიცარია) მაგალითზე:

- გეოგრაფია: კარგი სატრანპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები, მიმზიდველობა, გახსნილი კულტურა, მეგობრული ატმოსფერო, დამნაშავეობისა და კორუფციის დაბალი დონე;
- გადასახადები: უფრო დაბალი კორპორატიული და ინდივიდუალური გადასახადები ვიდრე დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნებსა და აშშ–ში, და თითქმის ორჯერ უფრო დაბალი ვიდრე გერმანიაში;
- შრომის ღირებულება: საერთო შრომითი დანახარჯები უფრო დაბალია, ხოლო დასაქმებულთა შემოსავლები უფრო მაღალი ვიდრე პარიზში. ბუხჰალტრის და კადრების მენეჯერის წლიური გასამრჯელო უფრო მაღალია, ვიდრე საფრანგეთსა და გერმანიაში;
- მეწარმეების მიერ განხორციელებული სავალდებულო გადარიცხვები ნაკლებია ვიდრე საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ინგლისში;
- მწარმოებლურობა: დასაქმებულნი 1/3–ით უფრო მწარმოებლურნი არიან ვიდრე ანალოგიური მუშაკები ინგლისში, მათ უფრო მაღალი შრომითი ეთიკა, მწარმოებლურობა და ხარისხის კულტურა გააჩნიათ;
- კომპეტენცია: ნებისმიერი კვალიფიკაციის, მათ შორის უმაღლესი დონის მენეჯერების არსებობა, კარგად განვითარებული საგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების სისტემა, ბიზნესის მიერ განხორციელებული დიდი ინვესტიციები კვალიფიკაციის ამაღლებაში;
- შრომითი ურთიერთობები: ნაკლები რაოდენობის გაფიცვები, სამუშაო კვირის გაზრდა 40 საათამდე ბევრად უფრო იოლად მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუკი სასწრაფო შეკვეთაა შესასრულებელი ვიდრე ამის განხორციელება გერმანიასა და საფრანგეთში, საუკეთესო ჯანმრთელობის სისტემა.

ი) პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის საჭირო კლიმატში განხორციელებული ბოლო დროინდელი ცვლილებები:

- მკვეთრი ცვლილებები, სწრაფი და ხარიასხიანი სამმართველო გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში;
- გლობალური წარმოების ზრდა (40 ათასზე მეტი ტნკ თავისი 270 ათასი გაყოფილებებით მთელ მსოფლიოში);

- ვაჭრობისა და ინვესტიციების შემდგომი ლიბერალიზაცია;
- გარე ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ტერიტორიების დიდი არჩევანი საწარმოების გაადგილებისათვის და ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ახალი მოდელები (ქსელები, კლასტერები);
- წარმოების გარე ფაქტორებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ინტეგრირებული საერთაშორისო საწარმოო სისტემების შექმნა და მწარმოებლურობის მაქსიმიზაცია;
- სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ნდობის ინდექსის ცვალებადობა (*შენიშვნა:* 0–დაბალი ნდობა, 3–მაღალი ნდობა. აშშ 2-2.5 მდე; ჩინეთი 1.5-2 მდე; ბრაზილია, ინგლისი, მექსიკა, გერმანია, ინდოეთი, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, კანადა 1.2-1.5 მდე; სინგაპური, ტაილანდი, ავსტრალია, ჩეხეთი, სამხრეთ კორეა, ნიდერლანდები, ტაივანი, იაპონია 1-1.2 მდე; უნგრეთი, მალაიზია, თურქეთი, არგენტინა 1 მდე).

კ) გლობალიზაცია და ეკონომიკური ინტეგრაცია:

- გლობალიზაცია თავისუფალი ბაზრების საფუძველზე – მომავლის განვითარების კონცეფცია;
- გლობალურ მასშტაბში, როგორც მწარმოებლურობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის – ადაპტაციის, რეფორმების, აგრეთვე საქმიანი და სოციალური კანონმდებლობისადმი ქვეყნების მიდგომის ჰარმონიზაცია;
- ინვესტიციების, ვაჭრობის და ტექნოლოგიური განვითარების გლობალიზაცია ხელს უწყობს მეტ კონკურენციას, მწარმოებლურობისა და ეკონომიკურ ზრდას;
- ერთობლივ საწარმოებში, პარტნიორობასა და სტრატეგიულ კავშირებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ტენდენციების დაჩქარება ახალი ცოდნის მიღებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით; ამავე დროს მატულობს შიში გლობალიზაციის მიმართ:
- ცვლილებები ეკონომიკურ გარემოში არახელსაყრელად აისახა მრავალ განვითარებად ქვეყანაზე;
- გაჩნდა დასაბუთებული ეჭვები, რომ გლობალიზაციის გაფართოებამ შეიძლება ავნოს ბუნებრივ გარემოს და მის დაცვაზე გაწეულმა დანახარჯებმა გადააჭარბონ მწარმოებლურობისაგან მიღებულ სარგებელს;
- განვითარებული ქვეყნების "ეკონომიკური იმპერიალიზმი" იცავს მათ ბიზნესს განვითარებადი ქვეყნების კონკურენციისაგან და მათ მიერ კაპიტალის "გადაქაჩვა" დაბალი სოციალური სტანდარტების მქონე განვითარებად ქვეყნებში, იწვევს ამ უკანასკნელთა განვითარების კონსერვაციას.

ლ) ძირითადი ძვრები გლობალურ კონკურენტულ გარემოში:

- გახსნილობა – ეკონომიკური და პოლიტიკური ლიბერალიზაცია, საბაზრო ეკონომიკა, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია;
- გამჭვირვალობა – სახელმწიფო ადმინისტრაციის ხარისხის, ანგარიშგების ამაღლება და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება ართულებს ფართო საზოგადოებისაგან სამთავრობო და კორპორატიული გადაწყვეტილებების "დამალვის და კონტროლის" შესაძლებლობას;

- მგრძნობიარობა – მომხმარებლები ელოდებიან, რომ საქონელი და მომსახურება დროულად იქნება მიწოდებული შეთანხმებული რაოდენობით, ხარისხის დაცვით და საჭირო ადგილას;
- წყვეტილობა – საიმედო ეკონომიკური, საქმიანი და პოლიტიკური პროგნოზების გაკეთება სულ უფრო და უფრო ძნელდება მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პერიოდებისთვისაც კი, რადგან ცვლილებები სულ უფრო სწრაფი, რთული და ნაკლებად პროგნოზირებადი ხდება. სახელმწიფოთა მთავრობებმა და მსხვილმა კორპორაციებმა დაიწყეს სხვადასხვა ალბათობით სხვადასხვა შესაძლო განვითარების სცენარების მომზადება და ადრეული გამაფრთხილებელი სისტემების შემუშავება, რათა სწრაფად მოახდინონ რეაგირება მსგავს გაუთვალისწინებელ მოვლენებზე.

2. კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორები

2.1 ფაქტორების ზოგადი მიმოხილვა.

ამ ბოლო 10 წლის მანძილზე მსოფლიოში განხორციელებულმა ეკონომიკური ხასიათის მოვლენებმა (1998 წლის ფინანსური კრიზისი აზიაში, 2001 წელს "ახალი ეკონომიკის" მოულოდნელი ჩავარდნა ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში, საკმაოდ მაღალი იმიჯის მქონე აშშ-ის მთელი რიგი კორპორაციებისა და მათი უმაღლესი მენეჯმენტის ფინანსურ მაქინაციებსა და კორუფციაში მონაწილეობის სერიულად მხილება, 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი და სხვა), კიდევ ერთხელ დაადასტურეს პოლიტიკოსთა მხრიდან სოლიდური და საპასუხისმგებლო ადმინისტრირების აუცილებლობა ეკონომიკური მიღწევების, დასაქმებისა და სოციალურ სფეროებში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური სისტემის, რეგულირების და კორპორატიული მართვის რეფორმები, შრომისა და საქონლის კარგად ფუნქციონირებადი ბაზრები და სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო. ეკონომიკური რეფორმები და კონკურენტუნარიანობა შეიძლება ბევრი ფაქტორით

მუხრუჭდებოდნენ, რომელთა გარკვეული ნაწილი არ ექვემდებარება სახელმწიფოების კონტროლს. მაგალითად, გლობალურ მასშტაბში საპროცენტო განაკვეთების მოულოდნელი აწევა, ან მსოფლიო მოთხოვნილებების უეცარი დაწევა.

თუმცა, რიგი ნეგატიური პირობების გადაწყვეტა შიგა ეროვნული ეკონომიკის კომპეტენციაშია. ეს მოიცავს მაკროეკონომიკურ პარამეტრებს, პოლიტიკურ სტაბილურობას, მთავრობის უნარსა და ვალდებულებებს, კერძო სექტორისადმი მის დამოკიდებულებას.

მაკროეკონომიკური ბალანსის შენარჩუნება მნიშვნელოვანია პროცესის განვითარების გაძლიერებისათვის. ქვეყნის ლიდერებს სჭირდებათ ეკონომიკის ზოგადი სურათი, რათა შეამცირონ ინფლაცია; მათ ფრთხილად უნდა განახორციელონ ეკონომიკური სტაბილიზაცია, ეროვნული დაგროვების, ინვესტიციებისა და მწარმოებლურობის ღონისძიებების გამოყენებით. ასევე მნიშვნელოვანია საბიუჯეტო დეფიციტის შეჩერება და ვალუტის კურსის მხარდაჭერა კონკურენტუნარიან დონეზე.

ასევე აუცილებელია დაცული იქნას ბალანსი მაკროეკონომიკურ დისციპლინასა და პოლიტიკის განვითარებას შორის. პოლიტიკოსებს უნდა ესმოდეთ სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტად ჩარევისა და პროტექციონიზმის საშიშროება. ***გამარჯვებული კომპანიის "შერჩევის" ნაცვლად უმჯობესია გაგრძელებულ იქნას ის გზა, რომელიც თავისთავად და ბუნებრივად გამოავლენს გამარჯვებულს***. პოლიტიკის ნაწილი ასევე შეიძლება იყოს კონკურენტული ბაზრების დერეგულირების წახალისება. ამასთან, სასურველია გაგრძელდეს იმ ბაზრების რეგულირება, რომლებშიც არსებობს ბუნებრივი მონოპოლიები, ხოლო მხარდაჭერა გაეწიოს ჯერ კიდევ სუსტ და დაბლოკილ ბაზრებს, ისეთებს როგორიცაა ტექნოლოგიების, გრძელვადიანი კაპიტალის, ადამიანური რესურსების განვითარების, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ბაზრები.

ეფექტურობის ამაღლების საუკეთესო გზაა – კონკურენციის შემოღება. თუ ამისი გაკეთება რაიმე მიზეზის გამო ვერ ხერხდება, მეორე გზაა – რეგულირება. ეროვნული კონკურენტუნარიანობა ასევე დამოკიდებულია სხვა მრავალ ფაქტორსა და პირობებზე. ამ ფაქტორების საკმაოდ წარმატებული კლასიფიკაცია ეკუთვნის მ. პორტერს. მისი მოდელის მიხედვით ეროვნული კონკურენტუნარიანობის უპირატესობის განმსაზღვრელ ელემენტებს მიეკუთვნება:

ფაქტორთა პირობები – ისეთი საწარმოო ფაქტორების არსებობა, როგორიცაა ცოდნა და კვალიფიციური სამუშაო ძალა, ფიზიკური რესურსები, კაპიტალური რესურსები, მეცნიერება და ტექნოლოგია, მოცემულ დარგში კონკურენციისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა;

მოთხოვნილების პირობები – ადგილობრივი მოთხოვნილება პროდუქტებსა და მომსახურეობაზე, მისი სტრუქტურა, ზომა, მომხმარებელთა მატების და მომწიფებლობის მოდელი, ბაზრის შესახებ ინფორმაციული ნაკადები, რეგულირების სტანდარტები, სახელმწიფო სექტორში კონტრაქტების გამჭვირვალობა;

მონათესავე და მხარდამჭერი დარგები – ისეთი მიმწოდებლებისა და მონათესავე დარგების არსებობა, რომლებიც გლობალურად კონკურირებენ;

კომპანიის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენტები – კომპანიის ჩამოყალიბებისა და მართვის პირობები; ადგილობრივი კონკურენტების არსებობა და ბუნება, რომლებიც მოიცავენ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, კორუფციის, ტარიფების ლიბერალიზაციის, ფარული სავაჭრო ბარიერების, ადგილობრივი კონკურენციის ინტესივობის, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის და იურიდიული ბარიერების პირობებს ახალ ბაზარზე კომპანიის გამოსაჩენად.

ეს დეტერმინანტები ზეგავლენას ახდენენ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო რესურსებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. ისინი ზემოქმედებენ კომპანიების აქციონერთა მიზნებზე და ფირმებზე განხორციელებულ დაწოლაზე,

რათა შემოიღონ მეტი ინოვაციები და ჩადონ ახალი ინვესტიციები; მ.პორტერი ასევე მოიხსენიებს ისეთი ხასიათის დამატებით დეტერმინანტებს, რომლებიც ზემოქმედებენ ამ ფაქტორების იტერაციაზე. ***ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება კომპანიის კონტროლს გარეთ არსებული შემთხვევითი მოვლენები და სამთავრობო ჩარევები.***

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (შვეიცარია), ჰარვარდის ბიზნესის სკოლის (აშშ), მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის (შვეიცარია) ყოველწლიური მოხსენებების თანახმად, მოცემულია ქვეყნების რანჟირებული სია კონკურენტუნარიანობის მიხედვით. ეს მოხსენებები დაახლოებით იგივე ფაქტორებს მოიხსენიებენ, რომლებიც მ. პორტერის მიერაა გადმოცემული. ეს ფაქტორებია:

- გახსნილობა და ეკონომიკური ინტერნაციონალიზაცია;
- შიგა ეკონომიკა;
- მთვრობის ეკონომიკაში ჩარევის დონე და პოლიტიკა, სამართლებრივი და სამოქალაქო ინსტიტუციების რეგულირების ჩათვლით;
- საფინანსო ინსტიტუციები და მათი გამჭვირვალობა;
- ინფრასტრუქტურა, მათ შორის გარემო და ენერგეტიკა;
- მენეჯმენტის კომპეტენცია;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- განათლების ხელმისაწვდომობა, დასაქმება, სამუშაო განრიგი, მუშაკთა კვალიფიკაცია, სოციალური უზრუნველყოფა და მომსახურეობა, ცხოვრების ხარისხი და შრომითი ეთიკა.

ზემოაღნიშნული მოხსენებების საფუძველზე შემდგარ ქვემოთ მოცემულ მე-3 ცხრილში მოცემულია საკმაოდ ძლიერი და პოზიტიური კორელაცია ქვეყნების კონკურენტუნარიანობის 8 მაჩვენებელსა და მათ მიერ კონკურენტუნარიანობის მიხედვით დაკავებულ ადგილებს შორის.

ცხრილის მონაცემები ნათლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ უფრო მეტად კონკურენტუნარიანია ის ქვეყნები, რომლებიც ავითარებენ თავიანთ უპირატესობებს ამ ფაქტორების მიხედვით. ასე, აშშ–ს, რომელიც ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი ქვეყანაა, გააჩნია ყველაზე უფრო ძლიერი შიგა ეკონომიკა, მისი ინტერნაციონალიზაციის ყველაზე უფრო მაღალი დონე, უკეთესი ფინანსური სისტემა, ინფრასტრუქტურა, მენეჯმენტის, კვლევებისა და დამუშავებათა ხარისხი. თუმცა, იგი არ არის საუკეთესო ქვეყანა მთავრობის ხარისხისა და სახელმწიფო ადმინისტრირების კუთხით. ამ თვალსაზრისით საუკეთესო ქვეყანა სინგაპურია.

ცხრილი 3

კონკურენტუნარიანობის ფაქტორები ქვეყნების რანჟირების მიხედვით, 2000 წელი

ქვეყნის ადგილი	შიგა ეკონომიკა	გლობალ იზაცია	მთავრობა	ფინანსები	ინფრა სტრუქტურა	მენეჯ მენტი	სკს	ადამიანური რესურსები
აშშ	1	1	10	1	1	1	1	3
სინგაპური	8	2	1	10	13	5	9	5
ფინეთი	5	8	9	7	2	4	6	2
ჰოლანდია	7	4	7	3	6	2	8	14
შვეიცარია	9	18	6	4	8	10	3	12
ინდოეთი	30	41	29	31	47	43	29	45
კოლუმბია	44	42	39	45	41	41	41	44
ინდონეზია	45	43	36	43	46	44	42	46
ვენესუელა	47	47	44	46	38	47	43	43
რუსეთი	46	46	47	47	44	46	23	39

.

ამ ცხრილის მონაცემებით ირკვევა, რომ ადამიანური რესურსების ხარისხის მიხედვით საუკეთესო ქვეყანა ფინეთია, რუსეთს ყველაზე ცუდი შიგა ეკონომიკა, ფინანსური სისტემა, მენეჯმენტი და ინფრასტრუქტურა გააჩნია. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ მას საერთო კონკურენტუნარიანობაში საკმაოდ დაბალი ადგილი უკავია ზემოაღნიშნულ ქვეყნებს შორის. შემდგომ პარაგრაფებში მოკლედ განვიხილავთ თითოეული ფაქტორის ზეგავლენას ეროვნულ კონკურენტუნარიანობაზე.

2.2 ფაქტორი 1 – შიგა ეკონომიკა

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ რაც უფრო კონკურენტუნარიანია შიგა ეკონომიკა, მით უფრო მაღალია იმისი ალბათობა, რომ მოცემული ქვეყნის კომპანიები კონკურენტუნარიანნი და მწარმოებლურები იქნებიან გლობალურ ბაზრებზე. ამ ორ მაჩვენებელსა და ქვეყნის ცხოვრების ხარისხს შორის ასევე ძალიან მჭიდრო დამოკიდებულებაა. ასეთი დამოკიდებულების, როგორც გრძელვადიანი ტენდენციის მონაცემები მოცემულია მე-4 ცხრილში. ირკვევა, რომ რაც უფრო ნაკლებად კონკურენტუნარიანია ქვეყანა, მით უფრო მაღალია კორელაცია კონკურენტუნარიანობას, მწარმოებლურობასა და ცხოვრების დონეს შორის. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობას ეკონომიკურ პოლიტიკაში, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში უმაღლესი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს

ამასთან, ***მწარმოებლურობა წარმოადგენს ფუნდამენტალურ წყაროს კორპორაციის გადარჩენისა და რაციონალური განვითარებისათვის, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს.***

უკვე მრავალია წელია მწარმოებლურობა იყო და რჩება ეროვნული სტრატეგიის მნიშვნელოვან საკითხად მისი პირდაპირი და ფუნდამენტური ზეგავლენის გამო ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. იგი მნიშვნელოვანია, როგორც შემოსავლებისა და მოგების წყარო და როგორც სამთავრობო სტრატეგიის წარმატების კრიტერიუმი სიღარიბესთან ბრძოლასა და ეკონომიკურ განვითარებაში. ბევრი სტატისტიკური მასალა არსებობს იმის დასტურად, რომ რაც უფრო კონკურენტუნარიანი და მწარმოებლურია ეროვნული ეკონომიკა, მით უფრო მაღალია მოსახლეობის პირადი შემოსავლები, დაბალია ინფლაცია და უფრო მეტი სახსრები გამოიყენება სოციალური პროგრამებისათვის. შესაბამისად, მაღალი მწარმოებლურობა შეჯერებული ეფექტიან სოციალურ პოლიტიკასთან, სიღარიბის დაძლევის საუკეთესო პოლიტიკას წარმოადგენს.

ცხრილი 4

კონკურენტუნარიანობის, მწარმოებლურობისა და ცხოვრების ხარისხის მიხედვით რანჟირებული (დაბალი და მაღალი) ქვეყნები, 2000 წელი

ქვეყნის ადგილი	კონკურენტუნარიანობა	მწარმოებლურობა	ცხოვრების ხარისხი

აშშ	1	3	11
ჰოლანდია	4	12	7
ლუქსემბურგი	6	1	3
შვეიცარია	5	16	5
კანადა	11	10	6
ფილიპინები	30	41	38
ინდოეთი	44	42	42
ინდონეზია	45	43	44
ვენესუელა	47	47	46
რუსეთი	46	46	47

დანახარჯების ეფექტიანობისა და მწარმოებლურობის განუხრელი ამაღლების გაერთიანების უნარი ასევე მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობისათვის. ასეთი უნარი, ინსტიტუციონალური მექანიზმის ჩარჩოებში, საწარმოო სისტემისა და პროდუქტთა ბაზრების დინამიკური ინტერაქციის შედეგს წარმოადგენს. ისინი მოიცავენ კონკურენტულ აქტივებს (შრომა, ინფრასტრუქტურა, ფინანსური კაპიტალი და ტექნოლოგია) და კონკურენტულ პროცესებს (ხარისხი, ინოვაცია, სიჩქარე), რომლებიც ახდენენ აქტივების ტრანსფორმირებას პროდუქტებსა და მომსახურეობაში.

ასეთი აქტივები და პროცესები უნდა გაფართოვდნენ რესურსების ეფექტიანი გაადგილებით, ინსტიტუციებითა და პოლიტიკით, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენციისათვის შესაბამის კლიმატს. კონკურენტუნარიანობის საერთო ინდიკატორს ერთეული შრომითი დანახარჯი (ეშდ) წარმოადგენს. იგი განისაზღვრება, როგორც შრომითი დანახარჯების ფარდობა პროდუქციის/ გაყიდვების გამოსავალზე. მზარდი შრომითი დანახარჯების ერთეული იმაზე მიუთითებს, რომ შრომის ანაზღაურება ხელფასის სახით უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე მწარმოებლურობა, რაც შესაბამისად კონკურენტუნარიანობის შემცირებაზე მიუთითებს.

2.3 ფაქტორი 2 – ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია

ეკონომიკის გახსნილობა ამაღლებს მის ეფექტიანობას. ***ექსპორტზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანობა ხშირად ასოცირდება შიგა ეკონომიკის ზრდაზე ორიენტაციასთან.*** ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის კრიტერიუმის მიხედვით საუკეთესო ქვეყნებს მეკუთვნებიან – აშშ, სინგაპური და ლუქსემბურგი. ისეთი ქვეყნები კი, როგორიცაა – კოლუმბია, პოლონეთი და ვენესუელა ამ მაჩვენებლის მიხედვით სიის ბოლოში არიან. სინგაპურს, ჰონ-კონგს, მალაიზიასა და ირლანდიას მშპ–ში ვაჭრობის ყველაზე უფრო მაღალი ხვედრითი წილი გააჩნიათ, რაც ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის საუკეთესო ინდიკატორს წარმოადგენს.

გლობალიზაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმს ასევე წარმოადგენს საერთაშორისო აქტივები და პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები. აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და ჩინეთი ყველაზე უფრო მაღალი შემავალი და გამომავალი უცხოური ინვესტიციებითა და აქტივებით ხასიათდებიან.

რაც შეეხება პორტფელურ ინვესტიციებს, ისინი ფინანსურ კაპიტალს კომპანიების მენეჯმენტის ჩარევის გარეშე უზრუნველყოფენ და შესაბამისად უფრო მოკლე ჰორიზონტი გააჩნიათ, ვიდრე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. პორტფელურ ინვესტიციებზე ორი მნიშვნელოვანი ელემენტი ზემოქმედებს:

- ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია და გლობალიზაცია;

- ინსტიტუციონალური ინვესტორების ხელში არსებული მნიშვნელოვანი რესურსების კონცენტრაცია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია მუშაკებსა და მეწარმეებს შორის არსებული კლიმატი, რადგან პორტფელურ ინვესტიციებს, პირდაპირი ინვესტიციებისაგან განსხვავებით, ასეთ საკითხებზე ზემოქმედება არ შეუძლიათ. ***კარგად ცნობილი ფაქტია, რომ გახსნილი ეკონომიკები უფრო ეფექტურია, ვიდრე დახურული და გარეშე ზემოქმედებისაგან დაცული ეკონომიკები.*** მაგალითად, უფრო გახსნილ აზიურ ქვეყნებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი უფრო მეტი აქვთ (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მედიანა უტოლდება დაახლოებით 1.8 მილიარდ აშშ დოლარს), ვიდრე აფრიკულ ქვეყნებს (იგივე მაჩვენებელი უტოლდება მხოლოდ 55 მილიონ აშშ დოლარს), ან თუ გნებავთ იგივე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ კონკურენტუნარიანობაზე.

გლობალურ ეკონომიკასთან ინტეგრაციის უფრო მაღალი დონე, განსაკუთრებით კი ინვესტიციებში, ზეგავლენას ახდენენ რესურსების უფრო პროდუქტიულ გაადგილებასა და ცხოვრების მაღალ სტანდარტებზე.

მსოფლიო ეკონომიკის მთავარ დამახასიათებელ მიმართულებებს წარმოადგენენ:

- ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია, კორპორატიული სტრატეგიების ინტერნაციონალიზაცია და მათი ორიენტაცია კონკურენციაზე, როგორც სიმდიდრის შექმნის წყაროზე;
- ცოდნისა და ტექნოლოგიების დიფუზია მთელ მსოფლიოში, სამომხმარებლო მოდელების ტრანსფორმაცია კულტურის პროდუქტებში გლობალურ სამომხმარებლო ბაზრებთან;
- სახელმწიფოთა მარეგულირებელი შესაძლებლობების ინტერნაციონალიზაცია გლობალურ პოლიტიკურ–ეკონომიკურ სისტემაში და ეროვნულ მთავრობათა როლის შემცირება.

დანია, ჩილე, ახალი ზელანდია და ჰონ-კონგი საუკეთესო ქვეყნებს შორის იმყოფებიან უცხოურ და ადგილობრივ კომპანიებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. რუსეთი, ჩინეთი, პოლონეთი და სლოვენია კი პირიქით, ყველაზე მეტად დისკრიმინაციულ და პროტექციონისტულ ქვეყნებად ითვლებიან. ამ კრიტერიუმების მიხედვით ნორვეგია, აშშ და საფრანგეთი არც თუ მოწინავე პოზიციებზე არიან და ამ სიის შუაში იმყოფებიან.

აზიურ ქვეყნებს შორის სამხრეთ კორეა ხშირად მოიხსენიება, როგორც გახსნილობის, ექსპორტზე ორიენტაციისა და გლობალიზაციის სტრატეგიის მაგალითი. თუმცა, მთელ რიგ სხვა ფაქტორებს აღარ მოიხსენიებენ, რომლებმაც ასევე არანაკლები როლი ითამაშეს ქვეყნის ეკონომიკის უდიდეს ზრდაში წინა საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში. ამ ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანესი იყო მოსახლეობის განათლების მაღალი დონე, დისციპლინირებული სამუშაო ძალა, კარგი ინფრასტრუქტურა, მიზანდასახული და გონიერი სამთავრობო აპარატი, რომელიც მხარს უჭერდა ცალკეული დარგების ინტერნაციონალიზაციის პროცესს. კორეული მოდელი შეიძლება განვიხილოთ როგორც სტარტეგიული გრძელვადიანი გლობალიზაცია და არა როგორც მოდას აყოლილი უცაბედი შედეგი.

სამხრეთ კორეის მთავრობა ხელს უწყობდა ადგილობრივ ბრენდებს და მულტინაციონალურ კომპანიებს განეხორციელებინათ ექსპორტი და ინვესტიციები საზღვარგარეთ. ის ფაქტი, რომ ქვეყანა მხარს უჭერდა დაგროვებასა და ინვესტირებას, უზრუნველყოფდა დაბალ ინფლაციას, მისდევდა გონიერ ფისკალურ პოლიტიკას და ეფექტიან ფინანსურ სისტემას, არ უნდა იქნეს იგნორირებული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მუდმივად

იმყოფებოდნენ მთავრობის წნეხის ქვეშ, აიძულებდნენ რა კომპანიებს უზრუნველყოთ რეინვესტირების მაღალი კოეფიციენტი და საექსპორტო წილი.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული სამხრეთ კორეას, ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებს, როგორც ჯგუფს, მსოფლიო სამომხმარებლო ექსპორტში უფრო მაღალი ხვედრითი წილი ჰქონდათ (32%), ვიდრე აშშ-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წილი არის შედეგი იმ ტენდენციისა, რომელიც 1970 წლიდან დაწყებული სულ უფრო იზრდებოდა. კერძოდ, ზემოაღნიშნული ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფის კონკურენციის წილი მსოფლიო ბაზრებზე აშშ, ევროპასა და იაპონიასთან შედარებით თუ იყო 6%; 8% და 11% შესაბამისად (1970 წელი), დღეისათვის ეს მაჩვენებლები უკვე შეადგენენ 25%; 29% და 40% შესაბამისად.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გლობალიზაციას ჰქონდა ნეგატიური შედეგებიც, განსაკუთრებით გლობალურ სისტემაში დაჩქარებულად ინტეგრაციის სურვილის მქონე განვითარებადი ქვეყნებისათვის. ასეთი ქვეყნების ერთი ნაწილი ჩივის, რომ ისინი ხსნიან რა თავიანთ ბაზრებს, სამწუხაროდ ბევრად უფრო ნაკლებს იღებენ. მათ უნდათ, რომ უფრო მეტი დრო ჰქონდეთ ფინანსური მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის წესებთან ადაპტაციისათვის, თვლიან რა, რომ მდიდარმა ქვეყნებმა მათგან იმპორტირება უფრო დიდი მოცულობით უნდა განახორციელონ. გარკვეულწილად მათი ეს მოთხოვნა გასაგებია, რადგან ევროკავშირი და აშშ-ც კი აძლიერებენ პროტექციონიზმს თავიანთი სასოფლო–სამეურნეო ბაზრებისა, რომლებიც დღეს ისედაც დაცულია რთული და რეფორმის გატარების საწინააღმდეგო 50 მილიარდიანი აშშ დოლარის მხარდამჭერით.

ასევე არის ევროპული სატრანსპორტო ბაზრების კარტელიზაციის ფაქტები. განსაკუთრებით არასასიამოვნოა აზიის ქვეყნებისათვის აშშ-ს მხრიდან ტარიფების შემცირების მიზნით ელექტრონულ კომერციაზე, ბიოტექნოლოგიაზე და ფინანსურ მომსახურებაზე ზეწოლა, რადგან ეს დარგები აშშ-ში წამყვანია. ამასთან ერთად აშშ აძლიერებს ანტიდემპინგურ ღონისძიებებს შედარებით იაფფასიანი ფოლადის იმპორტის საწინააღმდეგოდ. ამიტომ, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა დღეს ერთიანდება უფრო მდიდარი ქვეყნების წინააღმდეგ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) საშუალებით თავს მოახვიონ მათ მკაცრი კანონმდებლობა შრომისა და გარემოს დაცვის შესახებ. განვითარებადი ქვეყნების აზრით, ზემოაღნიშნული პირობების რეალიზაცია ეს სხვა არაფერია თუ არა ფარული პროტექციონიზმი განვითარებული ქვეყნების მხრიდან. ვენესუელამ და ბრაზილიამ წარმატებით დაიცვეს გაზოლინის საექსპორტოდ მწარმოებელი საკუთარი ნავთობქიმიური ქარხნების ინტერესები აშშ-ს გარემოს დაცვის რეგულირების დისკრიმინაციული და მკაცრი კანონმდებლობის წინაშე. პარადოქსია, მაგრამ აშშ თავად თქვა უარი კიოტის ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა გარემოს დაცვის სფეროში ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

2.4 ფაქტორი 3 – მთავრობის როლი

მრავალი ქვეყნისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან მნიშვნელოვანია ზრუნვა კონკურენტუნარიანობის, მწარმოებლურობის, დასაქმებისა და შემოსავლების განაწილების შესახებ. მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის (შვეიცარია) მოხსენების თანახმად სინგაპურის, ლუქსემბურგისა და ფინეთის მთავრობები პირველ ადგილებზეა თავიანთ ქვეყნებში განხორციელებული საუკეთესო ეკონომიკური პოლიტიკების გამო, რომლებიც კარგად ადაპტირებულია საქმიან გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი. დაბალი ადგილები კი ისეთი

ქვეყნების მთავრობებს ერგოთ, როგორიცაა რუსეთი, ვენესუელა, სლოვენია, იაპონია, საფრანგეთი და ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყანა.

სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობა ასევე ფასდება ***ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფო დანახარჯების ჩაურევლობის, გადასახადებისა და ეკონომიკის რეგულირების დონის მიხედვით*** . სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ დაბალი სახელმწიფო დანახარჯებისა და გადასახადების მქონე ქვეყნები უფრო სწრაფად განვითარდებიან, ვიდრე ამ მაჩვენებლების მაღალი დონის მქონე ქვეყნები. კორპორატიული გადასახადები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჰონ-კონგი, ირლანდია, სინგაპური, ფინეთი და ჩილე ხელს უწყობენ სამეწარმეო ინიციატივებისა და ახალი ბიზნესის განვითარებას, მაშინ როდესაც რეალური პრაქტიკა რუსეთში, სლოვენიაში, იტალიაში, იაპონიასა და არგენტინაში ხშირად ხელს უშლის მეწარმეობას. ინდივიდუალური გადასახადები ჰონ-კონგში, სინგაპურში, შვეიცარიასა და აშშ-ში ხელს უწყობენ ინდივიდუალურ მცდელობებს და მაღალმწარმოებლურ პირად შრომას, ხოლო შვეციაში, ბელგიასა და სლოვენიაში კი არ ხდება მაღალი ხელფასებით სტიმულირება.

კონკურენტული ქვეყნები ასევე ხასიათდებიან მოქნილი შრომითი ბაზრებითა და ხარისხიანი ურთიერთობებით მეწარმეებსა და მუშაკებს შორის, რადგან მოქნილი შრომითი ბაზარი, დაბალი საგადასახადო სისტემა შრომით საქმიანობაზე და ჰარმონიული შრომითი ურთიერთობები მხარს უჭერენ მაღალ ეკონომიკურ ზრდას. ყველაზე უფრო მოქნილი შრომითი კანონმდებლობებით ხასიათდებიან სინგაპური, ჰონ-კონგი, უნგრეთი, შვეიცარია და ახალი ზელანდია, მაშინ როდესაც არაპროდუქტიული შრომითი კანონმდებლობის მქონე ქვეყნებად აღიარებულია იტალია, გერმანია, ინდოეთი, საფრანგეთი და სამხრეთ აფრიკა. ამ რამდენიმე ხნის წინ ევროპის ცენტრალურმა ბანკმა წუხილი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირის ძირითადი პრობლემები გამომდინარეობს მაღალი გადასახადების, საკმაოდ გულუხვი სოციალური დახმარებებისა და მკაცრი შრომითი ბაზრების გამო.

სირთულეები ინფლაციის შეჩერებაში, ვალუტის უეცარი დევალვაცია, სამომხმარებლო საქონელზე ფასების მკვეთრი შემცირება, შიგა რეცესია და საგარეო მოთხოვნილებების შეკვეცა ხშირად მოქმედებენ ეროვნული მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის შემცირებაზე.

მთავრობის როლი მაკროეკონომიკურ მართვაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისა და გარდამავალი ეკონომიკებისათვის, სადაც ბაზრების სიგნალები ხშირად არ მუშაობენ. ასეთი ჩავარდნები ბაზრებზე ხდება ინფორმაციული ბარიერებისა და რიგი საგარეო მიზეზების გამო. ინფორმაციული ბარიერები ჩნდება სუსტი მენეჯმენტისა და ცუდი აღრიცხვიანობის გამო.

ბიზნესის წარმოებისათვის არახელსაყრელი გარემოს არსებობა ქვეყანაში მთავრობისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ინსტიტუციონალური ბარიერები წარმოიშვება კორპორაციების ცუდი მართვისა და სუსტი ფინანსური მექანიზმების გამო. კოლექტიური შეთანხმების სფეროში არსებულ ზოგიერთ კანონდებლობას ასევე შეუძლია დესტრუქციული როლის მოხდენა ისეთ ინოვაციურ შრომით ურთიერთობებში, რომლებსაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მენეჯერებსა და სხვა მუშაკებს შორის კოოპერაციას.

სხვადასხვა ინტერესების არსებობა მეწარმეებსა და მუშაკებს შორის ხშირად ასევე მოითხოვს სამთავრობო ღონისძიებების გატარებას. მეწარმეები ცვლილებებს ხშირად შედეგსა და კონკურენტუნარიანობაზე მათი ეფექტის თვალსაზრისით აფასებენ, მაშინ როდესაც მუშაკები მათ შესახებ ხშირად მსჯელობენ დასაქმების, სამუშაო ადგილის ხარისხის, შესაბამისი ცოდნის და ანაზღაურების მიღების გარანტიებზე მათი ზეგავლენის თვალსაზრისით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ინტერესები თანდათანობით ერთიანდება, ხოლო მოკლევადიანში – ისინი ხშირად კონფლიქტში იმყოფებიან.

სამთავრობო ღონისძიებების გატარება ზოგჯერ ასევე ფოკუსირებული უნდა იყოს ტრადიციული მაკროეკონომიკური პოლიტიკიდან მიკროეკონომიკაზე, რომელიც ასახავს განვითარების ორ მიმართულებას: პირველი – ფისკალური და პოლიტიკური შეზღუდვები, რომლებიც ქვეყნების მთავრობათა უმრავლესობამ მაკროდონეზე უკვე გამოცადა გასული საუკუნის 90-იან წლებში; **მეორე** – პერცეფცია, როდესაც ეკონომიკური მოღვაწეობის ბუნების ცვლილება ისეთი საწარმოო რესურსის მნიშვნელობას ამაღლებს, რომელიც უშუალოდ მაკროეკონომიკურ გარემოს მიეკუთვნება. ამ შემთხვევაში მამოძრავებელი ძალა არის რადიკალური ცვლილება "სპეციალიზებული" ტექნოლოგიებიდან "ზოგად მიზნობრივ" ტექნოლოგიებისაკენ.

ეკონომიკური ზრდის კრიტიკულ ფაქტორებს ასევე მიეკუთვნება ეგრეთ წოდებული "რბილი" აქტივები, რომლებიც ცოდნას ქმნიან და ახდენენ ინოვაციების გენერირებას. ამასთანავე, შესაძლებლობები ცოდნისა და ინოვაციების საწარმოებლად ყალიბდება ორგანიზაციული სტრატეგიებით, სტრუქტურებითა და პრაქტიკებით, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ: ა) პოლიტიკის სტრუქტურა; ბ) ხელშემწყობი სტრუქტურა (ფიზიკური და ადამიანური კაპიტალი, თავად ორგანიზაცია, მისი შენობა-ნაგებობანი, სხვა ინფრასტრუქტურა).

სახელმწიფოს მხრიდან ასეთი სახის ცვლილებებზე დაინტერესება იქიდან გამომდინარეობს, რომ "საუკეთესო პრაქტიკა" მიკროდონეზე მაკროეკონომიკის ტრადიციულ მიზნებს (მწარმოებლურობის ამაღლება, შემოსავლების ზრდა და გადანაწილება, დასაქმება და სოციალური თანასწორობა) შეიძლება ემსახუროს.

ამდენად, მთავრობები დაინტერესებულნი არიან მხარი დაუჭირონ და გაავრცელონ საუკეთესო ინოვაციური პრაქტიკები. თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ არ იცის, თუ როგორ გააკეთოს ეს, რადგან **ერთი მხრივ** – ტრადიციული პოლიტიკის მეთოდები ხშირად უკვე აღარ ვარგა იმიტომ, რომ ამ საკითხების უმეტესობა ჰორიზონტალურად უნდა იქნას განხილული, ხოლო **მეორე მხრივ** – გლობალური ინტეგრაცია სულ უფრო ამაღლებს კონკურენციის პოლიტიკის პერსპექტივებს და მიმზიდველი ეროვნული პოლიტიკის გატარების აუცილებლობას წარმოების მობილური ფაქტორების მიხედვით.

ამ თვალსაზრისით ისმის კითხვა, თუ რა უნდა გააკეთონ მთავრობებმა, მხარი რომ დაუჭირონ ისეთ ორგანიზაციულ ცვლილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს? ***იმდენად რამდენადაც, ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში ცოდნისა და ინოვაციების გენერაციის საფუძველს წარმოადგენს, ამიტომ განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება გამორჩეული პრიორიტეტია.*** მთავრობებს ასევე შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ადამიანური კაპიტალის ეფექტურ ბაზრებს ინფორმაციების, კონსულტაციების და სტანდარტების, განათლებისა და შრომის ბაზრებს შორის უფრო მჭიდრო კავშირების დადგენით. გარდა ამისა, მათ ასევე შეუძლიათ განამტკიცონ სამუშაო ადგილებზე ინოვაციების საუკეთესო პრაქტიკის დიფუზია და წაახალისონ ინსტიტუციონალური თანამშრომლობა.

იურიდიული და პოლიტიკური ინსტიტუციების ხარისხის შეფასება იმის მიხედვითაა შესაძლებელი, თუ როგორ შეუძლიათ მათ უზრუნველყონ დაბალი "ტრანსაქციების ღირებულება" კონტრაქტების მომზადებისას და არგუმენტირებისას, აგრეთვე საკუთრების უფლების დაცვისას. სამართლიანი და ეფექტიანი სამართლებრივი პოლიტიკური სისტემა, რომელიც პატივს სცემს საკუთრების უფლებას, ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია ეკონომიკური ზრდისათვის რთული საბაზრო ეკონომიკების პირობებში. მაგალითად, კონკურენციის შესახებ კანონებმა მხარი უნდა დაუჭირონ კონკურენციას და არა ხელი შეუშალონ მათ. რუსეთის, არგენტინის, სლოვენიის, ინდონეზიის და პოლონეთის დაბალი კონკურენტუნარიანობის ერთ–ერთი მიზეზიც სწორედ მათი საკანონმდებლო ბაზაა, რომელიც არ ეწინააღმდეგება არასამართლიან კონკურენციას.

ბიზნესის განვითარება იზღუდება ასევე სამთავრობო გადაწყვეტილებებსა და კომუნიკაციებში არსებული გამჭვირვალობის ნაკლოვანებებით, აგრეთვე გადაჭარბებული ბიუროკრატიით. იაპონია, რუსეთი, ჩრდილოეთ კორეა, სლოვენია და ინდონეზია ამისი მაგალითია. მეწარმეობის მხარდასაჭერად ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ თანასწორობა, დემოკრატია და თავისუფლება. სწორედ ეს არის განვითარების პროცესის მიზეზიცა და შედეგიც.

დემოკრატიული პლურალიზმი არის მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი. ტაივანის, სამხრეთ კორეის, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ცხოვრებისა და კეთილდღეობის სტანდარტებს მივყავართ გაფართოებული საშუალო კლასის უფრო აქტიური მონაწილეობისაკენ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1990-იან წლებში ბევრმა აფრიკულმა ქვეყანამ ამბიციური პროგრამების განხორციელება დაიწყო ეკონომიკური მოდერნიზაციისათვის, თუმცა კერძო ინვესტიციები იქ ბევრად უფრო დაბალია ვიდრე სხვა განვითარებად ქვეყანაში. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ბევრი აფრიკული ქვეყნის სამთავრობო ლიდერი მხოლოდ თვალთმაქცურ განცხადებებს აკეთებს დემოკრატიზაციის შესახებ, ხოლო მათი რეალური ქმედებები კი მხოლოდ რეგულარული არჩევნებით შემოიფარგლება. ისინი ჯერ კიდევ ძალიან ცენტრალიზებული ქვეყნები არიან. კონფლიქტებმა და ურთიერთწინააღმდეგობებმა მიღებულ ცენტრალიზებულ გადაწყვეტილებებსა და გეტეროგენური საზოგადოების შეხედულებებს შორის გამოიწვიეს მნიშვნელოვანი უთანაბრობა სიმდიდრის გადანაწილებაში, რაც თავისთავად იწვევს მოსახლეობის გაღარიბებას.

ასე, აფრიკული კერძო სექტორი შედგება პოლიტიკურ ძალაუფლებასთან დაახლოებული ოლიგოპოლიებისა და კარტელებისაგან. ეკონომიკების მცირე ზომების გამო კი მთავრობათა რეალური ძალაუფლება მცირეა საიმისოდ, რომ ნამდვილი პარტნიორები იყვნენ კერძო ბიზნესისათვის. ასეთი ურთიერთობების ძლიერ მოთამაშეებს შეუძლიათ დაბლოკონ მნიშვნელოვანი რეფორმები.

მთავრობები მიზანდასახულად უნდა ანვითარებდნენ კონკურენციას. ძალიან ბევრი არაეფექტური სახელმწიფო საწარმო ჩანაცვლებული იქნა ასევე არაეფექტური კერძო მონოპოლიებით, თანაც სახელმწიფოს მხრიდან მათი ეფექტიანად რეგულირების მცირე შესაძლებლობების პირობებში. როდესაც პირდაპირი სახელმწიფოებრივი ჩარევა საქმიან აქტიურობაში მცირდება, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა კონცენტრირდება კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნაზე და ისეთ მაკროეკონომიკურ გარემოსა და სოციალურ პირობებზე, რომლებშიც მინიმიზირდება გარე რისკები ბიზნესისათვის. მთავრობები უფრო მოქნილნი ხდებიან თავიანთი ეკონომიკების ცვლად გლობალურ გარემოში ადაპტაციისადმი.

2.5 ფაქტორი 4 – ფინანსური მენეჯმენტი

კარგად განვითარებულ, საერთაშორისო დონეზე ინტეგრირებულ ფინანსურ მექანიზმს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოცემული ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდასა და წინსვლაში.

ეფექტიანი ფინანსური ბაზრები, განვითარებული საბაკო სექტორი და მაღალი ხარისხის ფინანსური მომსახურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. მრავალრიცხოვანი მაგალითები და სტატისტიკური მასალა იმ ფაქტს ამტკიცებს, რომ ფართო საბანკო სისტემისა და ეფექტიანი ფინანსური ბაზრების მქონე ქვეყნები ბევრად უსწრებენ იმ ქვეყნებს, რომლებშიც ზემოაღნიშნული პირობები ნაკლედაა განვითარებული, ან გადაჭარბებულად მაღალია რეგულირებისა და კონტროლის მექანიზმები.

კონკურენტუნარიანობის ფინანსური სისტემის შეფასების ბევრი სხვადასხვა კრიტერიუმი არსებობს. ერთ-ერთი მათგანია კაპიტალის ღირებულება და

ხელმისაწვდომობა, რაც ამუხრუჭებს, ან ავითარებს ბიზნესისა და კონკურენტუნარიანობის განვითარებას. შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, ფინეთსა და გერმანიაში კაპიტალის ღირებულება და საკრედიტო მომსახურების არსებობა ხელს უწყობენ ბიზნესის განვითარებას, მაშინ როდესაც სამხრეთ აფრიკაში, ბრაზილიაში, ინდონეზიაში, ჩეხეთში, რუსეთსა და უკრაინაში კი პირიქით. ფინანსური ინსტიტუციების სამართლებრივი რეგულირება ასევე არაადეკვატურია იაპონიაში, რუსეთში, ჩეხეთში, უკრაინასა და ტაილანდში. უფრო მეტიც, ამ ქვეყნებში ძნელია მიიღო საერთაშორისო სტანდარტების დონის კვალიფიკაცია ფინანსების სფეროში. ბევრ განვითარებად და გარდამავალ ეკონომიკებში ფინანსური ინსტიტუციები მცირე და საშუალო ბიზნესისათვის არაადეკვატურია, ან საერთოდ არ არსებობს.

2.6 ფაქტორი 5 – სოციალური და საქმიანი ინფრასტრუქტურა

ცნობილია, რომ განვითარებული სოციალური და საქმიანი ინფრასტუქტურა მხარს უჭერს კომერციულ საქმიანობას, ავითარებს წარმოების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს – ადამიანს, მის ინტელექტუალურ კაპიტალს, ხელს უწყობს ინფორმაციული რესურსებისა და ნაკადების განაწილებას, აკეთილშობილებს ბუნებრივ გარემო პირობებს. ინფრასტრუქტურა მოიცავს ბუნებრივ რესურსებს და ბიზნესის ფუნქციონირების სისტემებს, ენერგეტიკულ სისტემებს, ინფორმაციულ ტექნოლოგიას, ტრანპორტსა და კომუნიკაციას, განათლებასა და ჯანმრთელობის ორგანიზაციას, გარემოს დაცვას.

ყველაზე უფრო კონკურენტუნარიან ქვეყნებში – სინგაპური, დანია, ფინეთი და ჰონ-კონგი – ინფრასტრუქტურა ბიზნესის ხელშესაწყობად ვითარდებოდა. ისეთ ნაკლებად კონკურენტუნარიან ქვეყნებში, როგორიცაა ინდონეზია, ინდოეთი, რუსეთი, ბრაზილია და პოლონეთი ინფრასტრუქტურა ძალიან სუსტია და საწარმოების ეფექტიანობის ამაღლებას ზღუდავს.

იგივე ეხება ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და კომუნიკაციას. უფრო კონკურენტუნარიან ქვეყნებსა და რეგიონებს უფრო მეტი სატელეკომუნიკაციო სისტემები და მოწყობილობები გააჩნიათ, ვიდრე ნაკლებად კონკურენტუნარიანებს. მაგალითად, აზიურ ქვეყნებს უფრო მეტი ტელეფონები აქვთ 1000 კაცზე, ვიდრე აფრიკულ ქვეყნებს (საშუალოდ 125 და 11 შესაბამისად).

ქვეყნის მდგრადი განვითარება ***(განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს დღევანდელი თაობების მოთხოვნებს მომავალი თაობების მოთხოვნების არასაზიანოდ)*** ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარ საკითხთაგანია. ქვეყნები, რომლებმაც შეამცირეს ენერგიისა და რესურსების მოხმარება, დღეს ყველაზე უფრო ეფექტიანი ეკონომიკების მქონე ქვეყნების სათავეში დგანან. გარემოზე სერიოზული ზეგავლენისა და ეკოსისტემის გადაჭარბებული ექსპლოატაციის გამო, ***რესურსების ეფექტიანი გამოყენება (ფასდება როგორც გამოყენებული ენერგიისა და რესურსების მწარმოებლურობა) მდგრადი განვითარების ახალი ძირითადი სტრატეგია ხდება***.

მდგრადი განვითარების თვალსაზრისით მიდგომა გვიჩვენებს, რომ თავისთავად ეკონომიკური ზრდა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის გზები, რომელთა საშუალებითაც იგი მიიღწევა. ბუნებრივი რესურსების ბაზის დანგრევა ამცირებს აქტივებს, რომლებიც მომავალში ეკონომიკურ წინსვლას უჭერენ მხარს და ზრდიან მათ ღირებულებას. იგი ასევე პოტენციურად თავად ზრდის ტრაექტორიას, ამცირებს და აუარესებს ცხოვრების ხარისხს, რომელიც პროვოცირებას უკეთებს ნიჭიერი თანამშრომლების ემიგრაციას და მოსახლეობის ჯანმრთელობის სერიოზულ ცვლილებამდე მივყავართ, რაც შესაბამისად დიდ დანაკარგებს იწვევს თავად ავადმყოფებისა და მთლიანად საზოგადოებისათვის.

ბუნებრივი ეროვნული რესურსების გამოფიტვამ, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, საბოლოო ჯამში შეიძლება შეამციროს ქვეყნების შედარებითი კონკურენტუნარიანობის უპირატესობანი.

ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ გარემოს რეგულირებას შეიძლება ჰქონდეს ფირმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, როგორც პოზიტიური ეფექტი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა. ფირმებმა, რომლებიც მისდევენ ძალიან მკაცრ სტანდარტებს თავიანთი პირობებისათვის განვითარებად ქვეყნებში, შეიძლება დაკარგონ თავიანთი კონკურენტული უპირატესობანი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, რომელთა კომპანიებს თავისუფლად შეუძლიათ შეასრულონ ეს სტანდარტები. მეორე მხრივ, გარემოს რეგულირებას შეუძლია სტიმულირება გაუწიოს უფრო სუფთა და ნაკლები რაოდენობით რესურსების გამოყენებას, აგრეთვე უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიებისა და ნარჩენების მეორად გამოყენებას.

განვითარების საუკეთესო სტრატეგიებად ისეთი სტრატეგიები ითვლება, რომლებიც ეკონომიკური განვითარების ტემპებს აჩქარებენ და გარემოს დეგრადაციას მისი თვითაღდგენის შესაძლებლობის დონემდე ამცირებენ, და/ან არ არიან დაზიანებულნი ისეთ შეუქცევად დონემდე, რომელთა გამოსწორებაც ადამიანის მიერ არ იყოს შესაძლებელი გონიერების ფარგლებში გასაწევი დანახარჯებით.

2.7 ფაქტორი 6 – მენეჯმენტის ხარისხი

მენეჯმენტის ხარისხი ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეროვნული მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობისათვის, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესისა და მისი ორგანიზაციების უნარს ბაზრის ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს საჭირო შემოქმედებითა და მოქნილობით მიუდგნენ.

პროცესების მართვის უნარი ძალიან მნიშვნელოვანია. მენეჯერები სინგაპურში, აშშ-ში, ფინეთში, მალაიზიაში და ტაივანში ამ თვალსაზრისით მოწინავეებად ითვლებიან. მეწარმეობის თვალსაზრისით კი საუკეთესო ქვეყნებად მოიაზრებიან ჰონ-კონგი, ფინეთი, ჰოლანდია, ჩილე და ისრაელი.

უმაღლესი მენეჯმენტია კანადაში, აშშ-ში, ფინეთში, შვეიცასა და სინგაპურში. ესენი საკმაოდ ეფექტური ქვეყნებია "აქციონერთა ღირებულების" მართვის თვალსაზრისით, რის შედეგადაც ამ ქვეყნების ხელმისაწვდომობა კაპიტალისადმი საკმაოდ მაღალია. ინდონეზიაში, სამხრეთ კორეაში, რუსეთში, იაპონიაში, ჩეხეთსა და უკრაინაში აქციონერთა ღირებულებანი უგულვებელყოფილია.

დღეისათვის სამმართველო კომპეტენციას წარმოადგენს საუკეთესო ტალანტების მოზიდვის უნარი, მათი განვითარება, მოტივირება, ეფექტური გამოყენება და ორგანიზაციაში დაკავება, აგრეთვე ცოდნისა და ინტელექტუალური კაპიტალის მართვა. ფინეთში, იაპონიაში, დანიასა და სინგაპურში დიდ ყურადღებას აქცევენ კომპანიებში სწავლებასა და პერსონალის განვითარებას, მაშინ როდესაც პოლონეთში, იტალიაში, უკრაინაში, რუსეთსა და ინდონეზიაში მენეჯერები არასაკმარისად ინვესტირებენ ამ მიმართულებით.

ყველაზე უფრო კონკურენტუნარიან ქვეყნებში კომპანიების მენეჯმენტის მიერ სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ჯანმრთელი ურთიერთობების განვითარებას დაქირავებულ მუშაკებსა და მეწარმეებს შორის, აგრეთვე თავიანთი კორპორაციების სოციალურ პასუხისმგებლობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი ქვეყნების კომპანიების გამოცდილება, როგორიცაა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები, ახალი ზელანდია, იაპონია.

ეფექტიან მენეჯმენტს ასევე უნდა შეეძლოს კომპანიების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიების, აქციონერთა და დასაქმებულთა ინტერესების, ბიზნესისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების "ბალანსირება". საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი აისახება კონკურენტულ თანაფარდობაში ფასსა და პროდუქციის ხარისხსა და მომსახურებას შორის, რაც შესაბამისად ასახავს ქვეყნისა და მისი ბიზნეს-ლიდერების სამმართველო უნარ-ჩვევებს.

2.8 ფაქტორი 7 – პოტენციალი კვლევებსა და დამუშავებებში

კონკურენტული უპირატესობა ასევე შეიძლება დაფუძნებული იყოს არსებული და ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანი და ინოვაციური გამოყენების ბაზაზე. ტექნოლოგიის ხარისხი თავის მხრივ განისაზღვრება ქვეყნის უნარით ეფექტიანად წარმართოს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები. ქვემოთ მოცემულია კვლევებისა და დამუშავებების ფარდობითი მონაცემები ხუთი ყველაზე უფრო კონკურენტული და ხუთი ნაკლებად კონკურენტული ქვეყნების მიხედვით (ცხრილი 5). ცხრილის მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ გამოკვლევებსა და დამუშავებებზე გაწეულ ხარჯებსა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობას შორის კორელაცია აშკარაა. ამასთან, გაწეული დანახარჯების პროპორციები კიდევ უფრო მაღლდება, როდესაც ამ მიმართულებით თავად ბიზნესიც უფრო აქტიურად მონაწილეობეს, რადგან მან უკეთესად იცის ვიდრე მთავრობამ თავისი ფინანსური რესურსები რამდენი, სად და როგორ დააბანდოს.

ცხრილი 5

კვლევებსა და დამუშავებებში გაწეული საერთო დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)

მაღალ კონკურენტული ქვეყნები	დანახარჯები კვლევებსა და დამუშავებაზე	დაბალ კონკურენტული ქვეყნები	დანახარჯები კვლევებსა და დამუშავებაზე
შვეიცარია	1145	ვენესუელა	0.2
იაპონია	1035	ინდონეზია	1.0
შვეცია	940	ფილიპინები	1.8
აშშ	775	ინდოეთი	2.5
ფინეთი	630	კოლუმბია	4.5

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, კვლევებსა და დამუშავებაზე ყველაზე მეტი დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, ბიზნესის მიერ გაწეულია შვეიცარიაში, აშშ-ში, იაპონიაში, შვეციაში, ხოლო ყველაზე ნაკლები ვენესუელაში. რა თქმა უნდა კვლევებისა და დამუშავებების სფეროში კომპეტენტური პერსონალის არსებობა, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურენტუნარიანობისათვის. მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით ამ სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით ასევე ყველაზე მაღალია შვეიცარიაში, შვეციაში, იაპონიასა და ფინეთში, ხოლო ყველაზე დაბალი ინდოეთსა და ფილიპინებზე.

გრძელვადიანი ინვესტიციები ფუნდამენტურ კვლევებსა და ინოვაციებში, რომლებიც ქმნიან ახალ ცოდნასა და ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი ზრდისათვის.

ინფორმაციის, ცოდნის და გამოცდილების სიმცირეს სუსტი მართვისა და დაბალი მწარმოებლურობისაკენ მივყავართ, რაც თავისთავად ტექნოლოგიურ ჩამორჩენასა და კომპანიის ეფექტიანობის დაქვეითებას იწვევს. არასაკმარისი შემოსავლები და დაბალი მოთხოვნა ინტელექტუალურ კაპიტალზე, ისევ და ისევ სუსტ ცოდნას, შემეცნებაში მწირ გამოცდილებას იწვევს, და . . . . ციკლი ისევ თავიდან იწყება.

2.9 ფაქტორი 8 – ადამიანური რესურსების მენეჯმენტი

კარგი ჯანმრთელობის და პოზიტიური ღირებულებების მქონე კვალიფიციური და მოტივირებული მუშახელი ამაღლებს ეროვნულ მწარმოებლურობასა და კონკურენტუნარიანობას. განათლებასა და ტექნიკური

კვალიფიკაციის ამაღლებას სამმართველო ეფექტიანობასთან ერთად თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი ის პარამეტრი, რომელიც ადამიანური რესურსების განვითარებაში გამოიყენება.

ფინეთის, ირლანდიის, შვეიცარიის, სინგაპურისა და ტაივანის განათლების სისტემები აღიარებულია ყველაზე უფრო მოწინავედ, რომლებიც სხვებზე უფრო მისადაგებულია კონკურენტული ეკონომიკის მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო სუსტებად მიჩნეულია ვენესუელის, სამხრეთ აფრიკის, ინდონეზიისა და არგენტინის განათლების სისტემები. გაუნათლებლობის მაღალი კოეფიციენტით ხასითდება ინდოეთის (48%), თურქეთის (30%), სამხრეთ აფრიკის (18%), ჩინეთის (17%), ინდონეზიის (16%) ზრდასრული მოსახლეობა, რაც ამ ქვეყნებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, ადამიანური რესურსების ყველაზე უფრო მაღალი ინდექსებით (არი) ხასიათდებიან კანადა (0.960), საფრანგეთი (0.946), ნორვეგია (0.943) და ფინეთი (0.942), ხოლო ინდოეთი, ჩინეთი, ფილიპინები, ინდონეზია და სამხრეთ აფრიკა კი მიიჩნევა ყველაზე უფრო სუსტებად ამ თვალსაზრისით.

.

ცხრილი 6

ადამიანური რესურსების ინდექსები (არი)

რეგიონები	მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ათასი აშშ დოლარი	არი
განვითარებადი ქვეყნები	3.200	0.637
ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები	0.992	0.430
აფრიკული ქვეყნები (საქარის ქვემოთ)	1.534	0.436
აღმოსავლეთ აზია (ჩინეთის გარდა)	14.300	0.849
სამხრეთ აზია	1.803	0.544
ლათინური ამერიკა და კარიბი	6.868	0.756
აღმოსავლეთ ევროპა და დსთ	4.243	0.754
ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები	23.743	0.919
მსოფლიო	6.332	0.706

ადამიანური რესურსების ხარისხსა და ეროვნულ მწარმოებლურობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს (ცხრილი 6). სამუშაო ძალის შედარებით დაბალი მობილურობა ასევე მათი განათლების დაბალი დონის შედეგია. მაგალითად, საშუალო განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა აზიურ ქვეყნებში მნიშვნელოვნად უფრო მაღალია (საშუალოდ 49%), ვიდრე აფრიკულ ქვეყნებში (21%). ზემოაღნიშნულ რეგიონებში უმაღლეს სასაწავლო დაწესებულებებში ტექნიკური სპეციალობების მიხედვით ჩაბარების მსურველთა მონაცემები კი ტოლია 0.47% და 0.06% შესაბამისად

ასე რომ, ჩვენ მიერ ეროვნული კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორების მიმოხილვა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მათი ურთიერთკავშირში ფუნქციონირების აუცილებლობაზე. ამიტომ, სახელმწიფოს როლი მათ განვითარებასა და ბალანსირებაში ძალიან დიდია, რათა შექმნან მეწარმეობის, მაღალმწარმოებლური შრომის მოტივაციისა და ქვეყანაში არსებული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებელი საქმიანი გარემო.

კითხვები დისკუსიისთვის

1. განიხილეთ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ფაქტორები;
2. მოიფიქრეთ, არის თუ არა რაიმე ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორთა ჯგუფი, რომელიც დამახასიათებელია თქვენი ქვეყნისათვის და არ არის გადმოცემული მოცემულ ტექსტში?
3. გამოყავით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები და მათი ელემენტები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად;
4. შეეცადეთ გაიხსენოთ და გაანალიზოთ თქვენი ქვეყნის პარლამენტისა და მთავრობის ბოლო გადაწყვეტილებები, მიმართული ასეთი ფაქტორების

გასაძლიერებლად და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და დინამიზმის ასამაღლებლად;

5. გაანალიზეთ თქვენს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზა, გამოყავით მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტები კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარების სასიკეთოდ და/ან საზიანოდ.

დანართები (თვალსაჩინო მასალები)

ა) კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორებია:

- შიგა ეკონომიკა;
- ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია;
- მთავრობის როლი;
- ფინანსური მექანიზმი;
- სოციალური და საქმიანი ინფრასტრუქტურა;
- მენეჯმენტის ხარისხი;
- პოტენციალი კვლევებსა და დამუშავებებში;

- ადამიანური რესურსების ხარისხი.

ბ) ეროვნული შემოსავლის ზრდა ერთ სულ მოსახლეზე დამოკიდებულია:

- შემოსავლების საწყის დონეზე – ღარიბ ქვეყნებს მდიდარ ქვეყნებზე უფრო სწრაფად შეუძლიათ განვითარება;
- ეროვნული დაგროვების დონეზე – დაგროვების უფრო მაღალი დონის ქვეყნები აჩქარებულად ვითარდებიან;
- მოქნილ შრომით ბაზარზე – მოქნილი ინსტიტუციებისა და შრომითი კანონმდებლობის მქონე ქვეყნები უფრო სწრაფად ვითარდებიან (მაგალითად, გასული საუკუნის ბოლოს ევროკავშირის ქვეყნებსა და აზიურ "ვეფხვებს" შორის ზრდაში 4% სხვაობა განპირობებული იყო ევროპაში არსებული: უფრო მკაცრი შრომის ბაზრით, დაგროვების უფრო დაბალი დონით, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის უფრო მაღალი დონით);

გ) ევროპა განსაკუთრებით ზარალდება:

- მაღალი საგადასახადო სისტემით;
- მაღალი სამთავრობო დანახარჯებით;
- შრომის მოუქნელი ბაზრით;
- დაგროვების დაბალი დონით

კონკურენტუნარიანობის ფაქტორები (2001 წელი)

ქვეყანა	ადგილი კონკურენტიანობის მიხედვით	ეკონომიკური მაჩვენებელი	მთავრობის ეფექტიანობა	ბიზნესის ეფექტიანობა	ინფრასტრ უქტურა

აშშ	1	1	8	1	1
სინგაპური	2	3	1	10	5
ფინეთი	3	33	2	2	2
ლუქსემბურგი	4	2	7	6	12
ჰოლანდია	5	8	12	3	7
ჰონ-კონგი	6	4	4	8	14
ირლანდია	7	6	3	7	15
შვეცია	8	17	14	5	3
კანადა	9	12	10	11	8
შვეიცარია	10	14	6	13	9
ავსტრალია	11	28	5	14	6
გერმანია	12	5	18	15	10
ისლანდია	13	42	9	4	4
ავსტრია	14	27	11	12	11
დანია	15	32	13	9	13
ისრაელი	16	21	15	16	17
ბელგია	17	10	25	18	18
ტაივანი	18	29	20	19	16
ინგლისი	19	9	24	21	23
ნორვეგია	20	26	23	20	20
ახალი ზელანდია	21	34	17	22	21
ესტონეთი	22	24	16	25	24
ესპანეთი	23	22	21	23	25
ჩილე	24	37	19	17	30
საფრანგეთი	25	11	34	24	22
იაპონია	26	16	29	30	19
უნგრეთი	27	18	22	29	27
სამხრეთ კორეა	28	19	31	31	34
მალაიზია	29	13	26	36	38
საბერძნეთი	30	39	33	26	26
ბრაზილია	31	21	36	28	31
იტალია	32	25	40	27	28
ჩინეთი	33	7	35	40	39
პორტუგალია	34	35	32	35	33
ჩეხეთი	35	20	30	43	32
მექსიკა	36	36	27	38	42
სლოვაკეთი	37	48	28	37	29
ტაილანდი	38	15	39	44	40
სლოვენია	39	38	44	34	37
ფილიპინები	40	40	37	41	41
ინდოეთი	41	23	43	39	45
სამხრეთ აფრიკა	42	47	38	32	46
არგენტინა	43	45	41	42	36
თურქეთი	44	49	49	33	35
რუსეთი	45	30	47	47	44
კოლუმბია	46	44	42	45	47
პოლონეთი	47	41	48	46	48
ვენესუელა	48	43	46	49	43
ინდონეზია	49	46	45	48	47

მოწინავე და ჩამორჩენილი ქვეყნების რანჟირება კონკურენტუნარიანობის, მწარმოებლურობისა და ცხოვრების დონის მიხედვით (2000 წელი)

ქვეყნები	კონკურენტუნარიანობა	მწარმოებლურობა	ცხოვრების დონე
აშშ	1	3	11
ჰოლანდია	4	12	7
ლუქსემბურგი	6	1	3
შვეიცარია	5	16	5
კანადა	11	10	6
ფილიპინები	30	41	38
ინდოეთი	44	42	42
ინდონეზია	45	43	44
ვენესუელა	47	47	46
რუსეთი	46	46	47

მოწინავე და ჩამორჩენილი ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ფაქტორები

ქვეყნები	შიგა ეკონ.	გლობ	მთავრ	ფინ	ინფრ	მენეჯ	ს/კვლ	ადამ
აშშ	1	1	10	1	1	1	1	3
სინგაპური	8	2	1	10	13	5	9	5
ფინეთი	5	8	9	7	2	4	6	2
ჰოლანდია	7	4	7	3	6	2	8	14
შვეიცარია	9	18	6	4	8	10	3	12
ინდოეთი	30	41	29	31	47	43	29	45
კოლუმბია	44	42	39	45	41	41	41	44
ინდონეზია	45	43	36	43	46	44	42	46
ვენესუელა	47	47	44	46	38	47	43	43
რუსეთი	46	46	47	47	44	46	23	39

ქვეყნების რანჟირება ბიუროკრატიის დონის მიხედვით, 2002 წელი

(უმაღლესი მენეჯერების მიერ სახელმწიფო ადმინისტარციის ჩინოვნიკებთან ურთიერთობაზე დახარჯული დრო, %)

ქვეყნები	ქვეყნები
10%-ზე ნაკლები	სამხრეთ კორეა
იაპონია	ვიეტნამი
ჰოლანდია	იამაიკა
შვეიცარია	კოლუმბია
ბელგია	ფილიპინები
ნორვეგია	სამხრეთ აფრიკა
გერმანია	ურუგვაი
ფინეთი	საბერძნეთი
მალაიზია	მექსიკა
ისლანდია	ავსტრალია
შვეცია	უნგრეთი
დანია	ვენესუელა
აშშ	კოსტა-რიკა
ჩეხეთი	იტალია
საფრანგეთი	ნიგერია
სინგაპური	ბულგარეთი
ინგლისი	ბანგლადეში
ირლანდია	სალვადორი
ჩილე	ჩინეთი
ესპანეთი	ინდონეზია
სლოვენია	ეკვადორი
ახალი ზელანდია	დომინიკის რესპუბლიკა
ისრაელი	ნიკარაგუა
ტრინიდადი და ტობაგო	თურქეთი
10–20%	*21 – 30%*
არგენტინა	რუსეთი
მავრიკია	პარაგვაი
პერუ	გონდურასი
რუმინეთი	უკრაინა
ლიტვა	ლატვია
ავსტრია	იორდანია
ინდოეთი	გვატემალი
ბრაზილია	სლოვაკეთი
ტაივანი	ტაილანდი
ჰონ-კონგი	პანამა
კანადა	ბოლივია
პორტუგალია	
შრი-ლანკა	*31 –40%*
ესტონეთი	ეგვიპტე
პოლონეთი	
ზიმბაბვე	

შიგა საქმიანი გარემოს ხარისხი (მაქსიმალური რეიტინგი=10, 2001–2005 წლები)

ქვეყნები	5	6	7	8	9
ჰოლანდია					++++++++
აშშ					++++++++
ინგლისი					+++++++
სინგაპური					++++++
ჰონ-კონგი					++++
გერმანია					++++
საფრანგეთი				++	
ტაივანი			++++++++++		
ჩილე			++++++++		
ისრაელი			++++++		
სამხრეთ კორეა			+++++		
იაპონია			+++		
უნგრეთი			++		
ტაილანდი			++		
პოლონეთი		++++++++++			
მექსიკა		+++++++++			
ჩეხეთი		+++++++++			
არგენტინა		+++++++++			
მალაიზია		++++++++			
სამხრეთ აფრიკა		++++++			
ბრაზილია		++++++			
ფილიპინები		++++++			
ჩინეთი		++			
რუსეთი	++++++				

ეკონომიკური სტაბილურობის ინდექსები (მაქსიმუმი=100, 2002 წელი)

ქვეყნები	40	50	60	70	80
უნგრეთი				++++	
პოლონეთი				++	
ბრაზილია			++		
ტაილანდი		+++++++++			
რუსეთი		+++++			
უკრაინა		+++			
თურქეთი		++			
კოლუმბია	++++++++++				
ინდონეზია	+++++++				
არგენტინა	++++				
ვენესუელა	+++				

კვლევებზე და დამუშავებებზე გაწეული დანახარჯები (მშპ-ის %)

ქვეყნები	0	1	2	3	4
შვეცია				+++++	
ფინეთი				++	
იაპონია					
შვეიცარია			+++++++++		
აშშ					
სამხრეთ კორეა			+++++++		
გერმანია					
ისლანდია			+++++		
საფრანგეთი					
დანია		++++++++++	+++		
ჰოლანდია		+++++++++	++		
ინგლისი		+++++++	++		
ბელგია		++++++			
ავსტრია		++++++			
ნორვეგია		+++++			
კანადა		++++			
ავსტრალია		++++			
ირლანდია		+++			
ჩეხეთი		++			
ახალი ზელანდია	+++++++++++++				
იტალია	+++++++++++++				
ესპანეთი	++++++++++				
პოლონეთი	+++++++++				
უნგრეთი	++++++				
თურქეთი	++++				

ადამიანური რესურსების ინდექსი (არი) და მშპ/ 1 კაცზე, 2001 წელი

ადგილი და ქვეყანა	არი	მშპ კაცზე, (აშშ დოლ)	ადგილი და ქვეყანა	არი	მშპ კაცზე, (აშშ დოლ)
1. ნორვეგია	0.939	28.433	38. პოლონეთი	0.828	8.450
2. ავსტრალია	0.936	24.574	44. ესტონეთი	0.812	8.355
3. კანადა	0.936	26.251	47. ლიტვა	0.803	6.656
4. შვეცია	0.936	22.636	50. ლატვია	0.791	6.264
5. ბელგია	0.935	25.443	53. ბელორუსი	0.782	6.876
6. აშშ	0.934	31.672	55. რუსეთი	0.775	7.473
7. ესპანეთი	0.932	27.835	58. რუმინეთი	0.772	6.041
8. ჰოლანდია	0.931	24.215	72. სასომხეთი	0.745	2.215
9. იაპონია	0.928	24.898	74. უკრაინა	0.742	3.458
10. ფინეთი	0.925	23.096	75. ყაზახეთი	0.742	4.951
11. შვეიცარია	0.924	27.171	76. საქართველო	0.742	2.431
12. საფრანგეთი	0.924	22.897	79. აზერბაიჯანი	0.738	2.850
14. ინგლისი	0.923	22.093	82. თურქეთი	0.735	6.380
17. გერმანია	0.921	23.742	83. თურქმენეთი	0.730	3.347
20. იტალია	0.909	22.172	87. ჩინეთი	0.718	3.617
26. სინგაპური	0.876	20.797	90. ირანი	0.714	5.531
33. ჩეხეთი	0.844	13.018	92. ყირგიზეთი	0.707	2.573
35. სლოვაკეთი	0.831	10.591	103. ტაჯიკეთი	0.660	1.031
36. უნგრეთი	0.829	11.430	150. გვინეა	0.397	1.934

3. კონკურენტუნარიანობის მხარდამჭერი ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგია

გასული საუკუნის 60–ანი წლებიდან დაწყებული მრავალი ქვეყნის ეკონომიკა იმყოფებოდა ძლიერი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. ასეთი ჩარევა ართულებდა კერძო სექტორის დროულ რეაქციას მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მუდმივად ცვალებად ტენდენციებზე, ამცირებდა მოქნილობას და საბაზრო მექანიზმების ეფექტიანობის ხარისხს.

კანადაში, მაგალითად, მთავრობის ძლიერმა ჩარევამ ეკონომიკაში მნიშვნელოვნად შეამცირა საერთაშორისო ბაზარზე საწარმოების კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობანი და დასაქმების მაღალი დონის შენარჩუნება 80–90–იან წლებში. დაახლოებით იგივე პერიოდში, იგივე მიზეზის გამო თავიანთი განვითარების დინამიზმი დაკარგეს გერმანიამ და საფრანგეთმა. იტალიაც შეეჯახა მნიშვნელოვან სირთულეებს, გამოწვეულს მოუქნელი შრომის ბაზრის, კერძო სექტორში დაბალი მწარმოებლურობის, შემოსავლებში მნიშვნელოვანი განსხვავებებისა და არაეფექტური საზოგადოებრივი მომსახურების გამო.

სოციალისტურ ქვეყნებს რაც შეეხებათ, რეტროსპექტულად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემის კრახი მოხდა არა იმდენად პოლიტიკური რევოლუციის გამო, რამდენადაც არასიცოცხლისუნარიანი ეკონომიკის რღვევის შედეგად.

ამდენად, იმის მიუხედავათ, რომ პოსტსოციალისტური მთავრობების უპირველესი ამოცანა იყო დაგეგმვის ცენტრალური აპარატის ლიკვიდაცია და საწარმოებზე სახელმწიფო კონტროლის ხარისხის შემცირება, მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური რეფორმების განხორციელების კომპლექსურმა ამოცანებმა და კერძო სექტორის განვითარებამ განსაზღვრეს ის მიმართულებები, რომლებსაც უნდა შეემსუბუქებინათ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

3.1 ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმა და ინსტიტუციური განვითარება

ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელება საკმაოდ რთული პროცესია, რომლის მოსამზადებლად აუცილებელია ბაზრის განვითარებაში კერძო სექტორის მონაწილეობის მხარდაჭერად ახალი ინსტიტუციების ერთდროული განვითარება. 1–ელ სქემაში თავმოყრილია პრივატიზაციისა და ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად აუცილებებელი პოლიტიკური რეფორმებისა და ინსტიტუციონალური პოტენციალის ტიპები.

სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა განახორციელოს აუცილებელი სტრუქტურული ადაპტაციები და გამოიყენოს სტაბილიზაციის პოლიტიკა, რათა აირიდოს ინფლაცია, მოახდინოს ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეკონომიკის დერეგულირება. ამასთან ერთად, აუცილებელია შეიქმნას საბაზრო ოპერაციათა გატარების უზრუნველმყოფი ინსტიტუციათა კომპლექსური ქსელი. აქ მოიაზრება საფინანსო და იურიდიული ორგანიზაციები, განათლების სისტემა, ეფექტურად მოქმედი შრომის ბაზრები, კერძო საკუთრების ინსტიტუტი, აგრეთვე განაწილების თანამედროვე სისტემა.

ბაზრის განვითარება ასევე მოითხოვს მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერებულ განვითარებას, მსხვილი კომპანიების რესტრუქტრუირებას და საერთაშორისო კომპანიების ახალი ინვესტიციების მოზიდვას ქვეყნის ეკონომიკაში. აუცილებელია ასევე შეიქმნას და გაძლიერდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების, შრომითი კავშირების, პროფესიონალური ასოციაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სხვადასხვა ფონდების წარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაციები.

ყველა ეს გარდაქმნა რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს, რათა

შეიქმნას პირობების კრიტიკული მასა საბაზრო მექანიზმების განვითარებისათვის და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარებისას წარმოჩენილი გარდაუვალი სირთულეების დასაძლევად.

განვითარებული ქვეყნების მიერ, ბოლო 200 წლის მანძილზე, ეკონომიკური პროგრესის მიღწევა შესაძლებელი გახდა კერძო სექტორის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს შექმნის შედეგად.

ამდენად, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების რეფორმატორთა წინაშე არსებული პრობლემები, აგრეთვე დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება, მიუთითებს რეფორმების პოლიტიკისა და ინსტიტუციური მექანიზმების იმ კრებულზე, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ბაზრის განვითარებისა და წარმატებული პრივატიზაციისათვის (სქემა 1).

ქვეყნებმა, რომლებიც ცდილობენ გააძლიერონ თავიანთი შიგა ბაზრები და გახდნენ კონკურენტუნარიანნი, აუცილებლად უნდა დაიწყონ პოლიტიკური რეფორმები და ინსტიტუციონალური განვითარება. მთავრობები აქტიურად უნდა ერთვებოდნენ მაკროეკონომიკური ბალანსის აღდგენასა და მხარდაჭერაში და ანვითარებდნენ თავიანთ ინფრასტრუქტურას, ადგენდნენ სტიმულებს სამეწარმეო საქმიანობისათვის და ბიზნესის გაფართოებისათვის.

სტრუქტურული ადაპტაციის ტიპური პაკეტი, რომელსაც გვთავაზობს მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

ეკონომიკის დეცენტრალიზაცია – მწარმოებლებისა და მომხმარებელთა მიერ გადაწყვეტილების მიღება დაფუძნებულია კონკურენტულ ბაზრებსა და ფასებზე, და არა ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და ბიუროკრატიულ კონტროლზე;

საქონლისა და მომსახურების წარმოების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა – კომპანიები ფუნქციონირებას აგრძელებენ, ან კოტრდებიან იმის მიხედვით თუ მოგების მიღების როგორი უნარი აქვთ, როდესაც სახელმწიფოსაგან ვერავითარ საბიუჯეტო დახმარებას ვერ იღებენ;

ეკონომიკური ურთიერთმოქმედება უშუალოდ საბაზრო კონკურენციით – კომპანიები ერთმანეთს შორის ურთიერთმოქმედებენ უშუალოდ კონკურენციის საფუძველზე, არიან რა თავისუფალნი მომავალში დაიკაონ, ან გამოვიდნენ ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტიდან. აღარ არსებობს სახელმწიფო მონოპოლია, გათვალისწინებულია გაბანკროტება, მოხსნილია წინაღობები პატიოსანი კონკურენციისათვის;

გადასახადების შემცირება იმპორტსა და ექსპორტზე და იმავდროულად გადარიცხვების გაზრდა შიგა ვაჭრობაზე, შრომის ანაზღაურებასა და აქციზებზე ფუფუნების საგნების მოხმარების კონტროლის გასაუმჯობესებლად, საშემოსავლო გადასახადების სისტემის გასამარტივებლად, ლიცენზიის მიღების მინიმალური ღირებულების გაზრდა;

გადასახადების ადმინისტრირების გაძლიერება – მონიტორინგის სისტემის სრულყოფა, გადასახადების აკრეფის ინსტიტუციების რეორგანიზაცია;


მაკროეკონომიკური რეფორმები
• სტრუქტურულ ადაპტაციათა პოლიტიკა
• სტაბილიზაციის პოლიტიკა
პრივატიზაცია
• საკუთრების გადაცემა
• სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურიზაცია
• პასუხისმგებლობის დელეგირება კერძო სექტორზე
ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუციები
• საკუთრების უფლებების სისტემა
• ფინანსური ინსტიტუციები
• მარკეტინგი და განაწილების სისტემა
• შრომის ბაზრის ინსტიტუციები
• შაქმიანი კანონმდებლობის სისტემა
საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების პოლიტიკა
ბაზრის განვითარება
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციები
პოლიტიკური რეფორმები
• დემოკრატიზაცია
• დეცენტრალიზაცია
• დერეგულირება
კერძო სექტორის განვითარება
• მცირე და საშუალო ბიზნესი
• მსხვილი კომპანიები
• საერთაშორისო კომპანიები
ადამიანური რესურსების განვითარების ინსტიტუციები
• სოციალური დაცვის პოლიტიკა
• ბიზნესის სწავლებისა და კვლევების ინსტიტუციები
• ზოგადი განათლების სისტემა

აღრიცხვის უფრო ეფექტური სისტემის შექმნა და მეტი გამჭვირვალობა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაში, დაფარული სუბსიდიების შემცირება, ყველანაირი დანახარჯების მომცველი გამჭვირვალე წლიური ანგარიშები, სახელმწიფო ადმინისტრაციაზე დანახარჯების შემცირება;

იმ სახელმწიფო საწარმოთა რესტრუქტურიზაცია, რომლებიც არ ექვემდებარებიან პრივატიზაციას, სუბსიდიების მოცულობების შემცირებას, ეფექტურობისა და უკუგების ამაღლებას;

საბანკო სისტემის განახლება და გაძლიერება;

ფასწარმოქმნისა და ფასებზე სახელმწიფო კონტროლის ხარისხის შემცირების რეფორმები, ფასების პოლიტიკაში მეტი მოქნილობის უზრუნველყოფა, ეკონომიკის გამონთავისუფლება ფასების დისბალანსისგან. ეს რეფორმები მიმართულია წარმოებისა და ბაზრის ფაქტორების რეალური კონკურენციის შესაქმნელად, აგრეთვე ფინანსური დისციპლინისა და კომპანიების ბაზრებში შეღწევის წასახალისებლად;

ასეთი სტრუქტურული რეფორმებისათვის ინსტიტუციონალური შესაძლებლობებისა და ეკონომიკური სტაბილიზაციის განვითარება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც სურთ გამოაცოცხლონ თავიანთი ეკონომიკა. ერებმა თავად უნდა აირჩიონ ის გზა, რომლის მიხედვითაც სურთ იარონ თავიანთი გრძელვადიანი განვითარებისაკენ.

რამდენიმე ხნის წინ ითვლებოდა, რომ არსებობს განვითარების ორი ფუნდამენტალური მოდელი – საბაზრო ეკონომიკა და ცენტრალიზებული (სოციალისტური) ეკონომიკა. გასული საუკუნის ბოლოს მომხდარმა მოვლენებმა დაადასტურეს ცენტრალიზებული დაგეგმვის მოდელის კრახი, როგორც ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის, ასევე სოციალური მიღწევების თვალსაზრისით. ამასთან, განვითარების გზის არჩევა არც დღეისათვის არის აბსოლუტურად ნათელი. დღეისათვის ჩვენ საქმე გვაქვს ნაკლებად ნათელ და უფრო რთულ არჩევანთან საბაზრო სისტემის ჩარჩოებში.

მოკლედ განვიხილოთ საბაზრო ეკონომიკის ორი მოდელი, ერთი "განვითარების ამერიკული გზა" და მეორე "განვითარების ევროპული (იაპონური) გზა" (ცხრილი 7)

ცხრილი 7

განვითარების ორი გზა

ამერიკული გზა	ევროპული (იაპონური) გზა
მაღალი კონკურენტუნარიანობა	კონკურენტუნარიანობა დაბალია
მაღალი მწარმოებლურობა	ნაკლებია მწარმოებლურობა
მაღალი მოგება	ნაკლებია მოგება
მაღალი დასაქმება	მაღალია უმუშევრობა
მეწარმეობისადმი პატივისცემა	მეწარმეობის დაბალი სტატუსი
შრომის ბაზრის დერეგულირება	მკაცრი შრომის ბაზარი
მაღალი შრომითი მობილურობა	დაბალი შრომითი მობილურობა
მენტალობა – დაიქირავე და გაანთავისუფლე	დაქირავება შენარჩუნებისათვის
დასაქმების დაბალი გარანტია	დასაქმების მაღალი გარანტია
დაბალი "სახელმწიფო უზრუნველყოფა"	მაღალი "სახელმწიფო უზრუნველყოფა"
კონკურენციის ნაკლები ბარიერები	კონკურენციის მეტი ბარიერები
ნაკლები სახელმწიფო ჩარევა და კონკტროლი	მეტი სახელმწიფო ჩარევა და კონტროლი

ჩვენი მიზანი არ არის რჩევების მიცემა, თუ რომელი მოდელია უფრო მისაღები ამა თუ იმ ქვეყნისავის, ეს თავად ქვეყნების მთავრობათა და მოსახლეობის გადასაწყვეტია. თუმცა ერთი ქვეყნის ფარგლებშიც კი შეიძლება იყოს აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, ბევრი პოლიტიკოსი და სამთავრობო ლიდერი ბევრ ქვეყანაში (მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც) შეიძლება იხრებოდეს განვითარების ევროპული (იაპონური) გზისაკენ – ეს უზრუნველყოფს მეტ ძალაუფლებას, მეტ კონტროლს, სოციალური პრობლემების მეტ მოკლევადიან გადაწყვეტილებებს (თუმცა არც თუ სავალდებულო ეფექტურ გადაწყვეტილებებს), მეტ პოპულიზმს და მეტ ალბათობას ხელმეორედ იქნან არჩეულნი. მეორე მხრივ, ბიზნესისა და მეწარმეობის ბევრი ლიდერი ევროპაში უპირატესობას ანიჭებს განვითარების ამერიკულ გზას – მეტი ინოვაციები, დინამიზმი, შემოქმედებითობა, მობილურობა, მოგება და გამოწვევები. ლოგიკურად იბადება კითხვა, არსებობს კი მესამე გზა? შეიძლება არსებობს კიდევაც, მაგრამ დღეს, მსოფლიოში სხვადასხვა პოლიტიკების, ბიზნესისა და კულტურათა არსებობის მიუხედავად, ფუნდამენტურად ახალი გზა ჯერ ჯერობით მაინც არ ჩანს. ყველაფერი რაც დღეისათვის გვაქვს – ეს არის სხვადასხვა, ხშირად ორივე გზის ეკლექტური კომბინაციები და მათ შორის მოძრაობები ოპტიმალური ბალანსის დადგენის მიზნით. ერთი რაც სავსებით ნათელია ის არის, რომ ამ ბოლო ხანებში შეიმჩნევა გარკვეული ძვრები კულტურულ და საქმიან ღირებულებებში მე-7 ცხრილის მარჯვენა სვეტიდან მარცხენა სვეტისაკენ. თუმცა ზოგ შემთხვევაში ასევე შეიმჩნევა მარცხენა სვეტიდან მარჯვენა სვეტისაკენ მოძრაობა. კერძოდ, ძვრები კორპორაციის მეტი სოციალური პასუხისმგებლობისაკენ. მაგრამ სოციალური პასუხისმგებლობის ამ სფეროშიც კი არსებობს ტენდენციები სახელმწიფოსაგან თავად კომპანიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართულებით ძალაუფლების უფრო მეტად დეცენტრალიზაციისაკენ.

ამასთან, ამ ორ მოდელს შორის ბალანსის ამორჩევა – ეს არის პოლიტიკური არჩევანი, რომელიც უნდა გაკეთდეს თავად ქვეყნების მოსახლეობის, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციებისა და პარტიების მიერ. ასეთი არჩევანი წარმატებული რომ იყოს, ამისათვის ქვეყნებს მოეთხოვებათ იქონიონ კარგად განვითარებული ინსტიტუციონალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიონალიზმის მაღალ დონეს პოლიტიკოსებისათვის გადაწყვეტილებების მიღებისას რჩევების მიცემის საქმეში, ისევე როგორც გახსნილი სოციალური დიალოგის მექანიზმი. ამდენად, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური რეფორმები აუცილებელია როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეებზე.

ასეთი რეფორმის საწყისი წერტილი შეიძლება იყოს კონცეპტუალური და პრაქტიკული ნახტომი მიდგომისადმი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი პოლიტიკის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ასპექტების ინტეგრირებას. ტრადიციულმა ფრაგმენტალურმა მიდგომამ, რასაც ადგილი აქვს თითოეულ ასპექტთან ცალ-ცალკე, დაამტკიცა თავისი უუნარობა და არაეფექტურობა. ეკონომიკური პოლიტიკის უპირატესობის მიდგომა, რაც იმას გულისხმობდა, რომ სოციალურმა მიზნებმა შეიძლება მოიცადონ და მიღწეულ იქნან მოგვიანებით, ილუზიური აღმოჩნდა. ასეთი ჩავარდნების ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი მიდგომა იგნორირებას უკეთებს მკაცრ ურთიერთკავშირს განვითარების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს შორის.

ქვემოთ მოცემულია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ბოლო ცვლილებები სამთავრობო პოლიტიკებში, სტრატეგიებსა და ინსტიტუციონალურ მექანიზმებში, რომლებსაც იყენებენ სპეციალურად კონკურენციის ხელშესაწყობად.

3.2 მაკროეკონომიკური პოლიტიკები

სტრუქტურული ცვლილებების შემუშავებისა და ეფექტურად გატარების შესაძლებლობების, აგრეთვე ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკის განვითარება, უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც თავიანთი ბაზრების გამოცოცხლებისაკენ მიისწრაფიან.

ეკონომიკური რეფორმების მთავარი მიზანი შეიძლება იყოს ისეთი სისტემის შექმნა, სადაც:

ა)თავისუფლად იქნებოდა შესაძლებელი ბაზრებზე საქონლის გაყიდვა და ყიდვა;

ბ) ბაზრები კონკურენტუნარიანია;

გ) ფასები რეალურად ასახავენ ეკონომიკურ დეფიციტს;

დ) გადაწყვეტილებები მიიღება ბაზრის კანონების შესაბამისად;

ე) მწარმოებლები მიისწრაფიან მოგების მაქსიმიზაციისაკენ.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური მიზანია – ისეთი სისტემის შექმნა, რომელშიც ყველა საქონელი და მომსახურება ხელმისაწვდომია გაყიდვისა და შეძენისათვის, ბაზრები კონკურენტუნარიანია, ფასები ეკონომომიკაში ასახავენ რეალურ ფარდობით დეფიციტს, გადაწყვეტილებების მიმღებები ბაზრის წესების შესაბამისად იქცევიან და მწარმოებლები მოგების მაქსიმიზაციას ცდილობენ.

კონკურენციის მაკროეკონომიკური პოლიტიკა ცდილობს შეცვალოს წარმოებისა და მოხმარების ეკონომიკური სტრუქტურა ბაზრის სიგნალებზე მწარმოებელთა მხრიდან ეფექტიანობისა და მოქნილობის ამაღლების გზით, ასევე შექმნას მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც განიცდიან ღრმა ეკონომიკურ ვარდნას, დეპრესიას, ან ეკონომიკურ არამდგრადობას სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად. ამ შემთხვევებში რეკომენდებულია მიღებულ იქნას რიგი ღონისძიებებისა მიმართული ინფლაციის კონტროლისა და სტაბილურობის აღსადგენად დაგროვებისა და ინვესტიციების ამაღლების გზით, ამასთან ასეთი ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს ეკონომიკის მგრძნობიარობის შემცირებისაკენ მათი შიგა თუ გარე რყევების მიმართ.

ასეთი პოლიტიკა ჩვეულებრივ მიმართულია ფინანსური და მონეტარული რეფორმებისაკენ, რათა ბალანსირებული გახადოს სახელმწიფო ბიუჯეტი, შეამციროს გადასახადების განაკვეთები და შექმნას გადასახადების აკრეფის სამართლიანი და ერთიანი სისტემა. ამავე დროს მათი მიზანია ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია, რათა კერძო ინვესტორებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს კაპიტალი და ბაზრის საშუალებით დადგინდეს რეალური საპროცენტო განაკვეთები.

ბევრ ქვეყანაში სტაბილიზაციის პოლიტიკა მიმართულია ასევე საგარეო ვალების გადახდის გრაფიკის გადახედვისა და საერთაშორისო გადახდებში დისბალანსის აღმოფხვრისაკენ. აუცილებელია ასევე სახელმწიფოს მხრიდან მიწოდებული ცალკეული სახის საქონლისა და მომსახურების სუბსიდირებაზე უარის თქმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტაბილიზაციის პოლიტიკა არ შეიძლება იყოს წარმატებული სტრუქტურული გარდაქმნებისა და ინსტიტუციონალური განვითარების გარეშე.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია ასევე მნიშვნელოვანია ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. თუმცა, თავისთავად სტაბილურობა ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას, ამასთან არასტაბილურობა კი ნამდვილად ვნებს კონკურენტუნარიანობას. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნები ხშირად იყენებენ კონკურენტუნარიანობის სტრატეგიას ფინანსური კრიზისის

დროს, გამოწვეულს საგადასახადო ბალანსის გადამეტებული დეფიციტითა და მაღალი ინფლაციით. ასეთ პირობებში აწეული სავალუტო კურსები შეიძლება იყოს ექსპანსიონისტური ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის, ასევე სავალუტო კურსის კონტროლის შედეგი. ამის შედეგად წარმოიშვება ***მაკროეკონომიკური არამდგრადობა***, რომელმაც შეიძლება გააგზავნოს შეცდომაში შემყვანი სიგნალები ინვესტორის მიერ რესურსების გაადგილების მომგებიანობის შესახებ და ფულის მიწოდების შემცირება გამოიწვიოს. ასეთ პირობებში ძალიან ძნელი იქნებოდა კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის რეალიზაცია.

ფუნდამენტური არჩევანი აქ კეთდება ფისკალურ პოლიტიკასა და მონეტარულ ინსტრუმენტებს შორის იმ შესაძლო შედეგებით, რაც დაკავშირებულია მოცემული ინტერვენციის ხარისხზე, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს იგი წარმოების, ან მოხმარების კეთილდღეობაზე.

სავალუტო კურსების მართვის მიმართ, განსაკუთრებით კი საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეკონომიკებში, თეორიული აზრის ორი სკოლა არსებობს.

ორთოდოქსალური პოლიტიკა გულისხმობს, რომ ქვეყნებმა განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გასწიონ გაცვლითი კურსების სტაბილიზაციაზე. თუ ვალუტა დარტყმის ქვეშაა, მთავრობები უნდა ჩაერიონ საზღვარგარეთული ვალუტის ბაზრებზე, ასწიონ საპროცენტო განაკვეთები და შეამცირონ დანახარჯები, რათა დაიცვან ვალუტის ფასეულობა. ამ შეხედულებას მხარს უჭერდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და აშშ მთავრობა თავიანთ კონსულტაციებში რუსეთთან, აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკასთან 1998 წლის სავალუტო კრიზისის დროს.

მეორე სკოლა თვლის, რომ ქვეყნებმა ნება უნდა დართონ სავალუტო კურსებს თავისუფლად "იცოცონ" და განისაზღვრონ საბაზრო ძალებით, ძალიან შეზღუდული ინტერვენციებით მთავრობების, ან ცენტრალური ბანკების მიერ. ვალუტა თუ შესუსტებას დაიწყებს საბაზრო ძალების მოქმედებების შედეგად, მთავრობა უნდა დარწმუნდეს, რომ მისი სხვა პოლიტიკები გონივრულია, დასაშვებია მცირე საბიუჯეტო დეფიციტი და ფრთხილი საკრედიტო პოლიტიკა თავიანთი ცენტრალური ბანკების მიერ. თუ ეს პოლიტიკები ადეკვატურია, მაშინ მთავრობამ უბრალოდ ნება უნდა დართოს სავალუტო კურსს ბაზრის საშუალებით მოძებნოს ახალი დონე საკუთარი ვალუტის დასაცავად არც თუ განსაკუთრებული ღონისძიებებით. თუკი სხვა პოლიტიკები შეუსაბამოა, მაშინ საუკეთესო მიდგომად თავად პოლიტიკის გადახედვა ითვლება, ***მაგრამ არა ვალუტის დაცვა მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, ან ბაზარზე ჩარევით.***

მოქნილი სავალუტო კურსების ადვოკატები უფრო ახლოს არიან განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მოთხოვნებთან. ამ შემთხვევაში ნეგატიური სოციალური შედეგები ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე პირველი, ორთოდოქსალური მიდგომისას.

დღეისათვის უკვე საზოგადოდ არის მიღებული, რომ მონეტარული პოლიტიკა უნდა დგინდებოდეს დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის მიერ და დაცული უნდა იყოს პოლიტიკური ზეწოლისაგან, რადგან იგი პოლიტიკაზე ზეგავლენას ახდენს მნიშვნელოვანი დროის პერიოდის შემდეგ, ამიტომ აუცილებელია გრძელვადიანი პერსპექტივა, ხშირად კი ეს დრო პოლიტიკოსებს არა აქვთ. ახლომხედველი პოლიტიკოსები კი არცთუ იშვიათად პროვოცირებენ ხმაურს არჩევნების წინ, აქვთ რა იმედი, რომ ხმების დათვლის შემდეგ ინფლაცია არ აიწევს.

ყველაზე უფრო სავარაუდოოა ის, რომ დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი, დაცულია რა პოლიტიკური ზეგავლენისაგან, ფასების სტაბილურობის პოლიტიკას აირჩევს. ამიტომ მისი პოლიტიკა განიხილება ფინანსური ბაზრების მიერ, როგორც

ყველაზე უფრო საიმედო. *შესაბამისად, დამოუკიდებელმა ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება უზრუნველყოს უფრო დაბალი ინფლაცია და სტაბილური ზრდა.*

მიუხედავად ამისა ფისკალური პოლიტიკა ჯერ კიდევ პოლიტიკოსების ხელშია. საგადასახადო სისტემის შეცვლა ასევე იწვევს გარკვეულ ცვლილებებს შორეულ პერსპექტივაში. მაგრამ პოლიტიკოსთა დროებითი ჰორიზონტი მომდევნო არჩევნებზე შორს არ მიდის; ძალიან ხშირად ისინი გადასახადებს ამცირებენ არჩევნების წინ, რაც შემდგომში გარკვეულ დაძაბულობებს იწვევს ეკონომიკაში.

გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში ფისკალური პოლიტიკა მთავრობების არაადეკვატური ჩარევის შედეგად ირღვევა. ისინი დიდი რაოდენობით გადასახადებს აწესებენ, რათა გაზარდონ თავიანთი შემოსავლები. ამასთან ისინი აფართოებენ ინტერესთა სპეციალური ჯგუფების რაოდენობებს, რომელთათვისაც კეთდება საგადასახადო გამონაკლისები და შეღავათები, რითაც კიდევ უფრო ართულებენ გადასახადების მართვას. ასეთ პოლიტიკას ხშირად მივყავართ უთანასწორობის ამაღლებისაკენ და საბოლოო ჯამში სახელმწიფო შემოსავლები მცირდება. ბევრმა მთავრობამ, როგორც განვითარებად ისე განვითარებულ ქვეყნებში იმ დონემდე აამაღლეს საგადასახადო განაკვეთები, რომ ამან გადასახადებისაგან თავის არიდება, არაფორმალური (არალეგალური) სექტორის განვითარება და კერძო მეწარმეობის დემოტივაცია გამოიწვია.

არსებობს მოსაზრება, რომ საგადასახადო სისტემას შეუძლია უფრო ეფექტური იყოს, თუკი იგი, ისევე როგორც მონეტარული პოლიტიკა, გადაეცემოდა დამოუკიდებელ სააგენტოს – ცენტრალურ ბანკს. დღეისათვის ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური რეგულირების ნაკლებად ეფექტურ ინსტრუმენტად ითვლება ვიდრე მონეტარული ინსტრუმენტები. როგორც წესი, გადასახადები უფრო ნელი ტემპებით იცვლება პარლამენტების მიერ, ვიდრე საპროცენტო განაკვეთები. შესაბამისად, გადასახადების შემცირებით, როგორც რეაქცია ეკონომიკური ზრდის შენელებაზე, შედეგი შედარებით გვიან მიიღწევა. საგადასახადო სისტემის შესაძლებლობების შემცირება რეაგირებდეს ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებზე, თავის წილ პასუხისმგებლობას უნაწილებს მონეტარულ პოლიტიკას, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ეკონომიკური ძვრები, ან რეცესია.

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ფისკალური პოლიტიკა უკეთესად ეგუება ნომინალური მოთხოვნების მართვას, რადგან მისი რეალიზაციის შემდეგ იგი უფრო სწრაფად ზემოქმედებს ეკონომიკაზე, ვიდრე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. უფრო მეტიც, მონეტარული პოლიტიკის ეფექტს აქვს ტენდენცია გადანაწილდეს მთელ ეკონომიკაში ნაკლებად თანაზომიერად, ვიდრე ფისკალური ზეგავლენის პოლიტიკას.

ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, ავსტრალია და ახალი ზელანდია, ითვლება პიონერებად რეფორმებში, რის შედეგადაც ფისკალური პოლიტიკა უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულია.

ავსტრალიის ბიზნესის საბჭომ საგადასახადო პოლიტიკის დამოუკიდებელი სააგენტოს შექმნა შეთავაზა, რომელსაც უფლება ექნებოდა განეხორციელებინა საგადასახადო განაკვეთების მცირე კორექტივები ეკონომიკურ ცვლილებებზე საპასუხოდ. ეს გარკვეულწილად შეამცირებდა ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას დროში და იზოლირებული იქნებოდა პოლიტიკური ზეგავლენისაგან. ამავე დროს, მთავრობა მაინც დაიტოვებდა სოციალური დახმარებების მოცულობების განსაზღვრის, საგადასახადო სისტემის სტრუქტურისა და საბიუჯეტო დეფიციტის გრძელვადიანი მიზნების დადგენის ფუნქციებს.

დამოუკიდებელ ფისკალურ ორგანოს უფლება მიენიჭა გაზარდოს, ან შეამციროს საშემოსავლო გადასახადი მცირე დიაპაზონის ფარგლებში არსებული განაკვეთების ორივე მიმართულებით (ერთიდან რამოდენიმე პროცენტამდე). თუ

ასეთი ორგანო გრძნობს, რომ ეკონომიკა "გადახურდა", იგი მაღლა წევს საგადასახადო განაკვეთებს; ხოლო თუ დგება რეცესია – ამცირებს მათ. ასეთი ღონისძიებები მნიშვნელოვნად ამსუბუქებენ დაწოლას მონეტარულ ინსტრუმენტებზე და მათ ნაკლებად ხისტად ხდიან. ფინანსური ექსცესების ნიშნების მქონე ეკონომიკაში, დამოუკიდებელი სააგენტოს მიერ გადასახადების შემცირება ნაკლებად უსაფრთხო შეიძლება იყოს, ვიდრე კრედიტების შემსუბუქება, ან კაპიტალზე ხელმისაწვდომობა.

ფისკალური რეფორმების ყველაზე უფრო ზოგადი კომპონენტები, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკისა და განვითარებადი ქვეყნებისათვის, უნდა იყოს:

- იმპორტსა და ექსპორტზე გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებიდან გადასვლა შიგა გაყიდვებისა და აქციზების გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლებზე, რათა გაკონტროლდეს მოხმარება ფუფუნების საგნებზე;
- ბრუნვაზე გადასახადების გამარტივება;
- დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის შემოტანა;
- ინდივიდუალურ შემოსავალსა და მოგებაზე გადასახადის რესტრუქტურიზაცია;
- საგადასახადო ადმინისტრირების გაძლიერება, საგადასახადო ოფისების რესტრუქტურიზაცია, სწავლებისა და მოტივაციის, აგრეთვე პერსონალის მართვის გაუმჯობესება;
- არასაწარმოო დანახარჯების შემცირება, გადასახადის გადამხდელთა ანგარიშების გამჭვირვალობის გაუმჯობესება, მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ფონდის (და არა თავად ხელფასების) შემცირება, ირიბი შემოწმებებისა და კვლევების შემცირება.

მაკროეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიებები მეტ-ნაკლებად ერთნაირია ქვეყნების უმრავლესობისათვის. ისინი მოიცავენ:

- დაბალი საბიუჯეტო დეფიციტის მხარდაჭერა;
- ინფლაციის ზომიერად მკაცრი კონტროლი;
- კონკურენტული და გონივრულად მოქნილი ვალუტის გაცვლითი კურსების მხარდაჭერა;
- დანაზოგების, ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, რათა დაზღვეული იყოს ეკონომიკური კრიზისები.

3.3 საგარეო ვაჭრობის მხარდამჭერი პოლიტიკა

ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკები ხასიათდებიან ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკით და დამმუშავებელი მრეწველობის ნაკეთობათა ექსპორტის ზრდით. მაგალითად, უფრო კონკურენტუნარიან რეგიონებში, ისეთები როგორიცაა აღმოსავლეთ აზია და ლათინური ამერიკა, დაფიქსირდა ექსპორტის 15%–იანი საშუალო წლიური ზრდა 1980–1996 წლებში, ხოლო ნაკლებად კონკურენტუნარიან რეგიონებში, ისეთებში როგორიცაა სამხრეთ აზია და აფრიკა ეს მაჩვენებელი იყო 12 და 6% შესაბამისად. რაც შეეხება მაღალი კვალიფიკაციის და ტექნოლოგიების ბაზაზე დაფუძნებული პროდუქტებისა და მომსახურების ექსპორტის წილს, ისიც ბევრად მაღალია შედარებით კონკურენტუნარიან რეგიონებში. კერძოდ, აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში ეს მაჩვენებელი შეადგენს 45 და 20%, ხოლო სამხრეთ აზიასა და აფრიკაში კი 5 და 2.5% შესაბამისად.

დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტი მოქმედებდა როგორც

მამოძრავებელი ძალა ყველაზე უფრო წარმატებულ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. მოწინავე ტექნოლოგიები ასევე ემსახურებოდნენ მამოძრავებელ ძალად ექსპორტისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში (ცხრილი 8).

ცხრილი 8

ბიძგები დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტში მოწინავე ტექნოლოგიების ბაზაზე (%)

ტექნოლოგიები	1980 წელი	1990 წელი	1996 წელი
ექსპორტი:			
რესურსების	19.5	15.5	13.7
დაბალი ტექნოლოგიების	25.3	23.7	21.3
საშუალო ტექნოლოგიების	38.6	38.5	37.3
მაღალი ტექნოლოგიების	16.5	22.2	27.7

ექსპორტი მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე განუხრელად იზრდება. დაბეჯითებული მიზეზები არსებობს საიმისოდ, რომ დავასკვნათ – ექსპორტს, რომელშიც დომინირებს მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტები, გაცილებით უკეთესი პერსპექტივები გააჩნიათ ზრდისა და კონკურენტუნარიანობის სტიმულირებისათვის, ვიდრე ექსპორტის სხვა ტიპებს.

ტექნოლოგიურად ინტენსიური პროდუქცია:

ჩვეულებრივ სარგებლობს მზარდი მოთხოვნით და ნაკლებად ექვემდებარება ახალი კონკურენციის საშიშროებას;

იგი გვთავაზობს უფრო მაღალ შემეცნებით პოტენციალს და მეტ შესაზლებლობებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უწყვეტი გამოყენებისათვის;

იგი უფრო მოქნილია და უკეთესად რეაგირებს კონკურენციის სწრაფად ცვალებად პირობებზე.

ამასთან ერთად, ექსპორტის სუსტი კონკურენტუნარიანობა ამუხრუჭებს ეკონომიკურ განვითარებას, რადგან იგი ქვეყანას ართმევს შესაძლებლობას გაზარდოს დანაზოგები, დააგროვოს კაპიტალი და უცხოური ვალუტა, ასევე ართულებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ასუსტებს საერთაშორისო კოოპერაციასა და ბაზრების გლობალურ ქსელში ჩართვას.

ექსპორტის მხარდაჭერის პოლიტიკა საკმაოდ განსხვავდება რეგიონების მიხედვით. აღმოსავლეთ აზიის მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ საექსპორტო დარგების მიმართ გამოიყენება სახელმწიფოებრივი ჩარევების სხვადასხვა ფორმები, ისეთები როგორიცაა საექსპორტო სუბსიდიები, იმპორტული ლიცენზიები, არატარიფული ბარიერები, პრეფერენციული კრედიტი, პრივილიგირებული ხელმისაწვდომობა კვოტებზე და სხვა. მას შემდეგ, რაც ასეთი საექსპორტო დარგები გაძლიერდნენ, მთავრობები ამცირებდნენ მხარდაჭერის როლს შიგა და გარე ზეგავლენების შედეგად.

რაც შეეხება ლათინურ ამერიკასა და სხვა განვითარებადი რეგიონების სახელმწიფოებრივ ჩარევებს, ისინი გამოყენებულია არა საექპორტო დარგების მხარდასაჭერად, როგორც ეს იყო პირველ შემთხვევაში, არამედ პირიქით იმპორტზე ორიენტირებული დარგებისათვის. როდესაც დაიწყო ეკონომიკისა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ბევრმა ქვეყანამ გახსნა თავიანთი ეკონომიკები იქამდე, ვიდრე ისინი შიგა ბაზრებზე გახდებოდნენ კონკურენტულნი. ამის შედეგად

მოხდა ეკონომიკური დისლოკაცია, რომელმაც გამოიწვია ბევრი ფირმის დახურვა, სამუშაოების დაკარგვა, ცხოვრების დონის და სოციალური პირობების გაუარესება. იგივე მოხდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე რიგ ქვეყნებში 90–ან წლებში.

სავაჭრო ლიბერალიზაცია მოიცავს ტარიფების შემცირებას, საექსპორტო კვოტების გაუქმებას და საკუთრების ტრანსფერტზე შეზღუდვების შემცირებას საიმპორტო ბარიერების შემსუბუქების მიზნით. მნიშვნელოვანია ასევე ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, გამჭვირვალე და უნივერსალური სავაჭრო რეგულირების შექმნა, იმპორტული დეპოზიტების და ექსპორტში ეროვნული წილის მოთხოვნების ლიკვიდაცია, ტექნოლოგიების გადაცემაზე შეზღუდვების შემცირება. პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტებია ასევე "საბაჟო მავთულების" შემცირება, ლიცენზირებისა და გადასაწყვეტი პროცედურებისას ბიუროკრატური ბარიერების ლიკვიდაცია. ყველა ეს ელემენტი აუცილებელი გასათვალისწინებელია ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, მიმართული ვაჭრობის თავისუფალი სისტემისაკენ ექსპორტისა და იმპორტისათვის ბარიერების შემცირების მიმართულებით, მოიცავს:

- **საექსპორტო ბარიერების შემცირება შიგა ბაზარზე მომუშავე ეროვნული და უცხოური კომპანიებისათვის შეზღუდვების გაუქმებით, ვალუტის კონვერტირების კონტროლის შემცირება, ფონდების გადაცემაზე გადასახადების შესუსტება, კაპიტალის, დივიდენდების, მოგებების, კადრებისა და ტექნოლოგიების ურთიერთშერწყმა;**
- **საიმპორტო ბარიერების შემცირება საიმპორტო ტარიფების დაწევით, იმპორტზე კვოტების მოხსნით, საკუთრების გადაცემაზე შეზღუდვების გაუქმებითა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფით; ისეთი გამჭვირვალე ნორმატიული ბაზის შემოტანა, რომელიც მოხსნიდა საიმპორტო დეპოზიტების აუცილებლობას, შეამცირებდა პროდუქტების მოძიებას იმპორტის პროცესში, შეამსუბუქებდა უცხოური ტექნოლოგიების გადაცემას;**
- **ბაზარზე შესვლის ისეთი შიგა ბარიერების (საბაჟო შეფერხებები და ლიცენზირება, ნებართვების გაცემის ბიუროკრატული პროცესები და სხვა) გაუქმება, რომლებიც ამუხრუჭებენ საიმპორტო და საექსპორტო საქმიანობას; მარკენტინგზე ხელმისაწვდომობის გაფართოება, ფასებზე კონტროლის გაუქმება, უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის გონიერი ნორმატიული ბაზის უზრუნველყოფა;**
- **ექსპორტიორი კომპანიების განთავისუფლება საშემოსავლო გადასახადისაგან, საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიებისათვის საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება;**
- **შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, რომელიც გამორიცხავდა დისკრიმინაციას ექსპორტის იმპორტით მონაცვლე წარმოების სასარგებლოდ.**

3.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა

მთავრობის დამოკიდებულება უცხოური კაპიტალისადმი მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების კარგად და ბალანსირებულად შემუშავებულ სტრატეგიაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ტექნოლოგიური პროგრესის მისაღწევად უფრო მოკლე გზად მიიჩნევა ვიდრე საგარეო ვაჭრობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ლიბერალიზაციის ტენდენციები გაძლიერდა

წინა საუკუნის ბოლოს და დღესაც გრძელდება. უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის წარსულში არსებული შეზღუდვები დღეისათვის საკმაოდ მცირდება, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორცაა ტელეკომუნიკაცია, ტრანსპორტი, ელექტრონიკა, ფინანსური მომსახურება, ბიოტექნოლოგია, კომუნალური მომსახურება, ინფრასტრუქტურა. ტექნოლოლოგიების გადაცემა ასევე შეიცვალა ე.წ. "მყარი ტექნოლოგიებიდან" უფრო "რბილი ტექნოლოგიებით" (პროცესები, ცოდნა, პროგრამები). მათ:

- გააუმჯობესეს უცხოურ ბაზრებზე ხელმისაწვდომობა და უზრუნველყვეს ინტერნაციონალიზაციის ადგილისა და მოდელის შერჩევა უცხოური ინვესტიციების, ლიცენზირების, სუბკონტრაქტებისა და ფრანჩაიზინგის საშუალებით;
- გააუმჯობესეს უცხოური რესურსებისა და ისეთი საწარმოო ფაქტორებისადმი ხელმისაწვდომობა, როგორიცაა არამობილური, არაკვალიფიციური, იაფი სამუშაო ძალა, კონკურენტული კვალიფიციური სამუშაო ძალა და პროფესიონალები კვლევებსა და დამუშავებებში;
- ხელმისაწვდომი გახადეს ტნკ – ის მოძრაობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ინტეგრირებული საერთაშორისო საწარმოო სისტემების დადგენისა და მწარმოებლურობის მაქსიმიზაციის მიმართულებით;
- შეცვალეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაადგილების სხვდასხვა ფაქტორების შეფარდებითი მნიშვნელობა სატარიფო ბარიერების შემცირების, შიგა საწარმოო ვაჭრობის წილის გაზრდის, დანახარჯების შემცირების, ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესებისა და კვალიფიკაციებისადმი ხელმისაწვდომობის გზით.

მიუხედავათ ამისა, მხოლოდ გარკვეული რაოდენობის განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა მოახერხეს ასეთ სისტემებში მონაწილეობა. ამისი ძირითადი მიზეზებია მრავალრიცხოვანი პრობლემების არსებობა საინვესტიციო გარემოში: დიდი დანაკარგები, არამწარმოებლური და დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალა, სახელმწიფო ადმინისტრაციის მაღალ ეშელონებში არსებული კორუფცია, არაეფექტური საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, არადექვატური შრომითი სტანდარტები.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სუსტი ეროვნული სტრატეგია ასევე ახდენს ზეგავლენას ზემოაღნიშნულ პრობლემებზე. პირველ რიგში ეს არის ნათლად ჩამოუყალიბებელი კონკრეტული საინვესტიციო ბაზრები; ქვეყნის, როგორც ინვესტირების ადგილის ცუდი იმიჯი; სუსტი ფისკალური სტიმულები და უცხოური ინვესტიციების მხარდაჭერის ზედმეტად რთული და ჩახლართული პროცესი.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და შენარჩუნების პრობლემა ასევე საკმაოდ მწვავედ დგას განვითარებული ქვეყნებისთვისაც. დაახლოებით 20000 საწარმოსა და ფირმის საქმიანობის შესწავლამ (2000წ) ექსპერტებს დაანახვა, რომ მათი 25% მომავალში სიტუაციის გაუარესებას ელოდა და მართლებიც აღმოჩნდნენ. კომპანიების რაოდენობა, რომლებიც გეგმავდნენ თანამშრომელთა რაოდენობის შემცირებას, გაიზარდა 21% - დან 26% - მდე, ზოგიერთი კომპანია კი საერთოდ გეგმავდა გერმანიიდან წასვლას. მაგალითად, კომპანია "სონი"-მ თავისი ტელევიზორების საამწყობო ქარხანა მაღალი შრომითი დანახარჯების გამო გერმანიიდან დიდ ბრიტანეთში გადაიტანა.

კომპრომისებისადმი წინააღმდეგობა "დაეხმარა" საფრანგეთს მოეპოვებინა "ევროპაში ბიზნესისათვის ყველაზე უფრო რთული ქვეყნის" სახელი (ცხრილი 9).

ცხრილი 9

ბიზნესის მიმზიდველობა ევროპული ქვეყნების მიხედვით

რთულია ბიზნესის წარმოება	(%)	ბიზნესის წარმოების პერსპექტივები	(%)
საფრანგეთი	29	დიდი ბრიტანეთი	48
გერმანია	22	გერმანია	35
იტალია	20	ესპანეთი	24
დიდი ბრიტანეთი	22	ჰოლანდია	23
ესპანეთი	10	საფრანგეთი	21

გერმანიიდან კაპიტალის გადინება დღესაც მიმდინარეობს და განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც შესაძლებელია გადასახადების გადახდის შემდეგ უფრო მეტი შემოსავლების მიღება. ცხრილი 9 მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ რესპონდენტთა 48% დიდ ბრიტანეთს მიიჩნევს სამომავლოდ ბიზნესის საწარმოებლად საჭირო პოლიტიკური კლიმატის მქონე ყველაზე უფრო მიმზიდველ რეგიონად. დღეისათვის იქ ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო მოქნილი შრომითი კანონმდებლობა და შრომის მართვის პრაქტიკა არსებობს. ***ირლანდიამ*** მოახერხა თავისი შრომითი დანახარჯების შედარებით დაბალ დონეზე შენარჩუნება და უცხოური კომპანიების თავისთან მიზიდვა ევროპაში ყველაზე უფრო დაბალი კორპორატიული გადასახადების არსებობის ხარჯზე. დღეისათვის ირლანდიის მიერ მოზიდული ამერიკული ინვესტიციები აღემატება გერმანიასა და იტალიაში არსებულ ამერიკულ ინვესტიციებს ერთად აღებულს, ამ ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონე 8%-ია ევროკავშირში არსებული საშუალოდ 10%-ის ფონზე. შემდეგი კარგი მაგალითია ***ჰოლანდია,*** რომელმაც იმდენად გაამარტივა პოლიტიკური გარემო სამეწარმეო საქმიანობისათვის, რომ უმუშევრობა 4%-მდე შეამცირა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ***სინგაპური.*** ამ ქვეყნის ბანკები მხოლოდ იმ კომპანიებს აძლევენ ფინანსებს, რომლებსაც მათი ნაყოფიერად გამოყენება შეუძლიათ და დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა კრედიტი გადახდილი იქნება. ამ ქვეყანას აქვს გახსნილი ბაზრები, ჰყავს არაკორუმპირებული მთავრობა და სოლიდური ფინანსური სისტემა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ეკონომიკური ჩავარდნის გარეშე რეგიონალური შოკის აბსორბცია 1998 წლის ფინანსური კრიზისისა და 2001 წლის ეკონომიკური რეცესიისგან.

ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემდეგი სამი ძირითადი დეტერმინანტი არსებობს:

- სტრუქტურული პოლიტიკა;
- ეკონომიკური დეტერმინანტები;
- ბიზნესის შემსუბუქების ღონისძიებები.

წარმატებული სტრატეგიის ძირითად დეტერმინანტს წარმოადგენს მიმღები ქვეყნის მიმზიდველი გარემო – ინფრასტრუქტურის განვითარება, კვალიფიკაციათა მრავალფეროვნება, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა.

ასევე გასათვალისწინებელია ინვესტიციების სხვა დამატებითი ისეთი დეტერმინანტების არსებობა, როგორიცაა მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ლიბერალიზაციის ხარისხი, მოქნილი საქმიანი კანონმდებლობა და რეგულირება, გახსნილობა გლობალური ბაზრებისათვის, სამთავრობო მხარდაჭერები გადასახადების, კრედიტების, ადგილობრივი რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის

და სხვა პრეფერენციული ურთიერთობების გზით, კორუფციისა და დამნაშავეობის დაბალი დონე, განსაკუთრებით ორგანიზაციულის, ეროვნული და საექსპორტო ბაზრების მოსალოდნელი ზრდა, მუშაკთა მწარმოებლურობა და ჩვევები, მათი კულტურა და შემოქმედებითობა, ინვესტიციებისადმი გახსნილობა და მობილურობა.

ასე რომ, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის განვითარება ერთადერთ მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს, რომელიც ქვეყნებმა უნდა გაიღონ რათა მოიზიდონ და მხარი დაუჭირონ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. საინვესტიციო კლიმატის შექმნის პოლიტიკა შემდეგ ოთხ ბლოკს მოიცავს:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ლიბერალიზაცია და ბაზრის ბალანსირების დარღვევის შემცირება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის პოლიტიკის რეალიზაცია;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესამსუბუქებელი საერთო სამართლებრივი სტრუქტურის შექმნა;
- სხვა ეკონომიკური ტრანსაქციების ლიბერალიზაცია.

3.5 ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიის განვითარების პოლიტიკა

ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების მხარდამჭერი პოლიტიკის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ტექნოლოგიურად მოწინავე უცხოელ პარტნიორებთან კავშირების მხარდაჭერა, ბიურიკრატიის შემცირება, ვაჭრობაში ბარიერების მოშლა და ეკონომიკის ლიბერალიზაცია.

1992–1997 წლებში ლათინური ამერიკა ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიაზე გაწეული დანახარჯების მიხედვით მეორე სწრაფად მზარდი რეგიონი იყო წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების შემდეგ. ინტერნეტით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა წელიწადში 50%-ით იზრდებოდა. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი ისეთი სირთულე არსებობს, როგორიცაა კომპიუტერების მწარმოებელი ადგილობრივი მრეწველობის პროტექციონიზმი, ბიზნესთან დაკავშირებული სატელეკომუნიკაციო კავშირების გადაჭარბებული რეგულირება. თუ აშშ–ში ხორციელდება მსოფლიო კერძო ვენჩურული კაპიტალის 70%–ის ოპერირება, ლათინურ ამერიკაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 5%–მდეა.

გადაჭარბებული რეგულირება და მაღალი საეტელეფონო ანგარიშები, ისევე როგორც ინტერნეტის ახალი ბიზნესის შესაქმნელად მიმდინარე რბოლები ევროპაში, მათი შემდგომი განვითარების მუხრუჭის მიზეზი ხდება. მაღალი ღირებულება და ინფრასტრუქტურული პრობლემები – ეს არის ორი ძირითადი მიზეზთაგანი, რატომაც ევროპა ჩამორჩება აშშ-ს ელექტრონულ კომერციაში. ინტერნეტის მომხმარებელთა დიდი ნაწილი ევროპაში ზღუდავს ინტერნეტით სარგებლობის დროს იმის გამო, რომ მისი დაახლოებით 80% შეადგენს ტელეფონით სარგებლობის გადასახადს. ევროპული სატელეფონო კომპანიები რეგულირების ისეთ რეჟიმს იყენებენ, რომელიც საშუალებას აძლევს მათ ამოიღონ გადასახადები ინტერნეტით ყოველ წუთიერი სარგებლობისათვის. ევროპაში არსებული 300 კილომეტრიანი სატელეფო ხაზი საშუალოდ 12–ჯერ უფრო ძვირი ღირს ვიდრე ანალოგიური სიგრძის ხაზი მაგალითად აშშ-ში.

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები კი ზრდიან ტრანსაქციების ღირებულებას, ქმნიან საცობებს ნაკადებსა და გადაზიდვებში, ამაღლებენ სატრანპორტო დანაკარგებს. ყველაფერ ამას კი მივყავართ არაკონკურენტულ ფასებამდე, უცხოელ პარტნიორებთან გარიგებების დაკარგვამდე, ქვეყნის ცუდ რეპუტაციასა და შელახულ იმიჯამდე. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები არაადექვატური ინფრასტრუქტურით

საზღვარგარეთ მუშაობის მსურველი ფირმებისათვის სერიოზულ რისკს წარმოადგენენ. მაგალითად, ახალი და ჯანსაღი პროდუქციის ექსპორტირების მსურველი ფერმერისათვის ეს პროცესი პროდუქციის გაფუჭების და მისი ხარისხის შემცირების საკმაოდ მაღალ რისკთანაა დაკავშირებული ცუდ გზებზე მისი ტრანპორტირების გამო. ტურიზმისაგან მიღებული შემოსავლები ასევე შეიძლება შემცირდეს ცუდი საკანალიზაციო და სანიტარული სისტემის გამო.

3.6 მთავრობის პოლიტიკა ადამიანური კაპიტალის ხარისხის ამაღლებაში

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დეტერმინანტს ქვეყნის შრომითი რესურსების კვალიფიკაცია და განათლების დონე წარმოადგენს. ***ადამიანური კაპიტალისა და მოწინავე ტექნოლოგიის შეძენა – ეკონომიკური ზრდისა და მაღალი ხარისხის დასაქმების შექმნის ორ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.***. ფინანსური კრიზისების დამანგრეველი ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ სამთავრობო დანახარჯების შემცირება ჩვეულებრივ იწყება განათლებიდან, ჯანმრთელობის დაცვიდან და ინფრასტრუქტურის სხვა სფეროებიდან, იმის მაგივრად, რომ შემცირდეს სუბსიდიები სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის და დანახარჯები სახელმწიფო ადმინისტარციის პერსონალისათვის. სამწუხაროდ, მუშაკთა არასაკმარისი კვალიფიკაცია ჩვეულებრივ არაპირდაპირ და ნელა მოქმედებს მწარმოებლურობასა და მომგებიანობაზე.

განათლებაში მხოლოდ ინვესტიციების ზრდა ვერ უზრუნველყოფს მისი პოტენციალის სრულ რეალიზაციას მანამ, სანამ არ ამაღლდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალასა და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე. ეკონომიკის ლიბერალიზაცია და გახსნილობა, აგრეთვე მზარდი კონკურენცია გარე ბაზრებზე დამმუშავებელ სექტორში მოღვაწე კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ. ამის გამო, არაკვალიფიციური და გაუნათლებელი სამუშაო ძალა სამუშაო ადგილის დაკარგვის უფრო მაღალი რისკის ზონაში იმყოფება, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

მოკლედ განვიხილოთ სხვადასხვა მუშაკებისათვის კვალიფიკაციათა საერთო პროფილი, რაც სასარგებლო იქნებოდა ადამიანთა რესურსების განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას:

- **მუშის დონე:** სასურველია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის მქონე განათლებული და გაწვრთნილი მუშაკების შესაბამისი რაოდენობის არსებობა;
- **ტექნიკოსისა და ოსტატის დონე:** ყველაფერი ის, რაც ეხება მუშის დონეს, დამატებული კომპიუტერული ტექნოლოგიით მოდერნიზებულ მობილურ დანადგარებზე მუშაობის უნარი;
- **ინჟინრის დონე:** ინდუსტრიული ტექნოლოგიების პრაქტიკულად გამოყენების უნარის მქონე მაღალკვალიფიციური ინჟინრების დიდი რაოდენობით მომზადება;
- **მენეჯმენტის დონე:** კარგად გაწვრთნილი მენეჯერები, რომლებსაც აქვთ უნარი შექმნან და მართონ მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის არსებული ურთიერთობები. მათ უნდა გააჩნდეთ უნარი თავი გაართვან გლობალიზაციას და მზარდ ინფორმაციულ ნაკადებს, წაახალისონ ინოვაციები და მარკეტინგი, გამოიყენონ ადამიანური რესურსებისა და პერსონალის მართვის ახალი მიდგომები, შეძლონ შეათავსონ სხვადასხვა ფუნქციები და ბიზნეს–საქმიანობა;

- **ინოვაციური დონე:** ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების ურთიერთშერწყმის უნარის მქონე პროფესიონალები, რის საფუძველზეც შეძლებდნენ კვლევით ინსტიტუტებთან და ლაბორატორიებთან კავშირების დამყარებას, თვალს მიადევნებდნენ ახალ მეცნიერულ მიღწევებს.

ამასთან ერთად, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია სახელმწიფო და კერძო ინსტიტუციური მექანიზმის სოლიდური პოლიტიკის შემუშავება, რაც უზრუნველყოფდა შესაბამის მომსახურებას განათლებისა და წრთვნის სფეროში. ამ თვალსაზრისით სახელისუფლო ჩარევის სამი ძირითადი ტიპი შეიძლება გამოიყოს, კერძოდ:

- **წვრთნის ბაზრების განვითარება და წახალისება;**
- **განათლების, პროფესიული სწავლების და მენეჯერების წვრთნის პოლიტიკისა და ინსტიტუციების სტრუქტურების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება;**
- **პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის გაგრძელება, ეკონომიკური ლიბერალიზაცია და გახსნილობა.**

ეს მოთხოვნები სერიოზული გამოწვევებია ადამიანური რესურსების განვითარებაში დღეისათვის არსებული სისტემებისა და პრაქტიკისადმი. ისინი ასევე გამოწვევაა პოლიტიკის, ინსტიტუციებისა და შრომის არსებული ბაზრებისათვის უზრუნველყონ ახალი კვალიფიკაციები მსოფლიო ბაზრებზე კონკურირებისათვის.

3.7 მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის მხარდამჭერის პოლიტიკა

მცირე და საშუალო საწარმოების ეკონომიკური მნიშვნელობის აღიარების ზრდამ, სახელმწიფოს მხრიდან მიგვიყვანა მცირე ბიზნესის მართალია დიდ, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარის მხარდამჭერამდე.

მცირე საწარმოები მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში სამართლიანად ითვლებიან ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად. მათზე მოდის ინდუსტრიულ სექტორში დასაქმებულთა 90%–მდე და სამრეწველო პროდუქციის 70%–მდე, მათი წილი ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებში 70–75% შეადგენს. ეს მაშინ, როდესაც მცირე და საშუალო საწარმოების მხოლოდ 10–15%-ია ჩართული განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო საქმიანობაში.

მცირე ბიზნესის ეფექტიანობის ასამაღლებ ძირითად ხელშემშლელი ბარიერები ისეთ სფეროებშია, როგორიცაა:

- **ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;**
- **ახალ ტექნოლოგიაზე ხელმისაწვდომობა;**
- **ბაზრებზე და საბაზრო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;**
- **აუცილებელი სატრანსპორტო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის არსებობა**

სამუშაო კაპიტალისა და ინვესტიციების ამაღლების მიზნით კონკურენტული საპროცენტო განაკვეთის შესაბამის ***ფინანსებზე ხელმისაწვდომობა*** აშკარა მოთხოვნას წარმოადგენს კონკურენტუნარიანი ექსპორტის მხარდასაჭერად. ამასთან მეწარმეები, განსაკუთრებით კი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ჩივიან მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, რაც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას საბანკო კრედიტებისადმი ძნელად ხელმისაწვდომობითა და ბანკების ოლიგოპოლიური მდგომარეობითა პრაქტიკით. იმის მიხედვით, თუ როგორ განახორციელებენ ქვეყნები თავიანთი კომპანიების

პრივატიზებასა და აღმოფხვრიან კონტროლს კაპიტალის ნაკადებზე, გლობალური ინვესტორები სულ უფრო მზარდ დაინტერესებას იჩენენ განვითარებადი რეგიონებისადმი და აბანდებენ ინვესტიციებს, შეაქვთ კონკურენციის ელემენტები ადგილობრივ საფინანსო ბაზარზე, რაც შესაბამისად საშუალებას აძლევს ადგილობრივ მეწარმეებს უფრო იოლად წამოწიონ თავიანთი კაპიტალი.

მარკეტინგში ყველაზე უფრო რთულია პირველი ნაბიჯის გადადგმა– ბაზარზე გასვლის უზრუნველყოფა და ნდობის მოპოვება. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს მხარდაჭერა საერთოდ არ არსებობს, ან როგორც წესი ძალზე მცირეა. ძალიან ბევრი სპეციალიზებული მექანიზმი არსებობს, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე ბიზნესისათვის საწარმოო სიმძლავრეებსა და საბაზრო გადაწყვეტილებებს. ასეთებია: საექსპორტო სავაჭრო სახლები, 100%-ანი საექსპორტო ცენტრები, სპეციალიზებული ზონები და სოფლები საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად და სხვა ფორმები.

სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა და შემდგომი ხელშეწყობა ცენტრალური საკითხი ხდება მრავალი ქვეყნის მთავრობებისათვის კონკურენტუნარიანი პოლიტიკის შემუშავებისას. ბევრ ქვეყანაში სიღარიბის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მათი მთავრობები (ზოგიერთ ქვეყანაში კი საზოგადოებრივი აზრი და კულტურაც) ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ სამეწარმეო საქმიანობის სათანადო მხარდაჭერას. დასაქმება იქმნება საწარმოებში, ბევრ შემთხვევაში მცირე და საშუალო კომპანიებში და არა სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო დაწესებულებების მიერ.

ექსპერტულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 60% თავიანთი მთავრობების პოლიტიკას მცირე ბიზნესის მხარდაჭერის საქმეში აფასებს როგორც "ძალიან მცირე"–ს. მცირე და საშუალო ფირმების გამოკითხულთა 65% უკმაყოფილოა თავად მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის მიმართ და მოითხოვენ თავად მიიღონ მონაწილეობა ასეთი პოლიტიკის ფორმირებაში. ამდენად, მეწარმეთა შესაბამისი კლასის შექმნა ოლიგოპოლიის მცირე ჯგუფის საწინააღმდეგოდ, დიდ ღვაწლს შეიტანდა ბიზნესის გამჭვირვალობასა და ანგარიშგებაში კანონისა და საზოგადოების წინაშე. სწორედ ასეთი გზით განვითარებულმა ქვეყნებმა წარსულში განახორციელეს სიმდიდრის შექმნა.

3.8 საბაზრო ტრანსაქციების მხარდაჭერის ძირითადი ინსტიტუციები

მაკროეკონომიკური რეფორმების გატარებისას განსაკუთრებული ყურადღება ფინანსური ინსტიტუტების განვითარებას უნდა მიექცეს, რომლებთაც საშუალება ექნებოდათ ინვესტირებისა და მეწარმეობისათვის საჭირო კრედიტები და ფინანსური რესურსები გაეცათ. აუცილებელია ასევე შრომის ბაზრის რაციონალიზაცია და ორიენტაციის შეცვლა, ფასიანი ქაღალდების ბირჟების და საკანონმდებლო ინსტიტუციების სისტემის შექმნა საკუთრებაზე უფლების ჩართვით, ასევე სოციალური ფუნქციების გამტარებელი ინსტიტუციების ჩამოყალიბება და სხვა. მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი ძირითადი მათგანი:

ა) ფინანსური ინსტიტუციები. ეს ინსტიტუციები, რომლებიც კაპიტალის ბაზარს აყალიბებენ, მოიცავენ ბანკებსა და არასაბანკო ფინანსურ შუამავლებს, ბირჟებს, საინვესტიციო ფონდებს, სადაზღვევო კომპანიებს და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ბაზრის განვითარებისათვის. კაპიტალის ბაზარი განაპირობებს საწარმოების კერძო სექტორისათვის გადაცემას, უზრუნველყოფს სავაჭრო მექანიზმების მუშაობას და კაპიტალის არასაბანკო წყაროების მიწოდებას საწარმოების პრივატიზაციისა და რესტრუქტურიზაციისათვის. კომერციული ბანკები და სხვა ფინანსური შუამავლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პრივატიზაციაში არა მარტო როგორც

კაპიტალის წყაროები, არამედ როგორც პოტენციური ინვესტორებისა და საწარმოების ფინანსური კონსულტანტები, უწევენ რა დახმარებას საწარმოების მართვასა და აქციების გაყიდვაში, აგრეთვე კრედიტების აღებაში;

ბ) შრომის ბაზრები. შრომის ბაზრის ინსტიტუციებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებდა შრომით ურთიერთობებს და დაიცავდა როგორც მეწარმეების, ასევე სხვა სფეროს მუშაკთა უფლებებს. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მუშების, დროებით უმუშევართა და მუდმივად დაუსაქმებელთა სოციალური დაცვა, ასევე უზრუნველყოს შრომითი უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა ისეთნაირად, რომ შეამციროს დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობა;

გ) მარკეტინგისა და განაწილების სისტემა. მის კომპონენტს წარმოადგენს ბაზრის დაფუძნება ისეთი მარკეტინგული ინფრასტრუქტურის მხარდასაჭერად, როგორიცაა სავაჭრო წერტები, გზები, პორტები, სასაწყობო და სატრანსპორტო ობიექტები, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო მომსახურება. განაწილების სისტემა მოიცავს საცალო და საბითუმო ვაჭრობის წერტებს, საწყობებს, რეკლამას და მარკეტინგული ინფორმაციის მიმწოდებელ ორგანიზაციებს;

დ) ეკონომიკური საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა. მომქმედმა კანონებმა უნდა დაადგინონ კორპორაციების ჩამოყალიბების წესი, ნებადართული და აკრძალული საქმიანობის სახეები, აგრეთვე პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული ნორმები. საკანონმდებლო ბაზა, როგორც მინიმუმი უნდა მოიცავდეს:

- სამრეწველო და კომერციული საწარმოების, ფირმების, კომპანიების ორგანიზაციისა და სტრუქტურისადმი მოთხოვნები, მათი უფლება–მოვალეობები და ვალდებულებები;
- უცხოური და საერთაშორისო კორპორაციების მუშაობის წესი;
- ახალი საქმის წამოწყებისა და ბიზნესიდან გამოსვლის წესი, საწარმოს რეგისტრაციის წესი, გაკოტრების შემთხვევაში მისი დახურვის, ან ლიკვიდაციის წესი, მოთხოვნები ექსპორტ–იმპორტის ოპერაციების ჩასატარებლად;
- ფასებზე და პროდუქციის შემადგენლობაზე კონტროლის განხორციელების წესი;
- კრედიტებისა და დაფინანსების მიღების წესი;
- კანონი საკუთრების უფლების შესახებ, მათ შორის უცხოური საკუთრების წილის დასაშვები დონის გათვალისწინებით ერთობლივ საწარმოებში;
- დებულება ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის კონვერტაციის ოპერაციების შესახებ;
- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და დებულება კონკურენციის შესახებ;
- საკონტრაქტო სამართალი და კონფლიქტების განხილვის წესი;
- შრომითი კანონმდებლობა და დებულება შრომის პირობების, სამუშაო დროის, შრომის მინიმალური ანაზღაურების, მენეჯერებისა და მუშა–მოსამსახურეთა ვალდებულებების შესახებ;
- კომერციული მიზნებით გამოყენებული უძრავი ქონების მართვისა და გაყიდვის დებულება;
- კორპორატიული საგადასახადო კანონმდებლობა;
- ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის წესი.

ე) სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციები. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინსტიტუციებს, რომლებიც უნდა შეიქმნას და გახდეს მხარდასაჭერი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მსურველ სახელმწიფოს მიერ, მიეკუთვნება:

- მეწარმეთა ორგანიზაციები;
- მუშათა ორგანიზაციები, პროფკავშირები;
- პროფესიონალური ასოციაციები;
- პოლიტიკური და საკონსულტაციო ჯგუფები;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები;
- ეთნიკური, რელიგიური და სხვა პოლიტიკურად ორიენტირებული ჯგუფები;
- ტერიტორიალური და სათემო ჯგუფები;
- საქველმოქმედო და ფილანტროპული ორგანიზაციები.

მსგავსი საზოგადოებრივი ინსტიტუციები მოქალაქეებს ეხმარებიან უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, შექმნან ხელსაყრელი პირობები კერძო საწარმოების საქმიანობისათვის, ასევე შეამსუბუქონ საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება მთავრობისა და საქმიანი წრეების მოქმედებებზე.

ვ) ადამიანური რესურსების განვითარების ინსტიტუციები. ამათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ბრძოლა სიღარიბესთან, უმუშევრობასთან, შემოსავლებში უთანაბრობასთან და სხვა;

ზ) სამმართველო პოტენციალის განვითარება. სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ინსტიტუციების შექმნა მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკის მხარდასაჭერად და მმართველთა გადამზადებისათვის – ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელოვანი კომპონენტია;

თ) განათლების ეფექტური სისტემის შექმნა. დღეისათვის სწავლების ისეთი ინსტიტუციების შექმნაა აუცილებელი, რომლებიც დაეხმარებიან მენეჯერებსა და სხვა სფეროს მუშაკებს აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაციები საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად, განსაკუთრებით ისეთ კომპეტენციებში, როგორიცაა სტრატეგიული დაგეგმვა, მარკეტინგი, ხარისხის მართვა, პროგრამებისა და პროექტების მართვა, ინფორმაციული სისტემები, საერთაშორისო აღრიცხვა და ფინანსები, ადამიანური რესურსების განვითარება, მეწარმეობა და ბიზნესის სტრატეგია და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ ერთი საზოგადო დასკვნა, რომ კონკურენციის გონიერი ეროვნული სტრატეგიები უნდა მუშავდებოდეს მთავრობის, კერძო სექტორისა და მიზნის მიღწევისათვის მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. იმისათვის, რომ დაიძლიოს გლობალური კონკურენციის სულ უფრო მზარდი ზეგავლენა და განვითარება იყოს ეფექტიანი, ქვეყნებმა და კორპორაციებმა უნდა მისდიონ კონკურენტუნარიანობის ზოგიერთ ოქროს წესს, მიღებულს ქვეყნებისა და კომპანიების საუკეთესო გამოცდილების ანალიზის შედეგად. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

- ეკონომიკური სიძლიერე არ უნდა იყოს დაფუძნებული ნედლეულსა და მატერიალურ, ან ვალუტის რეზერვებზე. იგი დაფუძნებული უნდა იყოს სამ ელემენტზე – ცოდნა, კომუნიკაცია და ქსელები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს, კორპორაციებსა და საზოგადოებას შორის სტრატეგიულ თანამშრომლობას;

- დიდი მთავრობების ერა დასრულებულია, ისინი უნდა გახდნენ მცირე და უფრო ეფექტურნი. მათ უნდა აღმოფხვრნან კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები და კომერციული საქმიანობის დამაბრკოლებელი სხვადასხვა სახის ბარიერები;
- იქ, სადაც კონკურენცია არარელურია, ან რაიმე დროებითი მიზეზის გამო მიზანშეუწონელია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მომსახურებასა და მიწოდებებზე უნდა იყოს გამჭვირვალობასა და არადისკრიმინაციულობაზე დაფუძნებული გარანტირებული ხელმისაწვდომობა ბაზრის ყველა მონაწილისთვის;
- მთავრობებმა უნდა გააფართოონ დიაპაზონი, სიღრმე, პოლიტიკის ეფექტიანობა და კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ. კონკურენციის და რეგულირების მხარდამჭერისა და ზედამხედველობის ორგანოები მუდმივად უნდა ექვემდებარებოდნენ აუდიტსა და მათი საქმიანობის შეფასებას;
- სულ უფრო იზრდება მთავრობებისა და კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობის გადახედვის აუცილებლობა. ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური საკითხები კიდევ უფრო უკეთესად უნდა I ყოს ინტეგრირებული რეგულირების სისტემებში.

სამწუხაროდ დღემდე არასაკმარისი ანალიზი კეთდებოდა მიღებული გადაწყვეტილებების შესაძლო სოციალური შედეგების შესახებ, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, სტრუქტურული ადაპტაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ეკონომიკური პოლიტიკის ასეთი ჩავარდნები არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე სოციალური კონფლიქტებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გამომწვევი მიზეზები.

3.9 აზიური კრიზისის გაკვეთილები

ეკონომისტები და პოლიტიკოსები, საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობები ინტერესდებიან სუსტად განვითარებულიდან განვითარებულ ეკონომიკაზე გადასვლის გამოცდილებით ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ჰონ–კონგი, ტაივანი. აგრეთვე მათთან სულ უფრო მიახლოებული დინამიკური ეკონომიკის მქონე ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, მალაიზია და ტაილანდი. ეს ქვეყნები მთავრობის პოლიტიკისა და მეწარმეობის წარმატებული კოორდინაციისა და კომბინირების, კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის საინტერესო ილუსტრაციასა და მაგალითს გვთავაზობენ. დღეისათვის, მათი ეკონომიკები საკმაოდ წარმატებულად კონკურირებენ დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკებთან, მათი ზრდის ტემპები და რეზერვები ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ უფრო მაღალია ვიდრე ინდუსტრიულად განვითარებულ დასავლეთის ქვეყნებში.

ამ ქვეყნების განვითარების დონე სულ რამდენიმე ხნის უკან იყო და რჩება ძალიან მსგავსი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გარდამავალი ეკონომიკის, მათ შორის საქართველოსიც. გარდა ამისა შეიძლება კიდევ უფრო მეტი მსგავსება იყოს ამ ქვეყნებსა და საქართველოს შორის კულტურული და ღირებულებათა სისტემების მიხედვითაც.

დაახლოებით 50 წლის უკან აღმოსავლეთ აზია აწარმოებდა მსოფლიო პროდუქციის 4%, ხოლო 1998 წლის კრიზისის წინ მისი ხვედრითი წილი უკვე 25% იყო. 2000 წლისათვის ამ რეგიონის მსყიდველობითი უნარი იყო 40%, ხოლო მსოფლიო იმპორტისა კი 35%, უფრო მეტიც, გასული საუკუნის ბოლოსათვის ამ რეგიონის ცენტრალური ბანკები ფლობდნენ მსოფლიო სავალუტო რეზერვების 45%.

ბოლო 30 წლის განმავლობაში ჰონ-კონგმა, სამხრეთ კორეამ, სინგაპურმა და ტაივანმა ტრანსფორმაცია განიცადეს ღარიბი ეკონომიკის ქვეყნებიდან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებად, რომლებიც დღეისათვის ავტომობილების, გემების, ელექტრო საქონლის და სამრეწველო შხამქიმიკატების ექსპორტიორები არიან. ამ ქვეყნების მშპ ყოველწლიურად იზრდებოდა 5% და 1990-ანი წლებისათვის შემოსავლებმა ერთ სულ მოსახლეზე მიაღწია ბევრ განვითარებულ ქვეყნებში არსებულ დონეს. ამ ქვეყნებს კვალში ჩაუდგა მეორე გენერაცია ისეთი სწრაფად მზარდი ქვეყნებისა, როგორიცაა ინდონეზია, მალაიზია, ფილიპინები და ტაილანდი.

ზემოაღნიშნულ ქვეყნებს შორის მიუხედავად არსებული ბევრი განსხვავებისა, მათ ბევრი თვალში საცემი საერთო აქვთ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის მიხედვით, განსაკუთრებით კი საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ამაღლების სფეროში. ყველა მათგანს პროგნოზირებადი და მყარი მაკროეკონომიკური გარემო გააჩნდა, მათი სავაჭრო რეჟიმი და სამრეწველო პოლიტიკა ორიენტირებული იყო საგარეო ბაზრებზე, მათ გააჩნდათ უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ტექნოლოგიური ინსტიტუტების ქსელის განვითარების აგრესიული სტრატეგია. ეს ქვეყნები ახალისებდნენ შიგა დაგროვებებს და ინვესტიციებს ფიზიკურ სოციალურ და საწარმოო ინფრასტრუქტურაში, დიდ ყურადღებას უთმობდნენ ასევე ადამიანური რესურსების განვითარებასაც.

1997 წლიდან, აღმოსავლეთ აზია უცბად შევიდა ფინანსურ კრიზისში, რომელიც ტაილანდში დაიწყო მისი ვალუტის დევალვაციით და სწრაფად მოედო სამხრეთ კორეას, ინდონეზიას, მალაიზიასა და ფილიპინებს. რამდენიმე თვის შემდეგ კრიზისმა რეგიონის პრაქტიკულად ყველა ქვეყანა მოიცვა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ შორის არსებობდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი საერთო მომენტები. უფრო მეტიც, კრიზისის განვითარების ლოგიკა საერთო იყო ტაილანდისთვის, ინდონეზიისათვის, მალაიზიისა და სამხრეთ კორეისთვისაც. თითოეული მათგანის შემთხვევაში ინვესტორები – ძირითადად უცხოური ბანკები, რომლებიც სპეციალიზდებოდნენ მოკლევადიან კრედიტებზე – შეეცადნენ სწრაფად ამოეღოთ თავიანთი ფინანსები ერთი და იგივე დროს. ამის შედეგად წარმოიქმნა კომბინირებული სავალუტო და საბანკო კრიზისი; ***საბანკო კრიზისი*** – იმის გამო, რომ დროის მოკლე პერიოდში არც ერთ ბანკს არ შეუძლია უცბად გაუკეთოს კონვერტირება თავის აქტივებს ნაღდ ფულად; ***სავალუტო კრიზისი*** – იმის გამო, რომ დაპანიკებული ინვესტორები შეეცადნენ სწრაფად განეხორციელებინათ კონვერტაცია ნაღდ ფულად თავიანთი არამარტო გრძელვადიანი აქტივებისა, არამედ ასევე აზიური ვალუტისა დოლარებში.

ასეთ შემთხვევაში ერთის მხრივ მთავრობებმა ნება უნდა დართონ დაეცეს ეროვნული ვალუტა, რაც თავის მხრივ იწვევს ინფლაციის მკვეთრ ზრდას და კომპანიები, რომლებსაც სესხები დოლარებში აქვთ აღებული გაკოტრდებიან. მეორეს მხრივ, თუ მთავრობები შეეცდებიან დაიცვან თავიანთი ვალუტები საპროცენტო განაკვეთების ამაღლებით, მაშინ ვალისა და რეცესიის კომბინაცია ასევე გამოიწვევს იგივე კომპანიების გაკოტრებას. ***სინამდვილეში კი, ამ რეგიონის სახელმწიფოთა მთავრობებმა გაინაწილეს დანაკარგები კერძო სექტორთან ერთად და საკმაოდ ძვირიც გადაიხადეს, დაპანიკებულმა ინვესტორებმა თავიანთი ფინანსები ამ რეგიონიდან გაიტანეს, რადგან შიშობდნენ, რომ ხხვა ინვესტორები კიდევ უფრო სწრაფად გაიტანდნენ თავიანთ ფინანსებს.***

ამ კრიზისის გამომწვევი მიზეზების დასადგენად ძალიან ბევრი მცდელობა და ანალიზი ჩატარდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ კრიზისის გამომწვევი ერთი გამორჩეული მიზეზი არ არსებობდა – ***ჭეშმარიტება მდგომარეობდა რიგი პრობლემების წარუმატებელ კომბინაციაში რომლებსაც თავიანთი გამომწვევი***

მიზეზები ჰქონდათ როგორც რეგიონის შიგნით, ასევე მის გარეთაც. ამ კრიზისის ანალიზი კარგი გაკვეთილია სხვა ქვეყნებისთვისაც, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ ერთ-ერთი დინამიკური და ეკონომიკურად მდგრადი რეგიონიც კი მოიცვა ისეთმა მოვლენებმა, რომელიც გამოვიდა მთავრობების კონტროლის სფეროდან.

ახლა კი მოკლედ განვიხილოთ ის 4 ფუნდამენტური მიზეზი, რამაც გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი აღმოსავლეთ აზიაში:

- **პირველი მიზეზი – სუსტი ფინანსური სისტემა გაუმართავი რეგულირებითა და მოშლილი მენეჯმენტით**. აზიური ბიზნესის ფინანსური სტრუქტურა დაუბალანსებელი იყო: ძალიან მცირე აქტივები და ძალიან ბევრი ვალები. ამასთან, ამ ვალების უმეტესობა შედგებოდა იმ ბანკების "რბილი" სესხებისგან, რომლებიც ზედმეტად "მეგობრულები" იყვნენ თავიანთი მთავრობების მიმართ და იოლად ექვემდებარებოდნენ პოლიტიკურ ზეგავლენებს, გასცემდნენ რა კრედიტებს იმათზე, ვისაც მათი დაბრუნების ნაკლები შესაძლებლობები გააჩნდათ. ყველა ამ ფაქტორმა არაფორმალურ სამთავრობო გარანტიებთან ერთად გამოიწვია მორალური პრობლემები და გადამეტებული სესხები შიგა ბაზრებზე. ამერიკული კომპანია "ნიუბრიჯ კეპიტალ" მუშაკებმა შეისწავლეს ერთ-ერთი კორეული ბანკის 400 მსხვილი მევალის საბუხჰალტრო დოკუმენტაცია და აღმოაჩინეს, რომ ამ კომპანიების 70% არ გააჩნდა საკმარისი ფულადი შემოსავლები უკანასკნელი 3 წლის გამნავლობაში თავიანთი ვალების გასასტუმრებლად; მათ მიერ აღებული ახალი სესხები კი ემატებოდა ჯერ კიდევ გადაუხდელ ძველ სესხებს.
- **მეორე მიზეზი – ბიზნესისა და მთავრობის გადაჭარბებული სიახლოვე**. სამთავრობო ჩარევის პრაქტიკამ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას გამოიწვია ფავორიტიზმი და კორუფცია, რამაც დაარღვია რა სტიმულების სტრუქტურა, ასევე ინვესტიციების არაეფექტური გაადგილება გამოიწვია და შესაბამისად დაირღვა მთავრობის რეგულირების მექანიზმი. ამასთან ერთად, ზედმეტი ლიბერალიზაცია (უფრო სწორად სხვა ბიზნესების იგნორირებამ) ანარქიის ზრდაში გადაიზარდა, რაც სახიფათო გახდა სტაბილურობისათვის, როგორც აუცილებელი პირობისა საბაზრო ეკონომიკის და საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისათვის. ჩინეთი არასოდეს არ იყო დაავადებული ამ "აზიური გრიპის" ვირუსით, რადგან სავალუტო ოპერაციების გონიერი რეგულირება ყოველთვის ეღობებოდა ქვეყნიდან "ცხელი ფულის" შემოდინებასა და გადინებას.
- **მესამე მიზეზი – საერთაშორისო ბანკებისა და სხვა ინსტიტუციების მხრიდან აზიური ქვეყნებისათვის სესხების გაცემის ზედმეტი ენთუზიაზმი მსესხებელი ქვეყნების ეკონომიკის ფუნდამენტური მახასიათებლების გაანალიზების გარეშე**. ექსპერტები თვლიან, რომ აზიური ქვეყნების გამალებული კრედიტორები იყვნენ არა სავალუტო სპეკულანტები (როგორც პრესაში იწერებოდა), ან ფონდები, არამედ განვითარებული ქვეყნების ძველი ტრადიციული და სოლიდური კომერციული ბანკები. მათი ინვესტიციები აღემატებოდა 280 მილიარდ აშშ დოლარს შემდეგი ყველაზე უფრო დაზარალებული ხუთი აზიური ქვეყნისათვის – ინდონეზია, სამხრეთ კორეა, მალაიზია, ფილიპინები და ტაილანდი. ამ კრედიტებიდან დაახლოებით 200 მილიარდი მოკლევადიანი (ერთ წლამდე) კრედიტები იყო. რადგან ეს იყო მოკლე ვადიანი კრედიტები, ამიტომ მათი სწრაფად და იოლად ამოღებაც შესაძლებელი იყო, რაც განხორციელდა კიდეც და 1997 წელს პანიკა გამოიწვია. ბანკების მხრიდან ასეთი ქცევის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი იყო კაპიტალის ადეკვატურობის ე.წ. ბაზელის სტანდარტები. ეს სტანდარტები ითხოვდნენ ბაკებისაგან დაეცვათ თავიანთი აქტივების მიმართ კაპიტალის მინიმალური 8% სტანდარტი, რაც ძალიან

უცნაურად გამოითვლებოდა, ხოლო ამან შედეგად ის გამოიწვია, რომ სტიმულირებდა მოკლევადიანი კრედიტების უფრო სწრაფად გაცემას, ვიდრე გრძელვადიანი კრედიტებისა, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო საბაკო პანიკის გამოიწვევას. ეს განსაკუთრებით მართებულია იაპონური და ევროპული ბანკების საქციელის მიმართ ზემოაღნიშნულ პერიოდში. **ამდენად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ფინანსური კრიზისი აზიაში, ისევე როგორც ევროპასა და იაპონიაში გარკვეულწილად პროვოცირებული იყო.**

- **მეოთხე მიზეზი – საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციებისა და განვითარებული ქვეყნების ჯგუფის მიერ ადრეული აღმოჩენისა და ჩარევის სუსტი სისტემის არსებობა, რამაც ვერ უზრუნველყო კრიზისის შეჩერება ტაილანდის ფარგლებს გარეთ მის საწყის ეტაპზე.** ამ კრიზისის დროს მაგალითად მალაიზიამ მიიღო გადაწყვეტილება გაეტარებინა პოლიტიკა, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა სსფ–ის რეკომენდაციებისაგან, შემოიღო რა კონტროლი კაპიტალურ ნაკადებზე. ამ გადაწყვეტილებამ გამორჩეულად კარგად იმუშავა და ეს ქვეყანა ყველაზე უფრო ნაკლებად დაზარალდა ამ კრიზისის დროს, ვიდრე აზიის სხვა ქვეყნები. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები უკვე ისევ დაადგნენ დინამიკური განვითარების გზას, მიუხედავად იაპონიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკათა გარკვეული შეფერხებისა, რომელთა ბაზრები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ აზიის რეგიონის ქვეყნების საექსპორტო პროდუქციაში.

მიუხედავად ასეთი დინამიკურობისა ამ რეგიონში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა, კერძოდ: ეკონომიკისა და კორპორაციების რესტრუქტურიზაციის პროგრესი არათანაზომიერია; ბანკების რეკაპიტალიზაციის მიუხედავად უდიდესი ვალი ჯერ კიდევ არ არის გადახდილი და რესტრუქტურიზებული; კანონები კომპანიებისა და გაკოტრების შესახებ კი იქნა მიღებული, მაგრამ ყოველთვის არ გამოიყენება.

აზიაში მართლაც ბევრი საკმაოდ ძლიერი კომპანიაა განვითარებული ქვეყნების დონეზე მომუშავე, მაგრამ ბევრი მათგანი სინამდვილეში "გადაზრდილია" ოჯახურ ფირმებად, მათი მდგომარეობა დამოკიდებულია მესაკუთრეთა პირად ქონებასა და უნარზე აწარმოონ მოლაპარაკებები ბანკებთან ახალი კრედიტების თაობაზე. ასეთი კორპორაციები ხშირად ავიწროვებენ ნამდვილ მეწარმეებს. თუმცა მათი სიმდიდრე, რომელიც მნიშვნელოვნად შემცირდა კრიზისის შემდეგ, ვეღარ უზრუნველყოფს კრედიტის მისაღებად შესაბამისი საწინდარის შეტანას.

დღეისათვის საბაზრო ძალები მუშაობენ კონგლომერატების საწინააღმდეგოდ მთელ აზიაში, რადგან ბანკირები და ინვესტორები თავს არიდებენ მათში ინვესტირებას. უფრო დიდად მიმზიდველნი ხდებიან კომპანიები, რომლებსაც პროფესიონალური მენეჯერები მართავენ, მათი ფინანსები და გადაწყვეტილებების მიღების სტილი უფრო გამჭვირვალე ხდება, ისინი ბიზნესში თავიანთი კონკურენტუნარიანობის უპირატესობებით შედიან და არა მთავრობებთან ახლობრივი კავშირების ხარჯზე.

ტრადიციული ოჯახური კონგლომერატების უმეტესობას არა აქვს სოლიდური მართვის სისტემა, რომელიც გააერთიანებდა კონგლომერატის სხვადასხვა კომპანიებს. ასეთი მრავალფეროვანი პორტფოლიოს მართვის უნარი უბრალოდ არასოდეს არ ვითარდებოდა. თუმცა არის სასიამოვნო გამონაკლისებიც, მაგალითად აიალას უმდიდრესი ოჯახი ფილიპინებზე, რომელთა აქტივები (უმეტესად კომპანიის აქციების სახით) დაახლოებით 2 მილიარდ აშშ დოლლარს შეადგენს. ორი ძმა დღეისათვის ცდილობს მართოს ბიზნესი არა როგორც საოჯახო კონგლომერატი, არამედ როგორც სრულიად გამჭვირვალე და პროფესიონალებით მართვადი აქციონერული კომპანია. ისინი ცდილობენ

დაიქირავონ ახალგაზრდა პროფესიონალური მენეჯერები. 2000 წლისათვის, როდესაც შეიმჩნეოდა ფილიპინების ეკონომიკის ბუმი, კომპანია შეიჭრა სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ინფრასტრუქტურაში, რითაც "ახალი სისხლით" შეავსო თავიანთი კომპანიის საშუალო რგოლის მართვისათვის საჭირო მენეჯერების რაოდენობის უქონლობა. ამ მენეჯერებს მიენიჭათ მეტი თავისუფლება გადაწყვეტილებების მიღებისას და მათი დაწინაურება კარიერაში დამოკიდებული გახდა მათ მიერ მიღწეულ წარმატებებზე. კომპანიას დღეისათვია გააჩნია მოქნილი კორპორატიული იერარქია, თავაზობს რა თავის წარმატებულ მენეჯერებსა და ღირებულ თანამშრომლებს აქციათა ობციებს, როგორც მასტიმულებელ ინსტრუმენტს მიბმულს პირადი ინტერესებისა კომპანიის საერთო მიზნებთან.

ძალიან მნიშვნელოვანია ვანსხვავებდეთ კორპორატიულ რესტრუქტურიზაციას მაკროეკონომიკური და ინსტიტუციონალური რესტრუქტურიზაციისაგან. აზიაში დღეისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სწორედ ***კორპორატიული რესტრუქტურიზაცია*** .

საბანკო სექტორში ***ინსტიტუციონალური რეფორმები*** უნდა მოიცავდნენ მის მარეგულირებელ და საკონტროლო ფუნქციებს; ინფორმაციის გახსნილობას; აღრიცხვის, რისკების მართვისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის სისტემას; ბანკების საერთო კორპორატიული მართვის გაუმჯობესებას, რათა თავიდან იქნას აცილებული ფინანსური კრიზისები. უცხოური ბანკები თავისუფლად უნდა იქნენ დაშვებულნი ადგილობრივ ბაზრებზე ოპერაციების განსახორციელებლად. კაპიტალის ბაზრები (ვაჭრობისა და საბაჟო კონტროლისათვის აუცილებელი ინსტიტუციებისა და სისტემების ჩათვლით) კარგად განვითარებული უნდა იყოს.

ასევე აუცილებელია რეფორმების განხორციელება უმაღლეს დონეზე კორპორატიულ მართვაში, საკუთრების უფლებების დაცვა, განსაკუთრებით მცირე ზომის აქციათა პაკეტის მფლობელი აქციონერებისა. ახალმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს საბაზრო და კორპორატიული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მომხმარებლებთან მიმართებაში აგრესიული დამოკიდებულების, ხოლი – კონკურენტებთან მიმართებაში კი არაეთიკური ქცევის კონტროლი. ზოგიერთი კომპანიები კანონით უნდა იყვნენ იძულებულნი გამოაცხადონ თავი გაკოტრებულად, ხოლო მათი დარჩენილი აქტივები კი უნდა მიეყიდოს ადგილობრივ და უცხოურ ინვესტორებს. საპროცენტო განაკვეთები და გადასახადები დაბალი უნდა იყოს, რათა მოზიდულ და ეფექტურად იქნას მოხმარებული ინვესტიციები.

კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილი იყო ის, რომ სსფ –ის მიერ რეკომენდებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები მცდარი აღმოჩნდა. კაპიტალის ნაკადთა მოკლევადიანი კონტროლი მალაიზიაში საუკეთესო პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო იმ პერიოდისათვის, მიუხედავად მისი კრიტიკისა სსფ–ის მხრიდან. ამ კრიზისს ჰქონდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი. კერძოდ, დახმარების საერთაშორისო სააგენტოები, ეკონომისტები და პოლიტიკოსები წლების მანძილზე უწევდნენ პროპაგანდას აღმოსავლეთ აზიის კონკურენციის მოდელს. არის კი მართლაც ეს მოდელი სამაგალითო და სასარგებლო სხვა ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის?

ჩვენი აზრით, მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ქვეყანას აქვს განვითარების თავისი გამორჩეული ისტორია, ფასეულობები, კულტურა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე, ტრადიციები და ერთი ქვეყნის მოდელი არ შეიძლება მექანიკურად მისადაგებულ იქნას სხვა ქვეყნის განვითარებისათვის. მაინც მიგვაჩნია, რომ სხვა ქვეყნების წარმატებებისა და წარუმატებლობების გაკვეთილების გაზიარებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მათ შორის საქართველოსთვისაც.

აღმოსავლეთ აზიის ფინანსური სექტორი შესაძლოა დღეს ჯერ კიდევ

სუსტია, მაგრამ მისი საწარმოო ბაზა, ინდუსტრიული პოტენციალი და ადამიანური რესურსების ხარისხი საკმაოდ კონკურენტუნარიანია და სერიოზულად უსწრებენ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს ბევრი მაჩვენებლის მიხედვით. ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური ფაქტორები და მათი ბაზა იყო და რჩება საკმაოდ მყარად. ასეთმა ბაზამ საბოლოო ჯამში გადამწყვეტი როლი ითამაშა და დაეხმარა აღმოსავლეთ აზიას თავი გაერთვა ამ კრიზისათვის დროის შედარებით მოკლე პერიოდში. ასე, რომ კარგი გაკვეთილი გვაქვს ამ რეგიონში მიღწეული წარმატებების, სამწუხარო წარუმატებლობებისა და ჩავარდნების, რომელთა გათვალისწინება უაღრესად სასარგებლო იქნებოდა ბიზნესისა და სახელმწიფოთა ლიდერებისათვის, თუკი ისინი მზად არიან და აქვთ მათი გათვალისწინების სურვილი

კითხვები დისკუსიისთვის

1. დაასახელეთ ქვეყნების მიერ კონკურენტუნარიანობის მხარდამჭერი ძირითადი პოლიტიკები;
2. როგორია ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმებისა და ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებლები?
3. როგორია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნები და როგორია მათი ძირითადი ღონისძიებები?
4. რა ღონისძიებები ახასიათებენ საგარეო ვაჭრობის მხარდაჭერის პოლიტიკას?
5. რაში მდგომარეობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა?
6. როგორია მთავრობის როლი ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების განვითარებაში?
7. დაასახელეთ მთავრობების წარმატებული პოლიტიკების ელემენტები ადამიანური კაპიტალის ხარისხის ამაღლებაში; დაასახელეთ ასეთი პოლიტიკის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები საქართველოს მაგალითზე; როგორ ხედავთ მათი შესაძლო გაუმჯობესების გზებს?
8. მთავრობები უნდა უჭერდნენ თუ არა მხარს მცირე ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარებას? არის თუ არა ეს მათი ფუნქცია? თუ კი, რაში კონკრეტულად? როგორ უნდა ჩაერთოს კერძო სექტორი ასეთ საკითხში პარტნიორობისას?
9. რა მნიშვნელოვანი ინსტიტუტები უნდა არსებობდნენ ქვეყანაში ბაზრისა და კონკურენციის წარმატებით განვითარებისათვის?
10. აზიური ქვეყნების კრიზისის რომელი გაკვეთილებია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ყურადსაღები საქართველოსთვის (კონკრეტული წინადადებები)?
11. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დასკვნები საქართველოში კონკურენტუნარიანობის ხელშემწყობი სტრატეგიისათვის.

დანართები (თვალსაჩინო მასალები)

განვითარების გზების შედარება

ამერიკული გზა	ევროპული გზა
მაღალი მომგებიანობა, მწარმოებლურობა და კონკურენტუნარიანობა;	დაბალი მომგებიანობა, მწარმოებლურობა და კონკურენტუნარიანობა;
მეწარმეობის პრესტიჟულობის მაღალი დონე;	მეწარმეობის პრესტიჟულობის დაბალი დონე;
პერსონალის მარალი მობილურობა და შრომის ბაზრის დერეგულირება;	პერსონალის დაბალი მობილურობა და შრომის ბაზრის მკაცრი რეგულირება;
დაბალი სოციალური დაცვა, პრინციპი "დაიქირავე–გაანთავისუფლე", დაბალი უმუშევრობა;	მაღალი სოციალური დაცვა, დაიქირავება დიდი ხნით, გაძნელებული განთავისუფლება, მაღალი უმუშევრობა;
სახელმწიფოს დაბალი როლი "საერთო კეთილდღეობის" მხარდაჭერაში;	სახელმწიფოს "საერთო კეთილდღეობის" პრინციპი;
სახელმწიფოს ნაკლები ჩარევა და კონტროლი, ნაკლები ბარიერები კონკურენციაში.	სახელმწიფო ჩარევისა და კონტროლის მაღალი დონე, ბარიერები კონკურენციაში მნიშვნელოვანია.

ტენდენციები კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის შერჩევაში

- მეტი დერეგულირება, პრივატიზაცია, მეწარმეობა, აქციონერთა სარგებელზე ზრუნვა, მოქნილობა, ნაკლები სამთავრობო ჩარევა და კონტროლი; ფოკუსირება მწარმოებლურობასა და მოგებაზე;
- კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა;
- საბაზრო, ან ადმინისტრაციული მოდელების ამორჩევა, ან მათ შორის ბალანსირება თავად მოსახლეობის პოლიტიკური არჩევანი უნდა იყოს;
- სოციალური და ეკონომიკური საკითხების განცალკევებულად და ფრაგმენტულად განხილვამ დაამტკიცა მისი სიცოცხლისუუნარობა;
- ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულობამ სოციალური მიზნებისა და საკითხების გადავადების ხარჯზე ილუზიური აღმოჩნდა.

ბიზნესის წარმოების სირთულე (ევროპაში არსებული 1500 კომპანიის დირექტორების გამოკითხვის შედეგები)

ქვეყნები	პასუხები, %
საფრანგეთი	29
გერმანია	22
იტალია	22
დიდი ბრიტანეთი	20
ესპანეთი	10

რა ადარდებთ მეწარმეებს ყველაზე უფრო (დიდი ბრიტანეთის 200 – მდე კომპანიის დირექტორთა გამოკითხვის შედეგები)

კითხვები	პასუხები, %
შრომითი კანონმდებლობა	67
ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობა	62
კანკურენცია ტალანტების მოსაზიდად	61
ხარისხი	57
შრომის ანაზღაურების დონე	45
სოციალური საკითხები	36
სამუშაოს გარანტია	34
დროებით მუშაკთა მზარდი რაოდენობა	30
შრომითი კონფლიქტები	11

ჰოლანდიის მიდგომა სტრუქტურული რეფორმისადმი

1980–ანი წლების დასაწყისში ქვეყნის მთავრობა, პროფკავშირები და მეწარმეები შეთანხმდნენ, რომ

- შეაჩერებდნენ ხელფასის ზრდას ზომიერ დონემდე;
- განახორციელებდნენ სოციალური უზრუნველყოფის და შრომის დაცვის სისტემის რეფორმირებას უფრო ზომიერი პარამეტრების მიმართულებით;
- გაატარებდნენ ღონისძიებებს შრომის უფრო მოქნილი ბაზრის განსავითარებლად: მეტი დროებითი მუშაკები, არასრული სამუშაო დღით დასაქმება, პერსონალის დაქირავება პროფესიონალური სააგენტოებიდან.

ამის შედეგად შრომითი დანახარჯები ჰოლანდიაში შემცირდა და დღეისათვის ბევრად უფრო ნაკლებია ვიდრე გერმანიაში, გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინება ქვეყანაში, მაშინ როდესაც გერმანიაში შემცირდა.

აღმოსავლეთ აზიის კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორები

უცხოური ინვესტიციებისა და ვაჭრობის გახსნილობა

- საგარეო ბაზარზე ორიენტირებული განვითარების სტრატეგია;
- ექსპორტის ზრდა, მაგრამ არა შენაცვლება იმპორტით;
- კაპიტალის მოძრაობაზე შეზღუდვების მოშლა;

მცირე ზომის მთავრობა

- სახელმწიფო დანახარჯების საშუალო წილი მშპ–ის 25%-ზე ნაკლებია;
- ევროკავშირის მიერ მიღებული სოციალური უზრუნველყოფის ხაფანგებისაგან თავის არიდება;
- შრომის, მეწარმეობისა და ინვესტიციების მოტივირებისათვის ხელშემწყობი მცირე გადასახადები;
- მკაცრი ფინანსური დისციპლინა, საბიუჯეტო დეფიციტის იშვიათი შემთხვევები;
- ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა;
- მეწარმეობის წახალისება, ინდივიდის შეუზღუდავი ბაზური ეკონომიკური თავისუფლება;

დაგროვების მაღალი დონე – მშპ-ის 30%-ზე მეტი

- ძირითად როლს კაპიტალის დაგროვება თამაშობს;
- აქტიურად ვითარდება ფინანსური ბაზრები;

- ფინანსური სტაბილურობა: ეკონომიკური ბუმი მასიური საგარეო ვალის გარეშე;

ადამიანური კაპიტალი და მოქნილი შრომის ბაზარი

- ინვესტირება განათლებაში;
- კომპანიებში დასაქმებული პერსონალის მუდმივი წვრთნა;
- შრომის მოქნილი ბაზარი, დაბალი უმუშევრობა, მუშაკთა მაღალი შემოსავლები და დაბალი გადასახადები;
- მენეჯერებსა და მუშებს შორის

კონკურენტული საზოგადოების ოქროს წესები

- შექმენი სტაბილური და პროგნოზირებადი სამართლებრივი ველი და საკანონმდებლო გარემო;
- შექმენი მოქნილი და მდგრადი ეკონომიკური სტრუქტურა;
- დააბანდე ინვესტიციები ტრადიციულ და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაში;
- წაახალისე კერძო დაგროვება და შიგა ინვესტიციები;
- განავითარე აგრესიული საგარეო საბაზრო პოლიტიკა და მოიზიდე უცხოური ინვესტიციები;
- ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმების გატარებისას აქცენტი გააკეთე მისი გატარების ხარისხსა და სიჩქარეზე;
- შეინარჩუნე სოციალური სტრუქტურა, შეამცირე განსხვავება შემოსავლებში და გააძლიერე საშუალო კლასი;
- დააბანდე განათლებაში, განსაკუთრებით საშუალო განათლებაში და კვალიფიკაციის ამაღლებაში;
- შეინარჩუნე კავშირები შემოსავლებს, გადასახადებს და მწარმოებლურობას შორის;
- იმოქმედე ბალანსირებულად გლობალიზაციის პირობებში, მხარი დაუჭირე სოციალურ სტაბილურობას და ფასეულობათა სისტემას.

რეფორმის პოლიტიკა და ინსტიტუციური პოტენციალი



4. პრივატიზაცია, როგორც დეცენტრალიზაციის ინსტრუმენტი

4.1 საზოგადოებრივი მომსახურების პრივატიზაციის არსი და მიზნები

დეცენტრალიზაციის გამოვლინების ერთ-ერთი მიმართულებაა წარმოებისა და მომსახურების სფეროში განხორციელებული პრივატიზაცია. ამ პროცესმა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვა გასული საუკუნის 80-90 წლებში და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მრავალი ქვეყნის მთავრობათა ადმინისტარციული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან თავიანთი პასუხისმგებლობითა და პოტენციალით. სახითხი კვლავ ასეთნაირად დგება: დაჩქარდებოდა თუ არა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება თუკი კერძო სექტორს გადაეცემოდა ფუნქციები, რომლებსაც ისინი ეფექტურად შეასრულებდნენ. შეუწყობდა თუ არა ეს ხელს სახელმწიფო ადმინისტრაციას განთავისუფლებულიყო მუშაობის დაძაბული რითმიდან და კონცენტრირებულიყო იმ საქმიანობაზე, რომლისთვისაც უკეთ არის მომზადებული ინსტიტუციურად და პროფესიულად.

პრივატიზაციის მნიშვნელოვან მიზნებს შორის გამოსაყოფია შემდეგი:

- ეფექტიანობის ამაღლება კონკურენციის ზრდის ხარჯზე;
- ფირმებს შეუძლიათ მოიპოვონ რესურსები კაპიტალის ბაზარზე;
- სახელმწიფოს ჩარევის შემცირება საწარმოთა საქმიანობაში;
- საკუთრების გაფართოება (ეკონომიკური დემოკრატია);
- შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება შენატანების შესაბამისად

იაპონიამ, მაგალითად, მოახდინა თავისი ეროვნული რკინიგზის ნაწილის პრივატიზაცია რათა კონკურენცია და მწარმოებლურობა აემაღლებინა. კერძო სარკინიგზო გზები იქ ნაკლებ მომხმარებელს ემსახურება ვიდრე სახელმწიფო სარკინიგზო გზები. მაშინ როდესაც სახელმწიფო სარკინიგზო გზების ერთ სადგურზე მუშაობს 50 ადამიანი, კერძოში მუშაობს 25. განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ყველა ავიახაზი პრივატიზებულია, ეარ ფრანსეს გარდა. სატელეკომუნიკაციო კომპანიების პრივატიზაციის შემდეგ, მომხმარებლებისა და ბიზნესისათვის საკომუნიკაციო ხარჯები რამდენიმეჯერ შემცირდა და დღესაც აგრძელებს შემცირებას.

ბევრი მუნიციპალური სამსახური (ნაგავის შეგროვება, წყლით და ელექტრომომარაგება, სასწრაფო დახმარება, პარკებითა და პლაჟებით სარგებლობის მართვა, საავადმყოფოები და სხვა) პრივატიზებულ იქნა. ეს პროცესი ასევე შეეხო სახელმწიფო დეპარტამენტებსა და ზოგიერთი სამინისტროც კი. მათ დაიწყეს თავიანთი ზოგიერთი ცალკეული ოპერაციისა და მთელი ფუნქციების პრივატიზაცია (მაგალითად, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა სისტემების მომსახურება; შენობის დალაგება და სახანძრო დაცვა; ანალიტიკური სამუშაო; საზოგადოებრივი, საქმიანი და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტთა მშენებლობა და ექსპლუატაცია და სხვა მრავალი).

მნიშვნელოვანი ადგილი მოიპოვეს კერძო სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა, სხვადასხვა საბავშვო დაწესებულებებმა, კერძო საავადმყოფოებმა და კლინიკებმა. მაგალითად, ჩინეთშიც კი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ან წლებში კერძო დანახარჯები ჯანმრთელობაზე შეადგენდა მთელი დანახარჯების 30%-ზე მეტს გაწეულს ამ სფეროში.

საზოგადოებრივი მომსახურების პრივატიზაცია, თავისი არსით, პრინციპში გულისხმობს საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოთა აქტივების გადაცემას კერძო საკუთრებაში, ან კერძო მენეჯმენტზე, ან შეზღუდული კონკურენციის

შემოტანას სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციის გზით. ეს პროცესი ასევე ნიშნავს საზოგადოებრივი მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილის საქმიანობის ფინანსირებას გადასახადის გადამხდელებიდან იმათ ხარჯზე, ვინც სარგებლობს ამ მომსახურებით.

დღეისათვის საზოგადოებრივი მომსახურების პრივატიზაციისათვის სულ უფრო ფართოდ იყენებენ ისეთ ხერხს, როგორიცაა სახელმწიფო წილის თანდათანობითი შემცირება ინვესტიციათა პორტფელში და უარი მის ყოველწლიურ განახლებაზე. მომსახურების ორგანიზაციები გადადიან ეგრეთ წოდებულ "მშიერ ულუფაზე", ან გარდაიქმნებიან კერძო წასარმოებად, ან შეძენილი იქნებიან სხვა უფრო ძლიერი ორგანიზაციების მიერ.

ძალიან ბევრი კარგი მაგალითის მოყვანა შეიძლება პრივატიზაციის დადებითი ზეგავლენისა საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხსა და მწარმოებლურობის ამაღლებაზე. მაგალითად, სინგაპურის საერთაშორისო ავიახაზების პრივატიზაციის შემდეგ მისმა პერსონალმა დაიწყო კომპანიის აქციების შესყიდვა, განხორციელდა რესტრუქტურიზაცია და კომპანია გავიდა კაპიტალის ბაზარზე. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსური დისციპლინის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, უზრუნველყო საუცხოო კომბინაცია ოპერაციულ ავტონომიასა და მთავრობასთან ანგარიშგებას შორის. პრივატიზაციის შემდეგ ამ კომპანიის მწარმოებლურობა და მომსახურების ხარისხი მნიშვნელოვნად ამაღლდა, რის შედეგადაც იგი წლების მანძილზე მსოფლიო საუკეთესო ავიაკომპანიათა ხუთეულში შედიოდა.

დღეისათვის მეტნაკლებად უფრო იოლია შევაფასოდ გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთი გაკვეთილი და რჩევა, დაკავშირებული რეფორმის სტრატეგიის ადრეული სტადიებთან, – "იმოქმედე მკაცრად და ეს გააკეთე სწრაფად" (შოკური თერაპია), ასეთი რჩევები აღმოჩნდა მცდარი, როგორც ეკონომიკურად ასევე სოციალურად.

ქვეყნებმა, რომლებმაც მიბაძეს ასეთ რჩევებს, საკმაოდ დიდი ფასი გადაიხადეს თავიანთი მოსახლეობის ცხოვრების ეკონომიკური და სოციალური დონის დაცემის თვალსაზრისით, სამწუხაროდ ზოგიერთი გრძელვადიანი ისეთი ნეგატიური თვისება შეიძინეს, როგორიცაა კორუფცია, ორგანიზებული დამნაშავეობა, ტრადიციული ღირებულებების დაკარგვა, სახელმწიფო ადმინისტრაციული ინსტიტუციების მოშლა.

შოკური თერაპიის მრჩევლები ელოდებოდნენ, რომ რესურსებისა და საკუთრების გადანაწილების პროცესში ქამრების მოჭერის პერიოდი ძალიან არ გაიწელებოდა. ისინი თვლიდნენ, რომ პროდუქციის წარმოება შემდგომში მნიშვნელოვნად ამაღლდებოდა და გარდამავალი რეცესია მოკლევადიანი იქნებოდა. საზოგადოდ შოკური თერაპია ფოკუსირებულია სწრაფ (არ არის სავალდებულო მაინცდამაინც ხარისხიან და სამართლიან) პრივატიზაციაზე, ლიბერალიზაციასა და მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლა, რომელსაც მხარს უჭერენ "გრადუალისტები" აქცენტირებულია შემდეგზე:

- პრივატიზაციისათვის ინსტიტუციონალური სტრუქტურების შექმნა, სადაც შედის კომპანიებისათვის საკონტრაქტო პირობების შესრულების იძულებისთვის საჭირო კანონების მიღება და აღსრულება;
- კონკურენციის და ეფექტური კორპორატიული მართვის უზრუნველყოფა;
- შესაბამისი რეგულირების შემოღება, რაც შეამცირებდა მონოპოლიების დომინირებას და მხარს დაუჭერდა მყარ ფინანსურ დისციპლინას;
- კერძო და ნებისმიერი სხვა სახის საკუთრების ხელშეუხებლობის დაცვა

გრადუალისტები ასევე შიშობენ, რომ შოკური თერაპია დაარღვევს სოციალური უსაფრთხოების ქსელს, რადგან არც ერთი პრივატიზაცია არ ხორციელდება დიდი სოციალური დანაკარგების გარეშე. ეს ზუსტად ის არის, რაც ჩვენს სინამდვილეში მოხდა, როცა ამ ორ მიმდინარეობის წარმომადგენელთა წხარე კამათში გაიმარჯვეს "სწრაფმა რეფორმატორებმა". ჩვენი აზრით, პრივატიზაციის როგორც ინსტრუმენტარიის გამოყენების გზით, კერძო საკუთრებაზე სწრაფი გადასვლა მნიშველოვანწილად წახალისებული იყო დასავლეთის წამყვანი განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ადმინისტრაციებისა და ანგარიშგასაწევი მსხვილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციების მიერ.

რუსეთში, მაგალითად, ბევრი ამაყობს სწრაფი პრივატიზაციით, მაგრამ ეს იყო პროცესი რომელმაც ქვეყნის უდიდესი სექტორის ეროვნული სიმდიდრის ხელში ჩაგდებით ბევრი ოლიგარქი ჩამოაყალიბა, რომლებიც გადასახადების გზით ძალიან მცირედს აძლევდნენ ბიუჯეტს საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის. შეეძლოთ თუ არა ბერეზოვსკის, გუსინსკის, ხადარკოვსკის, აბრამოვიჩს და სხვა ცნობილ ოლიგარქებს ორი – სამ წლიანი რეფორმის დროს წესიერი გზით დაეგროვებინათ უზარმაზარი კაპიტალი ნავთობის, გაზის, საავტომობილო, საბაკო, სატელეკომუნიკაციო და სხვა დარგების უმსხვილესი საწარმოების გამოსასყიდლად? ამის გაკეთება კეთილსინდისიერად თეორიულადაც კი შეუძლებელი იყო საუკეთესო ხელშემწყობი პირობების არსებობის შემთხვევაშიც (ასეთი პირობები კი რუსეთში არ იყო, თუ არ ჩავთვლით უდიდეს კორუფციას სახელისუფლო ვერტიკალის ჩათვლით).

რუსეთში მაგ პერიოდში შესაძლებელი იყო მხოლოდ ქურდობა, მოტყუება, გაცურება, დიდი რაოდენობით ქრთამების მიცემა–აღება ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, რომელთა უპირველესი მოვალეობა იყო საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა კანონიერი და შეძლებისდაგვარად სამართლიანი პრივატიზაციით.

შოკური თერაპიის გზით პოსტსაბჭოური სისტემის რღვევის შედეგების ასეთი მაგალითები მრავლადაა და არა მარტო რუსეთში, არამედ პოლონეთში, უკრაინაში, ჩეხეთში და სხვა ქვეყნებში, პრაქტიკულად ყველგან, სადაც კი დომინირებდა სწრაფი პრივატიზაცია არასრულყოფილი კანონმდებლობით, არასაკმარისი საზოგადოებრივი კონტროლითა და მოსახლეობის სოციალური დაცვის ქსელით.

გადაჭარბებულმა ლიბერალიზაციამ სახელმწიფო ადმინისტრაციისა და საზოგადოების მხრიდან ასევე შეუწყო ხელი სწრაფად და არაკეთილსინდისიერად გამდიდრებულ "ბიზნესმენებს" თავიანთი ქვეყნებიდან კაპიტალიც იოლად გაეტანათ. შეიქმნა ისეთი სისტემა, რომელიც სტიმულირებდა საწარმოო აქტივების სწრაფ ლოკვიდაციას და კაპიტალის საზღვარგარეთ გატანას, ვიდრე ადგილებზე ახალი სიმდიდრეების შექმნას. დღეისათვის უკვე საზოგადოდ არის აღიარებული (ალბათ გარდა იმ პირებისა, რომლებიც შოკური თერაპიით გამდიდრდნენ), რომ არ არსებობს სწრაფი მაგიური და ეფექტური მექანიზმები ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასავლელად.

რეფორმების განხორციელებისას უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება თანამიდევრულ ნაბიჯებს, რისი კარგი მაგალითია ჩინეთი. თუმცა, ამ ქვეყნის მოდელის მექანიკური კოპირება სხვა ქვეყნებისათვის არა გვგონია მართებული და ეფექტური იყოს ადამიანური რესურსების რაოდენობის, კულტურული ღირებულებების, ტრადიციების, ცნობიერების და სხვა მრავალი თავისებურების გაუთვალისწინებლად.

ასე, რომ პრივატიზაცია არაკონკურენტულ გარემოში შეიძლება არ იყოს ეფექტური და ვერ გადაწყვიტოს პრობლემები. სამართლიანი კონკურენციის და გონიერი რეგულირების პოლიტიკა, სოციალურ–ეკონომიკური ეფექტიანობის უფრო

მნიშვნელოვანი დეტერმინანტი შეიძლება იყოს, ვიდრე პრივატიზაციის ეგიდით შეფუთული მარტო საკუთრების ფორმა.

4.1.1 ფინანსური მომსახურების პრივატიზაცია ცენტრალურ ევროპაში

დღეისათვის უკვე ნათელია, რომ ბევრმა ქვეყანამ სიჩქარის გამო შეცდომა დაუშვა. ცენტრალური ევროპის რეგიონში განსაკუთრებული შემთხვევაა ყოფილი ***ჩეხოსლოვაკია*** 1992 წელს თავისი "დიდი ნახტომით" პრივატიზაციაში. მოქალაქეებს ნება მიეცათ შეეძინათ ვაუჩერები, რომლებიც ამორჩევით შეეძლოთ გაეცვალათ ნებისმიერი საწარმოს აქციებში. ბევრმა თავიანთი აქციები მიანდო ცუდად მართვად და კონტროლირებად საინვესტიციო ფონდებს რათა არჩევანი ამ ფონდებს მათ მაგიერ გაეკეთებინათ.

ეს იყო ძალიან ველური პერიოდი, როდესაც რამდენიმე "დინამიკური ინდივიდი" აგროვებდა რა ამ აქციებს იქმნიდა საკუთარ კეთილდღეობას და შესაბამისად აკონტროლებდა მთელ რიგ კომპანიებს. ეს პერიოდი დიდად არ ხასიათდებოდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზითა და თამაშის წესების არსებობით. პოლონეთმა, ხორვატიამ, რუმინეთმა, სლოვაკიამ და რასაკვირველია რუსეთმაც ვაუჩერული პრივატიზაცია აირჩიეს პრაქტიკულად იგივე შედეგებით. სახელმწიფო საწარმოები ამ "დინამიურ ინდივიდებს" თითქმის უფასოდ გადაეცათ.

უნგრეთმა სხვა გზა აირჩია, მიანიჭა რა უპირატესობა იმ კონპანიებს რომლებსაც რეალურად გააჩნდათ ფინანსები და არა ვაუჩერები, ასეთებად კი რასაკვირველია უმეტესად უცხოელი ინვესტორები აღმოჩნდნენ, რადგან სოციალისტური სისტემის დროს არ შეიძლებოდა რომ არსებულიყვნენ კომპანიების მყიდველი ასეთი მდიდრები. უნგრეთის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ პირველ 10 წელიწადში მოეზიდა 10 მილიარდი აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია. ეს ამოცანა ქვეყანამ შეასრულა უკვე 1995 წელს, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნები ჯერ კიდევ კამათობდნენ ასეთი ნაბიჯის გადადგმა პატრიოტული იქნებოდა თუ არა. მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოსათვის პოლონეთმა და ჩეხეთმა, უფრო დიდმა ქვეყნებმა ვიდრე უნგრეთია, მოახერხეს უფრო მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა.

რასაკვირველია ვაუჩერული პრივატიზაცია უდიდესი შეცდომა იყო, რომელიც აღიარებულ იქნა ექსპერტთა უმეტესობის მიერ. ***ჩეხეთში*** ვაუჩერების ბაზაზე განხორციელებული პრივატიზაციის მეორე ტალღა პირველზე კიდევ უფრო უარესი აღმოჩნდა, რომელმაც ჩაითრია აუქციონები, ვაუჩერული პრივატიზაცია, ანუ პირდაპირი შესყიდვები, რომლებსაც როგორც წესი თავად კომპანიების ხელმძღვანელები ახორციელებდნენ. ჩეხების უნდობლობამ უცხოური ინვესტიციების მიმართ საწყის ეტაპზე მთელი მათი ეკონომიკა არასრულ კაპიტალიზაციამდე მიიყვანა, აქედან გამომდინარე სამწუხარო შედეგებით კომპანიებისა და მათი კრედიტორი ბანკების ჩათვლით.

იგივე მოხდა ***სლოვაკეთშიც***, სადაც სლოვაკეთის ქონების ეროვნულმა ფონდმა 900 კომპანია გაყიდა, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეიძინა უცხოურმა ინვესტორმა. უფრო მეტიც, ამ ფონდის წევრებიც კი ვერ ფლობდნენ ინფორმაციას ამ შესყიდვის შესახებ. ანალოგიური სიტუაცია და დარღვევები იყო სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ქონების ეროვნული ფონდების მიერ განხორციელებული ოპერაციებისას, რაც იწვევდა ეროვნული სიმდიდრის დატაცებასა და კორუფციას.

დღეს ***ჩეხეთში*** ბევრია უკმაყოფილო 1993-1998 წლებში მოღვაწე თავისი მთავრობის მიმართ რეფორმების დროს განხორციელებული გადაჭარბებული ლიბერალიზაციისათვის. ***იმ დროინდელ მთავრობას მიაჩნდა, რომ ქვეყნის ბაზრის განთავისუფლება უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, ვიდრე პრივატიზაციის მართვის ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნა და ბაზრის განვითარება***. მთავრობის ასეთ მიდგომას იმ პერიოდში, პრივატიზაციის სფეროს ზოგიერთი ცნობილი

უცხოელი სპეციალისტიც უჭერდა მხარს (დ.საკსი; ლ.სამერსი და სხვები), თუმცა დღეს აშკარაა რომ ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით მაშინდელმა "შოკურმა თერაპიამ" დიდი შედეგი ვერ მოიტანა, სამაგიეროდ კი კლეპტოკრატია შექმნა როგორც ჩეხეთში, ასევე რუსეთში და უკრაინაში.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რგოლი, რომელიც ასევე იყო ჩათრეული და მხარს უჭერდა კლეპტოკრატიას არის საბაკო სისტემა. ***უნგრეთმა,*** ზემოაღნიშნული რეგიონის ქვეყნებს შორის, ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება კომპანიებსა და ბანკებს შორის არსებულ "მეგობრულ" ურთიერთობებსა და ღრმა კორუფციას, რის გამოც სასწრაფოდ განახორციელა საბანკო რეფორმა 1992-1994 წლებში, მოახდინა ბანკების რეკაპიტალიზაცია, ხოლო შემდეგ მათი მიყიდვა უცხოური კაპიტალისათვის. ამ ღონისძიებით უნგრეთმა მოახერხა თავი აერიდებინა უდიდესი მასშტაბის კორუფციისათვის.

ამის შემდეგ, უკვე 1994 წელს ბაიერიშ ლენდესბანკმა (გერმანია) და ევროპის განვითარების ბანკმა (ეგბ) შეისყიდეს უნგრეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის აქციები, შესაბამისად 25 და 17%. 1996 წელს ეგბ-მ და ახლა უკვე ჯენერალ ელექტრიკ კეპიტალზმა (აშშ) შეისყიდეს ბუდაპეშტ ბანკი, ხოლო აბნ ამპრო-მ (დანია) და ინგ-მ (დანია) შესაბამისად შეისყიდეს უნგრეთის საკრედიტო ბანკი და დუნაბანკი. თუმცა, პირველი და წარმატებული პრივატიზაცია უცხოური საბანკო კაპიტალის მოზიდვით ჯერ კიდევ 1989 წელს განხორციელდა, როდესაც რზბ-მ (ავსტრია) შეისყიდა ელექტრონათურების მწარმოებელი უნგრული კომპანია ტუნგსრამი, რითაც გზა გაუხსნა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოზიდვას.

პოლონეთი უფრო ფრთხილობდა უცხოური ინვესტორებისათვის თავისი ბანკების საკონტროლო პეკეტის მიყიდვისას. ბანკი პეკაო-ს საკონტროლო პაკეტის პირველი ასეთი შესყიდვა იტალიური ბანკი უნიკრედიტო-ს მიერ განხორციელდა 1999 წელს. მართალია გვიან, მაგრამ ასეთი ნაბიჯი პოლონელებმა მაინც გადადგეს, რადგან მიხვდნენ რომ მათ რისკების და ინფორმაციულ ტექნოლოგიათა სისტემების მართვის უცხოური კომპეტენციები მათთვის ხელმიუწვდომელი იყო. დღეს პოლონეთის საბანკო სექტორის დაახლოებით 70% უკვე უცხოელების ხელშია და მათი ბანკები სწრაფად ვითარდებიან ფინანსური მომსახურების დასავლური სტანდარტებისაკენ.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, თავისი ბიუროკრატიისა და ადმინისტრაციული ბარიერების გამო, ***ჩეხეთმა*** ყველაზე დიდი დანაკარგი მიიღო იმის გამო, რომ დროულად არ განთავისუფლდა თავისი არაეფექტური და კორუმპირებული ბანკებისაგან და არ განახორციელა მათი პრივატიზაცია. 1997 წელს ჩეხეთმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, როდესაც ზომით მესამე თავის ბანკზე დაკარგა კონტროლი, არ მოახდინა მისი რესტრუქტურიზაცია, დროულად არ გაიტანა გასაყიდათ და არ გადასცა იგი საიმედო ინვესტორს. ამის შედეგად ბანკის ღირებულება დაეცა და 2000 წელს იგი პრაქტიკულად უფასოდ გადაეცა ბელგიურ კბს ბანკს.

ჩეხოსლოვაკიისაგან გამოყოფის შემდეგ (1993 წელს), ***სლოვაკეთში*** თითქმის არაფერი არ გაკეთებულა ბანკების რესტრუქტურიზაციისათვის. ამის შედეგად ხუთ წელიწადში 6 ბანკი გაკოტრდა და დაიხურა. სლოვაკეთის სამი უმსხვილესი ბანკის რესტრუქტურიზების საერთო ღირებულებამ ასეთი უგერგილობის გამო ქვეყნის მშპ-ის 11% შეადგინა. უცხოელი ექსპერტების შეფასებით სლოვაკეთს რომ ეს ბანკები აუქციონის გზით თავისუფალ გაყიდვაზე გაეტანა ქვეყნის ბიუჯეტი მშპ-ის 5-6%-ს მოიგებდა.

საბანკო სექტორში განხორციელებული რეფორმები ძალზედ მნიშვნელოვანია, ისევე როგორც სხვა სახის ინსტიტუციური რეფორმები და

მოთხოვნები იმ ქვეყნებისათვის, ვისაც განზრახული აქვს და რიგში დგას ევროკავშირში შესასვლელად. ასეთ მოთხოვნებს კი მიეკუთვნება:

- **ინსტიტუციური რეფორმები;**
- **ახალი საგადასახადო რეჟიმები;**
- **კორუფციის საწინააღმდეგო ღონისძიებები**

4.1.2 პრივატიზაციის მისაღები ფორმებისა და მეთოდების შერჩევა

საზოგადოებრივი მომსახურების პრივატიზაციის ოთხი ძირითადი ფორმა არსებობს, ესენია;

დეინვესტიცია – სახელმწიფო საწარმოს საკუთრების, კონტროლის და ოპერაციული პასუხისმგებლობის გადაცემა პირდაპირი გაყიდვისა, აქციებისა, ან აქტივების გაყიდვით;
კონტრაქტი მართვის უფლებით – ოპერაციული პასუხისმგებლობის გადაცემა (მხოლოდ მართვის) ლიზინგის საშუალებით საკუთრების უფლების გადაცემის გარეშე და მომსახურების ხარისხის კონტროლის შენარჩუნებით;
დევოლუცია – ისეთი ფუნქციის, ან მოღვაწეობის გადაცემა, რომელსაც მანამდე სახელმწიფო სააგენტო ახორციელებდა (სანიტარული კონტროლი, სხვადასხვა სახის გამოკვლევები, ვალების ამოღება, აუდიტი და სხვა);
სუბკონტრაქტები – საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ კერძო კომპანიებისაგან იმ პროდუქციის, ან მომსახურების შესყიდვა, რომლებსაც მანამადე აწარმოებდნენ სახელმწიფო ორგანიზაციები.

ამ ფორმების ჩარჩოებში პრივატიზაციის ბევრი მეთოდი არსებობს, რომელთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია:
საკუთრების რესტიტუცია – ადრე ნაციონალიზებული საწარმოების დაბრუნება ძველი მფლობელებისათვის, ამ მათი მემკვიდრეებისათვის, ან მათთვის ფულადი კომპენსაციის გადახდა;
აუქციონი – სახელმწიფო საკუთრების გაყიდვა აუქციონზე ადგილობრივი, ან უცხოელი მყიდველისათვის;
მონოპოლიური ფრანჩაიზინგი – სახელმწიფოს მიერ გარკვეული მომსახურების გასაწევად მონოპოლური უფლებების გადაცემა;
არენდაში გადაცემა სახელმწიფო საწარმოსი მთლიანად, ან ნაწილობრივ;
გამოსყიდვა სახელმწიფო საწარმოების მენეჯერთა ჯგუფის, ან მათი თანამშრომლების მიერ;
ლიკვიდაცია, ან **გაკოტრება** – ხორციელდება ამ საწარმოთა ვალების გასტუმრების მიზნით;
კომერციალიზაცია – საწარმოებისაგან მოითხოვება დაბანდებული საშუალებების უკან დაბრუნება, წყდება მათი სუბსიდირება, ხორციელდება მათი მონოპოლური სტატუსის ლიკვიდაცია, სახელმწიფო საწარმოების ოპერაციათა კომერციულ საფუძველზე გადაყვანა. ასეთი ღონისძიებები ხშირად კეთდება კომპანიების გამოჯანსაღებისა და გაყიდვისათვის მათი მომზადების მიზნით;
თანამშრომლობა, ან **პარტნიორობა** კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის მომსახურების გაწევისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის (ერთობლივი სახელმწიფო–კერძო საწარმოები, ერთობლივი ინვესტირება პროექტებში და სხვა);
დელეგირება პასუხისმგებლობისა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისათვის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მომსახურების უზრუნველყოფაზე;

გარანტიები სახელმწიფოს მხრიდან, ან სტიმულების სისტემა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებით დაკავებული კერძო სექტორისათვის.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პრივატიზაციის რეალიზაციის პროცესს შეიძლება შემდეგი სახის პრობლემები შეექმნას:

- ეროვნული პოლიტიკის არასტაბილურობა და გაურკვევლობა;
- პოლიტიკური ამბივალენტობა პრივატიზაციის მიმართ;
- ორგანიზაციისა და პროცედურების არაადეკვატურობა;
- სუსტი საფინანსო ბაზარი;
- პოლიტიკური ოპოზიცია პროფკავშირებისა და ზემოქმედების სხვა ჯგუფების მხრიდან;
- წინააღმდეგობა სამმართველო პერსონალისა და თანამშრომელთა მხრიდან;
- ბიუროკრატიული ბარიერები;
- არასაკმარისი გამჭვირვალობა პრივატიზაციის პროცედურებში;
- ბიზნესის არაადეკვატური ინფრასტრუქტურა;
- არასრული, ან ბუნდოვანი დებულებანი საკუთრების უფლების შესახებ;
- შემზღუდავი კანონები და ნორმები, აგრეთვე ზედმეტად დამამძიმებელი გადასახადები;
- კერძო მეწარმეების მიმართ ეჭვიანი და არაკეთილგანწყობილი ატმოსფერო საზოგადოების და/ან სამთავრობო აპარატის მხრიდან.

4.2 სტრუქტურული რეფორმები და ინსტიტუციური განვითარება

პრივატიზაცია, როგორც წესი წარმატებით მიმდინარეობს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ან რომელსაც ეფექტური პოლიტიკური რეფორმის მხარდაჭერა გააჩნია. ასეთი რეფორმის მიზანია მისაღები ეკონომიკური და პოლიტიკური კლიმატის უზრუნველყოფა და ადეკვატური ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა მისი გარანტირებულად წარმატებით განხორციელებისათვის.

გამოცდილება ადასტურებს, რომ არც შიგა და არც უცხოური ინვესტორები არ მიიღებენ მონაწილეობას პრივატიზაციაში მაღალი ეკონომიკური და პოლიტიკური რისკის ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის არასტაბილურობა ემუქრება პრივატიზებული კომპანიების გადარჩენასა და განვითარებას.

პრივატიზაციისა და ბაზრის განვითრებისათვის აუცილებელი რეფორმის ელემენტები მოიცავენ:

- ***სრტუქტურული ადაპტაციის პოლიტიკა*** – რესურსებისა განაწილების განმსაზღვრელი და ფასების დამდგენი საბაზრო მექანიზმების შექმნა, ფინანსების ლიბერალიზაცია, ფასების კონტროლის შემცირება;
- ***ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა*** – საგადასახადო ბალანსის დეფიციტის შემცირება, დავალიანებების დაფარვის გრაფიკის გადახედვა, საფინანსო ემისიის კონტროლი, ხელფასის დონის მიხედვით სუბსიდიებისა და შეზღუდვების შეწყვეტა;
- ***ვაჭრობასა და ინვესტიციების სფეროში რეფორმების პოლიტიკა*** – ექსპორტის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, სავალუტო კურსის გადახედვის, საივესტიციო და სავაჭრო ბარიერების შემცირების მხარდამჭერი პროგრამები;
- ***პოლიტიკური რეფორმები*** – პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაცია, ადმინისტრაციული მართვის დეცენტრალიზაცია, მრეწველობისა და მომსახურების დეცენტრალიზაცია, რათა კერძო საწარმოებმა შეძლონ

ეფექტურად იმუშაონ სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი ჩარევისა და კონტროლის გარეშე.

ამასთანავე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ სწრაფი ტემპებით გააძლიეროს პრივატიზაციის მხარდამჭერი ინსტიტუციური პოტენციალი, რომელიც მოიცავს:

- ***ბაზრისა განვითარებისა და პრივატიზაციის უზრუნველმყოფი ინსტიტუციები*** – მოიცავს საკუთრების ეფექტური უფლებების საფინანსო სტრუქტურების, სამუშაო ძალის ბაზრის, საკანონდებლო სისტემის, განაწილებისა და მარკეტინგის მხარდამჭერ პროგრამებს;
- ***სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციები*** – გულისხმობს საბაზრო ურთიერთობათა განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მობოლიზაციისა და მონაწილეობისათვის მხარდაჭერა;
- ***კერძო სექტორის განვითარების პროგრამები*** – მოიცავენ მცირე და საშუალო ფირმების განვითარების სტიმულებისა და მხარდამჭერ სისტემებს, დიდი კომპანიების რესტრუქტურიზაციას, აგრეთვე საერთაშორისო კორპორაციების მოზიდვას.

ასეთი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმები უფრო მყარი იქნება, თუკი ისინი დაეყრდნობიან ახალი საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების პოლიტიკას – საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელ ქცევისა და ღირებულებათა სისტემის ნორმებს.

კითხვები დისკუსიისთვის

1. რა არის პრივატიზაციის არსი და რა განსხვავებაა წარმოებისა და მომსახურების საწარმოთა პრივატიზაციას შორის?
2. რა არის საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის ძირითადი მიზნები და პრიორიტეტები?
3. რაში მდგომარეობს საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის უპირატესობანი და უარყოფითი მხარეები?
4. რა არის საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივი მომსახურების პრივატიზაციის ძირითადი დამაბრკოლებელი მომენტები და რატომ?
5. რატომ არის საჭირო პრივატიზაციის ინსტიტუციები და რა ინსტიტუციებია ესენი?
6. როგორ წარმოგიდგენიათ საზოგადოებრივი მომსახურების პრივატიზაციის სტრატეგიული გეგმა და რომელია მისი ძირითადი კომპონენტები?
7. დაახასიათეთ პრივატიზაციის ძირითადი მეთოდები. რა შემთხვევაშია მათი გამოყენება უკეთესი?
8. ნიშნავს თუ არა მომსახურების პრივატიზაცია სახელმწიფოს იგნორირებას მასში მონაწილეობისაგან?
9. კერძო საწარმოების მომსახურების როგორი კონტროლი უნდა განახორციელოს სახელმწიფოს ადმინისტრაციამ?

დანართები (თვალსაჩინო მასალები)

პრივატიზაციის ალტერნატიული მეთოდები



მოთხოვნები პრივატიზაციის მართვისადმი



პრივატიზაცია, როგორც დეცენტრალიზაციის ინსტრუმენტი

1. საზოგადოებრივი მომსახურების პრივატიზაციის არსი და მიზნები
- კეისი: ფინანსური მომსახურების პრივატიზაცია ცენტრალურ ევროპაში
2. პრივატიზაციის მართვის სისტემა
- პრივატიზაციის მიზნებისა და შედეგების განსაზღვრა;
- პრივატიზაციის მართვის სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- პრივატიზაციის მისაღები ფორმებისა და მეთოდების შერჩევა
3. სტრუქტურული რეფორმები და ინსტიტუციური განვითარება
- ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების ჩატარება;
- ინსტიტუციური პოტენციალის განვითარება;
- პრივატიზაციის მართვის რეალიზაცია და შეფასება;
4. პრივატიზაციის მეთოდების დეტალიზაცია
- საკონტრაქტო ურთიერთობები კერძო კომპანიებთან;
- კერძო და სახელმწიფო კომპანიების პარტნიორობა;
5. პრივატიზაციის პროცესის მართვა
- პრივატიზაციის პროცესის ძირითადი ელემენტები;
- სამთავრობო რეგულირებისა და კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნა;
- მომსახურების სფეროს საწარმოთა კონტროლის განხორციელება

პრივატიზაციის მეთოდები

1. **დეინვესტიცია:**

ა) გაყიდვები:
- კერძო მესაკუთრეებზე;
- აქციებისა მოსახლეობაზე;
- კომპანიის თანამშრომლებზე და მენეჯმენტზე;
- მოსარგებლეებსა და მომხმარებლებზე.

ბ) *უფასო ტრანსფერტი:*
- კომპანიის მუშაკებისათვის;
- მოსარგებლეებისა და მომხმარებლებისათვის (ასოციაციებს, კოოპერატივებს)
- მოსახლეობისა და საზოგადოებისათვის (ვაუჩერების უსასყიდლოდ, ან ნომინალურ ფასად გადაცემა);
- წინა მესაკუთრეებისათვის (რესტიტუცია).

2. **დელეგირება:**
- კონტრაქტი;
- ფრანჩაიზინგი (კონცესია, ლიზინგი)
- გრანტი;
- ვაუჩერი;
- მანდატი;

3. **გადაადგილება:**
- დეფოლტი;
- ამოღება (სახელმწიფო გამიზნულად წყვეტს გარკვეული მომსახურების მიწოდებას და ხურავს საწარმოს, მომსახურების რა მოცემულ ბაზარს უტოვებს კერძო სექტორს);
- დერეგულირება (უქმდება სახელმწიფო მონოპოლია, ან შეზღუდული რეგულირება ბაზარზე კერძო ინიციატივების წასახალისებლად).

5. ცვლილებები მთავრობის როლსა და ადმინისტრაციულ რეფორმებში

5.1 პოლიტიკური და სამთავრობო რეფორმები

დღეისათვის სახელმწიფოებსა და ფირმებს შორის უფრო მეტად შეიმჩნევა მისწრაფება სინერგიული და კოოპერატიული ურთიერთობებისაკენ. თითოეულ მათგანს აქვს უნიკალური და ურთიერთდამატებითი როლი ეკონომიკაში, სულ უფრო და უფრო მეტად დაფუძნებული ცოდნასა და საკუთარი მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლების სურვილზე.

პოლიტიკური და სამთავრობო რეფორმები ჩვეულებრივ მოიცავენ შემდეგ სახეებს:

- ***საკონსტიტუციო რეფორმები***, რომლებიც პრაქტიკულად სრულად ახლებურად იხილავენ სახელმწიფო მართვის პრინციპებსა და ინსტიტუციებს, განსაზღვრავენ ქვეყნის მოწყობის სტრუქტურას ფედერაციული, ან უნიტარული პრინციპის მიხედვით; აგრეთვე სახელმწიფოს მიზანსა და უფლებამოსილებას; აზუსტებენ და ანაწილებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და იურიდიული ძალაუფლების ჩარჩოებსა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებების საზღვრებს; საზღვრავენ მთავრობისა და მოქალაქეთა პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს;
- ***საარჩევნო სისტემის რეფორმა***, რომელიც ქმნის წარმომადგენლობათა ახალ ტიპებსა და ბაზებს, უზრუნველყოფს რა სახელმწიფო აპარატის ანგარიშგებას საზოგადოების წინაშე;
- ***ადმინისტრაციული რეფორმები***, მიმართული მთავრობის საქმიანობის გასაუმჯობესებლად თავისი ორგანოებისათვის ანგარიშგებითი სისტემის შემოღების გზით, გადაწყვეტილებების მიღებით მხოლოდ და მხოლიდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სასამართლოს როლის გაძლიერებით; ფინანსური მექანიზმების, საბუჰალტრო ანგარიშგების სისტემის, კონტრაქტებისა და შესყიდვების და სხვა სამმართველო ფუნქციების გამოყენებით;
- ***სახელმწიფო ადმინისტრაციის პერსონალის რეფორმა***, მიმართული სახელმწიფო მოხელეთა პასუხისმგებლობის, ფუნქციებისა და მოვალეობების, ხელფასის მოცულობის განსაზღვრასა და განაწილებაზე, სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის, წახალისების სისტემის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერაში წინსვლის, აგრეთვე ეთიკური სტანდარტების დადგენაზე.

ქვემოთ მოცემულია მთავრობათა ფუნქცონირებისა და მათი ძირითადი მახასიათებლების ცვლილებათა გზები (ცხრილი 10).

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ რეკომენდებული სტრუქტურული რეფორმების უმეტესობა მოითხოვს ეკონომიკაში მთავრობის როლის მკვეთრ შემცირებას. თუმცა, ამ რეკომენდაციების სწრაფად გატარების სურვილის დროს და სიჩქარეში, ხშირად სამთავრობო აპარატის შემცირებას მექანიკური ხასიათი ეძლევა, რითაც იკარგება მთავარი – მთავრობის გადამწყვეტი როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და თავად რეფორმების გატარების საქმეში. მაგალითად, ისეთი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის საფუძველი, როგორიცაა სამხრეთ კორეა, ტაივანი და სინგაპური, გახდა საექსპორტო პროდუქციის წარმოება როგორც ეს იყო გათვალისწინებული სტრუქტურული ადაბტაციებით, მაგრამ ამ შემთხვევაში სახელმწიფომ კატალიზატორის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ცვლილებები მთავრობათა პარადიგმაში (ცხრილი 10)

ფუნქციები	ძველი პარადიგმა	ახალი პარადიგმა
მთავრობის ეკონომიკური ფუნქციები	ეროვნული აქტივების შექმნასა და მათ გაადგილებაში პირდაპირი მონაწილეობა, ინტერვენცია ეკონომიკაში სოციალური და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად	ცოდნაზე დამყარებული დინამიური საბაზრო ეკონომიკის ინიციაცია და მხარდაჭერა, სოციალური და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შეზღუდულია;
ავტონომიურობის დონე პოლიტიკის ფორმირებაში	მნიშვნელოვანი; ამასთან ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციაში ადამიანთა ძალაუფლება მნიშვნელოვნად შეზღუდულია	გლობალიზაციამ გამოიწვია აქტივებისა და ბაზრებისათვის ქვეყნებს შორის მზარდი კონკურენცია, საზოგადოების მზარდი მონაწილეობა
კერძო სექტორთან დამოკიდებულება	საზოგადოდ მტრული; სახელმწიფო ერევა ეკონომიკაში რათა მოახდინოს ფირმების მონოპოლიზაციისა და სოციალურად მიუღებელი ქცევების მინიმიზაცია	ძველი პარადიგმა ჯერ კიდევ რელევანტურია. ამასთანავე სახელმწიფო უკვე მუშაობს ფირმებთან რათა დაეხმაროს მათ გავიდნენ უცხოურ ბაზრებზე და აიმაღლონ კონკურენტუნარიანობა
მთავრობის ორგანიზაცია	იერარქიული, ძალიან სუსტი ჰორიზონტალური კოორდინაცია; გადაჭარბებული მაკროეკონომიკური გადაწყვეტილებები; ამოცანების დუბლირება რეალიზაცია	მწყობრი, ჰორიზონტალური ინტეგრაცია გაუმჯობესებულია, მეწარმეობის ნიშნები მეტია, დეპარტამენტების ფუნქციები და მოქმედებები კოორდინირებულია

მან უზრუნველყო წარმოებისათვის აუცილებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება, რითაც ეკონომიკური ზრდის საწყის ეტაპზე ინვესტირებდა რა პირდაპირ წარმოებაში, აღმოფხვრა ეკონომიკურ ექსპანსიაში არსებული სუსტი ადგილები, ხოლო შემდგომ – შექმნა ხელშემწყობი პირობები კერძო საწარმოების განვითარებისათვის.

მსოფლიო ბანკის შეფასება გვიჩვენებს, რომ პროგრამების რეალიზაციის დაბალი ეფექტიანობა მთელ რიგ ქვეყნებში გამოწვეულია მათი დაბალი ადმინისტრაციული პოტენციალით. მთავრობათა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფუნქციებს მიეკუთვნებათ:

- უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა;
- შემოსავლების გენერაცია ინფრასტრუქტურისა და არსებითი საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებისათვის;
- წარმოებაში უსაფრთხოების ტექნიკის სტანდარტების და შრომის სხვა ნორმების მხარდაჭერა;
- იმ მონოპოლიებისა და კომპანიების ეკონომიკური საქმიანობების კონტროლი, რომლებიც ნეგატიურ გავლენას მოსახლეობის კეთილდღეობაზე ახდენენ.

5.2 მთავრობისა და მისი პოლიტიკის დეცენტრალიზაცია და დემოკრატიზაცია

მრავალი ქვეყნის ადმინისტრაციის დაბალი დონის პოტენციალი არ აძლებს საშუალებას მთავრობებს, რომ გააუმჯობესონ მომსახურების დონე, მიუხედავად იმისა გამოყოფილია თუ არა ამ მიმართულებით ფინანსური რესურსების სარძნობი რაოდენობა. ძალიან ბევრი ქვეყანა საჭიროებს ადმინისტრაციული და პოლიტიკური სისტემის მეტ დეცენტრალიზაციას, რათა უფრო ეფექტურად მოემსახუროს მოსახლეობას და გაატაროს სტრუქტურული გარდაქმნები. განვიხილოთ დეცენტრალიზაციის ძირითადი სახეები, ესენია:

- ***პოლიტიკური დეცენტრალიზაცია***, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა საარჩევნო ოლქებიდან რეგიონალური წარმომადგენლების არჩევას, რაც საშუალებას აძლევს მოსახლეობას უკეთ იცნობდეს თავის წარმომადგენლებს, ხოლო ამ უკანასკნელს უკეთ ერკვეოდეს რეგიონის პრობლემებში;
- ***ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია***, რომელიც დაკავშირებულია უფლებების, პასუხისმგებლობისა და ფინანსური რესურსების გადანაწილებასთან სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა დონეებს შორის, აგრეთვე ეკონომიკის კერძო და საზოგადოებრივ სექტორს შორის მომსახურების უზრუნველსაყოფად.

პოლიტიკური და ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს ცენტრალურ მთავრობებს განთავისუფლდნენ ბევრი ისეთი რუტინული და ტექნიკური სახის ამოცანების შესრულებისაგან, რომლებიც შეიძლება შესრულებულ იქნას ძალაუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და კერძო ორგანიზაციების მიერ.

5.2.1 ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის სამი ძირითადი ფორმა

ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის შემდეგი 3 ფორმა არსებობს:

დეკონცენტრაცია – უფლებამოსილების, ფინანსური და სამმართველო პასუხისმგებლობის გადანაწილება სამთავრობო ძალაუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, ან ახალი ორაგანოების ჩამოყალიბება ადგილებზე სამინისტროების ზოგიერთი ფუნქციის შესასრულებლად;

დელეგირება – დეცენტრალიზაციის უფრო ექსტენსიური ფორმა, რაც გულისხმობს სამმართველო გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის გადაცემას ცენტრალური აპარატიდან ნაწილობრივ ავტონომიურ ორგანოებზე, რომლებიც ანგარიშვალდებულნი კი არიან ცენტრალური მთავრობის მიმართ, მაგრამ არასრულად კონტროლირდებიან მათ მიერ. როგორც წესი ესენია საცხოვრებლების, სატრანპორტო ნაგებობების მშენებლობა, მომსახურების რაიონული სამმართველოები, რეგიონალური განვითარების კორპორაციები და სხვა;

დევოლუცია – კორპორატიული სტატუსის მქონე ავტონომიური ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის უფლებების მინიჭება მიიღონ გადაწყვეტილებები და აწარმოონ ფინანსური და სამმართველო საქმიანობა. ძალაუფლების ასეთი ადგილობრივი ორგანოები იძენენ ავტონომიურ და დამოუკიდებელ სტატუსს. ისინი განიხილებიან როგორც ადმინისტრაციული დონე და უფლება ეძლევათ აირჩიონ მერები და საბჭოები/საკრებულოები, მიიღონ შემოსავლები და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები ინვესტირების საკითხებში. ასეთი ადმინისტრაციული ორგანოები ცენტრალური მთავრობების მხრიდან უშუალოდ არ კონტროლდება.

პოლიტიკური და სამთავრობო რეფორმების მთავარი მიზანი არამარტო მისაღები სამთავრობო გადაწყვეტილებების ეფექტიანობის ამაღლებაა, არამედ საზოგადოებრივ და სამოქალაქო სექტორში საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და პრივატიზაციის მხარდამჭერი აზრის ჩამოყალიბებაც არის.

მრავალი გამოკვლევის გაანალიზება ადასტურებს, რომ მდიდარი რესურსების მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა უფრო მგრძნობიარეა სამთავრობო პოლიტიკური რეფორმების მიმართ, ვიდრე მწირი რესურსების მქონე ქვეყნებში. ამიტომ, მდიდარი ბუნებრივი რესურსების მქონე განვითარებად ქვეყნებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინსტიტუციების შესაბამისი მექანიზმის ჩამოყალიბება და ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად საერთო ჩარჩოების შექმნა.

განსაკუთრებული ყურადღებაა მისაქცევი ფინანსური ინსტიტუციების განვითარებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საკრედიტო და სხვა სახის ფინანსურ მომსახურებას აუცილებელს ინვესტორებისა და მეწარმეებისათვის. მთავრობებმა უნდა აამაღლონ მათი შრომის ბაზრების ქმედითუნარიანობა, გააუმჯობესონ ვალუტის გამცვლელი ბირჟების მუშაობა, შექმნან განაწილების ეფექტური და საიმედო სისტემები. აუცილებელია ასევე იურიდიული ინსტიტუციების სისტემის შექმნა, რათა იმართოს საქმიანი ტრანსაქციები, განხილულ იქნეს დავები, გაძლიერდეს საკუთრებისა და კორპორატიული მართვის უფლებები, განვითარდეს და პრაქტიკულად განხორციელდეს კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა.

ევროპის ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც კი შეიძლება მსგავსი პრობლემების აღმოჩენა. მაგალითად სუსტი კანონები კონკურენციის შესახებ გარკვეულწილად განაპირობებენ მაღალ ფასებს დიდ ბრიტანეთში. ფასების ფარული ფიქსაცია – საკმაოდ გავრცელებული ფაქტია ბრიტანეთის საცალო ვაჭრობაში. დამრღვევი კომპანიები ხშირად დებენ პირობას, რომ სამომავლოდ ასეთ დარღვევებს აღარ ჩაიდენენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ საკითხში საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებაზე. მაღალი ფასები ასევე მიანიშნებენ ბრიტანეთის ეკონომიკის გარკვეული სფეროს კონკურენტუნარიონობის დაბალ დონეზე. მაგალითად ავეჯისა და ხალიჩების შესაძენად, რესტორნებში და სასტუმროებში ბრიტანეთში იხდიან დაახლოებით 50%–ით, ხოლო სპორტული ინვენტარის, ავტომობილებისა და მოტოციკლების შეაძენად კი დაახლოებით 30%–ით მეტს ვიდრე აშშ–ში. ავტომობილების ღირებულება დიდ ბრიტანეთში

ბევრად უფრო მაღალია ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში და ეს ნამდვილად არ მიუთითებს ქვეყნის სიმდიდრეზე: ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დიდ ბრიტანეთში 10%–ით ნაკლებია ვიდრე გერმანიაში.

ბოლო 10 წლის განმავლობაში განვითარებულმა, განვითარებადმა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა განახორციელეს დერეგულაცია, განსაკუთრებით ენერგეტიკასა და ტრანსპორტში. მაგრამ ეს პროცესი ჯერ კიდევ განსახორციელებელია ტელეკომუნიკაციების, ელექტროენერგიის წარმოების, საფინანსო და სადაზღვევო სფეროებში. მაგალითად, აშშ-ში ასეთმა დერეგულაციამ საკმაოდ მაღალი სარგებელი მოუტანა ქვეყანას. ექსპერტთა შეფასებით დერეგულაციის განხორციელების აგრეგირებულმა ეფექტმა ავიახაზებში, სარკინიგზო ტრანპორტში, სატვირთო ავტომობილებით გადაზიდვებში, ტელეკომუნიკაციებსა და საბროკერო საქმიანობაში, საკაბელო ტელევიზიაში, ბუნებრივი გაზის მოპოვების და სხვა სფეროებში მიაღწია დაახლოებით 40–45 მილიარდ აშშ დოლლარს, ხოლო სამომავლო პოტენციური სარგებელი შეფასებულია 20 მილიარდ აშშ დოლარად.

საცალო ვაჭრობის კლიენტები გერმანიაში ჯერ კიდევ დამატებით იხდიან ფასს იმ არქაული შეზღუდვებისათვის, რომელიც სახელმწიფოს მიერ უკვე დიდი ხანია რაც დაწესებულია მაღაზიების მფლობელთათვის. მრავალრიცხოვანი კრიტიკოსები თვლიან, რომ კანონები მომხმარებელთა დაცვის შესახებ უფრო იცავენ გერმანულ ბიზნეს კონკურენტებისაგან, ვიდრე მომხმარებლებისაგან. ამ კანონებით გათვალისწინებულია ფართო დიაპაზონის კომერციულ საქმიანობაზე მთელი რიგი შეზღუდვა დაწყებული იმით, თუ როდის უნდა გაიღოს და დაიკეტოს მაღაზიები და დამთავრებული იმით, თუ როდის უნდა გაიყიდოს საქონელი შემცირებული ფასებით. კიდევ უფრო გასაკვირია, რომ კანონები ზღუდავენ ფასების 3%–ზე ნაკლებად დაწევას სპეციალური მომხმარებლებისათვის, აგრეთვე საჩუქრებისა და პრემიების გაცემის პრაქტიკას. 2000 წელს გალერეა კაუფხოფ–მა (მსხვილი სუპერმარკეტი) იგნორირება გაუკეთა ასეთ არქაულ შეზღუდვებს და სუპერმარკეტი სადილის შემდეგ საათებში კვირასაც გააღო. დაახლოებით 50 000 მომხმარებელი ეწვია სუპერმარკეტს მხოლოდ ამ ნახევარი დღის განმავლობაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თავად გერმანელები არიან ასეთი შეზღუდვების წინააღმდეგნი. მიუხედავად ამისა სუპერმარკეტი მაინც დააჯარიმეს 25 000 აშშ დოლარით კანონის დარღვევისათვის.

2000 წელს საფრანგეთის სოციალისტურმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სამუშაო კვირის 39 საათიდან 35 საათამდე შემცირების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების მიზანი, გარდა არჩევნებში მხარდაჭერისა, ასევე იყო 11% უმუშევრობის შემცირება. მთავრობა თვლიდა (თუმცა არა მისი ყველა წევრი), რომ სამუშაო კვირის შემცირება აიძულებდა კომპანიებს მეტი ადამიანი დაექირავებინათ, რაც სამწუხაროდ არ განხორციელდა. დღეისათვის, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უფრო მემარჯვენე მთავრობა ცდილობს გააუქმოს ეს გადაწყვეტილება.

ეფექტიანობის ამაღლება უფრო საგრძნობი იყო ისეთ ქვეყნებში, სადაც განხორციელდა ეკონომიკების დერეგულირება. მაგალითად, დიდი მანძილების სატელეფონო ბაზრებზე გასვლის დერეგულირებამ ჩილეში ფასები დაახლოებით 50%–ით დასწია და მიუახლოვა იგი აშშ–ის ფასებს. სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე კერძო სექტორის შეღწევის შემსუბუქებამ, ახალ სატელეფონო ხაზებზე მინიმუმ 2 წლიანი მოლოდინი ლათინური ამერიკის ქვეყნებში რამდენიმე კვირამდე შეამცირა. ბუენოს–აირესის პორტში ტერმინალებით სარგებლობაზე კონკურენციის დაშვებამ ამ ტერმინალებით სარგებლობის ფასები 70%–ით დასწია.

ძალიან ბევრი გამოკვლევა ადასტურებს, რომ გადაჭარბებული რეგულირება ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ

კეთილდღეობაზე. კერძოდ, რეგულირება მიმართული ფასების კონტროლსა და ბაზარზე გასვლაზე, ამცირებს კომპანიის კონკურენტუნარიანობას და სასიცოცხლო სტანდარტებს. რეგულირების ზედმეტი ნორმები ხელს უწყობენ კორუფციას. ამიტომ, პრაქტიკული რეკომენდაციები კორუფციასთან საბრძოლველად არის – მეტი გამჭვირვალობა სახელმწიფო შესყიდვებისას და ბიზნესის წარმოების ლიცენზირების გამარტივება. ხშირად ასევე ძალიან ეფექტურია სახელმწიფო და კერძო სექტორის არაფორმალური თანამშრომლობა სამთავრობო საქმიანობის მონიტორინგისას. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კორუფციასთან ბრძოლის საქმეში სულ უფრო დიდ როლს თამაშობენ სხვადასხვა სახის კანონები კონკურენციის შესახებ. ასევე დიდი მნიშვნელობა ეკისრება კარგად გათვლილ სოციალურ რეგულირებას, რომელმაც შეიძლება საგრძნობი სარგებელი მოუტანოს საშუალო მომხმარებელს.

ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი პროგრამების მიღებისა და განვითარებისათვის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას ეკონომიკური და სოციალური მიზნების ბალანსირება. სოციალური მიზნები შეიძლება მოიცავდნენ სპეციფიკური რეგიონების განვითარებას, მცირე ბიზნესის ხელშეწყობასა და ეროვნული უმცირესობების მომსახურებას, კონტრაქტებისა და მიწოდებების სამართლიან განაწილებას და სხვა.

5.3 იაპონიის გაკვეთილები

გასული საუკუნის ბოლოს იაპონიაში (მოსახლეობა 127 მილიონი, ფართობი 378 ათასი კვადრატული კილომეტრი, ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე 38.559 აშშ დოლარი, ეთნიკური სტრუქტურა 98% იაპონელი, 0.5% კორეელი, 0.4% ჩინელი, 0.6% სხვა) მომხდარმა ეკონომიკურმა რეცესიამ თავისი მნიშვნელოვანი და ნეგატიური როლი შეასრულა აზიის კრიზისში, თავის მხრივ ეკონომიკური ზრდის შემცირება იაპონიაში არ იყო აზიის კრიზისის მიზეზი. იაპონიაში არსებული ეკონომიკური პრობლემები წლების მანძილზე გროვდებოდა, ამიტომ მისი გამოწვევის რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობდა.

პირველი მიზეზი იყო სააქციო კაპიტალისა და უძრავი ქონების ზედმეტად/ხელოვნურად "გაბერილი" ღირებულება. აქტივებზე ფასების დაცემამ გამოიწვია საბაკო სისტემის ბალანსის დარღვევა და შესაბამისად კრედიტებზე დეფიციტი;

მეორე მიზეზი იყო ზედმეტად ინტერვენციული რეგულირება;

მესამე მიზეზი იყო ქვეყნის რეალური ეკონომიკის არაადეკვატური მაკროეკონომიკა, რაც მდგომარეობდა შიგა მოთხოვნილების სტიმულირების უუნარობაზე მოქმედი მზარდი გადასახადები და დიდი ხნის მანძილზე ექსპორტზე ორიენტირებული დარგების ხელშეწყობა;

მეოთხე მიზეზი იყო პრობლემების მთელი სერია იაპონიის მიკროეკონომიკაში.

ამ მიზეზების შედეგად იაპონიაში ბევრი ისეთი დარგი და სფეროა, რომელიც არ არის კონკურენტუნარიანი უცხოურ ბაზრებზე. ასევე კარგად არის ცნობილი იაპონური არაეფექტური მომსახურების სფერო. პარადოქსია, მაგრამ ქვეყანა საკმაოდ ნელა აღიქვამდა ახალ ტექნოლოგიებს. ბანკები რთულ მდგომარეობაში იყვნენ და მათი გამოცოცხლება საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობდა.

ათწლიანი რეცესიის შემდეგ იაპონია ჯერ კიდევ იმყოფება **ორ ლოგიკურად არსებით ურთიერთწინააღმდეგობაში:**

პირველი – არც თუ დიდი ხნის წინ უცხოური ინვესტიციები შეადგენდა ქვეყნის მშპ–ის 16%–ს, დაახლოებით იმდენივეს, როგორც აშშ–ში. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ქარხნების უმეტესობას უდიდესი გამოუყენებელი სიმძლავრეები

გააჩნდათ.

მეორე – იაპონური ექსპორტის დაცემა ქვეყნის სუსტი მიკროეკონომიკური პოლიტიკის გამო, რომელიც აყალიბებს კორპორატიული მართვისა და კომპანიების სტრატეგიას. იაპონური კომპანიები იმდენად იყვნენ კონკურენტუნარიანი, რამდენადაც მათი საქმიანი გარემო იყო დინამიკური ასეთი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ასეთი საქმიანი გარემო კი ყალიბდება შემდეგი 4 ურთიერთშეკავშირებული ზემმოქმედი ფაქტორის შედეგად:

- კომპანიაში არსებული რესურსების (მუშახელი, ნედლეული და მასალები) ღირებულება, ხარისხი და სპეციალიზაცია. ცნობილია, რომ იაპონურ კომპანიებს არ მიუწვდებათ ხელი ასეთ რესურსებზე, განსაკუთრებით ნედლეულსა და მასალებზე. მაგალითად, ამ ქვეყნის შოკოლადის მწარმოებელი ფაბრიკები საკმაოდ ძვირს იხდიდნენ იმპორტულ კაკაოსა და შაქარზე;

- ადგილობრივი მწარმოებლების სუსტი კავშირები მოწინავე და სპეციალიზებულ მომწოდებლებსა და პარტნიორებთან (ზოგ შემთხვევაში მათი საერთოდ არ არსებობა); ამ მიზეზის გამო, მაგალითად ფაქსების მწარმოებელი იაპონური მრეწველობა აღმოცენდა ფოტოაპარატების, ოპტიკისა და ელექტრონიკის მიმწოდებელთა კლასტერისაგან;

- ადგილობრივი მომხმარებლების სიმწიფე და პროგრესულობა. იაპონური დამამუშავებელი მრეწველობა რობოტების მასიურად გამოყენებაზე ბევრად უფრო სწრაფად გადავიდა, ვიდრე სხვა ქვეყნები, დამამუშავებელ მრეწველობაში განვითარებული პრაქტიკისა (მაგალითად, თითქმის ყველა კომპანიაში პერსონალის ცხოვრების მანძილზე დაქირავების დანერგილი პრაქტიკა) და პროცესების, კვალიფიციური სამუშაო ძალის უყოლობისა და ახალი პერსონალის მოზიდვისადმი სიფრთხილის გამო;

- ინტენსიური ადგილობრივი კონკურენცია, რომელსაც მივყავართ ინოვაციებამდე და მწარმოებლურობის განუხრელ ზრდამდე.

იაპონიის მთავრობის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ მაგალითად სარეცხი საშუალებების დარგში, დაიცავა რა თავისი მრეწველობა უცხოური კონკურენციისაგან, ბაზრის საკონტროლოდ რეალურად დატოვა მხოლოდ რამოდენიმე კომპანია. ამის საწინააღმდეგოდ, ადგილობრივი წარმოების ისეთი დარგების კომპანიები, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ უცხოურ ბაზრებზე და კონკურენცია იყო თავისუფალი, არ გააჩნდათ ბარიერები და სხვადასხვა სახის შეზღუდვები სახელმწიფოს მხრიდან – სწრაფად ვითარდებოდნენ, რაც საზღვარგარეთ მათი წარმატების მთავარი მიზეზი გახდა.

ამდენად, ერთადერთი და უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი იაპონიაში მომხდარი ეკონომიკური ჩავარდნისა ის არის, რომ მთავრობებმა თავი უნდა დაანებონ თავიანთ ანტიკონკურენტულ პოლიტიკის პრაქტიკას, ცალკეული კარტელებისა და კომპანიების მხარდაჭერას და ეკონომიკურ რეგულირებაში გააუქმონ კონკურენციის ხელშემშლელი ბარიერები.

კონკურენციის გაფართოება და არა დერეგულირება თავისთავად, უნდა იყოს ეკონომიკური რეგულირების დღევანდელი რეფორმების მიზანი.

რაც შეეხება კორპორატიულ მართვას მიიჩნევა, რომ კომპანიებმა შეიძლება მიაღწიონ მაღალ ხარისხსა და მცირე დანახარჯებს საუკეთესო მენეჯმენტის გამოყენების პრაქტიკით. მართლაც, იაპონურმა კომპანიებმა სასწაულებრივ წარმატებებს მიაღწიეს ისეთ ეფექტიან მიდგომებში, როგორიცაა ხარისხის მართვა, ტექნოლოგიური ხაზები, დამოკიდებულება მიმწოდებლებთან, “კაიზენ”

(უწყვეტი გაუმჯობესების პრაქტიკა), “კანბან” (მიწოდება ზუსტად განსაზღვრულ დროსა და ადგილას) და სხვა, ისევე როგორც მწარმოებლურობის ამაღლებაში. თუმცა, უკვე მაშინ ჩანდა სისუსტის ნიშნებიც. კერძოდ, იაპონიის მთელი რიგი დარგების დაბალი კონკურენტუნარიანობა, რამაც შესაბამისად საკმაოდ აამაღლა ცხოვრების ღირებულება. ამასთან, ექსპორტზე ორიენტირებული წარმატებული დარგები ცოტა იყო, მათ უმეტესობაში წარმატებული საექპორტო კომპანიები კი ძალიან ცოტა, ან საერთოდ არ არსებობდნენ, რაც იაპონიისნაირი დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის ძალზე მწირი იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ იაპონური კორპორაციების მომგებიანობა ძალიან დაბალი იყო საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით.

იაპონიის წარმატება ძირითადად აიხსნება მის კონკრეტულ დარგებში შემუშავებული და გამოყენებული ოპერაციული ეფექტიანობითა და სტრატეგიით. იაპონურმა კომპანიებმა დანარჩენ სამყაროს ბევრი ასწავლეს მართვისადმი მიდგომების სფეროში, რაც ძალზე სასარგებლო აღმოჩნდა. მაგრამ დღეისათვის უკვე ბევრი ქვეყნის კომპანია დაეწია მათ და ზოგ შემთხვევაში გადაუსწრო კიდეც, განსაკუთრებით ამერიკულმა კომპანიებმა, რომლებიც უფრო აგრესიულები იყვნენ რესტრუქტურიზაციასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაში. იაპონელთა შედარებითი სისუსტე განსაკუთრებით თვალში საცემია შემდეგი სახის არამწარმოებლურ საქმიანობაში: დაგეგმვა და კონტროლი, ფინანსები, ლოჯისტიკა და განაწილება, შეკვეთების დამუშავება, კლიენტების შესახებ ინფორმაცია, გაყიდვების შემდგომი მომსახურება და სხვა.

მიხედავად ამისა, იაპონური ფირმები ჯერ კიდევ საუკეთესონი არიან ინკრემენტულ უწყვეტ გაუმჯობესებაში, მასშტაბურ და ფართო ხედვებში, აგრეთვე ინოვაციურ სტრატეგიებში. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, ჰონდა ვერ იმარჯვებს ტოიოტასთან კონკურენციაში, რადგან არ არის საკმარისი მარტო ის, რომ იგი საუკეთესოა “კანბან”–სა და ხარისხის მართვაში. ტოიოტა ამ კონკურენციაში ჯერ-ჯერობით იმიტომ იმარჯვებს, რომ მას ჰონდასთან შედარებით ბევრად უკეთესი სტრატეგია აღმოაჩნდა უნიკალური ავტომობილების წარმოებასა და მარკეტინგში. იგივე შეიძლება ითქვას სონის შესახებ საყოფაცხოვრებო ელექტრონიკაში, აგრეთვე ნინტენდოსა და სეგას შესახებ ვიდეოთამაშების სფეროში.

ნისანი – განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან უზრუნველყოფს პერსონალის დაქირავებას ცხოვრების მანძილზე, ჰყავს დიდი რაოდენობით მუშები, მძიმე და მოუქნელი მომარაგების სისტემა “კეირეტცუ” 1000-ზე მეტი მომწოდებლით. ამიტომ ნისანის ერთ მუშაკზე მოდის მომწოდებლების 10 მუშაკი, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს შრომით დანახარჯებს. ნისანის ავტომობილები კარგად არის გაკეთებული, თუმცა თავისი კონსერვატიული სტილის გამო ის არ არის, რაც ჭირდება მომხმარებელს. მისი ჩამორჩენილი დიზაინის გამო შესაბამისად შემცირდა გაყიდვების რაოდენობაც. მართვის იაპონური სტილი დაფუძნებული კონსესუსზე ამცირებს რისკის სტიმულირებას, ზღუდავს დიზაინერთა თავისუფლებას, ამცირებს მომხმარებელზე ორიენტაციას და ანელებს გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფეს. ამის შედეგად ათობით მილიარდი აშშ დოლარის დავალიანების გამო ნისანი 2000 წელს გაიყიდა. ფრანგულმა კომპანია რენო–მ შეიძინა ნისანის აქციათა საკონტროლო პაკეტი და პირველად იაპონიის ისტორიაში კომპანიის პრეზიდენტი გახდა ფრანგი. პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნის შემდეგ მისი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი კომპანიის რესტრუქტურიზაციის პროცესში იყო მომწოდებლების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება და მათთვის მკაცრი მოთხოვნის წაყენება შეემცირებინათ დანახარჯები.

იაპონიაში ნამდვილი რესტრუქტურიზაციის პროცესის ტენდენციები უკვე

სახეზეა, რაც იმას გულისხმობს, რომ ასეთი რესტრუქტურიზაცია მოტივირებულია ფირმების შიგნიდან თავად მენეჯერების მიერ, ასევე გრძნობენ რომ ბიზნესის წარმოება არამარტო კომპანიების, არამედ ინვესტორების ინტერესებშიც შედის. შედეგების მიხედვით ანაზღაურების სისტემის შემოღებამ, რაც გულისხმობს აქციების (ობციების) განაწილებაში ფართო მონაწილეობას, ასევე დადებითი როლი ითამაშა. მიუხედავად ტრადიციების წინააღმდეგობისა, დღეისათვის უკვე ბევრი იაპონური ფირმა იყენებს ასეთ ნოვაციებს. მაგალითად, მაცუსიტა ელექტრონიკს–ის ქარხნების მენეჯერები უკვე სთავაზობენ თავიანთ თანამშრომლებს არჩევანს შედეგების მიხედვით ანაზღაურებასა და უფროს–უმცროსობის მიხედვით შრომის ანაზღაურებას შორის.

თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი ფირმა დიდ წინააღმდეგობას უწევს ახალი ნოვაციების დანერგვას. მაგალითად, მას შემდეგ რაც სონიმ გადაწყვიტა თავისი პროდუქციის ელექტრონული კომერციის (ინტერნეტის საშუალებით) გზით გაეყიდა თავისი პროდუქცია შუამავლებისა და საცალო მოვაჭრეების გვერდის ავლით, ამან სავაჭრო კომპანიების უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი დაემუქრნენ სონის, რომ თავიანთი საცალო ვაჭრობის მაღაზიების დახლებიდან ამოიღებდნენ სონის პროდუქციას.

დღეისათვის იაპონიამ შეცვალა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა და თავისი ბაზრების კარები უფრო ფართოდ გაუღო უცხოურ კომპანიებს. ამასთან, პერსონალის უკონტროლო შემცირებამ ბევრი ადამიანი შეიძლება ქუჩაში დატოვოს, რის შედეგადაც შეიძლება შესუსტდეს სამომხმარებლო დონე და საფრთხე შეექმნას ქვეყნის ეკონომიკურ გამოცოცხლებას. იაპონიის მთავრობამ განაცხადა, რომ დაეხმარებოდა კრედიტის სახით 100 მილიარდი აშშ დოლარით იმ კომპანიებს, რომლებსაც თვლის საკვანძო კომპანიებად იაპონიის ეკონომიკის ასაღორძინებლად.

თუმცა, ამ კომპანიების უმეტესობა მოძველებული დარგების წარმომადგენელია და ექსპერტები თვლიან, რომ ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოყოფილი თანხის 20% "დაუბრუნებელი" იქნება და ტვირთად ისევ გადასახადების გადამხდელებს დააწვება. ისინი ასევე თვლიან, რომ ასეთი დიდი მოცულობის ფინანსური რესურსის ძველ და არაეფექტურ ფირმებში ინვესტირება კიდევ უფრო გაზრდის სახელმწიფოს ისედაც მაღალ ვალს (მშპ–ის 130%, რაც ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებელია ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის), რითაც შექმნის ნელი მოქმედების ბომბს. ეს ბომბი შეიძლება მოგვიანებით აფეთქდეს, რაც გამოიწვევს გრძელვადიანი კრედიტების დასაფარად დღეისათვის არსებული 2%–ანი განაკვეთების მნიშვნელოვნად გაზრდას და გადასახადების გადამხდელთა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას.

ქვეყნის ყველაზე უფრო ცნობილმა კომპანიებმა, რესტრუქტურიზაციისა და თანამშრომელთა შემცირების თითქმის 10 წლიანი წინააღმდეგობის შემდეგ, გამოაცხადეს დასაქმებულთა შემცირებისა და აქტივების ნაწილის გაყიდვის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ ნისანი ერთ–ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც გამოაცხადა რადიკალური რესტრუქტურიზაციის შესახებ და დაითხოვა 20 000 მეტი თანამშრომელი. ამის შემდეგ 2004 წელს უკვე მიცუბიში–მაც შეამცირა თავისი მუშახელი 13%–ით. მართალია ასეთმა შემცირებებმა ქვეყანაში გარკვეულწილად უმუშევრობა გამოიწვია, ასევე შეამცირა მოსახლეობის შემოსავლები და მსყიდველობითი უნარიანობა გარკვეული პერიოდით, სკეპტიკოსთა პროგნოზის მიუხედავად კორპორაციებში ჩადებულმა ინვესტიციებმა დღეისათვის უკვე დაიწყეს უკუგება, რომლის მაჩვენებელი უახლოვდება საერთაშორისო ნორმებს.

ეკონომიკის აღდგენის უმნიშვნელოვანესი პირობაა კორპორატიული მართვის სისტემის რეფორმა, რომელიც ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული ბანკებსა და

ბიუროკრატებზე, უნდა იყოს უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული. ინვესტორების მხრიდან კომპანიებზე ზეგავლენის გარეშე რათა მათი ფინანსები უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული მეტი მოგების მისაღებად, იაპონური კომპანიები ვერ შეძლებენ აამაღლონ თავიანთი კონკურენტუნარიანობა. აქციონერები უფრო მეტად უნდა ერეოდნენ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში, დირექტორთა საბჭოები უფრო დამოუკიდებელნი რომ იყვნენ კომპანიების მენეჯმენტისა და სახელმწიფოსაგან, ხოლო კორპორატიული გადაწყვეტილებები და ფინანსური შედეგები უფრო გამჭვირვალე. იაპონია ასევე უნდა ცდილობდეს კრედიტების სახელმწიფო გარანტიების სისტემიდან გადავიდეს რისკის წახალისების მიდგომისაკენ.

იაპონიის მთავრობა საკმაოდ დიდ ხანს იკავებდა თავს სტრუქტურული რეფორმებისაგან, იმედი ქონდა რა აღედგინა ეკონომიკური ზრდა დაბალი საპროცენტო განაკვეთებითა და მზარდი სახელმწიფო დანახარჯებით. ამის შედეგი იყო ის, რომ ქვეყნის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე უფრო ღრმა რეცესიაში ჩავარდა. ამ უკანასკნელ პერიოდში გატარებულმა ზემოაღნიშნული ხასიათის ფუნდამენტალურმა რეფორმებმა სახელმწიფო პოლიტიკასა და კორპორაციების პრაქტიკულ ქმედებებში მინიმუმამდე შეამცირა რეცესიის არამარტო ნეგატიური შედეგები, არამედ განავითარა კიდეც, როგორც ტრადიციული, ასევე ახალი კომპანიების კონკურენტუნარიანობა შიგა და გარე ბაზრებზე.

5.4 სინგაპურის გაკვეთილები

სინგაპურის ძლიერი ეროვნული კონკურენტუნარიანობა მას მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გვერდით აყანებს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა (ჟენევა) და მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის (ლოზანა) შეფასებით მას პირველი–მეოთხე ადგილები უკავია მსოფლიოში (მოსახლეობა 4.8 მილიონი, ფართობი 710 ათასი კვადრატული კილომეტრი, ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე 38.972 აშშ დოლარი, ეთნიკური სტრუქტურა 75% ჩინელი, 14% მალაიზიელი, 9% ინდოელი, 14% ევროპელი, არაბი და სხვა). წლების მანძილზე ამ ქვეყნის მთავრობის საქმიანობა შეფასებული იყო როგორც საუკეთესო. ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის, ადამიანური რესურსების ხარისხის და ქვეყნის მენეჯმენტის დონის მიხედვით ქვეყანას მეორე–მეოთხე ადგილები უკავია მსოფლიოში. სინგაპური ასევე ძლიერ ქვეყანად ითვლება წარმოების ფაქტორების გამოყენებისა და ექსპორტირების უნარის მიხედვით. ერთ–ერთი საუკეთესოა იგი ასევე მთავრობისა და ბიზნესის უნარის მიხედვით მართოს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მწარმოებლურობის მაღალ დონესა და მის განუხრელ ზრდას.

ადამიანური რესურსების განვითარება, ცხოვრების ხარისხი, რისკის დაბალი დონე ეკონომიკაში, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა – ყველაფერი ეს ქვეყანას ძალიან მიმზიდველს ხდის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და მასში უცხოური ბიზნესის ბაზირებას. სინგაპურის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად იზრდება დაბალი სავაჭრო ბარიერებისა და ინტელექტუალური საკუთრების დამცავი საკანონმდებლო ბაზის შედეგად. სინგაპურის კომპანიები თავისუფალნი არიან მეზობელ ქვეყნებთან პარტნიორობის ორგანიზაციაში მინიმალური სამთავრობო შეზღუდვებით, ამასთან უცხოურ ფირმებს ასევე შეუძლიათ შეიძინონ სინგაპურის კომპანიათა უმეტესობის აქციათა საკონტროლო პაკეტი.

5.4.1 ეკონომიკური განვითარების სტრატეგია

სინგაპური ისეთ პოლიტიკას იყენებს, რომელიც მას ხდის ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის კარიბჭედ სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიაში. ქვეყანამ ჯერ კიდევ 1965 წლიდან დაიწყო თავისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის განვითარება, რომელმაც თავისი ევოლუციის რამდენიმე სტადია გაიარა.

პირველი სტადია (1955–1965 წლები) გამიზნული იყო ვაჭრობის ვარდნისა და დამამუშავებელი მრეწველობის დაბალი ხარისხის გასანეიტრალებლად. მთავრობამ გამოიყენა იმპორტის შემცვლელი პოლიტიკა რათა სწრაფად განევითარებინა ადგილობრივი დამამუშავებელი მრეწველობა და ქვეყნის ინდუსტრიული ბაზა. მან ტარიფები და კვოტები შემოიღო, რათა დაეცვა ახლად ჩამოყალიბებული დარგები, შექმნა არც თუ დიდი სამრეწველო ცენტრები, უზრუნველყო მიმზიდველი საგადასახადო "არდადეგები" უცხოური ინვესტორებისათვის, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის, როგორც ქვეყნის წამყვანი დარგისათვის, შეიმუშავა მნიშვნელოვანი სტიმულები;

მეორე სტადია (1966–1974 წლები) გამიზნული იყო სინგაპურის ვაჭრობისა და ინვესტირების საერთაშორისო ცენტრად გადასაქცევად, რადგან ადგილობრივ ბაზრებს აღარ შეეძლოთ სინგაპურში წარმოებული პროდუქციის აბსორბცია და ამიტომ გადაერთვნენ ექსპორტზე–ორიენტირებული პოლიტიკის განვითარებაზე. სინგაპური ბევრს ინვესტირებდა ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში და ახალისებდა იმ დარგებს, რომლებსაც ესაჭიროებოდა კვალიფიციური მუშახელი. ასე განავითარეს ელექტრონიკა, ნავთობქიმია და გემთმშენებლობა;

მესამე სტადია (1974–1985 წლები) გამიზნული იყო ინტენსიურ შრომაზე დაფუძნებული ეკონომიკიდან ცოდნაზე, მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებზე დაფუძნებულ და მსოფლიო ბაზრებზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლაზე. ეს სტრატეგია ფოკუსირებული იყო როგორც ქვეყნის ძირეული დარგების, ასევე მაღალტექნოლოგიური და კვალიფიციურ შრომაზე დაფუძნებული სფეროების (კომპიუტერები, ელექტრონიკა, მანქანები და ფარმაცევტიკა და სხვა) განვითარებაზე. ამასთან, სინგაპური პარალელურად ანვითარებდა თავის კონკურენტულ უპირატესობებს განაწილებაში, ფინანსებსა და მომსახურებაში;

დღევანდელ სტადიაზე (დაწყებული 1986 წლიდან) მიმართულია ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე დივერსიფიკაციისა და ფოკუსირების გზით მაღალი პრიორიტეტული განვითარების მქონე დარგების კლასტერზე. დღეს სინგაპური ცდილობს ორიენტირებული იყოს კიდევ უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებზე და ანვითარებს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ბიოტექნოლოგია, ავიაკოსმოსურ მიმართულებებთან დაკავშირებული დარგები, გარემოს დაცვა და სხვა.

თავისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად სინგაპური აგრძელებს საქმიანი და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, დიდ ინვესტიციებს ახორციელებს ტრანსპორტში, ტელეკომუნიკაციებში, ადამიანური რესურსების განვითარებაში. დღეისათვის ქვეყანას აქვს მსოფლიოში ერთ–ერთი საუკეთესო აეროპორტი, მშვენიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტი და მშვენიერი საქმიანი ინფრასტრუქტურა. სინგაპური ხდება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საქმიანი კოსმოპოლიტიკური ქალაქი და ერთ დონეზე დგება ჰონ–კონგთან ეკონომიკური თავისუფლების დონით, სამთავრობო ჩინოვნიკებისა და კერძო ბიზნესის კორუფციის დაბალი დონით. ერთ სულ მოსახლეზე მშპ–ით სინგაპური შედის მსოფლიო მოწინავე ქვეყნების ათეულში, ოჯახების 90% უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ფართით.

სინგაპურის ეკონომიკური განვითარების საბჭომ შეიმუშავა გეგმა სახელწოდებით "მრეწველობა 21", რომელიც გულისხმობდა დამამუშავებელ

მრეწველობასა და ექსპორტში მაღალხარისხიანი მომსახურების განვითარების გზების შემუშავებას. კერძოდ, ადგილობრივ და საერთაშორისო ცოდნაზე დაფუძნებული დარგების განვითარებაზე აქცენტის გაძლიერება მათთვის გრძელვადიანი გეგმით – აწარმოონ მშპ–ის სულ მცირე 40% და გენერირება გაუკეთონ 20 000 სამუშაო ადგილს წელიწადში. ნავთობგადამამუშავებელი ცენტრის შექმნამ თავისი ტერმინალებით ძალიან დიდი ბიძგი მისცა ასეთი ტენდენციების განვითარებას და 2000 წელს კალტექს–მა (აშშ) თავისი გლობალური შტაბ–ბინა სინგაპურში გადაიტანა, შეუერთდა რა იქ უკვე არსებულ სხვა 35 ფირმას.

სინგაპურში ძალიან ფასობს ინოვაცია და შემოქმედება. ასეთი კულტურისადმი მისწრაფება მოსახლეობას ჯერ კიდევ ადრეული საბავშვო ასაკიდან უყალიბდება, ხოლო შემდეგ უნვითარდება საწყისი და საშუალო სასკოლო განათლების მშვენიერ სისტემაში. მთავრობამ ასევე შექმნა მეწარმეობის გენერაციასა და გაფართოებაზე მიმართული ძალიან ბევრი პროგრამა. მაგალითად, კლასტერული ფონდი მიმართულია მრეწველობის დინამიზმსა და მხარდაჭერაზე, ახალისებს რა ამით ძირეული დარგების დივერსიფიკაციას. ადგილობრივი მრეწველობის მოდერნიზაციის პროგრამა ეხმარება ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნესით დაკავებულ კომპანიებს ჩამოაყალიბონ პარტნიორული ურთიერთობები მსგავსი პროფილის მქონე მოწინავე საერთაშორისო კომპანიებთან რათა ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობა აამაღლონ.

მთავრობა ასევე ცდილობს განავითაროს ადგილობრივი საშუალო ზომის საწარმოებს შორის ინტეგრაცია, რათა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ეკონომიკის მასშტაბებისა და სპეციალიზაციის უპირატესობები. ოცდათორმეტი ადგილობრივი კომპანია ჟურონგის რეგიონში გაერთიანდა ერთიან ქსელში სახელწოდებით ჟურონგის მწარმოებლურობის ზონა. ეს უნიკალური ქსელი ეროვნული მწარმოებლურობის საბჭოსა და მწარმოებლურობის ეროვნული ასოციაციის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად შეიქმნა, რომელიც საშუალებას აძლევს ფირმებს გააერთიანონ თავიანთი რესურსები რეგიონში ინფორმაციის და გამოცდილების უფრო ეფექტიანად გაცვლის, მწარმოებლურობის ამაღლებისა და მეწარმეობის განვითარებისათვის.

5.4.2 საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა

სინგაპურის მთავრობამ 1999 წელს მოიწონა 1.1 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის პროგრამა მიმართული დანახარჯების შემცირებისა და კონკურენტუნარიანობის შემდგომი ამაღლებისათვის. სინგაპური აგრძელებდა დაგროვებისა და ინვესტიციების მოზიდვის, გახსნილი ვაჭრობის, განათლების მაღალი დონის, შრომის მოქნილი ბაზრების პოლიტიკას. მარტო 2000 წელს ირგანიზებული იყო 100–ზე მეტი სავაჭრო მისია და საერთაშორისო გამოფენა. ქვეყნის ასეთმა ძალისხმევამ გამოიწვია ეკონომიკური ზრდა დაახლოებით 7%–ით, აზიური ფინანსური კრიზისის დასრულებისთანავე. უმუშევრობა შემცირდა და მიაღწია 3.5%–ს, ტურიზმი კი გაიზარდა 15%–ით.

სინგაპურის ეკონომიკური განვითარების საბჭომ წარმატებით განახორციელა უცხოური კაპიტალის მოზიდვა, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიურ დარგებსა და ნავთობქიმიაში. სინგაპურმა ასევე მოახერხა გამხდარიყო ცოდნაზე დამყარებული დარგების გლობალური ცენტრი ელექტრონიკაზე, ქიმიასა და სიცოცხლის შემსწავლელი დარგების კონცენტრაციის გზით. ქვეყანა მხარს უჭერს ისედაც მშვენიერ ინფრასტრუქტურას და დაუყოვნებლივ მიმართავს უცხოელი ინვესტორების სურვილის შემთხვევაში მათთვის მიწების გამოყოფას. მთავრობა განსაკუთრებით ყურადღებიანი ბიზნესის მიმართ, შიგა ბაზარი

უცხოური ბანკებისათვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდა, შესუსტდა რეგულირება ადგილობრივი ბანკებისათვის.

კიდევ უფრო გაუმჯობესდა კაპიტალზე ხელმისაწვდომობა. ამ კრიტერიუმის მიხედვით სინგაპურმა პირველი ადგილი დაიკავა აზიის ქვეყნებს შორის. კაპიტალზე ხელმისაწვდომობის ინდექსი აფასებს, როგორც კაპიტალის არსებობას, ასევე ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობას. დღეს სინგაპური ძალიან ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ გახდეს მძლავრი ფინანსური ცენტრი. ამ ცოტა ხნის წინ მან შემოიღო მთელი რიგი ღონისძიებები საბანკო სექტორის ლიბერალიზაციისათვის გააუქმა რა ადგილობრივი ბანკებისათვის უცხოური საკუთრების წილზე 40%–ანი ლიმიტი, შეიტანა კონკურენცია ამ სექტორში, რამაც ადგილობრივი ბანკების უფრო სწრაფი კონსოლიდაცია და გამსხვილება გამოიწვია. ამასთან, ეს ღონისძიებები ასევე ითვალისწინებენ ადგილობრივი ბანკების დაცვას უცხოელებისაგან მათი მოულოდნელი შეძენისაგან. სინგაპური დღეს არის რა უკვე ერთ–ერთი ლიდერი სავალუტო ბაზარზე, ცდილობს განავითაროს თავისი შესაძლებლობები ფონდების მართვის მიმართულებით და გახდეს რეგიონალური ფინანსური ცენტრი.

სინგაპურმა ბევრი ინვესტირება განახორციელა მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად და ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად, სისუფთავის, წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობის დაბალი დონის მისაღწევად. მთავრობა სთავაზობს მეწარმეებს, განსაკუთრებით მცირე ბიზნესს ფინანსურ დახმარებას, რათა მათ გამოიყენონ ახალი, ან ჯერ კიდევ "ნედლი" ტექნოლოგიები. ამასთან, მთავრობამ შემოიღო ძალზე მკაცრი კონტროლი გარემოს დაბინძურებასა და სხვადასხვა სახის ნარჩენებზე.

ფრთხილი სამთავრობო პოლიტიკის გატარებისა და არსებული ძლიერი დამამუშავებელი მრეწველობის გამო, სინგაპური აზიური ფინანსური კრიზისიდან მცირე დანაკარგებით გამოვიდა. ამ კრიზისამდე, როდესაც გამოვლინდა რეცესია და მეზობელი ქვეყნების ვალუტები განიცდიდნენ ვარდნას, სინგაპურის მთავრობამ სწრაფად გაიაზრა ბიზნესის რეგულირების შემცირების და განვითარების გაფართოების სტიმულირების აუცილებლობა, რათა მოეზიდა კაპიტალი განვითარებული ქვეყნებიდან. სინგაპურულ დოლარს არაოფიციალური სავაჭრო კურსის ფარგლებში მიეცა რყევის საშუალება ისეთნაირად, რომ ერთის მხრივ ვალუტას შეძლებოდა მეტი წინააღმდეგობის გაწევა, ხოლო მეორეს მხრივ დარჩენილიყო დინამიკური. ამის შედეგად სინგაპურის დოლარმა დაკარგა თავისი ღირებულების მხოლოდ 12%, მაშინ როდესაც სხვა აზიური ვალუტები პრაქტიკულად ჩაფლავდა.

მთავრობამ წამოაყენა პრიორიტეტი, რომ სინგაპური გამხდარიყო ნაკლებად ძვირ ადგილად ბიზნესის საწარმოებლად და შეიმუშავა დანაკარგების შემცირების ღონისძიებათა აგრესიული პროგრამა, რის შედეგადაც მშპ–ის 7% კვლავ ბიზნესს დაუბრუნდა. ეს ღონისძიებები ასევე გულისხმობდა ხელფასების შემცირებას 15%–ით, რაც გაგებით იქნა აღქმული მოსახლეობის მიერ, რომელსაც ჯეროდა რომ მისი მთავრობა იშვიათად ცდებოდა ეკონომიკური რეფორმების გატარების საკითხში. მთავრობამ ასევე შეამცირა დანახარჯები ბიზნესზე შეამცირა რა შენატანები სოციალურ დაზღვევაზე, შეამსუბუქა ფინანსური რეგულირება, გახსნა კაპიტალის ბაზრები კონკურენციისათვის, გააუქმა უცხოურ საკუთრებაზე შეზღუდვები ადგილობრივი ბანკებისათვის.

ამის შედეგად, 2000 წლისათვის ეკონომიკური ზრდა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მაშინ როდესაც აზიის სხვა ქვეყნებში ძალზე უმნიშვნელო, ზოგიერთში კი პირიქით, მნიშვნელოვნად დაიწია. სინგაპურში (მსყიდველობითი უნარის მიხედვით) ერთ სულ მოსახლეზე წლიური ნომინალური მშპ–ს 2008 წლის მაჩვენებლით (38.972 აშშ დოლარი) უკვე გადაასწრო იაპონიას (38.559 აშშ

დოლარი). დღეს, როდესაც რეგიონში კონკურენცია ამაღლდა, სინგაპურის მთავრობამ ახლა სხვა დამატებითი ღონისძიებები გაატარა. კერძოდ, შეამცირა განაკვეთები ელექტროენერგიაზე, შეამცირა შეზღუდვები ინტერნეტით სარგებლობაზე და ასობით ათასი სახლი დამატებით ჩაერთო ინტერნეტის ქსელში.

5.4.3 ადამიანური კაპიტალის განვითარება

სინგაპურის ლიდერები, ითვალისწინებენ რა თავიანთ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასა და ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას, თვლიან რომ მათი კონკურენტუნარიანობა უნდა იყოს ინტელექტუალური კაპიტალის შექმნა, ამასთან არ უნდა დაივიწყონ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაც

განათლების სისტემა ისეთნაირად იცვლება, რომ აქცენტირება კეთდება ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებაზე. სინგაპურის მთავრობა თვლის, რომ კონკურენტული უპირატესობებისა და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებისათვის, გამოყოფს რა მათთვის ქვეყნის ბიუჯეტის 25%, აუცილებელია მაღალკვალიფიციური და მაღალგანვითარებული სპეციალისტები, რომელთა განათლებისა და წვრთნისათვის შესაბამისად გამოყოფს თავისი ბიუჯეტის 20%. ადამიანურ რესურსებში ინვესტირება სინგაპურის მთავრობის მთავარი პრიორიტეტია, შესაბამისად მთავრობა მიმართავს სერიოზულ და ფუნდამეტურ რეფორმას სკოლებში ლოზუნგით "მოაზროვნე სკოლები, შემეცნებითი ერი."

ამ რეფორმის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ რეგლამენტირებული, გამოცდებზე ორიენტირებული პროგრამებიდან უნდა განხორციელდეს გადასვლა პირად ინიციატივაზე დაფუძნებულ პროგრამაზე. მუშების სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე და მათი წრთვნა ახალ პირობებთან ადაბტაციისათვის, ასევე დაფუძნდა 1998 წლის კრიზისის პერიოდში. ასეთი პროგრამების შემქმნელთა აზრით განათლების სისტემას უნდა შეეძლოს ადამიანებისათვის მეტი შემეცნების, კვლევის, აზროვნებისა და ფიქრის უნარ–ჩვევების გამომუშავება. სინგაპური ყველანაირად ახალისებს აშშ–ის და დიდი ბრიტანეთის ბიზნესის სკოლებს გახსნან თავიანთი განყოფილებები კუნძულზე, რათა ამაღლდეს ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობა.

სინგაპური ასევე ლიდერია რეგიონში პროფესიული სწავლების ნიშნითაც. პროფესიული სწავლების ეროვნულმა საბჭომ წვრთნისთვის შექმნა ინტეგრირებული ინფრასტრუქტურა, რომელიც ახორციელებს რამდენიმე ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პროგრამას მუშებისა და ტეკნიკოსების, აგრეთვე საწარმოებში სამუშაოდ სკოლადამთავრებულთა მომზადებას. სპეციალური დარგობრივი პროგრამები სპეციალიზებულ წვრთვნას უზრუნველყოფენ. არსებობს სუბსიდიების სქემა მცირე და საშუალო ბიზნესის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისთვის, რომელიც წვრთნისათვის გადაფარავს გამიზნული ხარჯების 30–დან 90%–მდე.

სინგაპური თანდათანობით ემსგავსება "ინტელექტუალურ კუნძულს" ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და გამოყენების შედეგად. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 50% სახლში ფლობს კომპიუტერს, დაახლოებით 30% ინტერნეტით სარგებლობს. ეროვნული კომპიუტერული საბჭოს უახლესი მიზანია, რომ თითოეული ოჯახის ერთი წევრი მაინც ფლობდეს კომპიუტერს, სარგებლობდეს ინფორმაციული ტექნოლოგიებითა და ინტერნეტით. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში სინგაპურს მსოფლიოში მეოთხე ადგილი ეკავა ინფორმაციული საზოგადოების ინდექსის მიხედვით.

მთავრობა ძალიან სერიოზულად ანვითარებს ელექტრონულ კომერციას, რომლის მიზანია ისეთი მდგომარეობა შექმნას, როდესაც კომპანიათა ნაწილი

თავის ბიზნესს 50% წარმართავს ინტერნეტის საშუალებით. სინგაპურმა გაიღო 15 მილიონი აშშ დოლარი, რათა შექმნას აზიის ელექტრონული კომერციის ქსელი. მთავრობამ განაცხადა, რომ უახლოეს რამდენიმე წელიწადში აპირებს ყველა შესაძლო ფუნქციის შესრულება გადაიყვანოს ***on-line*** რეჟიმზე, ასევე მიაღწიოს ისეთ დონეს სკოლებში, როცა თითოელ მათგანს ერთი კომპიუტერი მაინც ექნება ყოველ ორ მოსწავლეზე. ანვითარებს რა კომპიუტერულ განათლებას, მთავრობას განზრახული აქვს შექმნას მსოფლიოში პირველი ფართო დიაპაზონის ეროვნული ქსელი, რომელიც მულტიმედია აპლიკაციებსა და მომსახურებას მიაწოდებდა.

სინგაპურის განვითარება ამ ბოლო წლებში მთავრობის განსწავლულობის მშვენიერ მაგალითს იძლევა, რომელმაც იცის თუ რა უნდა და როგორ უნდა მიაღწიოს მას. დროის მცირე პერიოდში მთავრობამ სინგაპური გაიყვანა მსოფლიოს ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი ქვეყნების რანგში, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით. აზიური კრიზისის დროს წარმოჩენილი ზოგიერთი პრობლემის მიუხედავად, სინგაპური ასევე კონკურენტუნარიანი ქვეყანაა თავისი მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსების, მშვენიერი ინფრასტრუქტურის, გონიერი და დინამიკური მთავრობის მიერ გატარებული თანამიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის გამო. შესაძლოა სინგაპურში მეტია ცენტრალიზაცია და კონტროლი, ვიდრე მაგალითად აშშ–ში, თუმცა ხალხს ეს მოსწონს, მხარს უჭერს და თანამშრომლობს მთავრობასთან.

კითხვები დისკუსიისთვის

1. როგორ შეიცვალა მთავრობის როლი ბოლო 10–15 წლის განმავლობაში?
2. რაში მდგომარეობს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ადმინისტრაციული რეფორმების ძირითადი არსი?
3. რატომ არის აუცილებელი მთავრობის დეცენტრალიზაცია და დემოკრატიზაცია, რა კავშირშია ისინი მიმდინარე ადმინისტრაციულ რეფორმებთან?
4. რა არის სახელმწიფო ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი მომსახურების პროცესების რეინჟინერინგი?
5. რა არის იაპონიის ბოლო 10 წლის წარმატების ძირითადი გაკვეთილები? შეადარეთ საქართველოში არსებული პრობლემები ამ ქვეყნის პრობლემებს და წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები რა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს და რატომ იაპონური გაკვეთილებიდან?
6. რაში მდგომარეობს სინგაპურის ეკონომიკური და სოციალური წარმატების ძირითადი არსი? შეადარეთ საქართველოში არსებული პრობლემები ამ ქვეყნის პრობლემებს და წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები რა შეიძლება გათვალისწინებული იქნეს და რატომ სინგაპურის გაკვეთილებიდან?

დანართები (თვალსაჩინო მასალები)

მთავრობათა ლიდერების მიერ გადასაწყვეტი XXI საუკუნის გამოწვევები

- მზარდი საბიუჯეტო დეფიციტი, საშინაო და საგარეო ვალები;
- სამედიცინო მომსახურების დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდა;
- არაადეკვატური სოციალური მომსახურება;
- საცხოვრებლისა და უსახლკაროთა პრობლემები;
- მზარდი სიღარიბე და უმუშევრობა, განსაკუთრებით გრძელვადიანი;
- განათლების ხარისხის განუხრელი ვარდნა;
- მზარდი სატრანსპორტო საცობები ქალაქებში როგორც ხანგრძლივობით, ასევე მოცულობით;
- გარემოს მზარდი დაბინძურება; ტოქსიკური და ბირთვული ნარჩენები;
- ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა (დეფორესტაცია და სხვა);
- მოსახლეობის/მომხმარებლების მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა;
- დამნაშავეობის, განსაკუთრებით ორგანიზებული დამნაშავეობის ზრდა;
- საერთაშორისო ტერორიზმი;
- ნარკოტიკების მოხმარების ზრდა;
- არაეფექტური საზოგადოებრივი მომსახურების რეფორმის აუცილებლობა;
- ბიუროკრატია და “ტვინების გადინება”;
- კორუფცია, რომელიც ვითარდება სახელმწიფო ადმინისტრაციის სულ უფრო მაღალ ეშელონებში;
- მიგრაციისა და უმცირესობათა, ლტოლვილთა პრობლემები;
- ნაციონალიზმის, ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის აღორძინება;
- ფასებისა და ბაზრების ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია;
- სწრაფი ცვილებები საინფორმაციო და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებში;
- მზარდი კრიტიკა პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან;
- საზოგადოების მზარდი დემოკრატიულობისა და ამ კუთხით ჩამორჩენილი სახელმწიფო ადმინისტრაციის ურთიერთშესაბამისობა;
- დემილიტარიზაცია და თავდაცვითი დარგების კონვერსია;
- საერთაშორისო კანონმდებლობის განვითარება.

ბიუროკრატიის დონე (სახელმწიფო ადმინისტრაციასთან კონტაქტისას კომპანიების მენეჯმენტის მიერ დახარჯული დრო) %, 2000 წელი

10% ნაკლები	ტრინიდადი და ტობაკო	საბერძნეთი
იაპონია	კორეა	მექსიკა
ჰოლანდია	*10–20%*	ავსტრალია
შვეიცარია	არგენტინა	უნგრეთი
ბელგია	პერუ	კოსტა–რიკა
ნორვეგია	რუმინეთი	ვენესუელა
გერმანია	ლიტვა	იტალია
ფინეთი	ავსტრია	ნიგერია
მალაიზია	ინდოეთი	ბულგარეთი
ისლანდია	ბრაზილია	ჩინეთი
შვეცია	ტაივანი	ინდონეზია
დანია	ჰონ–კონგი	ეკვადორი
აშშ	კანადა	ნიკარაგუა
ჩეხეთი	პორტუგალია	თურქეთი
საფრანგეთი	ესტონეთი	*21–30%*
სინგაპური	ვიეტნამი	რუსეთი
დიდი ბრიტანეთი	პოლონეთი	პარაგვაი
ირლანდია	შრი–ლანკა	გონდურასი
ჩილე	იამაიკა	უკრაინა
ესპანეთი	კოლუმბია	ლატვია
სლოვენია	ფილიპინები	იორდანია
ახალი ზელანდია	სამხრეთ აფრიკა	გვატემალა
ისრაელი	ურუგვაი	სლოვაკეთი

პოლიტიკური და სამთავრობო რეფორმები მოიცავენ:

კონსტიტუციური რეფორმები – გადაიხედება სახელმწიფო მართვის პრინციპები და ინსტიტუციები; განისაზღვრება მთავრობის სტრუქტურა ფედერალური, ფედერაციული, ან უნიტარული პრინციპის მიხედვით; სახელმწიფოს მიზნები და ვალდებულებანი; საკანონმდებლო, აღმასრულებელ და იურიდიულ ძალაუფლებას შორის უფლება–მოვალეობებისა და საზღვრების დადგენა; მოსახლეობისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობების განსაზღვრა;

საარჩევნო სისტემის რეფორმები – ქმნის წარმომადგენლობათა ახალ ტიპებსა და ბაზებს, აგრეთვე ანგარიშგებითი პრინციპის რეალიზაციას საზოგადოების სახელმწიფო აპარატის წინაშე;

ადმინისტრაციული რეფორმები – მიმართულია მთავრობის საქმიანობის გასაუმჯობესებლად: მისი ორგანოების ანგარიშგების გაძლიერებით, გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობისა და სასამართლო უფლებების, ფინანსური მექანიზმების, საბუხჰალტრო ანგარიშგების სისტემის, კონტრაქტებისა და შესყიდვების, აგრეთვე სხვა სამმართველო ფუნქციათა გამოყენებით;

სახელმწიფო ადმინისტრაციის პერსონალის რეფორმები – მიმართულია პასუხისმგებლობის, უფლება–მოვალეობების და სახელმწიფო მოხელეთა ფუნქციების, ანაზღაურების დონის, სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების, წახალისების სისტემის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერაში წინსვლის, აგრეთვე ეთიკის სტანდარტების განსაზღვრასა და დაზუსტებაზე.

მთავრობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციები:

- უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა;
- მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია;
- შემოსავლების გენერაცია ინფრასტრუქტურისა და ყველაზე უფრო არსებითი საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებისათვის;
- საწარმოებში უსაფრთხოების ტექნიკისა და სხვა შრომითი ნორმების სტანდარტების მხარდაჭერა;
- მონოპოლიების და იმ კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი, რომლებიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

საზოგადოებრივი სექტორის ორგანიზაციის რესტრუქტურიზაციის უმნიშვნელოვანესი მიზნები:

- სამინისტროებისა და დეპარტამენტების ანგარიშგების დაზუსტება;
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და საქმიანობის ზუსტი განაწილება;
- მენეჯერთათვის ინოვაციებისა და გონიერი რისკის გაწევის მხარდაჭერა, საზოგადოებრივი სექტორის ფუნქციონირების ზოგიერთი წესისა და შეზღუდვის შესუსტება, მათთვის მეტი თავისუფლებისა და მოქნილობის მინიჭება;
- საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლება პერსონალის მართვის გაუმჯობესების გზით;
- საცდელი/პილოტ პროექტების რეალიზაცია ისეთი ახალი მიდგომების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების დასანერგად, როგორიცაა მაგალითად, სახლში მუშაობა ახალი ინფორმაციული და სატელეკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით.

დეცენტრალიზებული ადმინისტრაციული და პოლიტიკური სისტემის ძირითადი სახეები

პოლიტიკური დეცენტრალიზაცია გულისხმობს სხვადასხვა საარჩევნო ოლქებიდან რეგიონალური წარმომადგენლების არჩევას, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს უკეთესად გაიცნოს თავისი წარმომადგენელი, ხოლო ამ უკანასკნელებს – უკეთ ერკვეოდნენ რეგიონის პრობლემებში;
ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია დაკავშირებულია პასუხისმგებლობის, უფლება–მოვალეობებისა და ფინანსური რესურსების გადანაწილებასთან სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა დონეებს, აგრეთვე ეკონომიკის საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის მომსახურების უზრუნველსაყოფად. საზოგადოდ, ეს არის ცენტრალური მთავრობის მიერ დაგეგმვის, მართვის, რესურსების ფორმირებისა და გადანაწილების ფუნქციათა გადაცემა მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების, კერძო კომპანიების, ნახევრად ავტონომიური საზოგადოებრივი ორგანოების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის სამი ძირითადი ფორმა

დეკონცენტრაცია – სამთავრობო ძალაუფლების სხვადასხვა დონეებს შორის ვალდებულებების, ფინანსური და სამმართველო პასუხისმგებლობის განაწილება რეგიონების, რაიონების მიხედვით, ან ახალი ორგანოების ჩამოყალიბება სამინისტროების გარკეული სახის სამუშაოების ადგილებზე შესასრულებლად;
დელეგირება – დეკონცენტრაციის უფრო ღრმა ფორმა, რაც გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გარკვეული სახის სამმართველო გადაწყვეტილებების მიღებისა და ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულების პასუხისმგებლობის გადაცემას. მაგალითად, სამშენებლო და სატრანსპორტო ნაგებობების მართვა, მომსახურების რაიონული ორგანოები და სხვა;
დევოლუცია – კორპორატიული სტატუსის მქონე მართვის ადგილობრივი ორგანოებისათვის გადაწყვეტილების მიღების, სამმართველო და ფინანსური საქმიანობის წარმართვის უფლების მიცემა. ასეთ პოლიტიკურ ერთეულებს უფლება აქვთ აირჩიონ მერები და საბჭოები, მიიღონ შემოსავლები და მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები ინვესტირების საკითხებში. ძალაუფლების ასეთი ორგანოები იღებენ ავტონომიურ და დამოუკიდებელ სტატუსს, ისინი განიხილებიან, როგორც ადმინისტრაციული დონე, რომელზეც სამთავრობო აპარატი მხოლოდ არაპირდაპირ კონტროლს ახორციელებს.

მთავრობათა ფუნქციონირების ახლებურად აღქმის ათი პრინციპი დ. ოსბორნისა და ტ. გებლერის მიხედვით

1. კატალიტიკური მთავრობა: მოქმედებს სწრაფად და მიმართულად;
2. მთავრობა, რომელსაც წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფი: მეტწილად ორიენტირებულია ძალაუფლების, უფრო კონკრეტულად კი საზოგადოების სამართავად, ვიდრე მათი მომსახურებისთვის;
3. კონკურენტული მთავრობა: საზოგადოებრივი მომსახურეობის სფეროში კონკურენციის შემომტანი მთავრობა;
4. მთავრობა, რომელიც მოქმედებს გარკვეული მისიით: მთავრობის ტრანსფორმაცია წესების მიხედვით;
5. შედეგებზე ორიენტირებული მთავრობა: შედეგების და არა რესურსების ფინანსირება;
6. კლიენტზე ორიენტირებული მთავრობა: კლიენტის მოთხოვნების და არა სამთავრობო ბიუროკრატის მოთხოვნათა დაკმაყოფილება;
7. მთავრობა – მეწარმე: ორიენტაცია შემოსავლებზე და არა დანახარჯებზე;
8. პროგნოზზე ორიენტირებული მთავრობა: მეტი ორიენტაცია პროფილაქტიკაზე ვიდრე მკურნალობაზე;
9. დეცენტრალიზებული მთავრობა: იერარქიიდან გუნდურად მუშაობაში მონაწილეობა;
10. ბაზარზე ორიენტირებული მთავრობა: ბაზარზე ორიენტაცია ცვლილებების რეალიზაციისას

6. საზოგადოებრივი მომსახურების და სახელმწიფო ადმინისტრაციის ეფექტიანობის ამაღლება

6.1 საზოგადოებრივი მომსახურების აუცილებლობის ზრდა

სახელმწიფო ადმინისტრაციის ეფექტიანობის ამაღლებას კრიტიკული მნიშვნელობა გააჩნია ბიზნესისათვის საქმიანი გარემოს შესაქმნელად და მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი მომსახურების გასაწევად, მათთვის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით ბოლო ოცი წელი ხასიათდებოდა სახელმწიფო დანახარჯების ზრდით (განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ 20%–ით) და მიაღწია ნომინალური მშპ–ის ნახევარს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში. ასეთი ზრდა ასევე მიმდინარეობდა სამთავრობო დანახარჯების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებითაც, რომლებიც ტრადიციული საზოგადოებრივი მომსახურებიდან (თავდაცვა, ეკონომიკური და სოციალური მომსახურება) გადაერთვნენ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლების, მათთვის შემოსავლების გაზრდის მომსახურებაზე.

ამდენად, საზოგადოებრივ მომსახურებაში მწარმოებლურობის ამაღლება სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება. ამასთან, ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც კი საკმაო რეზერვია დარჩენილი ასეთი მომსახურების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

საზოგადოებრივ მომსახურებად ითვლება არამარტო ნაგავის დასუფთავება, ფოსტის მუშაობა და ტელეკომუნიკაციები, ხანძრის ჩაქრობა, სარკინიგზო ტრანპორტის მართვა, არამედ სოციალური გარანტიები, საპენსიო უზრუნველყოფა, სურსათით მომარაგება, ქვეყნის თავდაცვა, გარემოს დაცვა და სხვა. ამ თვალსაზრისით საზოგადოებრივი მომსახურება განისაზღვრება შემდეგნაირად:

საზოგადოებრივი მომსახურება არის ადამიანებისადმი ხელმისაწვდომი ნებისმიერი სახის მომსახურება იმის მიუხედავად, თუ ვინ უზრუნველყოფს მას მთავრობა, კერძო სექტორი, კოლექტივი (მუზეუმები, პარკები), თუ ინდივიდუალური პირი (რესტორნები, მაღაზიები). მომსახურების უზრუნველყოფა კერძო სექტორის მიერ არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ასეთ მომსახურებაში არავითარ როლს არ თამაშობს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რეგულირება და წესები, რომლის ფარგლებშიც კერძო სექტორმა უნდა მიაწოდოს მომსახურება საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად.

"საერთო კეთილდღეობის" სახელმწიფოდ მომწიფებასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება საზოგადოებრივი მომსახურების გაფართოებაზე, რომლებიც აძლიერებენ ზეგავლენას მზარდ სახელისუფლო შემოსავლებზე. თუმცა, სხვადასხვა სახის ეკონომიკურმა კრიზისებმა და რეცესიებმა, კონკურენციის გამძაფრებამ საერთაშორისო ბაზრებზე შეზღუდეს სახელისუფლო შემოსავლების ზრდა და შესაბამისად მთავრობების შესაძლებლობები უზრუნველყონ მზარდი მოთხოვნები გაფართოებულ მომსახურებაზე. **ასეთი ძალები მთავრობებს აყენებენ რთული არჩევანის წინაშე – გაზარდონ დანახარჯები დასაშვების ზევით, ან შეამცირონ დანახარჯები და შესაბამისად ზოგიერთი არსებული მომსახურება მოსახლეობისათვის.**

სახელმწიფო აპარატის საქმიანობა სულ უფრო და უფრო ხშირად ფასდება რთული შედეგობრივი ინდიკატორებით. საფრანგეთში, კანადაში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ–ში დაიწყეს საზოგადოებრივი მომსახურების ეფექტიანობის შემფასებელი ინდიკატორების შემუშავება, ადარებენ რა ეფექტსა და დანახარჯებს მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით.

ბევრმა ადგილობრივმა და რაიონულმა ორგანიზაციამ საზღვარგარეთ დაიწყო ასეთი შეფასებების შემუშავება მომსახურების ისეთ სფეროებში, როგორიცაა მაგალითად, ნაგავის დასუფთავება, საკანალიზაციო და სანიტარული მომსახურება და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამთავრობო მომარაგებას, მშენებლობისა და მიწოდების კონტრაქტებს, მარაგებისა და ინვენტარის მართვისა და კონტროლის ახალ მეთოდებს და სხვა.

ერთმა კვლევითმა ორგანიზაციამ ბიზნესის სფეროში გამოკითხვა ჩაატარა ამერიკელ მომხმარებლებს შორის თხოვნით, შეეფასებინათ 19 პროდუქტი და მომსახურების 19 სფერო. რესპონდენტთა პასუხების შედეგად აღმოჩნდა, რომ ისინი კმაყოფილნი იყვნენ წლის განმავლობაში შეძენილი 19 პროდუქტით, ხოლო მომსახურების სფეროდან კი მხოლოდ 2 (ელექტროენერგიით მომარაგების ხარისხი და საჰაერო სამგზავრო გადაზიდვები) აღმოჩნდა ისეთი, რომელიც აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას და მათი სარგებლიანობა შეესაბამებოდა მათ ფასს. ყველა დანარჩენი მომსახურება, მათ შორის სამედიცინო, სასტუმროები, განათლება, სამართალი და მომსახურების სხვა სფეროები შეფასებული იყო, როგორც ზედმეტად ღირებული და დაბალი ხარისხის.

6.2 მწარმოებლურობის ძირითადი ბარიერები მომსახურეობასა და სახელმწიფო ადმინისტრაციაში

ბევრი ქვეყნის სახელმწიფო პერსონალის საქმიანობის კვლევები, მათი შედეგების ანალიზი და ასევე პუბლიკაციები, საშუალებას გვაძლევს გამოიყოს და ჩამოყალიბდეს ეფექტიანობის ხელისშემშლელი შემდეგი ფაქტორები:

- **სახელმწიფო სააგენტოებისა და საწარმოებისათვის ნათლად ჩამოყალიბებული მიზნების უქონლობა;**
- **სახელმწიფოსა და მისი სამინისტროების მხრიდან ზედმეტი ჩარევა;**
- **პოლიტიკოსთა სუსტი კოორდინაცია მთავრობის შიგნით და მის ორგანოებს შორის;**
- **ცუდი მართვა და არაპროფესიონალური მენეჯმენტი;**
- **პერსონალის გადაჭარბებული რაოდენობა სახელმწიფო ადმინისტრაციაში;**
- **ეფექტური შრომისათვის მოტივაციის არაადეკვატური სისტემა;**
- **კორუფციის ხშირი შემთხვევები, განსაკუთრებით გარდამავალ ეკონომიკებსა და განვითარებად ქვეყნებში;**
- **საქმიანობის შედეგების სუსტი, ან საერთოდ არარსებული მონიტორინგი;**
- **სოციალური მიზნების არაადეკვატური რიცხვითი ინტერპრეტაცია.**

განვითარებადი ქვეყნების მთავრობათა და გარდამავალი ეკონომიკების უმეტესობისათვის მუდმივი პრობლემები გარკვეულწილად განპირობებულია მათი ფუნქციონალური ზრდით არსებული საშუალებების ფარგლებს გარეთ. ბევრ მათგანს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური, ტექნიკური და სამმართველო კომპეტენცია მხარი დაუჭირონ საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციას დღევანდელი მოთხოვნების მასშტაბებში. ბევრი არაეფექტური სახელმწიფო საწარმოს ფუნქციონირების ეკონომიკური დანახარჯები დამატებით აწვება ამ

ქვეყნების ისედაც სუსტ ეკონომიკებს, რომელთა დანაკარგები ბევრად აჭარბებს მათ სოციალურ სარგებლიანობას.

საზოგადოებრივი მომსახურების ბევრი სფეროს არაეფექტურობა თავის მხრივ იწვევს "საცობებს" ეკონომიკის ისეთი დარგების გეგმურ ფუნქციონირებაში, როგორიცაა ელექტრო და წყალმომარაგება, ტელეკომუნიკაცია და ტრანსპორტი. მოკლედ განვიხილოთ ზემოაღნიშნული ზოგიერთი ბარიერი:

ა) პოლიტიკური ბარიერები. მწარმოებლურობის პოლიტიკური ბარიერების განხილვა ჩვეულებრივ იწყება *იმ კრიტერიუმების გაცნობით, რომლის მიხედვითაც სხვასხვა ელექტორატი ირჩევს და აფასებს თავის მთავრობას. მართვის ეფექტიანობისა და პროფესიონალიზმის საკითხები პრაქტიკულად არ წარმოადგენენ მაღალპრიორიტეტულს*, არც პოლიტიკოსებისა და არც სახელმწიფო ადმინისტრაციისათვის, მათ შორის ძალაუფლების არც უმაღლესი ეშელონის წარმომადგენელთათვის.

პოლიტიკური გარემოს ეფექტიანობის შემდეგი პრობლემა, ბევრი სოციალური მიზნის მნიშვნელობის მიუხედავად, მათი *ბუნდოვნობა, მრავალსახეობა* და *მოკლევადიანობაა*. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მწარმოებლურობის ამაღლება მოითხოვს მენეჯმენტის განუხრელ და თანამიმდევრულ ძალისხევას გრძელვადიან პერიოდში, რომელიც აჭარბებს სახელმწიფო ჩინოვნიკთა პასუხისმგებლობის საარჩევნო პერიოდს.

პოლიტიკური სტრუქტურებისა და მათი პერსონალის არასტაბილურობა ეფექტიანობის კიდევ ერთი დამატებითი ბარიერია. ხშირმა და რადიკალურმა ცვლილებებმა პოლიტიკაში შეიძლება გაწყვიტოს საზოგადოებრივი მომსახურების მწარმოებლურობის ზრდა, შეამციროს მოტივაციის ეფექტი, დაარღვიოს წარმოების და ადმინისტრაციული მომსახურების მიწოდების უკვე ჩამოყალიბებული პროცესები. ამ სფეროში გამუდმებით ხდება სწრაფი შედეგების მიღებაზე ზემოქმედება, რათა ხელი შეეწყოს ამა თუ იმ პოლიტიკოსის ხელმეორედ არჩევას;

ბ) არასრულყოფილი ორგანიზაციული სტრუქტურები. *გაუგებარი ორგანიზაციული სტრუქტურები* ზღუდავენ მწარმოებლურობასა და მათ ამაღლებას. ამ ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ადმინისტრაციის ინსტიტუციათა რაოდენობა და ზომები. ამ პროცესის ფარგლებში შეიქმნა ბევრი საკმაოდ რთული ორგანიზაციული სტრუქტურა მართვის მრავალრიცხოვანი ხაზობრივი და ფუნქციონალური დონეებით, შემუშავდა ადმინისტრაციული რეგულირებისა და წესების დიდი რაოდენობა. ამის შედეგად საკმაოდ იწელება ადმინისტრაციული რუტინით გათვალისწინებული პროცედურები და მცირდება ადმინისტრაციულ და სხვა საზოგადოებრივ მომსახურებათა ხარისხი და ეფექტიანობა.

აშშ–იც კი, რომელიც სხვა ქვეყნებთან შედარებით სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ჩარევით ხასიათდება, სოციალური პროგრამების განხილვისას საკმაოდ დიდ დროს ხარჯავს სხვადასხვა სახისა და მოცულობის დოკუმენტაციის განხილვისათვის. მაგალითად, ჯანმრთელობის, განათლებისა და კეთილდღეობის, ასევე საცხოვრებლისა და საქალაქო განვითარების დეპარტამენტები მინიმუმ რამდენიმე თვეს ხარჯავენ რომელიმე კომპონენტის მიხედვით გრანტის შეფასებასა და დამტკიცებაზე.

ასეთი სახის პრობლემები მით უმეტეს მგრძნობიარეა დიდი სამთავრობო ინსტიტუციებისათვის თავიანთი მრავალსაფეხურიანი მართვის იერარქიით. ზედმეტი საფეხურები მართვის იერარქიაში ადასტურებს მთავრობის უუნარობას განახორციელოს სამმართველო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დეცენტრალიზაცია და მეტი ყურადღება მიაქციოს ეფექტიანობის შეფასებას.

სამმართველო გადაწყვეტილებების მიღების მაღალცენტრალიზებული პროცესი ასევე ზღუდავს მწარმოებლურობას და წელავს ამოცანების

გადასაწყვეტად საჭირო დროს მართვის ყველა დონეზე. გადაწყვეტილებების ცენტრალიზებული მიღება ხშირად სიძნელეებს ქმნის ახალ სიტუაციებსა და ცვლილებებზე ოპერატიულად რეაგირების აუცილებლობისას, მით უმეტეს როდესაც უნდა დაიცვა სუბორდინაცია და მისდიო დამტკიცებულ პროცედურებს. ასეთ შემთხვევებში ორგანიზაციული სტრუქტურები ხდებიან "წმინდა", "ღირებულ" და "ხელშეუხებელ" სიმბოლოებად, ვიდრე სახელმწიფო სააგენტოების საბოლოო ეფექტიანობა.

გ) საბიუჯეტო პროცესი. ბევრ ქვეყანაში საბიუჯეტო პროცესი ასევე წარმოადგენს საზოგადოებრივი მომსახურების მწარმოებლურობის მძლავრ ბარიერს. როგორც წესი, სახელმწიფო სააგენტოებს იშვიათად შეუძლიათ თვაინთი საბიუჯეტო მოთხოვნილებების დასაბუთებული არგუმენტირება დანახარჯების ეფექტიანობისა და საზოგადოებრივი სარგებლიანობის მიღწევის თვალსაზრისით. ისინი ასევე სუსტად ასაბუთებენ თავიანთი პერსონალის გაზრდის მოთხოვნებს დატვირთვების გადიდებისა და შრომითი სტანდარტების ცვლილებების გამო.

ჩვეულებრივ დამატებითი პერსონალი მოითხოვება მოსალოდნელი დავალებების მოცულობის ზრდის პროპორციულად და იმის გათვალისწინებით, რომ არსებული მწარმოებლურობა დამაკმაყოფილებელია. მაგალითად, თუ 10–მა ადამიანმა წინა წელს აწარმოა გარკვეული სახის 20 ერთეული (პროდუქცია, დოკუმენტაცია, გადაწყვეტილება და სხვა), მაშინ 30 ერთეულის საწარმოებლად მომდევნო წელს უკვე საჭიროა 15 ადამიანი. კერძო სექტორში ასეთი მიდგომის დაშვენა ცოტათი წარმოუდგენელია.

მწარმოებლურობის მოცემული შეფასება იშვიათად გამოიყენება პერსონალის რაოდენობასა და ფინანსირების საპროექტო დონეს შორის კავშირის დასადგენად. ამის შედეგად მომსახურების მოცულობის დონეც და მისი ხარისხიც ხშირად განისაზღვრება გამოყოფილი რესურსების რაოდენობით. ეს პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის განმსაზღვრელ მიდგომას კი არ წარმოადგენს, არამედ პროგრამაზე რესურსების არსებობის, ან არ არსებობის საგანია.

საბიუჯეტო პროცესის სხვა ნეგატიურ ასპექტს წარმოადგენს ასევე *მუხლების მიხედვით საბიუჯეტო კონტროლი, რომელსაც არ შეუძლია განიხილოს დეპარტამენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებები, რაც ზღუდავს მენეჯერებს გამოიყენონ რესურსების ჰორიზონტალური გადაადგილების ყველაზე უფრო ეფექტური კომბინაცია.* ასე რომ, სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელების წახალისება ხდება დანახარჯთა მუხლების და არა ყველა არსებული რესურსის დახარჯვით პროგრამულ დატვირთვასთან დაკავშირებით.

დ) მენეჯერები. საზოგადოებრივ მომსახურებასა და სახელმწიფო ადმინისტრირებაში პერსონალის პრაქტიკა ძირითადად ნაკარნახებია პოლიტიკური მოსაზრებებით. სახელმწიფო სტრუქტურათა მოხელეები, როგორც წესი ხელმძღვანელობენ ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო, მოძველებული, არასაჭირო წესებითა და ინსტრუქციებით. ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ისე სწრაფად ხდება სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული პერსონალის ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანა, რომ მათ დრო აღარ ჰყოფნით მთელი თავისი ცოდნისა და კვალიფიკაციის გამოსაყენებლად.

ასე, რომ მწარმოებლურობის ამღლების პრობლემებს შორის ერთ–ერთი ისიცაა, რომ ხშირად მენეჯერთა გუნდი ახალია და სწრაფად იშლება ხოლმე, ზოგჯერ კი თავად მენეჯერები ვერ ართმევენ თავს ახალ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. იმის გამო, რომ პოლიტიკური ნიშნით "დანიშნულები" დიდი ხნით არ რჩებიან თავიანთ თანამდებობებზე, ისინი, როგორც წესი, ამავდროულად ვერ ხდებიან ეფექტური მენეჯერები, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა. მაგალითად, გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კანადაში მინისტრის მოადგილე თავის თანამდებობაზე რჩება საშუალოდ ორი წელი, ხოლო ერთი და იგივე მინისტრთან მუშაობს

დაახლოებით ცხრა თვე.

ბევრი ქვეყნის *სახელმწიფო სტრუქტურაში არსებობს სამუშაოზე დაქირავების, დაწინაურებისა და დანიშვნის დიდი რაოდენობით ნეპოტიზმისა და ფავორიტიზმის შემთხვევა*, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სახელმწიფო მოსამსახურეთა მწარმოებლურობასა და მორალს. ისიც ცნობილია, რომ ბევრ შემთხვევაში სახელმწიფო სტრუქტურებში ადგილი აქვს არაფორმალური ჯგუფების არსებობას თავიანთი ეკონომიკითა და პოლიტიკით. მაგალითად, სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებმა შეიძლება ერთმანეთს "სამსახური გაუწიონ" თავიანთი ნათესავების, ან მეგობრების სამუშაოზე აყვანის დროს ("შენ ჩემი ახლობელი აიყვანე სამსახურში, მე კი მხარს დაგიჭერ იმ კონტრაქტის მოპოვებაში რომელსაც შენ მთხოვ"). კიდევ უფრო ცუდია ის, რომ ასეთი დაბალი მორალი ვცერდება მთელ საზოგადოებაში, რაც იქვევს გარკვეულ უიმედობას: "ყველაფერი ჩაწყობით კეთდება და არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლება.

ე) ძალაუფლება და ავტონომია. სახელმწიფი ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივ საწარმოთა მენეჯერების უმეტესობა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, გარკვეულწილად განიცდის ავტონომიის ნაკლებობას იმის გამო, რომ მათი უფლება–მოვალეობანი არ არის ზუსტად განსაზღვრული სახელისუფლო მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან. მიუხედავად გარკვეული ძვრებისა ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ ძალიან მაღალია კონტროლის დონე სამინისტროების მხრიდან, რომლებიც ცდილობენ იმოქმედონ ფასებსა და სხვა ოპერატიული ხასიათის გადაწყვეტილებებზე, არ ითვალისწინებენ რა შესაძლო ეკონომიკურ შედეგებს.

ვ) მწარმოებლურობის სუსტი შეფასება, ზოგ შემთხვევაში კი მისი სრული უქონლობა. ზოგიერთმა მკვლევარმა ყურადღება მიაქცია, რომ საზოგადოებრივი მომსახურების ანალიზის ტენდენციებში თითქმის სრულად არის იგნორირებული მათი ხარისხი და ეფექტიანობა, ხოლო ფოკუსირება კეთდება მომსახურების მხოლოდ მოცულობასა და ფასზე. შემდეგი პრობლემა არის ის, რომ საზოგადოებრივი მომსახურების შეფასებისას არასაკმარისი ყურადღება ექცევა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პროგრამების რეალიზაციის შეფასებას. მომსახურების ასეთი პროგრამები ძირითადად ადამიანურ ღირებულებებთან დაკავშირებულ მიზნებს მოიცავენ, რომელთა ეფექტიანობის შეფასების უნარი და ინსტრუმენტარი მენეჯერთა უმეტესობას სამწუხაროდ არ გააჩნია.

საზოგადოებრივი მომსახურების მენეჯერეთა ნაწილი ხშირად მწარმოებლურობის გაზომვას მათთვის საერთოდ არასაჭირო და წამგებიან საქმიანობად მიიჩნევს, რაშიც გარკვეულწილად მართლებიც არიან. კერძოდ, ერთი მხრივ თუკი ისინი გაამჟღავნებენ მწარმოებლურობის დანაკარგებს, მაშინ მათი სამმართველო უნარი შესაძლოა ეჭვის ქვეშ დადგეს ხელმძღვანელობის მხრიდან. მეორე მხრივ, თუკი ისინი თავიანთ ანგარიშებში აჩვენებენ მიღებულ სარგებელს მწარმოებლურობის ამაღლების შედეგად, მათ მიერ მიღებული რესურსების ეკონომიის ნაწილით შესაძლოა სხვამ ისარგებლოს. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია მეტი ძალისხმევა მიმართულ იქნეს სახელმწიფო ადმინისტრირებისა და საზოგადოებრივი მომსახურების მწარმოებლურობის შემაფასებელი ინდიკატორების შემუშავებისა და გამოყენებისათვის.

ზ) ინფორმაციის ნაკლებობა. ოპტიმალური და ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია მრავალფეროვანი და სრულყოფილი ინფორმაციის არსებობა. ხშირად ბევრმა არ იცის ასეთი სახის ინფორმაციის განთავსების ადგილი, მფლობელი პიროვნება და მისი მოპოვების პირობები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის მოპოვება ძალიან ძნელდება მრავალმხრივი ბიუროკრატიული ბარიერებისა და არასაჭირო ნებართვების გამო. ზოგ შემთხვევაში მოპოვებული ინფორმაცია მოკლებულია საიმედოობასა და

დროულობას მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ასპექტების შესახებ, არასრულყოფილია გეოგრაფიული ჭრილისა და მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფების მიხედვით, რაც სერიოზულად აქვეითებს მის ღირებულებას, ზოგ შემთხვევაში კი არსებული ინფორმაცია არასრულყოფილადაა გაანალიზებული და არაეფექტურია.

სახელმწიფო ადმინისტრაციის ბევრი წარმომადგენელი არასრულყოფილად ფლობს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკურ საშუალებებს, გაურბის მათ გამოყენებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბევრი მათგანი გადააბარებს ხოლმე მათ გამოყენებას თავიანთ თანამშრომლებს, მდივნებს, თანაშემწეებს, რითაც იზრდება საშტატო განაკვეთები, მატულობს ინფორმაციის არაელექტრონული მატარებლების მოცულობა. სუსტად გამოიყენება ელექტრონული კომუნიკაციის შიგა ქსელი, "უქაღალდო ოფისის" კონცეფცია ჯერ კიდევ უცხოა ბევრი ქვეყნის სახელმწიფო ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმეტესობისათვის.

თ) ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა. შეუცნობლისა და ახლის მიმართ შიში განსაკუთრებული ბარიერია სახელმწიფო ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი მომსახურების მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად. იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლების ხარისხის შეზღუდვა უკარგავს პერსონალს ინიციატივის გამოჩენის სურვილს, უვითარებს შემგუებლობის გრძნობას, ხოლო შემდეგ კი უყალიბებს ცვლილებებისა და ახლის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის სურვილს, არ ითვალისწინებენ გარემოპირობების ცვლილებებს, რითაც ამუხრუჭებენ სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის მიღწევების, დემოკრატიული ფასეულობების გამოყენებასა და დანერგვას, რაც გარკვეულწილად ხელს უწობს კორუფციასაც.

6.3 მწარმოებლურობის გაზომვა საზოგადოებრივ მომსახურებაში

6.3.1 მწარმოებლურობის გაზომვის კონცეფციები

მწარმოებლურობის კონცეფციის ჩამოყალიბება სათავეს იღებს "შრომის ნაყოფიერების/მწარმოებლურობის" შეფასებიდან. ეს კონცეფცია გამოხატავს დროის ერთეულში (მაგალითად საათში, დღეში, თვეში, წელიწადში) ერთი ადამიანის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობას. ასეთი ფარდობა ჩვეულებრივ გამოიხატება შრომის ერთეულზე წარმოებული რაოდენობის კოეფიციენტის ფორმით. ამასთან, მწარმოებლურობა შეიძლება ასევე გამოიხატოს როგორც დახარჯული კაპიტალის, ან მასალების, ან ენერგიის ერთეულზე წარმოებული პროდუქცია და სხვა. ასეთი გათვლების შემთხვევაში, როგორც ვხედავთ გამოიყენება რესურსების მხოლოდ ცალკეული სახეები და ამიტომაც შესაბამისად იწოდება – "ნაწილობრივი მწარმოებლურობა."

იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს რამდენიმე, ან ყველა შესაძლო რესურსი მწარმოებლურობის კომბინირებული ეფექტიანობის დასანახად, შემუშავებულ იქნა "მწარმოებლურობის საერთო ფაქტორთა კოეფიციენტი," ანუ "მრავალფაქტორული მწარმოებლურობა."

მრავალფაქტორული მწარმოებლურობის მაჩვენებლები ასახავენ წმინდა პროდუქციის ყველა დახარჯულ რესურსთან (კაპიტალი, მასალები, შრომა, ინფორმაცია და სხვა) თანაფარდობას. მწარმოებლურობის საერთო ფაქტორი ასახავს ორგანიზაციის მიერ შექმნილი საერთო პროდუქციის თანაფარდობას ყველა დახარჯული რესურსის, მათ შორის გვერდიდან შეძენილი მომსახურების კომბინაციათა საერთო ღირებულებასთან. მწარმოებლურობის გაზომვის ასეთი კონცეფცია იმითაცაა სასარგებლო, რომ იგი ასახავს ყველა სახის რესურსის ზეგავლენას წარმოებულ პროდუქტსა, ან მომსახურებაზე.

მწარმოებლურობა წარმოადგენს ორგანიზაციის ეკონომიკური ჯანმრთელობის ასახვას და როგორც ადამიანის ორგანიზმი, ისიც ექვემდებარება კომპლექსურ დიაგნოსტიკას. ამდენად, ფიზიკური პროდუქციის წარმოებისაგან განსხვავებით, მომსახურების სფეროს მწარმოებლურობის შესაფასებლად, ერთი რომელიმე მაჩვენებლის გამოყენების ნაცვლად, მომსახურების მრავალმიზნობრიობის ხასიათიდან გამომდინარე უფრო მიზანშეწონილია "მაჩვენებელთა ოჯახის" გამოყენება.

ისიც მნიშვნელოვანია, რომ მწარმოებლურობა *ფარდობით კონცეფციას* წარმოადგენს. მისი აბსოლუტური გამოთვლა ცოტას თუ მისცემს რაიმეს მენეჯმენტს, თუ იგი არ შეედრება სტანდარტებს, სხვა განყოფილებას, ორგანიზაციას, დარგს, სფეროს, ან წარსულ მონაცემებს. საჭიროა ასევე მაჩვენებლების დროში ურთიერთშედარება მათი დინამიკის დასადგენად, ჩვეულებრივ ეს მაჩვენებლები ინდექსებით გამოიხატება, როდესაც გვინდა დავადგინოთ მწარმოებლურობის დინამიკის ტემპი. ეს მაჩვენებლები ასევე გვეხმარება იმის დასადგენად, თუ როგორ ვმუშაობთ ჩვენ კონკურენტთან შედარებით, როგორია ჩვენი და კონკურენტების მწარმოებლურობის ზრდის ტემპები.

მწარმოებლურობის კონცეფცია და გაზომვის მაჩვენებლები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ორგანიზაციების მართვის ყველა დონეზე. ეროვნულ, რეგიონალურ და დარგობრივ დონეზე მწარმოებლურობა შესაძლებელია შესწავლილ და ამაღლებულ იქნეს დეპარტამენტების, მისი განყოფილებების, პროგრამების, პერსონალთა ჯგუფის, ან ინდივიდებისთვის.

ექსპერტთა სხვადასხვა ჯგუფისათვის მწარმოებლურობა და ეფექტიანობა განსხვავებული მცნებებია, განსაკუთრებით საზოგადოებრივი სექტორისა და სახელმწიფო ადმინისტრირების სფეროში, შესაბამისად მათი ინტერპრეტაციებიც განსხვავებულია.

თუკი მწარმოებლურობა გვიჩვენებს რა რაოდენობის დანახარჯებია ერთეულ მომსახურებაზე, ეფექტიანობა გვიჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავად მომსახურება, ან ოპერაცია მიზნის მისაღწევად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მწარმოებლურობა პასუხს სცემს კითხვაზე *"როგორ შესრულდა ოპერაცია,"* ხოლო ეფექტიანობა კი პასუხს სცემს კითხვაზე *"რაა გაკეთებული."* პირველი ცნება უფრო *ტაქტიკური* ხასიათისაა, ხოლო მეორე – *სტრატეგიული.*

ამდენად, მწარმოებლურობის განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგ სამ ჯგუფად:

- ინტენსიურობის, პროდუქტიულობის ინდიკატორები;
- ოპერაციული მოქმედებების ინდიკატორები (შრომითი ოპერაციების გაზომვა);
- ეფექტიანობის ინდიკატორები.

ინტენსიურობის, პროდუქტიულობის გაზომვა. იგი გულისხმობს მომსახურების რაოდენობის (მაგალითად, შეგროვებული ნაგავი ტონებში) ფარდობას შრომით დანახარჯებთან გამოსახულს ფულად ერთეულში. მაგრამ გაანგარიშების ეს მეთოდი ვერ ასახავს კლიენტთა დაკმაყოფილებისა და მიზნის მიღწევის ხარისხს;

შრომითი ოპერაციების გაზომვა. ასეთი გაზომვები უმეტესწილად დაკავშირებულია მოქმედებებთან და არა შედეგებთან და ჩვეულებრივ გამოიყენება ერთ საათში განხორციელებულ რაიმე მოქმედებათა რაოდენობის გასაზომად. ასეთი მაჩვენებლები უფრო შუალედურ საქმიანობებს აფასებენ ვიდრე საბოლოო

პროდუქციას;

ეფექტიანობის გაზომვა. მისი მაჩვენებლები რაოდენობრივად აფასებენ მომსახურების პროგრამის ზეგავლენას საზოგადოებაზე და ადგენენ,თუ რამდენად ოპტიმალურად გამოყენებულია ამ მიზნის მისაღწევად გამოყოფილი რესურსები.

ასე, რომ მომსახურების ეფექტიანობა მოიცავს, როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ასპექტებს. შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციის მწარმოებლურობა შეიძლება განისაზღვროს როგორც საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ეფექტიანობა რესურსების ოპტიმალური გამოყენებით.

ასეთი განმარტება გულისხმობს, მომსახურების როგორც რაოდენობრივ, ასევე მის ხარისხობრივ მხარეს. მაგალითად, სამოქალაქო ავიაციის ეფექტიანობა დამოკიდებულია არამარტო გადაყვანილი მგზავრების რაოდენოზე, არამედ მათ უსაფრთხოებაზე, სისწრაფესა და კონფორტზე.

სასარგებლოა ასევე შემდეგი შედარებაც: *მწარმოებლურობა უზრუნველყოფს მენეჯმენტის შიგა ორიენტაციას ორგანიზაციის სისტემის მუშაობაზე (როგორ სწრაფად და იაფად), ხოლო ეფექტიანობა ყოველთვის დაკავშირებულია ორგანიზაციის და მისი მენეჯმენტის გარე ორიენტაციასთან (ვუწევთ კი იმ მომსახურებას რასაც ჩვენგან ელის მომხმარებელი?).*

მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის შედარების კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. კერძოდ, *მწარმოებლურობა* პასუხობს კითხვაზე თუ რამდენმა ადამიანმა იმკურნალა სამედიცინო პერსონალის ერთი საათის მუშაობის შედეგად, მაშინ როდესაც ეფექტიანობა პასუხობს კითხვაზე თუ რამდენი ადამიანის მკურნალობა იყო წარმატებული (განიკურნა) საერთო რაოდენობიდან სამედიცინო პერსონალის იგივე დატვირთვის პირობებში?

ამასთან, საზოგადოებრივი მომსახურების მწარმოებლურობის კონცეფციამ ასევე უნდა გაითვალისწინოს საზოგადოებრივი მომსახურების განაწილების *თანაზომიერება* მოსახლეობას შორის (*სამართლიანობის პრობლემა*). მაგალითად, ერთი მხრივ, თუკი ერთ ადამიანს ხელეწიფება მეზობლად არსებული მომსახურების ცენტრით სარგებლობა, ხოლო მეორე ადამიანს დიდი მაძილით დაშორების გამო კი პირიქით, შეიძლება ამას დავარქვათ საზოგადოებრივი მომსახურების სამართლიანი განაწილება, თუ არა? მეორე მხრივ, თუკი შევეცდებით მომსახურებით მოვიცვათ მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი ფენა, ეს გამოიწვევს თავად მომსახურების ფასის გაზრდას, რამაც შეიძლება ახლა უკვე დიდი მოცულობების გამო თავად მომსახურების ხარისხზე იქონიოს გავლენა. ამიტომ, მენეჯერები ხშირად რთულ სიტუაციაში ვარდებიან, ცდილობენ რა ბალანსირებას მოცემული მომსახურებით მოსარგებლე ადამიანებსა და მომსახურების ფასს შორის. რაღა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მწარმოებლურობა დაიწევს, მაგრამ სამართლიანობაზე დაფუძნებული ეფექტიანობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

6.3.2 მწარმოებლურობის გაზომვის პრინციპები

საზოგადოებრივი მომსახურების მწარმოებლურობის კონცეფციის სირთულე ანგარიშგების გაძლიერებისათვის საჭირო შემდეგ მოთხოვნათა სიჭარბით არის გამოწვეული:

- *პროდუქტიულობის* მოთხოვნა იწვევს მომსახურების მოცულობისა და რესურსების შეფასების აუცილებლობას;

- მომსახურების *ეფექტიანობის* მოთხოვნა აიძულებს მენეჯერებს შეაფასონ მიღწევები მიზნებთან დაკავშირებით;

- *მომსახურების ხარისხის* ამაღლება მოითხოვს სააგენტოების საქმიანობისაგან რაც შეიძლება მიუახლოვდნენ მომხმარებელთა საჭიროებებს, პირობებსა და მოთხოვნებს;

- *სამართლიანობის* მოთხოვნა აიძულებს მენეჯერებს ყურადღება მიაქციონ თანაბარუფლებიანობას მომსახურების მისაწოდებლად ტერიტორიებისა და მოსახლეობის ფენების მიხედვით.

საზოგადოებრივი მომსახურების მწარმოებლურობის მოთხოვნათა ასეთი მრავალფეროვნების გამო იგი უნდა ფასდებოდეს მრავალფაქტორული ინდიკატორების გამოყენებით.

მწარმოებლურობის ყველა მაჩვენებლის *საერთო მიზანი* უნდა იყოს ორგანიზაციული სისუსტეებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა, ხოლო ამის შემდეგ – მწარმოებლურობის ამაღლების გზების ძიება.

აქედან გამომდინარე პირველ რიგში საჭიროა იმ განყოფილებების, ან ინდივიდების საქმიანოთა სრუქტურირება, რომელთა მწარმოებლურობაც უნდა გაიზომოს. კერძოდ, მთელი საქმიანობა ჩავთვალოთ 100%. ხოლო პაციენტთა მკურნალობა –50%, დოკუმენტების გაფორმება – 15%, მასალების გამოწერა და მიღება – 10%, კოლეგებთან შეხვედრები და დისკუსიები – 10%, ახალი ინფორმაციის გაცნობა – 5% და სხვა – 10%. შესაფასებელი განყოფილებისათვის ეს მიდგომა საშუალებას იძლევა დავინახოთ დახარჯული დროის სტრუქტურა და გამოიყოს პრიორიტეტები მწარმოებლურობის ასამაღლებლად. როგორც კი ისინი დადგინდება ამის შემდეგ მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა კონკრეტულად იმ მონაკვეთებისაკენ, სადაც: სერიოზული პრობლემებია; გამოიყენება მეტი რესურსი; დეფიციტური რესურსები განსაკუთრებით საჭიროა.

პროდუქტიულობის, მწარმოებლურობის, ეფექტიანობის, თანაბრობის, შედეგობრიობისა და რესურსების გაზომვისა და შეფასების ზოგიერთი პრინციპი და მიდგომა ქვემოთ არის მოცემული:

პროდუქტიულობის (ინტენსიურობის) გაზომვა. განისაზღვრება, როგორც პროდუქციის (მომსახურების) მოცულობის შეფარდება მის საწარმოებლად გამოყენებულ რესურსებზე;

ეფექტიანობის გაზომვა. მომსახურების პროგრამის ეფექტიანობა პირველ რიგში ეხება ზემოქმედებას და შედეგს, ვიდრე ფიზიკურ პროდუქციას. მაგალითად, ცვალებადი ეფექტიანობა შეიძლება მოიცავდეს მოსახლეობის მზარდ შემოსავლებს, ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, დამნაშავეობის შემცირებას, ნარკოტიკებისა და თამბაქოს მიღებისაგან თავშეკავებას, უმწეოთა სახლებში ცხელი საკვების მიღებას და სხვა;

თანაბრობა (სამართლიანობა). ეს არის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებული სოციალური კონცეფცია. მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა შეიძლება შეფასდეს პრობლემის წარმოშობის შემდეგ, ან მანამდე, თუკი მთავრობა ორიენტირებულია მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მოთხოვნებზე და ითვალისწინებს მათ პრობლემებს;

შედეგების გაზომვა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ცოდნის მწარმოებელი სფეროს მუშაკები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებიც. ეს ჯგუფი ითვალისწინებს მენეჯერებს, ინჟინრებს, ეკონომისტებს, ექიმებს, მედდებს, მდივნებს, თანაშემწეებს, ბუხჰალტრებს, მასწავლებლებს, პროგრამისტებს და ბევრ სხვას. ამ კატეგორიის პერსონალის საქმიანობის შედეგები მოიცავენ ადმინისტრაციულ და სამდივნო ფუნქციებს, ფინანსებსა და ბუხჰალტერიას, პერსონალის მართვას, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და სხვა პროფესიონალურ საქმიანობას. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ზუსტად იქნას

განსაზღვრული მათი საქმიანობის სახეები და მაჩვენებლები;

რესურსების გაზომვა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რესურსია *შრომა, რომელიც სხვა რესურსებს შორის ყველა უფრო იოლად იზომება.* უმეტესად ეს არის ფიზიკური მაჩვენებლები გამოხატული კაც-საათებში, კაც–დღეებში.

შემდეგ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს *კაპიტალი* წარმოადგენს. ასეთი რესურსის გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს არა მთლიანად *არსებული* ფიქსირებული კაპიტალი, არამედ ფიქსირებული კაპიტალის მხოლოდ გარკვეული *"ნაკადი".*

კაპიტალის *ნაკადი* ეს არის კაპიტალის გარკვეული პორცია, რომელიც გამოიყენება სპეციფიკური შედეგების საწარმოებლად. მაგალითად, თუ რაიმე მოწყობილობა გამოიყენება 10 წლის განმავლობაში, მაშინ კაპიტალის *"ნაკადი"* ერთი წლის მანძილზე ტოლი იქნება ამ კაპიტალის აქტივების საერთო ღირებულების ერთი მეათედისა.

სამუშაო კაპიტალი (მარაგები, ანგარიშების მიხედვით ვალების მოსალოდნელი გადახდა და სხვა), აგრეთვე ისეთი რესურსები, როგორიცაა *ენერგია, ან დამატებით გვერდიდან შესყიდული მომსახურება* ჩვეულებრივ გაითვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი წილი საერთო რესურსებში საკმაოდ მნიშვნელოვანია. სხვა დანახარჯები – *სხვადასხვა ზედნადები ხარჯები, მასალები, მივლინებები, სატელეფონო საუბრები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ა.შ.* შეიძლება ასევე გათვალისწინებულ იქნეს. ამ დანახარჯების გათვალისწინების შემდეგ, მწარმოებლურობის მაჩვენებლები შედარებით სრულყოფილად ითვალისწინებენ გარკვეული შედეგების მისაღებად საჭირო მეტ–ნაკლებად მნიშვნელოვან რესურს. *მწარმოებლურობის გაანგარიშებისას ეს რესურსები ნაჩვენები იქნება მნიშვნელში.*

6.3.3 მწარმოებლურობის შეფასების ევოლუცია და შედეგების ანალიზი.

საზოგადოებრივი მომსახურების მწარმოებლურობის შეფასების ტექნიკის ერთ–ერთი პირველი მკვლევარები იყვნენ ს. რიდლეი და ა. სიმონი. 1938 წელს მათ შემოგვთავაზეს სახანძრო დაცვის, პოლიციის, განათლების, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების, სახელმწიფო ადმინისტრაციის პერსონალის, მუნიციპალური ფინანსების, საქალაქო დაგეგმარების მომსახურების შესაძლო შედეგების შეფასება.

1960–ან წლებში ჟ. შმანდტმა და დ. სტეფენსმა (აშშ) დაიწყეს ადგილობრივი მთავრობების შედეგების (პროდუქცია, მომსახურება) გაზომვა. მათ 19 ქალაქისა და სოფლისთვის შეიმუშავეს მომსახურების დონის ინდექსები. მომსახურების დონე იანგარიშებოდა, როგორც ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის საქმიანობის რაოდენობა თითოეული ფუნქციისა და ქვეფუნქციის მიხედვით.

1971 წელს ურბანიზაციის კვლევითმა ინსტიტუტმა (აშშ) დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ მომსახურების შედეგები უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო განხილული და არა ისე მარტივად, როგორც მომსახურებისა და პროდუქტების რაოდენობა. მათი წინადადება იყო ასევე განხილულიყო ეფექტიანობა და ხარისხიც. მაგალითად, ინსტიტუტმა წამოაყენა წინადადება, რომ ნაგავის გატანის დროს მის რაოდენობასთან (ტონებში) ერთად გათვალისწინებულიყო დაგვის ხარისხიც, შემოგვთავაზეს რა ქუჩების სისუფთავის საშუალო კოეფიციენტი 1–დან 4–მდე და გამოკითხვის საფუძველზე დაგვის ხარისხით კმაყოფილი მოსახლეობის პროცენტი. შედეგი იანგარიშებოდა: ტონებში შეგროვილი ნაგავის რაოდენობა გამრავლებული სისუფთავის კოეფიციენტზე და გამრავლებული დასუფთავებით კმაყოფილი მოსახლეობის პროცენტზე.

გ. ბუკერტმა (ბელგია) საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციების მწარმოებლურობის შესაფასებლად შემოგვთავაზა სამსაფეხურიანი მიდგომა:

ა) სააგენტოს დონე. ამ დონეზე შეფასების მთავარი ობიექტი იყო სახელმწიფო ადმინისტრაციის მუშაკთა მწარმოებლურობა, მათი პროდუქტიულობა და ხარისხი. ეს დაკავშირებული იყო სტანდარტების, როგორც სააგენტოს ნაწილის შეფასებასთან;

ბ) მომსახურების პროგრამის დონე. აქ მთავარი იყო საზოგადოებრივი მომსახურების შედეგების ზეგავლენა მოქალაქეებზე, სადაც მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო თანაბრობა/სამართლიანობა მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. ამასთან, ასეთი მომსახურების უფლების მქონე მოსახლეობა მთავარი მომქმედი პირი იყო და მწარმოებლურობა იანგარიშებოდა ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე;

გ) პოლიტიკური დონე. ამ დონეზე მკვლევარი პ. ეპშტეინი გვთავაზობს ეფექტიანობის სხვადასხვა მაჩვენებლების შემდეგ ოთხ კატეგორიად დაყოფას:

- **თანამეგობრობის მდგომარეობისა და პირობების მაჩვენებლები (დასახლებული პუნქტები, მაცხოვრებელთა ჯგუფები);**
- **მომსახურების მიღწევის მაჩვენებლები;**
- **მოქალაქეთა და ცალკეულ მომხმარებელთა დაკმაყოფილების მაჩვენებლები;**
- **დაუგეგმავი ნეგატიური ზემოქმედების მაჩვენებლები**.

გ. უესტვიკი (დიდი ბრიტანეთი) გვთავაზობს სასარგებლო კოეფიციენტებსა და მონაცემებს საზოგადოებრივი მომსახურების ისეთი სფეროების შესაფასებლად, როგორიცაა სამედიცინო მომსახურება, ფოსტა და კომუნიკაციები, წყალმომარაგება, განათლება და სხვა.

მწარმოებლურობის მარტო გაზომვას არ მოაქვს დიდი სარგებელი, თუ არ მოხდა მიღებული შედეგების გაანალიზება. ასეთი ანალიზი უნდა იყოს ძალიან სპეციფიკური და ნათელი. ასეთი ანალიზი უნდა ჩატარდეს, როგორც მთლიანად სფეროსათვის, ასევე მისი ცალკეული კომპონენტებისათვის. ასეთი ანალიზის ჩასატარებლად უნდა დავსვათ კითხვები რა მოხდა, რატომ? რა არის გაუარესების, ან გაუმჯობესების მიზეზები? მიღებული შედეგები უნდა შედარდეს წინა წლის შედეგებს და მიღებული ტენდენციები გაანალიზდეს მონაცემთა ურთიერთშედარების გზით. ამის შემდეგ უნდა დაისახოს ის ღონისძიებები, რომლებიც დადებითად იმოქმედებენ მწარმოებლურობის შესაძლო ამაღლებაზე.

6.4 მწარმოებლურობის ამაღლების ძირითადი სტრატეგიები

საზოგადოებრივი სექტორის მწარმოებლურობის ასამაღლებლად ბევრმა განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყანამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები სახელმწიფო ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი მომსახურების პროგრამების რესტრუქტურიზაციისათვის.

ეს ღონისძიებები იყო: ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ადგილობრივი ვალუტების დევალვაცია, დიდი და არამწარმოებლური საზოგადოებრივი ეკონომიკის სექტორის შემცირება, მართვის სტილის და მენეჯმენტის პრაქტიკის დეცენტრალიზაცია და დემოკრატიზაცია, ანგარიშგების გამჭვირვალობა და სხვა, რომელთა განხორციელებამაც გამოიწვია სახელმწიფო ადმინისტრაციის ეფექტიანობის ამღლება. ასეთი შედეგის მიღებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა 1990–ან წლებში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დაწყებულმა საზოგადოებრივი მომსახურების პრივატიზაციამაც.

ეფექტიანობის ასამაღლებელი ღონისძიებები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგ ორ ნათლად განსხვავებულ ჯგუფად:

- საგარეო ბარიერების და დესტიმულატორების დაძლევა მწარმოებლურობის ასამაღლებლად;

- ორგანიზაციების შიგა შესაძლებლობების გამოყენება მწარმოებლურობის ასამაღლებლად, რომლებიც უნდა იყოს განსაზღვრული და შეფასებული.

ბარიერებად შეიძლება მოიაზრებოდეს სხვადასხვა სტრუქტურული და სამართლებრივი ბარიერები, ხოლო *დესტიმულატორებად* ადამიანების მოტივაციის ხელშემშლელი ფაქტორები აამაღლონ თავიანთი მწარმოებლურობა.

აქედან გამომდინარე, მწარმოებლურობის სტრატეგია – ბარიერებისა და დესტიმულატორების აღმოფხვრა და უპირატესობებისა და შესაძლებლობების აქტიური გამოყენება.

საზოგადოებრივი მომსახურებისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის ეფექტიანობის ამაღლების სტრატეგია შეიძლება განხილულ იქნეს შემდეგ ოთხ ასპექტში: *პოლიტიკური, სტრუქტურული, ტექნოლოგიური და მმართველობითი.*

6.4.1 პოლიტიკური ასპექტები.

სახელმწიფოს მართვის უმაღლესი ეშელონის ლიდერებს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ მათი უშუალო და აქტიური მონაწილეობა აუცილებელია პოზიტიური პოლიტიკური გარემოს შექმნაში. ასევე მნიშვნელოვანია ურთიერთობების ხარისხი არსებულ დომინირებულ პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო ადმინისტრაციას შორის. ბევრ ქვეყანაში თვლიან, რომ საზოგადოებრივ სექტორში ეფექტიანობისა და ეკონომიკის ასამაღლებელი ღონისძიებები გამომდინარეობენ მხოლოდ მთავრობის როლის შემცირებიდან და არა საბიუჯეტო მოსაზრებებიდან. სხვა ქვეყნებში შეიმჩნევა სახელმწიფოს უნიკალური როლის გაუთვითცნობიერება ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაში, სამართლიანობის მიღწევაში, ანგარიშგებასა და დემოკრატიზაციაში. თუმცა, ისეთი ქვეყნებიცაა, სადაც პირიქით გადაჭარბებულად იბერება სახელმწიფოს როლი, ხელოვნურად იზრდება სახელმწიფო საკუთრება და დანახარჯები შესაბამისი ეკონომიკური და სოციალური დასაბუთების გარეშე.

ქვეყნის ეროვნულ განვითარებაში სახელმწიფო ადმინისტრაციის მხრიდან კონსესუსის გამოყენება სულ უფრო თვალში საცემი მიმართულება ხდება. დღეისათვის კარგადაა ცნობილი *სახელმწიფო ადმინისტრაციის მოხელეთა ნეიტრალიტეტის კონცეფცია, დაფუძნებული მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებისა და მათი რეალიზაციის მრავალფეროვნებაზე.* თუმცა, დღეისათვის სულ უფრო პოპულარული ხდება *პოლიტიკური და ადმინისტრაციული ფუნქციების ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამატების კონცეფცია.*

განხვავებული მოსაზრებები არსებობს თავად პოლიტიკის მიმართ. ერთნი თვლიან, რომ იგი იდეოლოგიას ნიშნავს, ხოლო მეორენი მიიჩნევენ, რომ უფრო ლოიალობას ნიშნავს სახელმწიფოს მიმართ. ზოგიერთნი ტერმინს "პოლიტიკა" გამოიყენებენ პარტიებსა და ლიდერთა გარკვეულ ჯგუფებს შორის კონფლიქტების ასახსნელად, ხშირად ეს ტერმინი გამოიყენება პროგრამული პოლიტიკების გამოსახატავად, ზოგჯერ კი პიროვნებებსა და პოლიტიკურ ლიდერებს შორის კონფლიქტების აღწერისათვის. ამდენად, რაიმე სახის პოლიტიკური სახის გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა იგულისხმება ტერმინ "პოლიტიკის" ქვეშ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რათა თავიდან იქნას აცილებული გარკვეული მანიპულაციები პოლიტიკოსთა მხრიდან.

მიუხედავად ასეთი განსხვავებებისა და პრობლემებისა, კეთილგანწყობილი პოლიტიკური კლიმატი აუცილებლად უნდა შეიქმნას, რათა სახელმწიფო

ადმინისტრაციაში ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის განცდა არსებობდეს. ეს ღონისძიებათა სამ ძირითად ჯგუფს მოიცავს:

- სახელმწიფო ადმინისტრაციის პერსონალისათვის დასაშვებია სამთავრობო პოლიტიკისა და პროგრამების მხარდაჭერა;
- სახელმწიფო ადმინისტრაციის პერსონალისათვის დასაშვებია გარკვეული სახის ავტონომია თავისი სამუშაოს ორგანიზაციისა და პირადი საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად;
- სახელმწიფო ადმინისტრაციის პერსონალისათვის დასაშვებია საკმაო თავისუფლება, აგრეთვე მათსა და პოლიტიკოსებს შორის ინსტიტუციონალური და სამართლებრივი დისტანციის დაცვა. ამის განხორციელება იმისთვისაა საჭირო, რომ შენარჩუნებულ იქნეს ძირითადი, მაღალკვალიფიციური, გამოცდილი, მოტივირებული ადმინისტრაციის პერსონალი პოლიტიკოსთა ზეწოლისაგან.

აუცილებელია ისეთი ბალანსის დაცვა, როდესაც პოლიტიკური იმპერატივებსა და პროფესიულ მსჯელობებს საკუთარი წონა აქვთ და ერთმანეთს არ ახშობენ, აგრეთვე როდესაც სახელმწიფო ადმინისტრაციის მოხელეების დაქირავება და დაწინაურება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ ასპექტებზე. ამასთან, აუცილებელია ისეთი ეთიკური ნორმების არსებობაც, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხისა და მწარმოებლურობის, როგორც მისი ძირითადი მიზნის წახალისებას.

6.4.2 სტრუქტურული ასპექტები

სამწუხაროდ, როგორც წესი, ადმინისტრაციული რეფორმები დაგვიანებით იწყება, როდესაც მთავრობა იწყებს იმის გათვითცნობიერებას რომ საზოგადოებრივი მომსახურება დიდი ფინანსური დატვირთვაა სახელმწიფოსათვის. საზოგადოებრივი მომსახურების გაფართოებასთან ერთად, სახელმწიფოს არასისტემური და შემთხვევითი ინტერვენციები შემცირებული უნდა იყოს, ხოლო სისტემური პოლიტიკა და პროცედურები კი – წესი. სამწუხაროა, როდესაც რეფორმები ხორციელდება ოპოზიციის ზემოქმედების ქვეშ, ანდა პირიქით მათი კონსტრუქციული წინადადებები ხდება მთავრობის მხრიდან მათი ქილიკის საგანი.

საზოგადოებრივ სექტორში მწარმოებლურობის ამაღლების ერთ–ერთი ხელისშემშლელი პირობა ჩვეულებრივ იყო ადგილობრივი და ცენტრალური ადმინისტრაციის ფუნქციონირების მასშტაბები. ამ ფაქტის გააზრების შემდეგ, ბევრი ქვეყნის მთავრობამ თავიდან მოიშორა საზოგადოებრივი მომსახურების ბევრი ფუნქცია და მათი დელეგირება განახორციელა ადმინისტრაციულ დონეზე, რითაც ასევე შეამცირა ცენტრალური აპარატის პერსონალიც.

ამ საუკუნის ბოლოსათვის **შვეციის** სახელმწიფო ადმინისტრაციის პერსონალი შემცირდა სულ დასაქმებულთა 36%–მდე, ხოლო **იაპონიაში**–7%.

ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ, საზოგადოებრივი მომსახურების და სახელმწიფო ადმინისტრაციის მწრმოებლურობის ასამაღლებლად, გაატარა ღონისძიებები სახელმწიფო ინსტიტუციების პოლიტიკისა და პროგრამების რესტრუქტურიზაციის გზით. მაგალითად, **აშშ–ში** მიღებული აქტი საზოგადოებრივი მომსახურების რეფორმირების შესახებ, მიმართული იყო მენეჯმენტის ეფექტიანობის ასამაღლებელი სტიმულების უზრუნველსაყოფად და მისი ანგარიშგების გასაძლიერებლად.

კანადის მთავრობამაც ასევე განახორციელა ზოგიერთი ინიციატივა მომსახურების ღირებულების ასამაღლებლად, სახელმწიფო ადმინისტრაციის

საოპერაციო დანახარჯების შესამცირებლად.

დიდ ბრიტანეთში განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების დანახარჯების არსებული ბალანსის ცვლილება, პერსონალის შემცირება, მომსახურების სტანდარტების ამაღლება. ასეთი ინიციატივების მეორე მიმართულება იყო ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობის შესწავლა და ისეთი ფუნქციების დადგენა, რომელთა განხორციელებასაც კერძო სექტორი უკეთესად შეძლებდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივი დანახარჯების კონტროლის დეცენტრალიზაცია. კერძოდ, უმაღლესი მენეჯმენტის ხელში დარჩა რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე კონტროლი, ხოლო დაბალი მენეჯმენტის ხელში – თავიანთი ბიუჯეტების შედგენისა და ანგარიშგების, საქმიანობის ეფექტიანობის კონტროლზე პასუხისმგებლობა.

შვეციაში ფინანსთა სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო მწარმოებლურობის ტენდენციების გაანგარიშება საზოგადოებრივი მომსახურების ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები, თავდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, აგრეთვე ცენტრალური ადმინისტრაციის სხვა 12 სექტორში.

საფრანგეთში დიდი წინააღმდეგობა არსებობდა სახელმწიფო ადმინისტრაციის მხრიდან მენეჯმეტის უმაღლეს დონეზე პერსონალის შემცირების მიმართ. ამის მაგივრად მთავრობამ განახორციელა მენეჯმენტის ქვედა საფეხურებზე იმ პერსონალის შემცირება ვისაც უშუალო შეხება ჰქონდა მოსახლეობასთან და პარალელურად მოახდინა მათვის მომსახურების ზედა ეშელონების პერსონალის ფუნქციების დელეგირებაც. ასეთმა გადაწყვეტილებამ ნეგატიურად იმოქმედა საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხზე.

ბელგიაში მოქმედებდა რესტრუქტურირების ორი სტრატეგია, ერთი მიმართული იყო პერსონალის შემცირებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწისაკენ, ხოლო მეორე ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისაკენ. აქცენტი უფრო მეტად მიმართული იყო მეორე მიმართულებისაკენ. ძალისხმევა ასევე მიმართული იყო საბიუჯეტო სისტემის რაციონალიზაციისაკენ, სამინისტროების ანგარიშგებისა და ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე და განვითარებად ქვეყნებში საზოგადოებრივი მომსახურების რეფორმების ადმინისტრაციული სტრატეგიები ძირითადად მოკლევადიან ხასიათს ატარებენ. ეს გამოიხატება ისეთ ნაბიჯებში, როგორიცაა სახელმწიფოს როლის ამაღლება საინვესტიციო საქმიანობასა და ეკონომიკის მენეჯმენტში, რაც სახელმწიფო დანახარჯების და საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის მოცულობების ზრდას იწვევს. ასეთი ღონისძიებები ჩვეულებრივ ფინანსდება შიგა და საგარეო ვალების მეშვეობით, რაც თავის მხრივ ზრდის საბიუჯეტო დეფიციტს და შესაბამისად ზემოქმედებს ინფლაციის შესაძლო ამაღლებაზე. თითქმის ყველა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, სოციალიზმისა და ცენტრალიზებული მართვის სისტემის რღვევის შემდეგ, იძულებული იყო გაეტარებინა სახელმწიფო ადმინისტრაციისა და მათი დაწესებულებების ფუნდამენტური რეფორმირება, რამაც სამწუხაროდ მხოლოდ ძალიან ცოტა ქვეყანაში აამაღლა საზოგადოებრივი მომსახურების მოცულობა და ხარისხი.

დეცენტრალიზაცია და დერეგულირება. სამმართველო გადაწყვეტილებების ზედმეტი ცენტრალიზაცია მთავრობებისა და სააგენტოების მართვის უმაღლეს საფეხურებზე, როგორც ჩანს არაპროდუქტიული და არაეფექტურია. ბევრმა ქვეყანამ თავისი რეფორმები და სახელმწიფო ადმინისტრირების რესტრუქტურირება დაიწყო სწორედ რომ ძალაუფლების დეცენტრალიზაციისა და

მისი მართვის უფრო დაბალ დონეზე გადაცემის და იმავდროულად მათი ანგარიშგების დონის ამაღლების მიზნით.

კანადაში ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ როგორც კი საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციათა მენეჯერები აწყდებიან თავიანთი ძალაუფლების შემზღუდავ წინააღმდეგობებს და არა აქვთ ნათლად წარმოდგენილი, თუ რაზე და ვის წინაშე აგებენ პასუხს, მათგან ასეთი მომსახურების გაუმჯობესებას არ უნდა ველოდოთ. ასეთი დასკვნების შედეგად მთავრობამ გამოიყენა მაღალკვალიფიციური მენეჯერების სელექციური შერჩევის მეთოდი, მიანიჭა რა მათ რესურსებისა და პროცესების მართვის ისეთი დონის ძალაუფლება, რომელიც უზრუნველყოფდა მათ მეტი ეფექტურობით შეესრულებინათ დაკისრებული უფლება–მოვალეობანი.

დიდ ბრიტანეთში მთავრობამ განახორციელა განათლებაზე მიმართული ფინანსური რესურსების მართვის დეცენტრალიზაცია ადგილობრივი ძალაუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ, მათ შორის სკოლების დონემდეც კი. ასეთმა გადაწყვეტილებამ საშუალება მისცა მშობლებსა და ადგილობრივ საზოგადოებას უფრო მეტად ყოფილიყვნენ ინფორმირებული არსებული რესურსებისა და სკოლებში მათი გამოყენების შესახებ. ამან მართლაც გამოიღო შედეგი და გამჭვირვალე გახადა ხარჯების სტრუქტურა. ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგად სკოლებზე მიმართული ფინანსები უფრო ოპტიმალურად გამოყენებულია და მიმართულია სკოლების შენობების რემონტზე, ახალი სახელმძღვანელოების და სასწავლო მოწყობილობების შეძენაზე, მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ამაღლებაზე, სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაზე.

საზოგადოებრივ მომსახურებაში კონკურენციის წასახალისებლად მთავრობებმა უნდა დააფუძნონ მონიტორინგის ცენტრალური სააგენტოები, რომლებიც შეგროვებულ ინფორმაციას ხელმისაწვდომს გახდიდნენ მენეჯერებისათვის სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის შედეგების შესადარებლად.

კონკურენცია ასევე შეიძლება ამაღლდეს სახელმწიფო მონოპოლიების დანაწევრებით შედარებით მცირე და დამოუკიდებელ საწარმოებად, ან მომსახურების საზოგადოებრივი სექტორის კომერციული მექანიზმებით ჩანაცვლების გზით. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ სახელმწიფო საფოსტო მომსახურების მონოპოლიის ლიკვიდაცია მოახდინა და იგი კერძო საფოსტო მომსახურებით ჩაანაცვლა. ასეთივე პროცესები მიმდინარეობს განათლების სისტემაში, ამ სფეროში კერძო მომსახურებისა და განათლების სტანდარტების ამაღლების გზით.

კონკურენციის წახალისება მიმდინარეობს ასევე სახელმწიფო გადაზიდვების სისტემაში, მთავრობამ დართო რა უფლება კერძო ავტობუსების მქონე კომპანიებს განახორციელონ მგზავრთა გადაყვანები, რითაც უკვე უწევენ კონკურენციას საზოგადოებრივ მუნიციპალურ ტრანსპორტს, ტენდერების ჩატარება საზოგადოებრივი მომსახურების კონტრაქტების მოსაპოვებლად დღეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მთელ მსოფლიოში.

აშშ–ში, ევროპის ქვეყნებში, იაპონიაში და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ცვლილებები იწყება ლიბერალიზაციიდან (მაგალითად, მენეჯერებისათვის მეტი თავისუფლების მინიჭება რეგულირების ინტერპრეტაციაში) სრულ დერეგულირებამდე (გაუქმდა რა საფასო შეზღუდვები მთელ რიგ პროდუქტებსა და მომსახურებაზე). მაგალითად, აშშ–ში ადგილობრივი ავიახაზების მომსახურებაში განხორციელებული დერეგულირების შედეგად ავიაბილეთების ფასები 40%-ით შემცირდა ყველაზე უფრო პოპულარულ საავიაციო მარშრუტებზე, გახშირდა ფრენები, მნიშვნელოვნად ამაღლდა მომსახურების ხარისხი. მსგავსი სურათი შეინიშნებოდა ასევე სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების

დერეგულირების შედეგად.

დერეგულირების ყოველი კონკრეტული შემთხვევისას საჭიროა მისი გონიერი ზღვარის დადგენა, რათა თავიდან ავიცილოთ მოსახლეობის სოციალური და სასიცოცხლო სტანდარტების დარღვევა. ამდენად, დერეგულირების პროცესის მთავარი გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციამ სწორ ბალანსს მიაღწიოს რეგულირების მოთხოვნებსა და მენეჯერების ავტონომიის დონეს შორის მეტი მოქნილობისა და ეფექტიანობის მიღწევის მიზნით.

6.4.3 ტექნოლოგიური და მმართველობითი ასპექტები

საზოგადოებრივ მომსახურებასა და სახელმწიფო ადმინისტრაციაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი საქმიანობის ეფექტიანობის, მრავალფეროვნებისა და ხარისხის ასამაღლებლად. ამ სექტორში გამოყენებულ მექანიზმებს შორის ყველაზე უფრო გამორჩეული და რევოლუციური იყო ახალი ელექტრონული ტექნოლოგიები. სამწუხაროდ, მათი მასობრივად გამოყენება და გავრცელება გაძნელდა სახელმწიფო ადმინისტრირების სტრუქტურული სისტემის ჩამორჩენილობის, ეფექტიანობისა და შედეგობრიობის ცუდად შემუშავებული მაჩვენებლების და სხვა მსგავს მიზეზთა გამო.

კომპიუტერიზაციამ უდიდესი წვლილი შეიტანა ისეთი ტექნოლოგიების დანერგვაში, როგორიცაა გადაწყვეტილებების მიღება, კომუნიკაციათა ელექტრონული ქსელის შექმნა, ექსპერტული სისტემები, ბევრად პროგრესული უცხოურ ქსელებთან მიერთებული ინფორმაციის მართვის ავტომატიზებული სისტემები და სხვა. ძნელი წარმოსადგენია ისეთი სფერო, რომელშიც არ განხორციელებულიყო პროგრესული ცვლილებები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ გარემოებამ გამოიწვია მომსახურების სფეროს არამარტო რაოდენობრივი, არამედ ასევე მრავალფეროვნული და ხარისხობრივი გაუმჯობესება.

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ და ბევრი სამმართველო ფუნქციის ავტომატიზაციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია მომსახურების სექტორის ორგანიზაციულ სტრუქტურებში. განხორციელდა უფლება–მოსილებათა დეცენტრალიზაცია, ამაღლდა პროცესებისა და საბოლოო შედეგების კონტროლი, ასევე მენეჯმენტის ანგარიშგება საზოგადოებისა და მაკონტროლებელი ორგანოების მიმართ. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ ასევე უზრუნველყო საზოგადოებრივ მომსახურებაში პროგრამულ–მიზნობრივი მიდგომის უფრო ფართო დანერგვა და ორგანიზაციების ძალისხმევის მეტი კონცენტრაცია სტრატეგიულ მიზნებზე, შესაბამისად ამაღლდა ასევე საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციათა ავტონომიურობაც.

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვა პოზიტიური შედეგი იყო ასევე მოსახლეობის ბევრად მეტი ინფორმირება ამა თუ იმ მომსახურებაზე, უფრო მეტი ოპერატიულობა პრობლემების აღმოჩენასა და მათ გადაწყვეტაში, ამაღლდა მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი, შემცირდა მათზე გაწეული დანახარჯები. მოსახლეობისათვის ძალიან სწრაფად ინფორმაციის მიწოდება ხდება ისეთ მნიშვნელოვან მომსახურების სფეროებზე, როგორიცაა სხვადასხვა ტიპის ტრანპორტის მოძრაობის გრაფიკი, ბილეთების ფასი, სხვადასხვა ტურისტული მომსახურების სტრუქტურა და ხასიათი, ვაკანსიები კომპანიებში, ინფორმაცია სასტუმროებში მომსახურების შესახებ და უამრავი სხვა.

თუმცა ამ პროცესს ბევრი უარყოფითი მომენტებიც თან ახლავს იმის გამო, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ყოველდღიურ ცხოვრებაში სწრაფად შემოჭრის გამო, საზოგადოება ვერ ასწრებს მათდამი ადეკვატურ ადაპტირებას; ელექტრონულ ბაზებში განთავსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ მათ საიმედოობას; გარკვეული თაობისა და ადმინისტრაციის

სხვადასხვა საფეხურზე მომუშავენი ზოგჯერ უნდობლად და შიშითაც კი ეკიდებიან მათ გამოყენებას, ან თავს არიდებენ მათ გამოყენებას არაკომპეტენტურობის გამო.

საზოგადოდ კი ინფორმაცია ეს არის სამმართველო და პოლიტიკური რესურსი. ინფორმაციული სისტემა კი არის დროის, შედეგების, პერსონალის, პრობლემებისა და ბევრი სხვა ასპექტის კონტროლის საშუალება. ტექნოლოგია საზოგადოდ სახელმწიფო ადმინისტრაციას აძლიერებს და ამაღლებს მისი საქმიანობის ეფექტიანობას.

მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის ამაღლების ბევრი ღონისძიება, გარდა მაკროეკონომიკურ დონეზე განხორციელებული ცვლილებებისა, მიმართული უნდა იყოს ასევე სააგენტოებისა და საწარმოების მომსახურების დონეზეც. ითვლება, რომ მომსახურების ხარისხს ორი მთავარი წყარო გააჩნია:

- თავად მომსახურების სისტემაში ჩანერგილი პრობლემები;
- სპონტანური პრობლემები დაკავშირებული პიროვნებების მუშაობის ხარისხთან, ან მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების მდგომარეობასთან.

ამდენად, პრობლემათა რაოდენობა და მომხმარებელთა დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული დანაკარგები განპირობებულია, როგორც სპონტანური/ინდივიდუალური პრობლემებით, ასევე მომსახურების ორგანიზაციის სისტემაში ჩანერგილი პრობლემებითაც. ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელთა ეფექტიანობა და დაკმაყოფილება შეიძლება კონტროლდებოდეს მენეჯმენტის მიერ მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია მიდგომა, რომ პირველ რიგში საჭიროა მოცემულ კონკრეტულ პრობლემაზე კონცენტრაცია, ხოლო ამის შემდეგ ორგანიზაციაში ფართომასშტაბიანი მიზნობრივი პროგრამის განხორციელება მწარმოებლურობის ასამაღლებლად.

ბევრი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივ მომსახურებასა და სახელმწიფო ადმინისტრირებაში ეფექტიანობისა და მწარმოებლურობის ამაღლება მიკრო დონეზე, ჩვეულებრივ შემდეგ კომპონენტებს, ან მიმართულებებს მოიცავს:

- ცვლილებები მენეჯმენტის პრაქტიკასა და სტილში;
- პერსონალის ინფორმირებულობის ამაღლება ეფექტიანობის პრობლემებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ;
- ყველა დონის მენეჯერების წვრთნა;
- კონკრეტულ პრობლემასა და მოქმედებაზე ორიენტირებული მწარმოებლურობის ამაღლების პროგრამა;
- სამოქმედო გუნდის განვითარება, მათი ჩართვა პრობლემების ანალიზსა და გადაწყვეტაში;
- მწარმოებლურობის ამაღლების მოტივაციის სქემების დანერგვა;
- ორგანიზაციათა რესტრუქტრუირება, სადაც არის ამისი საჭიროება;
- მწარმოებლურობის ამაღლების გამოცდილების გადაცემა და დანერგვა სხვა ორგანიზაციებშიც;

საზოგადოებრივი მომსახურების ეფექტიანობის ამაღლების ნებისმიერი პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პერსონალის ჩართვა. საზოგადოებრივი მომსახურების სულ უფრო მეტი და მეტი ორგანიზაცია ცდილობს მწარმოებლურობის ამაღლებისა და დანახარჯების შემცირების ისეთი მეთოდები გამოიყენოს, როგორიცაა:

- მწარმოებლურობის ამაღლების პროგრამები;
- ხარისხის მართვა;
- იაპონიაში შემუშავებული, ხოლო შემდეგ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საზოგადოებრივ და კერძო სექტორებში გამოყენებული "კაიზენის" სისტემა;
- პროდუქციის/მომსახურების ზუსტად მოთხოვნილ დროსა და ადგილზე მიწოდების მეთოდი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს დასაწყობების, შენახვისა და სხვა სახის დანახარჯებს.

დღეისათვის, კიდევ ერთი ძალზე სასარგებლო და პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ, რაც უფრო ფართოდ ვრცელდება მომსახურების და სახელმწიფო ადმინისტრაციის ზოგიერთი ფუნქციის დეცენტრალიზაცია და პრივატიზაცია, ეს ორგანიზაციები მით უფრო მეტად იყენებენ კერძო ბიზნესისათვის დამახასიათებელ მაღალეფექტურ მართვის მეთოდებს.

კითხვები დისკუსიისთვის

1. რით არის გამოწვეული საზოგადოებრივ მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდა?

2. განიხილეთ მომსახურებასა და სახელმწიფო ადმინისტრირებაში მწარმოებლურობის ძირითადი ბარიერები. თქვენი აზრით რომელი მათგანი მოითხოვს საქართველოში სასწრაფოდ გადაწყვეტას?

3. რაში გამოიხატება სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებელი წინააღმდეგობები საქართველოში?

4. რატომ არის საჭირო მწარმოებლურობის გაზომვა საზოგადოებრივ მომსახურებაში? შესაძლებელია კი საზოგადოდ მისი გაზომვა ამ სფეროში?

5. რითი განსხვავდება მწარმოებლურობის გაზომვა მრეწველობასა და საზოგადოებრივ მომსახურებაში?

6. დაახასიათეთ საზოგადოებრივი მომსახურების ეფექტიანობის ამაღლების ის ძირითადი სტრატეგიები, რომლებიც საქართველოში გამოიყენება. გაანალიზეთ ისინი პოლიტიკური, რესტრუქტურიზაციის, ახალი ელექტრონული ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის სრულყოფის თვალსაზრისით.

დანართები (თვალსაჩინო მასალები)

განსხვავება ბიუროკრატიულ კონტროლსა და პროფესიონალურ მენეჯმენტს შორის

კატეგორიები	ბიუროკრატიული კონტროლი	პროფესიონალური მენეჯმენტი
სახადმინისტრაციის ინსტიტუციური მდგომარეობა	სახადმინისტრაცია–პოლიტიკურად ორგანიზებული საზოგადოებრივი სისტემის ნაწილი	სახადმინისტრაცია–ავტონომიური ორგანიზაცია
სახადმინისტრაციის ლეგალიზაცია	გარანტირებული სახელმწიფო ინსტრუმენტები	მოსახლეობისთვის აუცილებელი გარანტირებული მომსახურება
სახადმინისტრაციის არსი	სუბორდინაცია მთავრობისადმი	მისაღწევი მიზნების განსაზღვრისას წარმომადგენლობით ორგანოებთან ინტეგრაცია
მიზნები, ინტერესები	ინდივიდუალური აქტები, ოპერაციები, დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები	ეფექტური ადმინისტრაციული პროცესები, აქტების, ოპერაციების და გადაწყვეტილებების სისტემა
შინაარსი	ადმინისტრირების ფორმალური ასპექტები და პროცედურები	მიღწეული შედეგები, რესურსების ეფექტური გამოყენება
კრიტერიუმები	"სამართლიანობა" ფორმალურად	ადმინისტრაციის ეფექტიანობა რესურსების გამოყენებაში
მიზნები	ადმინისტრაციის მოქმედების შესაბამისობა ფორმალურ მოდელთან	ცვლილება, მოდელის ადაპტაცია ცვლად მოთხოვნებთან
რა ფასდება?	სტანდარტიზაცია, შესრულების უნარი, ბიუროკრატიის კულტურა	ექსპერიმენტის, შემოქმედებითობის, ახალი მოდელების წახალისება, პროფესიონალიზმი, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის უნარი
წახალისებისა და დასჯის სისტემები	ნორმების დარღვევისთვის დასჯა უფრო ფასობს, ვიდრე ეფექტურობა	ეფექტიანობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ნორმებისგან, ფორმალობებისა და წესებისაგან გადახრა.

სახელმწიფო ადმინისტრაციაში ბიუროკრატიული კონტროლის სტრუქტურული მიზეზები

- მთავრობისა და სახადმინისტრაციის სისტემის ორიენტირება მოკლევადიან შიგა და საგარეო ეფექტებზე და არა გრძელვადიან რაციონალიზაციაზე;
- მოქმედება "საზოგადოების ინტერესების" პრინციპით, რაც ხშირად გულისხმობს საზოგადოების მხოლოდ ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც კონფლიქტში ერთამენთთან იმყოფებიან. ანუ, სინამდვილეში ხდება საზოგადოების ინტერესთა შეცვლა ბიუროკრატიული ადმინისტრაციული ელიტის ინტერესებით;
- ისეთ შემთხვევებში, როდესაც "ურთიერთობათა რეგულირება" უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ეფექტიანობა (მაგალითად ადამიანის უფლებათა დაცვა), ბიუროკრატიული კონტროლის სისტემა აუცილებელია;
- ბაზრებზე წარმოების ფაქტორების შესყიდვისა და თავისი მომსახურების გაყიდვისას სახადმინისტრაცია მხოლოდ ნაწილობრივ მისდევს" ეკონომიკურ კრიტერიუმებს".

მენეჯერ–ბიუროკრატისა და მენეჯერ–მეწარმის ორიენტაციისა და პრიორიტეტების სისტემა

კატეგორიები	მენეჯერ–ბიუროკრატი	მენეჯერ–მეწარმე
ფოკუსირება მართვაზე	ნორმები	შედეგები
ორიენტაციის მასშტაბი	ვიწრო	ფართო
მართვაში თავისუფლების ხარისხი	მკაცრი	მოქნილი
ადაპტაცია ცვლილებებისადმი	მცირე	დიდი
საბიუჯეტო ორიენტაცია	დაიხარჯოს მთლიანად	დაიხარჯოს ეფექტურად

სახელმწიფო ორგანიზაციებში მწარმოებლურობის ბარიერების დაძლევის სტრატეგია

სტრუქტურული პოლიტიკა მაკროდონეზე	სამმართველო მიდგომები ორგანიზაციის დონეზე
• კონკურენციის შემოტანა • პრივატიზაცია • დერეგულირება • დეცენტრალიზაცია • სამართლებრივი მექანიზმის გაძლიერება • პარლამენტის, მთავრობის, საზოგადოების, მეწარმეებისა და მენეჯერების შორის ფუნქციების ნათლად გადანაწილება • სახადმინისტრაციის ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის გაძლიერება • პოლიტიკური კონსესუსი ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში	• ინფორმირება მწარმოებლურობაზე • მწარმოებლურობისა და მისი მართვის სტრატეგიის შემუშავება • სახადმინისტრაციის მუშაკთა პროფესიონალიზმის განვითარება • უახლესი ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების გამოყენება • შიგა და საგარეო მეწარმეობის განვითარება • კოლექტიური მოლაპარაკებებიდან ერთობლივი კონსულტაციებისაკენ • წამყვანი სპეციალისტების მოტივაცია შედეგებისა და პოტენციალის მიხედვით

პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის მაგალითები

ა) პროდუქტიულობა

- გადაწყვეტილებების რაოდენობა საათში;
- კონსულტაციების რაოდენობა საათში;
- აცრების რაოდენობა საათში;

ბ) ეფექტიანობა

- გაზრდილი შემოსავლები;
- მიზანი მიღწეულია 95%–ით;
- დრო შეკვეთასა და შესრულებას შორის;

გ) სამართლიანობა

- მოსახლეობის 75% ცხოვრობს გზიდან ერთი კილომეტრის მოშორებით;
- მოსახლეობის 90% უზრუნველყოფილია სკოლებითა და ელექტრომომარაგებით

სხვა მაჩვენებლები

- მომსახურების სისწრაფე;
- ვადებში შეუსრულებელი სამუშაოების პროცენტი;
- სამსახურში მოწყობილ უმაღლეს დამთავრებულთა პროცენტი;
- რეგიონში დანაშაულობათა რაოდენობა ერთ პოლიციელზე;
- მკურნალობის ინტენსივობა, ან ხანგრძლივობა დანახარჯის ერთეულზე;
- აკურატულობა (შეცდომების რაოდენობა 10 ნაბეჭდ გვერდში).

მომსახურების მოცულობის შეფასების მაგალითები

მომსახურების ფუნქციები	მაჩვენებელთა მაგალითები
რეგულირება	მიღებული გადაწყვეტილებები, დავების გადაწყვეტა, ზედამხედველობა, წამლების ტესტირება
ფინანსები	ვალების შემცირება, გამოწერილი ანგარიშები, შეგროვებული გადასახადები, რევიზიათა რაოდენობა
პერსონალის მართვა	კადრების დენადობა, ინტერვიუების რაოდენობა, პერსონალის ატესტაცია, თანამდებობის შეფასება
წრთვნა	მსმენელთა რაოდენობა, ჩატარებული მეცადინეობების რაოდენობა, გამოცდების ჩამბარებელთა რაოდენობა
ჯანმრთელობის დაცვა	პაციენტებთან ვიზიტების რაოდენობა, აცრების რაოდენობა, პროფილაქტიკური გამოკვლევევბი
დოკუმენტაცია	დახარისხებულ დოკუმენტთა რაოდენობა, შეტანილი ცვლილებები, ადრესატებზე მიწოდება
ცხოვრების ხარისხი რეგიონში	უბედური შემთხვევები, ქუჩების სისუფთავე, ტელეფონებით, ელექტროენერგიით, წყლითა და გაზით მომარაგება, ჰაერის დაბინძურება

რამდენიმე მიდგომა სახელმწიფო ადმინისტრაციის ეფექტიანობის ასამაღლებლად

ტრადიციული ბიუროკრატიული სისტემის რაციონალიზაცია

არსებული სტრუქტურების, წესების, ნორმების, კონფლიქტების მართვის, ინოვაციების უკეთესი გამოყენება

ადმინისტრაციის და მისი ქვეგანყოფილებების რეფორმირება

მიზნების, ფუნქციების, ორგანიზაციული სტრუქტურების, ბიუჯეტის მართვისა და მისი ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად გადანაწილების გადახედვა

კონტროლის მოცულობების შემცირება

კონტროლის მოცულობა უნდა იყოს იმ კრიტიკულ დონეზე დაბალი, რომელიც ხელს უშლის განვითარებას. პრივატიზაციის და კონკურენციის პროცესი სახელმწიფო ადმინისტრაციის ინსტიტუციებსაც უნდა შეეხოს

სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანიზაციული კულტურის/ეთიკის ცვლილება

მეტი ყურადღება ჰორიზონტალურ ინტეგრაციას, კორუფციასთან ბრძოლას, ადგილობრივ და საგარეო მეწარმეობას, მეტი ყურადღება მიზნებს და არა წესებს

ლიდერთა პროფესიონალიზმი

საჭიროა მეტი მოხელე–იდეალისტები, უცხოური პრაქტიკისა და საუკეთესო გამოცდილების უფრო თამამად გადმოტა, სხვადასხვა სახის წრთვნების პროგრამები

სახელმწიფო ადმინისტრაციის მუშაკთა წრთვნების ეფექტიანობის ხელშემშლელი ფაქტორები

- მიღწეული შედეგების მიხედვით არ ხდება თანამშრომელთა დაწინაურება, განთავისუფლება, დამატებითი ანაზღაურებით წახალისება. დიდი დრო გადის სანამ ხელმძღვანელობისთვის ნათელი ხდება ამა თუ იმ მუშაკის დაბალი კვალიფიკაცია და უუნარობა. ძალიან ბევრია პოლიტიკური ნიშნით თანამდებობებზე დანიშვნები გაწეული "მომსახურების" სანაცვლოდ;

- ზედმეტი ცენტრალიზაცია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ამცირებს პირად პასუხისმგებლობას და სტიმულს კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

- ადმინისტრაციათა ხელმძღვანელების ზედმეტი დამოკიდებულება პოლიტიკოსებსა და კლიენტებზე, რაც ხელს უშლის მიზნის ნათლად ჩამოყალიბებას და პროფესიონალიზმის ამაღლებისაკენ სწრაფვას;

- წინააღმდეგობა ადმინისტრაციის მუშაკთა ეფექტიანობის შეფასებისას, რაც ხშირად ფორმალულ ატესტაციად იცვლება. მიზნობრივი ობიექტის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შეფასების კულტურის უქონლობა;

- კვალიფიკაციის ამაღლება მიმართულია ცოდნის მიწოდებაზე და არა საბოლოო შედეგების გაუმჯობესების უნარ–ჩვევების გამომუშავებაზე. არ ხდება პერსონალის წვრთნის მოთხოვნილების შეფასება;

- წრთვნებისთვის საჭირო დროისა და ფინანსების უქონლობა. ასეთ წვრთნებზე ხშირად იმას გზავნიან, ვისაც თავისუფალი დრო აქვს და არა იმას, ვინც პასუხს აგებს მნიშვნელოვან პროცესებზე და ვისთვისაც ასეთი წრთვნა აუცილებელია;

- წრთვნისადმი, როგორც ღირებულებისადმი არასისტემური და ფორმალური მიდგომა.

უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი

ა

აბსორბცია – შთანთქმა, შეწოვა, შესრუტვა

აგენტი – საწარმოს, ფირმის, ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც საქმიან დავალებას ასრულებს

ადაპტაცია – სისტემის შემგუებლობა გარემო ცვლილებებისადმი

ადმინისტრირება – მოღვაწეობის გარკვეული მონაკვეთის გამგებლობა დაფუძნებული კომპეტენციასა და ერთმმართველობაზე, ხელქვეითის მიმართ ხაზობრივი მართვის ფუნქციის გატარების გზით

ავტოკრატული ხელმძღვანელი – ხელმძღვანელი, რომელიც სამუშაოს შემსრულებლებზე პირადი ზეგავლენის გზით თავისი სურვილების შესრულების საკმაო ძალაუფლება გააჩნია

ამბივალენტობა – არაცალსახობა

არავერბალური ინფორმაციის გაცვლა – ინფორმაციის შინაარსის გადაცემა სხვადასხვა ნიშნებით სიტყვების გამოყენების გარეშე

არაფორმალური ორგანიზაცია – სპონტანურად ჩამოყალიბებული ადამიანთა ჯგუფი, რომელიც რეგულარულ ურთიერთმოქმედებაში იმყოფება გარკვეული მიზნის მისაღწევად

ატესტაცია – მუშაკთა საქმიანობის შედეგების შეფასების პროცედურა დროის გარკვეულ პერიოდში

არენდა – ეკონომიკური კატეგორია, რომლის მიხედვით ერთი მხარე (ქონების მესაკუთრე, არენდით გამცემი) გადასცემს მეორე მხარეს (არენდატორს) ქონების განკარგვისა და გამოყენების უფლებას განსაზღვრული ვადითა და გარკვეული საზღაურით

აუდიტორი – საფინანსო–სამეურნეო საქმიანობის შემმოწმებელი პირი, რომელსაც სახელმწიფო ორგანოების სპეციალური ნებართვა აქვს

აქცია – ფასიანი ქაღალდი, რომელიც გამოშვებულია სააქციო საზოგადოების მიერ, ამტკიცებს მისი მფლობელის მონაწილეობას ამ საზოგადოების კაპიტალის შექმნაში და იძლევა მისი მოგების ნაწილის მიღების გარანტიას დივიდენდების სახით

აქციონერი – სააქციო საზოგადოების წევრი

ბ

ბაზარი – სადაც წარმოებს საქონლის/მომსახურების ყიდვა–გაყიდვის პროცესი

ბარტერი – პირდაპირი საქონელგაცვლა კონტრაგენტებს შორის ფულადი ანგარიშსწორების გარეშე

ბიზნესი – მოგების მომტანი სამეწარმეო საქმიანობა

ბიზნესმენი – კომერსანტი, მეწარმე, რომელიც ეწევა საქმიანობას ფინანსური მოგების, ან სხვა სახის სარგებლის მისაღებად

ბირჟა – სახელმწიფო, ან სააქციო ორგანიზაცია, სადაც ხდება საქონლისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა–გაყიდვის ორგანიზაციული პროცესი

ბიუროკრატია – ორგანიზაციის ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია შრომის სპეციალიზებული დანაწილება, მკაფიო მმართველობითი იერარქია, დადგენილი წესები და სტანდარტები, მუშაკთა კომპენტენციაზე დაფუძნებული დაქირავების პრინციპები, მუშაობის შეფასების კრიტერიუმები

ბიუჯეტი – გეგმა, რომელიც ასახავს რაოდენობრივ ფორმაში შესაძლო შედეგებისა და გასანაწილებელ რესურსებს;

ბროკერი – სასაქონლო ბირჟებზე გამყიდველებსა და მყიდველებს შორის გარიგებების ხელშემწყობი დამოუკიდებელი სავაჭრო შუამავალი

ბრტყელი სტრუქტურა – ორგანიზაციის სტრუქტურა, რომელიც ხასიათდება მართვის საფეხურების მცირე რაოდენობით და მართვის ფართო მოცულობით

გ

გადაწყვეტილება – ალტერნატივის ამორჩევა

განსაძღვრული პასუხისმგებლობის საზოგადოება – სამეურნეო საქმიანობის განხორციელების მიზნით შექმნილი ორგანიზაცია იურიდიულ და კერძო პირთა ანაბრების გაერთიანების გზით

გენერაცია – დაბადება, წარმოშობა, გაჩენა

გეტეროგენური – არაერთგვაროვანი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სხვადასხვა ნაწილების შემადგენლობა

გრადუალისტები – დიფერენცირებული, თანამიმდევრული მიდგომის მხარდამჭერები; გრადაცია, დახარისხება, თანამიმდევრული გადასვლა

გრატიფიკაცია – ფულადი ჯილდო, წახალისება

დ

დაგეგმვა – მიზნების მისაღწევად საჭირო საშუალებების, ამოცანებისა და გადაწყვეტილებების შერჩევის პროცესი

დევალვაცია – ფულის რეფორმა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გაუფასურებელ ფულის ნიშნებს მიმოქცევიდან იღებენ და ცვლიან სრულფასიანი საკრედიტო ბილეთებით (ე.წ. ღია დევალვაცია), ანდა ბრუნვაში მყოფი ფულის ნიშნების ოფიციალურ კურს დაბლა სწევენ (ე.წ. ფარული დევალვაცია)

დელეგირება – ამოცანებისა და უფლებების გადაცემა პირისთვის, რომელსაც ეკისრება მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობა

დემოკრატიული ხელმძღვანელი – ხელმძღვანელი, რომელიც ცდილობს თავს არ მოახვიოს ხელქვეითებს თავისი სურვილები და ხელმძღვანელობს რწმენით, რომ ადამიანები მოტივირებულნი არიან უმაღლესი დონის მოთხოვნებით

დეპარტამენტალიზაცია – ორგანიზაციის სტრუქტურის ფორმირების პროცესი

დეცენტრალიზებული ორგანიზაცია – ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც გადაწყვეტილების მიღების უფლება გადანაწილებულია სამმართველო სტრუქტურების დაბალ საფეხურზეც კი

დეფლაცია – ბრუნვაში მყოფი ქაღალდის ფულის რაოდენობის შემცირება მისი მსყიდველობითი ძალის ასაწევად

დეფოლტი – კერძო სექტორის ინიციატივა მიაწოდოს მომხმარებელს სახელმწიფოზე უკეთესი მომსახურება

დივერსიფიკაცია – მრავალსახეობა; ფირმის მიერ გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის, ან გაწეული მომსახურების ფორმების გაფართოება

დივიზიონალური ორგანიზაციული სტრუქტურა – ორგანიზაციული სტრუქტურის ტიპი შემუშავებული დიდი ორგანიზაციების ინტერესებისათვის, რომლებისთვისაც ფუნქციური სტრუქტურები უკვე აღარაა ეფექტური. განყოფილებების მქონე სტრუქტურების ძირითად ტიპებს რეგიონალური და პროდუქტიული სტრუქტურები მიეკუთვნება, აგრეთვე მომხმარებელზე/მყიდველზე ორიენტირებული სტრუქტურები

დილერი – ფიზიკური, ან იურიდიული პირი, რომელიც საკუთარი ხარჯებით ყიდვა–გაყიდვის ოპერაციებს აწარმოებს

დისკონტური პოლიტიკა – სავალუტო პოლიტიკის ფორმა, რომელიც მიმართულია სავალუტო კურსის რეგულირებაზე, კაპიტალისა და საგადასახადო ბალანსის მოძრაობაზე კრედიტიდან პროცენტების შეცვლის გზით

დისტრიბიუტორი – საბითუმო ფირმა, რომელიც მსხვილი მწარმოებელი ფირმებისაგან ბითუმად შესყიდული მზა პროდუქციის გაყიდვას ახორციელებს

დისფუნქციური კონფლიქტი – კონფლიქტის სახე, რომელსაც მივყავართ მუშაობით დაკმაყოფილების ხარისხის დაქვეითებისაკენ, ჯგუფებს შორის თანამშრომლობის და მთლიანად ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შემცირებამდე

დიფუზია – გავრცელება, გაფართოება, განბნევა

ე

ეთიკა – პრინციპები, რომლებიც განასხავებენ სწორ და არასწორ ქცევებს

ეთიკური ნორმა – ეთიკის წესებისა და ზოგად ფასეულობათა სისტემა, რომლის დაცვასაც მოითხოვს ორგანიზაცია თავისი თანამშრომლებისაგან

ერთმმართველობა – ორგანიზაციის აგების პრინციპი, რომლის თანახმად ხელქვეითი უფლებამოსილებას უნდა იღებდეს მხოლოდ ერთი ხელმძღვანელისაგან და პასუხისმგებელი იყოს მხოლოდ მის წინაშე

ვ

ვიზირება – თანამდებობის პირის მიერ დოკუმენტზე ხელმოწერა, რომლითაც იგი ადასტურებს დოკუმენტში მოტანილი მასალის გაცნობას და ავალდებულებს ხელქვეითს მის შესრულებას

ვენჩურული (კაპიტალი) – ა) საქმე, ფირმა, საწარმო, რისკიანი საწარმო, სპეკულაცია, რისკზე წამსვლელი მეწარმე; ბ) საქმეში ჩადებული კაპიტალი, რისკიან საწარმოში ჩადებული კაპიტალი

ზ

ზემოქმედება – ამა თუ იმ პირის საქციელი, რომელიც ცვლის მისდამი დამოკიდებულებას

თ

თავისუფალი ეკონომიკური ზონა – რეგიონი ქვეყნის შიგნით, რომელსაც გააჩნია გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობა: მასში არსებული საწარმოები არ ექვემდებარებიან დარგობრივ მეურვეობას, უცხოელი ინვესტორებისათვის შექმნილია გადასახადების დაწესების, მოგების გატანის, დაკრედიტების, ნედლეულის მიღების, იმპორტული მოწყობილობა–დანადგარების და საქონლის შემოტანის, თავისი პროდუქციის საზღვარგარეთ გატანის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები

ი

იერარქია მასლოუს მოთხოვნილებების – ადამიანთა მოთხოვნილებების დაყოფა აბრაჰამ მასლოუს მიერ ხუთ ჯგუფად: ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური, პატივისცემის და თვითგამოხატვის

იერარქიული სტრუქტურა – ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ხასითდება მრავალსაფეხურიანი მართვით და მის თითოეულ საფეხურზე მართვის უმნიშვნელო მოცულობით

იმიტაცია – რეალური სიტუაციის მოდელის შემუშავების პროცესი და ექსპერიმენტების შესრულება იმ მიზნით, რომ გაგებულ იქნეს, თუ როგორ აისახება რეალურად სიტუაცია

იმიჯი – რეპუტაცია, საზოგადოებრივი აზრი პიროვნების, ფირმის, საქონლის, მომსახურების, ორგანიზაციის, სახელმწიფოს და სხვათა შესახებ

იმპერატივი – ბრძანება, დაჟინებითი, კატეგორიული მოთხოვნა

ინიციაცია – საიდუმლოებათა შესრულება, საიდუმლო გარიგება

ინოვაცია – შრომისა და მართვის ორგანიზაციის ახალი ფორმის დანერგვა

ინკრემენტული – ნამატი, ზრდა, გადიდება

ინჟინერინგი – სხვადასხვა დისციპლინების გამოყენების, შესწავლისა და კოორდინაციის საქმიანობა, რომლითაც დაკავებულნი არიან ინჟინრები და ტექნიკოსები რაიმე ობიექტის, ან ობიექტთა სიმრავლის შექმნის, მოდიფიკაციის, ან გამოყენებისათვის

ინტეგრაცია – სხვადასხვა ქვესისტემების ძალისხმევის გაერთიანების პროცესი ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად

ინფორმატიკა – მეცნიერული დისციპლინა, რომლის კვლევის საგანს წარმოადგენს დოკუმენტირებული ინფორმაციის გარდასახვის, შენახვის და გავრცელების პროცესები

ინფრასტრუქტურა – მწარმოებელი და მომსახურე დარგების ერთობლიობა

ინფლაცია – ქაღალდის ფულის გაუფასურება (როცა ბრუნვაში უშვებენ იმაზე მეტს, რაც საჭიროა საქონელბრუნვის მოთხოვნილებით)

კ

კარტელი – რომელიმე დარგის მეწარმეთა გაერთიანება საბაზრო კონკურენციის შესრულების, კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოებასა და გასაღებაში მონოპოლიის მოპოვების, აგრეთვე მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით

კატალექტიკა – დაბოლოება, საბოლოოდ დასრულება

კარტელი – მონოპოლიის ერთ-ერთი მთავარი ფორმა, მრეწველობის რომელიმე დარგის მსხვილ მეწარმეთა გაერთიანება მოგების გადიდებისა და ბაზარზე ბატონობის უზრუნველყოფის მიზნით

კლეპტოკრატია – ქურდული სამყაროს წარმომადგენლების ღირებულებათა სისტემა სახელმწიფო ადმინისტრაციის უმაღლეს ეშელონებში მჭიდრო კავშირებით

კლირინგი – უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა

კომერსანტი – პირი, რომელიც ეწევა კერძო მეწარმეობას

კომერცია – ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც მოგებას იძლევა

კომივოიაჟორი – მსხვილი სავაჭრო ფირმის მიმომსვლელი წარმომადგენელი, რომელიც საქონლის ნიმუშებისა და პროსპექტების ადგილებზე რეკლამის გაწევის გზით მყიდველებს სთავაზობს ნაწარმის შეძენას

კომუნიკაცია – დაკავშირება, შეტყობინება. ინფორმაციის გავრცელება ტექნიკური საშუალებებით

კონგლომერაცია – მრავალდარგოვანი კონცერნის ფორმა, რომელშიც ფირმები გაერთიანებულნი არიან ორგანიზაციული, ან ფინანსური კავშირებით

კონვენცია – შეთანხმება; სხვადასხვა ფირმებს შორის დადებული ხელშეკრულება პროდუქციის წარმოების, გასაღების, განაწილების და სხვათა შესახებ

კონვერგენცია – რაიმე ნიშან–თვისებათა დამთხვევა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მოვლენებში

კონვერსია – წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში მიმდინარე გაცვლითი ოპერაციებისაგან განსხვავებით ქონების მართვის ფორმის შეცვლა

კონკურენცია – განუწყვეტელი მეტოქეობა მხარეებს შორის პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობების, ან რაიმე სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით

კონსიგნაცია – საზღვარგარეთ საქონლის გაყიდვის საკომისიო ფორმა

კონსორციუმი – ბანკების, ფირმების, კომპანიების დროებითი გაერთიანება მსხვილმასშტაბური პროექტების, ან საფინანსო ოპერაციების რეალიზაციისათვის

კონცერნი – სხვადასხვა დარგის საწარმოების, სავაჭრო ფირმების, ბანკების, სატრანსპორტო და საფინანსო კომპანიების გაერთიანება

კონფლიქტი – ორ, ან ორზე მეტ მხარეს შორის შეუთანხმებლობა

კორპორაცია – ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან პროფესიული, ან წოდებრივი ინტერესების ერთობით

კორპორაციის კულტურა – სოციალური კლიმატი, ან ატმოსფერო ორგანიზაციაში

კრიტერიუმი – განმასხვავებელი ნიშანი, რომლის საფუძველზე წარმოებს შეფასება, ალტერნატივების შედგენა, ან ობიექტებისა და მოვლენების კლასიფიკაცია

ლ

ლიბერალური მმართველი – მმართველი, რომელიც თავის ხელქვეითებს თითქმის სრულ თავისუფლებას აძლევს სამუშაო ამოცანების შერჩევასა და მათი შესრულების მიმდინარეობის კონტროლისას

ლიდერი ორგანიზაციის – პიროვნება, რომელიც ეფექტურად ახორციელებს ფორმალურ და არაფორმალურ ხელმძღვანელობას

მ

მაკლერი – შუამავალი პირი

მართვის მეთოდები – მმართველი სუბიექტის სამართავ ობიექტზე ზემოქმედების ხერხები

მარკეტინგი – მომხმარებელსა და მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესის ფილოსოფია; მართვის საბაზრო კონცეფცია

მედიანა – სწორი ხაზი, რომელიც სამკუთხედის წვეროდან მოპირდაპირე გვერდის შუა წერტილამდეა გავლებული

მენეჯერი – მმართველი, ორგანიზატორი, ხელმძღვანელი წარმოების, გასაღების, ან მომსახურების სფეროს; ორგანიზაციისა და მართვის პროფესიონალი სპეციალისტი

მენეჯმენტი – მართვის ფორმების, საშუალებების, პრინციპებისა და მეთოდების ერთობლიობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მოგების გასადიდებლად

მონოპოლია – ბაზრის სტრუქტურა, რომლის დროსაც საქონელს მხოლოდ ერთი საწარმო აწარმოებს

მოტივაცია – საკუთარი თავისა და სხვების სტიმულირების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ და ორგანიზაციის საერთო მიზნების მიღწევას

მრავალნაციონალური კორპორაცია – ერთზე მეტ ქვეყანაში განლაგებული სხვადასხვა საწარმოების მფლობელი და მმართველი ფირმა

ნ

ნეპოტიზმი – თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი ნათესავების, ახლობლების მფარველობა;

ო

ოპცია – ფინანსურ ბაზარზე რაიმე სახის ფინანსური აქტივების განსაზღვრული ვადით შესყიდვასა და გაყიდვაზე კონტრქტის წარდგენა პრემიის დაუყოვნებლივ გადახდის სანაცვლოდ

ოლოგარქია – მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის მცირერიცხოვანი წარმომადგენლების პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა

ოლიგოპოლია – ა) ბაზარი, სადაც რამდენიმე ფირმა ყიდის სტანდარტიზებულ, ან დიფერენცირებულ საწონელს; ბ) ბაზარი, სადაც სხვა ფირმების შედწევა გართულებულია; გ) ბაზარი, სადაც პროდუქციის ფასებზე კონტროლი შეზღუდულია ფირმების ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულების გამო

პ

პარადიგმა – მაგალითი, ნიმუში

პერსონალი – ორგანიზაციის თანამშრომელთა საშტატო შემადგენლობა

პერსონიფიკაცია – მუშაკთა პირადი პერსონალური პასუხისმგებლობის დადგენის პროცესი

პერცეფცია – ობიექტური სამყაროს, სინამდვილის ასახვა გრძნობის ორგანოების საშუალებით; აღქმა

პოლიტიკა – მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ზოგადი ორიენტირები

პრეფერენცია – ორ, ან მეტ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულებით ერთმანეთისათვის მინიჭებული უპირატესობა, შეღავათი (მაგალითად, ვაჭრობის გაფართოების მიზნით)

რ

რანჟირება – ობიექტების, მათი ნიშნების, ფაქტორების, მიზნების, კრიტერიუმების მოწესრიგების მეთოდი

რელევანტური (ინფორმაცია) – არსებითი, ფასეული, მნიშვნელოვანი; ფასეული მონაცემები შერჩეული კონკრეტული ამოცანის, პირის, მიზნისა და დროის პერიოდისათვის

რენოვაცია – ძირითადი კაპიტალის განახლების ეკონომიკური პროცესი

რესპოდენტი – პიროვნება, რომელიც პასუხს აგებს სოციალური ინფორმაციის შეგროვების პროცესში მისადმი მიმართულ ყველა საკითხზე

რეპატრიაცია – ემიგრანტების, ტყვედ წაყვანილი პირების, ლტოლვილების დაბრუნება სამშობლოში

რეფაქცია – ფასდაკლება სახელშეკრულებო ვალდებულებებით მიწოდებულ საქონელზე, როდესაც მიწოდებული პროდუქციის ხარისხი დაბალია და არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს

რეცესია – ეკონომიკური კრიზისი, ვარდნა, შემცირება; კაპიტალზე ხელმიუწვდომლობა

რისკი – გაურკვევლობის დონე შედეგების პროგნოზირებისას

ს

საბაზრო ინფრასტრუქტურა – დაწესებულებათა და ორგანიზაციათა (ბანკები, ბირჟები, ბაზრობები, საინფორმაციო–მარკეტინგული ფირმები) სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების მოძრაობას ბაზარზე

სტაგნაცია – ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როდესაც წარმოების დაცემა ერწყმება მზარდ უმუშევრობას და ფასების უწყვეტ ზრდას

სტანდარტი – კონკრეტული მიზანი, რომლისკენ მისწრაფება შესაძლებელია გაზომილ იქნეს

სტრატეგია – დასახული მიზნის მიღწევის საშუალება; განსაზღვრული წესების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს გადაწყვეტილების მიღებას და მოქმედების გეზის არჩევას დასახული მიზნის მისაღწევად

სტრუქტურა – სისტემის შემქმნელი ურთიერთშეკავშირებული რგოლების ერთობლიობა

ტ

ტაქტიკა – მიზნების მიღწევის მოკლევადიანი სტრატეგია შემუშავებული საშუალო რგოლის ხელმძღვანელის მიერ

ტექნოლოგია – ნებისმიერი სახის საწყისი მასალების გარდასახვის შესაძლებლობა სასურველ პროდუქციად, ან მომსახურეობად

ტრანსაქცია – მოძრაობა რისიმე გავლით, რისიმე საშუალებით გადაცემა

ფ

ფასიანი ქაღალდები – დოკუმენტები, რომლებიც გარკვეულ ქონებრივ უფლებებს გამოხატავენ

ფაქტიური კაპიტალი – კაპიტალი ფასიანი ქაღალდების სახით, რომელსაც გარკვეული შემოსავალი მოაქვს მისი მფლობელისათვის

ფაქტორინგი – დაფინანსების სისტემა ვალის გადახდევინების უფლების გაყიდვის სახით

ფილანთროპია – ქველმოქმედება, მოწყალება, კაცთმოყვარეობა

ფირმა – საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის დასახელება

ფიუჩერული ოპერაცია – საქონლის წინასწარი შესყიდვა მომავლისათვის

ფრანჩაიზინგი – ა) პრივატიზაციის მეთოდი (ასევე იწოდება **კონცესიადაც),** როდესაც სახელმწიფო გადასცემს კერძო ორგანიზაციას უფლებას გაყიდოს საზოგადოების პროდუქცია, ან მომსახურება; მეორე ფორმაა კომერციული საწარმოსათვის სახელმწიფო საკუთრების არენდით გადაცემა (ე.წ. **ლიზინგი);**

ბ) გასაღების სფეროს მსხვილი და მცირე ბიზნესის ინტეგრაციის ფორმა; პრივილეგიების მინიჭების სისტემა

შ

შრომა სამმართველო – მართვის მუშაკთა მიერ შესრულებული ოპერაციები და სამუშაოები

ც

ცენტრალიზაცია – პირობა, რომლის დროსაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება მართვის უმაღლეს დონეზე

ხ

ხოტორნის ეფექტი – პირობა, რომლის დროსაც სურვილს მიიღო სიახლე და ექსპერიმენტის გზით ახალი შედეგები, ხშირად მივყავართ საკვლევი საკითხის ექსპერიმენტების დროს მიღებული შედეგების დამახინჯებამდე

ჯ

ჯობერი – საბითუმო ფირმა, რომელიც მზა პროდუქციის ცალკეული მსხვილი პარტიებით სწრაფ შესყიდვა–გაყიდვის ოპერაციებს ასრულებს

ჰ

ჰოლდინგი – სააქციო კომპანია, რომელიც თავის კაპიტალს კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტების შესაძენად იყენებს მათზე კონტროლის დამყარების მიზნით

ლიტერატურა

1. ასათიანი რ. მენეჯმენტი. სახელმძღვანელო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 1995
2. ვაჩნაძე რ., ნიკვაშვილი ზ. ბიზნესის საწყისები. ლექციათა კურსი სტუდენტებისათვის, თბილისი, 1992.
3. როგორ დავიწყოთ საკუთარი ბიზნესი. აშშ მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის ექსპერტული რჩევა. თარგმანი ინგლისურიდან რ. ვაჩნაძის რედაქციით, ვენა, აშშ ინფორმაციის სააგენტო, 1995.
4. საბირჟო საქმე და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. სახელმძღვანელო ვ. სვანაძის რედაქციით. ს/ს „კავკასიის ბირჟა“, თბილისი, 1998.
5. ჭაბაშვილი მ. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი.“ გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1989.
6. ქეშელაშვილი ო. ვინ იცის ეკონომიკა? (ორ წიგნად). დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, “არეალი,” 2004
7. Ainsworth P., Deines D., Plumlee R. D., Larson C. X. Introduction to Accounting: An Integrated Approach, Irwin, 1997.
8. Beierlein J.G., Schneeberger K.G., Osburn D.D. Principles of Agribusiness Management, Waveland Press, Inc, Illinois, 2003
9. Gitman L. J., McDaniel C. The Best of the Future of Business, THOMSON, 2003.
10. Griffin R. W., Ebert R. J. Business, Pearson Prentice Hall, 2004.
11. Krugman P.R., Obstfeld M. International Economics/Theory and Policy, Person International Edition, Boston, 2006
12. Madura J. Introduction to Business. South-Western, 2001.
13. Mescon M. H., Bovée C.L., Thill J. V. Business Today, Prentice Hall, 2002.
14. Needham D., Dransfield R. Business Studies, McGraw Hill Book Company (UK), 1990.
15. Porter M.E. The Competitive Advantage of Nations. The free press, A Division of Macmillan, Inc, New York, 1990
16. Альберт М. Хедоури Ф. , Основы менеджмента. Общая редакция Л. И. Эвенко., М, 1992.
17. Ансофф И. Стратегическое управление. М. 1989.
18. Грибов В. Д. Основы бизнеса. М., Финансы и статистика, 2001.
19. Ионов И. Бизнес-право. – М.: «Издательство ПРИОР», ИВАКО Аналитик, 1998.

20. Как составить бизнес-план сервисной компании. Пер. с англ., М.: «Дело», 1997.
21. Князев В., Черник Д. Налоговые системы зарубежных стран. Москва, «Закон и право», 1997.
22. Миллер Р. Л., Ван-Хуз Д. Д. Современные Деньги и Банковское Дело; Пер. с англ. – М.: ИНФРА-М, 2000.
23. Мировая экономика: Введение во внешнеэкономическую деятельность. Под ред. А. К. Шуркалина, Н. С. Цыпиной, Учебное пособие, Москва, «Логос», 2000.
24. Никелс У., Макхью Д., Макхью С. Постижение бизнеса: пер. с англ. – Тольятти: «Издательский дом Довгань», 1996.
25. Новые тенденции в глобальной конкурентной деловой среде и их воздействие на роли функции правительств., Международный Учебный Центр МОТ, Турин, 2003
26. Речмен Д., Мескон М., Тилл К. Современный бизнес, Учеб. в 2 т. Перевод с английского под ред. Я. Познера, Москва, Республика, 1995.
27. Самуэльсон Пол А., Нордхаус Вильям Д. Экономика: Пер. с англ. М.: «Лаборатория базовых Знаний», 2000.
28. Смирнов В. Экспортно-импортные операции в международном бизнесе. – М.: БУКВИЦА, 1997 (Серия «Бизнес без границ»).
29. Уоттс Майкл. Что такое рыночная экономика. Информационное агенство США. 1992.
30. Учебник АССА (4) Структура и деятельность организаций. Модуль. В. 1999.
31. Фишер С., Дорнбуш З., Шмалензи Р. Экономика: Пер. с англ. со 2-го изд. – М.: «Дело ЛТД», 1993.
32. Хойер В. Как делать бизнес в Европе. Москва, Фонд «За экономическую грамотность», 1991.
33. Шихов А. К. Страхование. Юнити. 2001.

რევაზ ასათიანი – გამოქვეყნებული აქვს 80–მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 სახელმძღვანელო, 3 მონოგრაფია. მონაწილეობდა სხვადასხვა სახის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებზე მიძღვნილს აგრარული ეკონომიკის, აგრობიზნესის დაგეგმვისა და მართვის, აგრეთვე აგრარულ სფეროში განათლებისა და კვლევების რეფორმისა და სხვა საკითხებისადმი. წლების მანძილზე მოღვაწეობდა საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში, როგორც ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგე, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში (TACIS, KHF/DFID, UN, FAO, WB), როგორც ექსპერტი, კონსულტანტი, მენეჯერი, დირექტორი. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების, აგრეთვე აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი;

სალომე ასათიანი – გამოქვეყნებული აქვს 20–მდე სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, სასურსათო უსაფრთხოების, გლობალიზაციის, კონკურენციისა და სხვა საკითხებზე. არის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი და ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის მფლობელი.

რედაქტორი ნ. დოლიძე

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 30.07.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.08.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,5. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent